The Table 5. We can see the reliability of Georgian Banks from the customer's point of view. On the suggestion "Georgian Banking sector is reliable" 126 (40.9%) agreed and 41 (13.3%) strongly agreed which means a total of 54.2% positive feedback, 62 (20.1%) were neutral and the rest gave negative feedback. The data indicates that there is a range of perceptions regarding the reliability of the banking sector, with a notable proportion of respondents expressing neutrality or disagreement.

Table 5. Reliability of Georgian Banks from the Customer's Point of View

Answers	n	%
Strongly agree	41	13.3%
Agree	126	40.9%
Neutral	62	20.1%
Disagree	49	15.9%
Strongly disagree	30	9.7%
Total	**308**	**99.35%**

The Table 6. We can see the competition level in the Banking industry of Georgia from the costumer's perception. As a result, among people who strongly agree with the statement, their percentage distribution is 17.8%, and 35.7% of people agree, making a total of 53.5% negative feedback, this suggests that a notable proportion of participants perceive the level of competition in the sector is significantly lacking and limited. 24.8% of respondents were neutral, Lastly, a relatively small percentage of respondents 11.3% and 9.3% disagreed or strongly disagreed with a statement, indicating that they perceive a reasonable level of competition in the banking sector of Georgia.

Table 6. Level of competition in the Banking industry of Georgia from the customer's perception.

Answers	n	%
Strongly agree	56	17.8%
Agree	113	35.7%
Neutral	77	24.8%
Disagree	34	11.3%
Strongly disagree	28	9.3%
Total	**308**	**99.35%**

Table 7 analyzes the loyalty of respondents to their bank based on their age, more specifically it will show if there is a difference between ages. For example,83 people in the age group 1 to 30 (total of 150) answered "Likely" and 80 people in the age group of 31 to 65 and more (total of 160) answered "Unlikely" This indicates that older respondents are more loyal compared to younger ones.

Table 7. The loyalty of customers based on their age

Age	Likely	Neutral	Unlikely	Total
1-30	83 (55.4%)	41(27.3%)	26(17.3%)	150
31-65 and more	32 (20.25%)	55(34.8%)	71(45%)	158
Total	**115**	**96**	**97**	**308**

Validation of Research Objectives

To answer the first research objective, O_1. *"Analyze the importance of technological advancement of banking institutions from the customer's perspective".* Mean, and standard deviation were calculated, with a mean of 4.01 points and a standard deviation of 1.238. As a result, among people who strongly agree with the statement, their percentage distribution is 49.7%, and 23.1% of people agree, making a total of 72.8% positive feedback. Based on these results, it is clear that people attach importance to the technological advancement of Banking institution

Table 8. Customers' Attitudes Towards Adaptation of Technology/innovation

Statement	Mean	SD
In order to stay competitive Banks need to successfully adapt and implement modern technology/innovations. (Q_{11})	4.01	1.238

The next research objective is O_2: "*Find out if Georgian Banking Costumers consider the public image and reputation of the banking institution before choosing them".* Based on the results, the mean for the statement is 4.00, and the standard deviation is 1.195. In terms of percentage, 49% of people strongly agree

with the statement and 19.8% of people agree. which clearly shows that customers are paying attention to the public image and reputation of the Institution before/while choosing them.

Table 9. Customers' Attitudes Towards Public Image and Reputation

Statement	Mean	SD
Good Public Image and Reputation are the Key factors when choosing a Banking institution. (Q12)	4.00	1.195

3.5. Validation of Research Hypothesis

The first Hypothesis is *"There is a positive correlation between the statement that Banks need to adapt to modern times/technology in order to stay competitive(Q11) and the statement that Costumers would pay extra money for a unique experience/service provided by Bank(Q13)."* For this hypothesis, the correlation between the two variables was calculated.

Based on the results we can assume that Q11 and Q13 are corroborated as there is a significant level of correlation between both variables. A positive correlation means that as one variable increases, the other variable increases too. For both questions, the Pearson correlation coefficient is 0.907, and the significance level is less than 0.001 (Table 10). A possible explanation of the results could be that people who think Banks are technologically well-developed than these Banks can provide unique experiences and they are willing to pay extra for that. Based on the results, the research hypothesis was corroborated

Table 10. Pearson's Correlation Test.

		Q_{13}
Q_{11}	Pearson Correlation	.907
	p-value	<.001
	n	308

The second Hypothesis is "*There is an association between age and customers' willingness to pay more money for having extra unique/luxurious features provided by banks."*The chi-square test was used.

As a result of the chi-square test, it was found that there is a significant relationship between age and customers' willingness to pay extra, so the result is corroborated. Table 11 below shows the result. We can assume that the hypothesis has been approved based on the data. Also, in the table, the p-value is lower than 0.05, which indicates that the study result is statistically significant.

Table 11. Chi-Square Test.

	Value	Degrees of freedom	p-value
Pearson Chi-Square	30.188[a]	4	0.001

3.6. Main Results

Table 12 briefly describes the results of the research objectives and hypotheses, which are essential for an easy understanding of the results. For the research objectives, mean and standard deviation are used, and for the hypotheses, whether it was corroborated or not.

Table 12. Main results

Label	Objective or research hypothesis	Main Results	
		Mean	Standard deviation
O_1	Analyze the importance of technological advancement of banking institutions from the customer's perspective	4.01 points	1.238
O_2	Find out if Georgian Banking Costumers consider the public image and reputation of the banking institution before choosing them	4.00 points	1.195
H_1	There is a positive correlation between the statement that Banks need to adapt to modern times/technology in order to stay competitive(Q11) and the statement that Costumers would pay extra money for a unique experience/service provided by Bank(Q13).	Corroborated	
H_2	There is an association between age and customers' willingness to pay more money for having extra unique/luxurious features provided by banks.	Corroborated	

Conclusions, Recommendations. In today's modern society, banks play a crucial role in our everyday lives. They are not just financial institutions but also integral components of the economic framework, they provide essential services that allow us to manage our finances, carry out transactions, save for the future, and access credit when needed. It facilitates and provides essential services to individuals, businesses, and even governments. With the advent of digital banking, their influence has expanded even further, making banking services more accessible and convenient. As we navigate the complexities of the modern financial landscape, banks continue to be a vital part of our lives, enabling us to achieve our financial goals and contribute to economic stability **(Mosiashvili, 2022)**.

The study on the peculiarities of banking competition in Georgia highlights the significance of maintaining public trust, a positive image, and implementing modern innovative digital technologies,

emphasizing the need for transparency, accountability, and ethical practices, while recommending proactive engagement, enhanced customer experiences, collaborations with fintech companies, continuous monitoring and improvement, and suggesting future research areas such as comparative analysis, internal factors, regulatory environment, and technological advancements.

During the research survey was conducted and 310 people participated, this allowed us to gather all the necessary information to determine Thesis Objectives and Hypothesis

Based on the analysis conducted for the objectives and hypothesis testing in the study, the following conclusions can be made, Technological advancement is considered important from the customer's perspective in the banking sector in Georgia. The majority of respondents perceived technological advancements as significant, highlighting the importance of the implementation of modern innovative digital technologies, such as mobile banking apps, online platforms, and personalized services. By providing convenient and user-friendly digital banking experiences, banks can better meet customer expectations and improve customer satisfaction.

This study underscores the crucial role of maintaining public trust and a positive image in the effective functioning of banks. The findings indicate that public trust is a fundamental pillar for the stability and success of the banking sector. To build and maintain public trust, banks must prioritize transparency, accountability, ethical practices, and proactive customer service.

Another significant aspect of the research work was determining the hypotheses. The first hypothesis was to identify the correlation between two statements: "Banks need to adapt to modern times/technology in order to stay competitive" and "Customers would pay extra money for a unique experience/service provided by a bank." The survey data were analyzed using Pearson's Correlation Test. The results indicated a strong positive correlation between the two statements, with a Pearson correlation coefficient of .907 and a p-value of less than .001. In conclusion, the results suggest that banks that adapt to modern times and leverage technology are more likely to meet customers' expectations for unique experiences and services. This correlation underscores the importance of banks embracing technological advancements to stay competitive in the industry and attract customers who are willing to pay extra for enhanced banking experiences (Mosiashvili Valeri, 2022).

This section of the survey aimed to examine the association between age and customers' willingness to pay more for additional unique or luxurious features offered by banks. The statistical analysis was performed using the Chi-square Test. The results revealed a statistically significant association between age and customers' willingness to pay more, with a Pearson Chi-Square value of 30.188, degrees of freedom equal to 4, and a p-value of 0.001. In conclusion, the results indicate that customers' age plays a role in their willingness to pay more for enhanced features from banks. This association implies that different age

groups may have varying preferences and expectations when it comes to the value they place on unique or luxurious banking features. Understanding these age-related differences can assist banks in tailoring their offerings to meet the specific needs and desires of different customer segments.

In conclusion, this research highlights the importance of technological advancements, public trust, and customer preferences in the banking sector of Georgia. Banks that prioritize the implementation of modern digital technologies, maintain public trust and understand customer expectations are better equipped to thrive in a competitive environment. By consistently monitoring and improving their services, working in partnership with fintech companies, and improving customer experiences, banks can effectively navigate the complexity of the modern financial landscape and contribute to economic stability. Future research can build upon these findings, exploring additional dimensions and factors to understand banking competition in Georgia.

While the study sheds light on the significance of maintaining public trust and implementing digital technologies, it is important to acknowledge certain limitations. The research was conducted in a specific context, focusing solely on the banking sector in Georgia. As such, the generalizability of the findings to other regions may be limited. Additionally, relying on self-reported responses introduces the possibility of response bias. The research did not extensively explore internal factors, regulatory environments, and comparative analysis, leaving room for future investigation in these areas.

To further enhance our understanding of banking competition in Georgia and related factors, future research could consider the following areas:

- Conduct qualitative interviews or focus groups to gather more in-depth insights into customers' perspectives regarding technological advancements and the importance of public image and reputation in their decision-making.
- Explore specific technological advancements that customers prioritize in their banking experiences. This would help banking institutions tailor their strategies and investments accordingly.
- Investigate the impact of other factors, such as pricing, service quality, accessibility, and convenience, on customer decision-making in the Georgian banking sector.
- Analyze the influence of demographic factors beyond age, such as income level, education, and occupation, on customers' preferences and attitudes toward banking services and features.

By addressing these research areas, future studies can contribute to a deeper understanding of the Georgian banking landscape, improve competitiveness, and provide valuable insights for banking institutions to better serve their customers.

References

1. http://surl.li/ulanz

https://www.researchgate.net/publication/220427207_Building_Consumer_Trust_Online

2. https://www.researchgate.net/publication/360809100_DIGITAL_BANKING_A_NEED_OF_TIME

3. https://www.semanticscholar.org/paper/The-adoption-of-banking-technology-and-electronic-Jerene-Sharma/024da5b197bc599486fcbf75bebc2ba37a6e1684

4. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1007941

5. https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2005/wp0517.pdf

6. https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2008/wp08106.pdf

7. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=238710

8. https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/IJBM-12-2015-0195/full/html

9. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1988490

10. https://www.gartner.com/en/documents/3381818

კლიმატის ცვლილების რისკების გავლენა საბანკო რეგულირებაზე
Impact of Climate Change Risks on Banking Regulation

გელიტაშვილი გოგა - დოქტორანტი
g.gelitashvili@gtu.ge
Gelitashvili Goga - PhD student
ბურდიაშვილი რატი - პროფესორი
r.burdiashvili@gtu.ge
Burdiashvili Rati - Professor
ჭელიძე მედეა - პროფესორი
m.chelidze@gtu.ge
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Chelidze Medea - Professor
Faculty of Business Technologies Georgian Technical University

აბსტრაქტი. გარემოსდაცვითი პრობლემების გამწვავებისა და მათთან ბრძოლის არსებული ინსტრუმენტების დაბალი ეფექტურობის გამო, გლობალური მასშტაბით იზრდება ამ პრობლემების გადაჭრის ინოვაციურ მექანიზმებზე მოთხოვნა, მათ შორის ეკონომიკური სუბიექტების ორიენტირებაზე მდგრადი განვითარების პრინციპებზე.

სტატიაში დადასტურებულია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა (გლობალურ ფინანსურ ბაზარზე მოთამაშეებმა) და მარეგულირებლებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საბანკო ინსტიტუტების წახალისებას, მხარი დაუჭირონ გარემოსდაცვით ინიციატივებს და დანერგონ „მწვანე“ ტექნოლოგიები გარემოზე დატვირთვის შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები: „მწვანე ბანკინგი“, საბანკო რეგულირება, კლიმატის ცვლილება, ცენტრალური ბანკი, რისკი.

Abstract. Due to the aggravation of environmental problems and the low effectiveness of existing tools to combat them, the demand for innovative mechanisms for solving these problems, including the orientation of economic entities towards the principles of sustainable development, is increasing on a global scale.

The article confirms that government institutions (global financial market players) and regulators must develop and implement appropriate policies aimed at encouraging banking institutions to support environmental initiatives and introduce “green” technologies to reduce their environmental impact.

Key words: green banking, banking regulation, climate change, central bank, risk.

გლობალურ დონეზე ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა „მწვანე“ და ინკლუზიურ ეკონომიკაზე გადასვლის დაფინანსება და ეკოლოგიური მდგრადობის ხელშეწყობა.

მარეგულირებელ ორგანოებს მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება აქვთ მიმართული ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბაზრებზე კლიმატის ცვლილების რისკის სისტემური ზემოქმედების საკითხზე. ხოლო მთელი რიგი დარგობრივი ორგანიზაციები მუშაობენ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების სტრუქტურული გადახალისების, გამჭვირვალობის ამაღლების და სტანდარტების დაწესების მიზნით.

კლიმატის ცვლილებას ხშირად ათანაბრებენ ბირთვულ ომთან, პანდემიასთან და კიბერშეტევებთან. მაგრამ რამდენად არის კლიმატის ცვლილება ცენტრალური ბანკებისა და ფინანსური მარეგულირებლების პრობლემა?

კლიმატის ცვლილების საკითხებში ცენტრალური ბანკის ნებისმიერი ჩარევის *მოწინააღმდეგენი* ამტკიცებენ, რომ არსებობს ცენტრალური ბანკების იმიჯის შელახვის საშიშროება მათი ძირითადი ფუნქციების შესრულებისას (მაგ., მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას), თუ მათ ექნებათ დამატებითი ფუნქციები, რომელთა განსახორციელებლად არ გააჩნიათ ქმედითი და კონკრეტული ინსტრუმენტები. შესაბამისად, ცენტრალურმა ბანკებმა არ უნდა აიღონ ახალი პასუხისმგებლობები. ასევე, კლიმატის ცვლილება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც პოლიტიკური, სოციალური და მორალური საკითხი, რომელიც უნდა გადაიჭრას მთლიანად საზოგადოების და მთავრობების მიერ. კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილება მოითხოვს როგორც საკანონმდებლო, ისე რიგ სხვა ქმედებებს, რომლებიც ცენტრალური ბანკების კომპეტენციას სცდება. (Bingham, Large, & Fisher, 2023)

მომხრეთა არგუმენტის თანახმად, კლიმატის ცვლილება დიდ საფრთხეს უქმნის მონეტარულ და ფინანსურ სტაბილურობას, კომპანიების, საგადახდო სისტემების და სხვა საქმიანობის უსაფრთხოებასა და მდგრადობას, რომლებიც კავშირშია ცენტრალურ ბანკთან. კლიმატის ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს როგორც რეალურ, ისე ფინანსურ ეკონომიკაზე, შესაბამისად - ცენტრალური ბანკების ოფიციალურად განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. ამიტომ, მათ უნდა გაითვალისწინონ ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკი კლიმატის ცვლილებიდან დაწყებული მონეტარული პოლიტიკის, ფინანსური სტაბილურობის და, საჭიროების შემთხვევაში, პრუდენციული ზედამხედველობის ჩათვლით. უფრო მეტიც, ვინაიდან კლიმატის ცვლილება წარმოადგენს მატერიალურ საფრთხეს კაცობრიობისთვის, ეკონომიკის ყველა სუბიექტი უნდა იყოს ამ პრობლემის გადაწყვეტის ნაწილი. მაგ., ერთ-ერთი მთავარი კლიმატური გამოწვევა მდგრად ეკოსისტემაზე გადასვლის დაფინანსებაა. აღნიშნულ საკითხში ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ დახმარება, როგორიცაა „მწვანე“ ბაზრების წახალისება.

ცენტრალური ბანკების მიდგომა უნდა იყოს ფოკუსირება ფინანსურ რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიმატის ცვლილებით. ეს რისკები შეიძლება აისახოს ფინანსური კომპანიების სტანდარტული რისკის ჩარჩოებში, რომლებიც გამოიყენება საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვისათვის. მაგრამ, ყველაზე დიდი რისკი დაკავშირებულია ბიზნეს მოდელებთან. შედეგების შემარბილებელი და ადაპტაციური ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე, კომპანიამ შესაძლოა დაკარგოს ბაზრის წილი მათ სასარგებლოდ, ვინც ამას აკეთებს. ასე

მაგ., წყნარი ოკეანის რეგიონის რიგი ცენტრალური ბანკები უკვე ასახავენ ძირითად კლიმატურ მოვლენებს თავის მაკროეკონომიკურ პროგნოზებში.

მარტივია იმის მტკიცება, რომ ბანკებსა და სხვა ფინანსურ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ რისკების მართვის რეჟიმები, რომლებიც ითვალისწინებენ კლიმატის ცვლილების რისკებს. თუმცა, ამ რისკების შეფასება არსებული მეთოდოლოგიით საკმაოდ რთულია, რადგან არსებული მონაცემთა ნაკრები არ ასახავს კლიმატის სამომავლო სავარაუდო შოკების მასშტაბსა და სიხშირეს.

მარეგულირებლები თანდათან აყალიბებენ თავიანთ მიდგომებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, ინგლისის ბანკმა, 2019 წელს, პირველმა გამოაქვეყნა კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვის საზედამხედველო მოლოდინები, ხოლო 2022 წელს ECB-სთან ერთად გამოაქვეყნა კოორდინირებული სტრეს-ტესტების შედეგები, რომლებიც დაკავშირებული იყო კლიმატური სტრესის სცენართან. აგრეთვე, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის, უნდა ახდენდეს თუ არა კლიმატის ცვლილების რისკები გავლენას საბანკო რეგულირების სხვადასხვა ასპექტების კორექტირებაზე.

„ცენტრალური ბანკების და ზედამხედველთა ქსელი ფინანსური სისტემის გამწვანებისათვის“ - NGFS[1] ცდილობს ხელი შეუწყოს ცენტრალური ბანკების, ზედამხედველი ორგანოების და ფინანსური ორგანიზაციების როლის ამაღლებას ფინანსური სისტემის გამწვანებასა და კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვაში. ვინაიდან კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული რისკები გამოწვევას წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობისთვის, NGFS-ს საქმიანობა მიმართულია აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილებაზე. მისი პრიორიტეტებია გამოცდილების გაცვლა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ფინანსურ სფეროში გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების რისკების მართვის მხარდაჭერა, აღნიშნული რისკების უკეთ აღქმა და მართვა. (NGFS Annual Report 2022, 2023)

მდგრადი დაფინანსების შემსწავლელი ჯგუფის მიერ (SFSG) და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (Financial Stability Board - FSB) სამუშაო ჯგუფის მიერ მხარდაჭერილია რეკომენდაცია, წახალისდეს ფინანსური კომპანიების (მ.შ. ბანკების) მიერ კლიმატთან დაკავშირებული

[1] 2017 წლის ბოლოს პარიზში, 8 ცენტრალურმა ბანკის და ზედამხედველის მიერ დაფუძნდა „ცენტრალური ბანკების და ზედამხედველთა ქსელი ფინანსური სისტემის გამწვანებისთვის“ (The Central Banks and Supervisors Network for Greening the Financial System). 2023 წლის ბოლოს ქსელი 134 წევრს და 21 დამკვირვებელს მოიცავდა. მის მიზანს წარმოადგენს პარიზის შეთანხმების მიზნების მიღწევაში გლობალურ დონეზე რეაგირების განმტკიცება და ფინანსური სისტემის როლის ამაღლება რისკების მართვასა და „მწვანე“ ინვესტიციების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზებაში.

ინფორმაციების გამჟღავნება და გარემოსდაცვითი რისკების ანალიზი, კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის უფრო მეტი საჯაროობისთვის. (G20 Sustainable Finance Report 2023, vol. I., 2023)

NGFS-ში გაწევრიანებით საქართველოს ეროვნული ბანკი იზიარებს სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების და ფინანსური სექტორის ზედამხედველების გამოცდილებას, შეაქვს წვლილი მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიმართულებით, საკუთარ გამოცდილებას და მიღწევებს უზიარებს მდგრადი დაფინანსების სფეროში.

საბანკო სისტემამ თავის თავზე უნდა აიღოს მნიშვნელოვანი როლი მდგრად ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. აღნიშნული ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს, კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული შედეგები საბანკო საქმიანობისთვის წარმოადგენს პოტენციური რისკების წყაროს. განვითარებული ქვეყნების ზედამხედველების აზრით, რაც უფრო დაგვიანდება ქმედებები გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევის მიზნით, მით უფრო სწრაფი და გადაუდებელი რეაგირება გახდება საჭირო მომავალში.

რაც შეეხება „მდგრად საბანკო ქსელს“ - SBN-ს[2], მისი მიზანია წევრების პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის ხელშეწყობა და მასთან დაკავშირებული ინიციატივების შემუშავება. ქსელის წევრებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საკუთარი ფინანსური სისტემების მდგრადი განვითარება. აღნიშნული 2 მიზანს ემსახურება: ESG რისკების მართვის გაუმჯობესება და კაპიტალის ნაკადების გაზრდა იმ საქმიანობისთვის, რომელიც დადებითად ზემოქმედებს გარემოზე.

რადგან გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ბანკები შეიძლება მომატებული ფინანსური რისკის წინაშე აღმოჩნდნენ, გლობალური მასშტაბით ზედამხედველი ორგანოები ზრდიან გამჭვირვალობას მათი მართვისათვის. მიმდინარე ეტაპზე სისტემურად მნიშვნელოვან ბანკებს და მსხვილ სადაზღვევო კომპანიებს გააჩნიათ ვალდებულება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები გამჭვირვალე გახადონ.

2018 წელს ევროკავშირის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფმა მდგრადი დაფინანსების საკითხებში რეკომენდაცია გაუწია „მწვანე ტაქსონომიის“ მიღებას, როგორც ფინანსური პროდუქტების რეგულირებისა და მარკირების გამარტივების საშუალებას ბაზრის

[2] მდგრადი საბანკო ქსელი (Sustainable Banking Network, SBN) - არის განვითარებადი ბაზრების ფინანსური სექტორების მარეგულირებელი ორგანოების და საბანკო გაერთიანებების გაერთიანება, რომლებიც ახორციელებენ მდგრადი დაფინანსების განვითარებას მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად. https://www.ifc.org/wps/wcm/connect/topics_ext_content/ifc_external_corporate_site/sustainability-at-ifc/company-resources/sustainable-finance/sbn

განვითარების სტიმულირებისათვის და ფულის „მწვანე გათეთრების“ თავიდან ასაცილებლად. (EU taxonomy for sustainable activities, 2020)

2022-2023 წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი შეფერხება იყო „მწვანე“ პოლიტიკის შემუშავებაში ინფლაციისა და უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო. მაგრამ აშკარაა, თუ გრძელვადიანი დღის წესრიგი არის ეკონომიკური სტაბილურობა კლიმატის ცვლილების პირობებში, მაშინ მოკლევადიანი მონეტარული და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება სასიცოცხლო მოთხოვნას წარმოადგენს.

კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ცენტრალურ ბანკებს შორის არსებობს თანხმობა იმაასთან დაკავშირებით, რომ მონეტარული სტაბილურობა უნდა დარჩეს ცენტრალური ბანკების უმთავრეს ყურადღების ცენტრში.

არსებობს კაპიტალის შემოდინების საჭიროება პროექტებში, რათა ხელი შეეწყოს „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლას. ამავდროულად, ფიქსირდება ჭარბი მოთხოვნა „მწვანე“ აქტივებზე კერძო ინვესტორების მხრიდან. ამჟამინდელი პოლიტიკის გამოწვევა არის ის, თუ როგორ შეიქმნას მეტი „მწვანე“ აქტივები, მათ შორის ბაზრის განვითარების გზით. ამაში შეიძლება თავისი წვლილი შეიტანონ ცენტრალურმა ბანკებმა და მარეგულირებლებმა, მაგ., ბაზრის ახალი სტანდარტების მხარდაჭერით.

ცვლილებებზე რეაგირების კუთხით ცენტრალური ბანკის ჩართულობის მასშტაბების შესახებ შეხედულებები განსხვავდება, თუმცა, პრაქტიკულად ყველა თანხმდება, რომ ცენტრალურმა ბანკებმა არ უნდა აიღონ ძირითადი პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების შერბილების ან მასთან ადაპტაციის საკითხში. *ცენტრალური ბანკების უპირველესი პასუხისმგებლობა არის მონეტარული და ფინანსური სტაბილურობა, რომელიც უნდა დარჩეს პირველ ადგილზე. არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ ეს პრიორიტეტი შეირყევა, თუ ცენტრალურ ბანკებს დაეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით.* ამგვარად თუ მივუდგებით საკითხს, მომავალში ცენტრალური ბანკები შეიძლება „დაავალდებულონ“ გადაჭრან სხვა საკითხებიც.

ცენტრალური ბანკების და მარეგულირებლების უმეტესობამ უკვე აღიარა, რომ უნდა გაითვალისწინონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შოკები და რისკები იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ მიზნების მიღწევაზე. ფორმირებადი ბაზრის და განვითარებადი ქვეყნები ხშირად უფრო მეტად დაკავებული არიან ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებით. განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ფინანსური ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებას შეიძლება პირდაპირი კავშირი ჰქონდეს ცენტრალურ

ბანკებთან. რამდენადაც კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ფინანსური აქტივების ფასწარმოქმნის გარე ფაქტორებზე, ცენტრალურ ბანკებს შეიძლება ჰქონდეთ ლეგიტიმური ინტერესი ამაში. მაგრამ, ეს არ გულისხმობს მათთვის ახალი პასუხისმგებლობის დაკისრებას კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად.

თავის მხრივ, ასევე შესაძლებელია ცენტრალური ბანკის ექსპანსიური პოლიტიკის დადანაშაულება ჭარბი მოხმარების და, შესაბამისად, CO_2-ის ემისიის მხარდაჭერაში. თუ ცენტრალური ბანკის პოლიტიკას ამ ჭრილში განვიხილავთ, მომავალში მისთვის რთული იქნება კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების პოლიტიკისგან გვერდზე დგომა. ცენტრალურმა ბანკებმა უნდა იპოვონ წინსვლის გზა ამ კონკურენტული დაძაბულობის გათვალისწინებით. საერთო მიდგომების შემუშავება ცალსახად სასარგებლო იქნება მათი მანდატის - მონეტარული და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით.

ქვეყნების მიხედვით მიდგომები შეიძლება განსხვავდებოდეს. იმ ქვეყნებში, სადაც კლიმატის ცვლილების შესახებ დებატები ძალზე პოლიტიზირებულია და არ არსებობს პოზიტიური ქმედებების დემოკრატიული მანდატი, ცენტრალურმა ბანკებმა და მარეგულირებლებმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედონ. მაგრამ იმ ცენტრალურმა ბანკებმაც, რომლებიც გონივრულად ასახავენ კლიმატის ცვლილების გავლენას მათ მიმდინარე მიზნებზე, უნდა გაითვალისწინონ რისკები და თავი აარიდონ: იმ საკითხებში ჩარევას, რაც მთავრობის პრიორიტეტია; პასუხისმგებლობას კლიმატის ცვლილების შედეგებზე ან მიზნებზე, რომელთა განსახორციელებლად მათ არ გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება; იმ საკითხებში შეჭრას, სადაც ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობა და გავლენა მცირეა. (Bingham, Large & Fisher, 2023)

საფინანსო ინიციატივა. ექვსთვიანი საჯარო კონსულტაციების შემდეგ, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის საფინანსო ინიციატივამ (UNEP FI) გამოაქვეყნა „პასუხისმგებლიანი საბანკო პრინციპების“ (UNEP Finance Initiative) საბოლოო ოფიციალური ვერსიები და მისი დამხმარე ჩარჩო დოკუმენტები.

ინიციატივა აერთიანებს 500-ზე მეტ ბანკს, სადაზღვევო კომპანიას და ინვესტორს, რომელთა აქტივები აღემატება 170 ტრლნ აშშ დოლარს. ისინი ერთად მუშაობენ UNEP FI პასუხისმგებლიანი საბანკო პრინციპების და მდგრადი დაზღვევის პრინციპების განხორციელების ხელშეწყობისთვის, რომლებიც ეხმარება ფინანსურ სექტორს გლობალური გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) პრობლემების მოგვარებაში, რათა შეიქმნას უფრო მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკა.

პრინციპები უზრუნველყოფს ერთიან მიდგომას მდგრადი საბანკო სექტორის განვითარებისთვის, ამასთან, განსაზღვრავს საბანკო სექტორის როლს და პასუხისმგებლობას

მდგრადი მომავლის ჩამოყალიბებაში და საბანკო საქმიანობის შესაბამისობაში მოსაყვანად გაერო-ს მდგრადი განვითარების და პარიზის კლიმატის შეთანხმების მიზნებთან. (Principles for Responsible Banking, 2019)

გამოყენებული ლიტერატურა

Bingham, G., Large, A., & Fisher, P. (2023, April 23). *Climate change and the role for central banks*. From Central Banking, Financial Stability: https://www.centralbanking.com/central-banks/financial-stability/7958485/climate-change-and-the-role-for-central-banks

EU taxonomy for sustainable activities. (2020, July 12). Retrieved from European Commission.:https://finance.ec.europa.eu/sustainable-finance/tools-and-standards/eu-taxonomy-sustainable-activities_en

G20 Sustainable Finance Report 2023, vol. I. One Earth, One Family, One Future. (2023, June). Retrieved from The Sustainable Finance Working Group (SFWG): https://g20sfwg.org/wp-content/uploads/2023/10/Volume-I-G20-India-Final-VF.pdf

Hsu, C., Quang-Thanh, N., Chien, F., Li, L., & Mohsin, M. (2021). Evaluating Green Innovation and Performance of Financial Development: Mediating Concerns of Environmental Regulation. *Environmental Science and Pollution Research, 28.*, 386–397.

NGFS Annual Report 2022. (2023, April). Retrieved from The Central Banks and Supervisors Network for Greening the Financial System - NGFS: https:// www.ngfs.net/sites/default/files/medias/documents/ngfs_annual_report_2022.pdf

„Principles for Responsible Banking" and their supporting framework released following six-month consultative process. (July 25, 2019). Retrieved from United Nations Environment Program - Finance Initiative: https://www.unepfi.org/industries/banking/principles-for-responsible-banking-released

Promoting Global Financial Stability. 2023 FSB Annual Report. (2023, October 11). Retrieved from Financial Stability Board – FSB.: https://www.fsb.org/wp-content/uploads/P111023.pdf

TCFD. (October, 2023). *Task Force on Climate-related Financial Disclosures. 2023 Status Report.* Basel: Bank for Interntational Settlements. Financial Stability Board.

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის. (2019 წლის 10 აპრილი). მოპოვებული საქართველოს ეროვნული ბანკი.: https://inlnk.ru/n0pwKy-დან

საბანკო ზედამხედველობა. (2023 წლის დეკემბერი). მოპოვებული საქართველოს ეროვნული ბანკი: https://inlnk.ru/XOzOVz-დან

გიგ ეკონომიკა და ციფრული პლატფორმები: ბიზნესის ტრანსფორმაცია
Gig Economy and Digital Platforms: Business Transformation

ნინო გრიგოლაია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ალტე უნივერსიტეტი
n.grigolaia@alte.edu.ge
Nino Grigolaya
Doctor of Economics, Professor, Alte University

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია გიგ ეკონომიკისა და ციფრული პლატფორმების ურთიერთკავშირით გამოვლენილი ბიზნესის ტრანსფორმაციის ტენდენციები, გაანალიზებულია გიგ ეკონომიკის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები. დასაბუთებულია, რომ ეს კავშირი ხელს უწყობს ინოვაციებს, ქმნის ახალ ბაზრებს და ახალ შესაძლებლობებს საზოგადოებისთვის.

ნაშრომის მიზანია გიგ-ეკონომიკის ზოგადი მახასიათებლების, ტექნოლოგიური პლატფორმების და თანამედროვე ბიზნესის ტრანსფორმაციის შესაძლებლობების შესწავლა, ძირითადი გამოწვევების დადგენა და დაძლევის გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, შედარების, ინდუქციის და სხვა მეთოდები, ამ სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომები და სპეციალიზირებული ლიტერატურა.

საკვანძო სიტყვები: გიგ ეკონომიკა, ციფრული პლატფორმები, ახალი თაობის ბიზნესი, ფრილანსინგი.

Abstract. The paper discusses the business transformation trends arising from the interrelationship between the gig economy and digital platforms and analyses the positive and negative characteristics of the gig economy. It is argued that this connection promotes innovation, creates new markets and new opportunities for society.

The aim of the work is to study the general characteristics of the gig economy, its technological platforms and the possibilities of modern business transformation, to identify the main challenges and to develop recommendations for overcoming them.

Analytical, synthetic, comparative, inductive and other methods of existing scientific works and professional literature in this field are used.

Keywords: gig economy, digital platforms, new generation business, freelancers.

გიგ-ეკონომიკა კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ დამოუკიდებელი მუშაკები მოკლე ვადით, როგორებიცაა შტატგარეშე მომუშავეები, აუთსორსერები, ნახევარ განაკვეთზე მომუშავეები და სხვა. ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ კომპანიები იყენებს ციფრულ პლატფორმებს, როგორც დამაკავშირებელ სისტემას. გიგ ეკონომიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა COVID-19 პანდემიის შემდეგ, რამაც აჩვენა, რომ შესაძლებელია დისტანციურ სისტემაზე მუშაობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე და შესაბამისად, ამჟამად გიგ ეკონომიკა აქტიური ზრდის ეტაპზეა.

ასევე, გიგ ეკონომიკას აქვს პერსპექტიული მომავალი, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკური არასტაბილურობა, რის გამოც ადამიანები ეძებენ დამატებით სამუშაოს დისტანციურად, რათა შეუთავსებით და მიიღონ მუდმივი და სტაბილური შემოსავალი.

ამ თვალსაზრისით, გიგ ეკონომიკა:

- უზრუნველყოფს დასაქმების ახალ შესაძლებლობებს;
- სთავაზობს ალტერნატივას მათ, ვისაც არ სურს შეზღუდოს საკუთარი თავი საოფისე სამუშაოების დაძაბული გრაფიკით;

• ხსნის ახალ შესაძლებლობებს დიდი რაოდენობით სპეციალისტების დაქირავებისთვის;

• საშუალებას აძლევს კომპანიებს დაიქირაონ თანამშრომლები სეზონური სამუშაოების შესასრულებლად სრულ განაკვეთზე დასაქმების მოთხოვნის გარეშე;

• ეხმარება კომპანიებს ხარჯების შემცირებაში.

გიგ ეკონომიკა წარმოადგენს პარადიგმას, რომელიც მეტ თავისუფლებას და შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს. მათ შეუძლიათ იყვნენ უფრო აქტიურნი, მართონ დრო და რესურსები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ჯონ მაკაფი პროგრამისტი და McAfee-ს დამფუძნებელი, მიიჩნევს რომ გიგ ეკონომიკა არის უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება[3]. კომპანიები, როგორიცაა Uber, Airbnb, Lyft, Etsy და სხვები მოქმედებენ როგორც შუამავალები, აკავშირებს მუშაკებს დამსაქმებლებთან. მათ უფრო ხელმისაწვდომი გახადეს დროებითი სამუშაოს ძიების პროცესი-მუსიკალური წარმოდგენებიდან ონკანების შეკეთებამდე. მთავარი განსხვავება გიგ ეკონომიკასა და დასაქმების ტრადიციულ ფორმებს შორის არის ის, რომ გიგ ეკონომიკაში სამუშაო ყოველთვის დროებითია და ანაზღაურება ხდება ექსკლუზიურად კონკრეტული სამუშაოსთვის.

არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს გიგ ეკონომიკის წარმატებულ განვითარებას:

ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა: ტექნოლოგიურმა პლატფორმებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს გიგ ეკონომიკის აღზევებაში და ისინი რჩებიან მისი განვითარების მნიშვნელოვან ელემენტად. სწრაფი ინტერნეტი და GPS სისტემები შეუცვლელია წარმატების მიღწევისათვის.

სოციალური კომპონენტი: წარმატებული ეკონომიკისთვის აუცილებელია სმარტფონები და ინტერნეტი, რომელზეც წვდომა თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყო. ეს გამოწვეულია იმით, რომ მთელი პროცესი, დაწყებული სამუშაოს მიღებიდან და ანაზღაურების გადახდით დამთავრებული ხორციელდება ონლაინ.

გიგ ეკონომიკა, არის სისტემა, რომელიც შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან:

• დამოუკიდებელი მუშაკები, რომლებიც იღებენ ანაზღურებას კონკრეტული ამოცანების ან პროექტების შესრულებისთვის. ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მუშაკებისგან, რომლებიც ასრულებენ სტანდარტულ სამუშაოს ან იღებენ საათობრივ ხელფასს.

• მომხმარებლები, რომლებსაც სჭირდებათ გარკვეული მომსახურება, იქნება ეს დანიშნულების ადგილამდე მოგზაურობა, საქონლის მიწოდება თუ ვებსაიტების კონტენტის შექმნა და მრავალი სხვა.

- კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც შუამავლები დამოუკიდებელი მუშაკების მომხმარებლებთან დასაკავშირებლად. იყენებენ ტექნოლოგიურ პლატფორმებს, რომლებიც მუშაობენ მობილური აპლიკაციებზე დაფუძნებით.

გიგ ეკონომიკა არ შემოიფარგლება ცალკეული ინდუსტრიებით -მას შეუძლია ადაპტაცია პრაქტიკულად ნებისმიერი მიზნის და ამოცანის გადასაჭრელად.

Financial Times პროგნოზით, 2050 წლისთვის მუშაკების 83% მიიღებს მონაწილეობას გიგ ეკონომიკაში. ახლა ამ ტიპის დასაქმება ყველაზე სწრაფად მზარდი და მრავალფეროვანია, მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების და შემოქმედებითი პროფესიების ჩათვლით [3].

გიგ ეკონომიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები:

გიგ ეკონომიკა, პოპულარობას იძენს, რაზე მიუთითებს მისი მიმზიდველობა ბევრი ადამიანისათვის. 2023 წლის მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში 73,3 მილიონი ფრილანსერი მუშაობდა და მოსალოდნელია, რომ 2024 წლისთვის რიცხვი 76,4 მილიონამდე გაიზრდება (statista-ს მიხედვით). ასე რომ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფრილანსერების რაოდენობამ გაიზარდა 19%-ით. აშშ-ში მუშაკთა 36% ათავსებს საოფისე სამუშაოს დისტანციურ სამუშაოსთან, ხოლო 29% მთლიანად ფრილანსერობაზე გადაერთო. ამერიკელების მუშახელის თითქმის 40% შემოსავლის მინიმუმ 40%-ს იღებს დისტანციური საქმიანობიდან [3]. ეს მონაცემები მიუთითებს თანამედროვე შრომის ბაზარზე გიგ ეკონომიკის მნიშვნელოვან გავლენაზე და ხაზს უსვამს შრომითი პოლიტიკის ახალ რეალობასთან ადაპტაციის საჭიროებას. საქმიანობის ამ ფორმატში ადამიანები ხედავენ შემდეგ უპირატესობებს:

- იდეალურია კრეატიული ადამიანებისთვის: დღეს ფრილანსინგი ბევრ კრეატიულ პროფესიას აერთიანებს, როგორიცაა კოპირაიტერები, გრაფიკული და ვებ დიზაინერები, SMM სპეციალისტები და ა.შ.
- უნარების უწყვეტი განვითარება: შრომის დინამიურ ბაზარზე აუცილებელია მუდმივად განვითარება სრულყოფა და ტენდენციებზე მიყოლა, რათა იყო კონკურენტუნარიანი. გიგ ეკონომიკა ხელს უწყობს პროფესიული უნარების მუდმივ ზრდას.

ეკონომიკური სარგებელი ბიზნესისთვის:

- ხარჯების შემცირება: გიგ-ეკონომიკა ხასიათდება მოკლევადიანი ურთიერთობებით კომპანიებსა და მუშაკებს შორის, რაც თავის მხრივ იძლევა კომპანიის ხარჯების შემცირების შესაძლებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშაკების სამუშაოებს ასრულებენ დისტანციურად.
- დასაქმების ზრდა: გიგ ეკონომიკა ქმნის ახალი სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს უმუშევრობის დონე შემცირებას . McKinseym-ის ანგარიშის მიხედვით აშშ-ში და ევროკავშირის

ქვეყნებში 160 მილიონზე მეტი ადამიანია ფრილანსერებად დასაქმებული. ამაში მთავარ როლს ციფრული პლატფორმები თამაშობენ, როგორიცაა Uber, Airbnb, Upwork და Etsy [4].

თუმცა, გიგ ეკონომიკასთან ასევე დაკავშირებულია უარყოფითი მხარეებიც, კერძოდ

- სამართლებრივი საკითხები: ბევრ ქვეყანაში გიგ ეკონომიკას ჯერ არ გააჩნია მკაფიო საკანონმდებლო ბაზა. ამან შესაძლოა შექმნას სამართლებრივი პრობლემები როგორც მუშაკებისთვის, ასევე კომპანიებისთვის.
- გაურკვევლობა და არასტაბილურობა: გიგ ეკონომიკის მუშაკებს შეიძლება შეექმნათ არასტაბილური სამუშაო შეკვეთების და გაურკვეველი მომავალის პრობლემები. ამან შეიძლება გამოიწვიოს სტრესი და ფინანსური არასტაბილურობა.
- სოციალური უზრუნველყოფა: გიგ ეკონომიკის მუშაკებს, როგორც წესი, არ აქვთ წვდომა ტრადიციულ სოციალური შეღავათებზე და დაზღვევაზე, რამაც შეიძლება შექმნას ფინანსური რისკები.
- მაღალი ანაზღაურების მოლოდინი: ფრილანსერები შეიძლება დიდი მოლოდინის წინაშე აღმოჩნდენენ კლიენტების მხარეები გადახდასთან დაკავშირებით.
- სწავლებისა და განვითარების ნაკლებობა: კომპანიები ფრილანსერებს ხშირად არ აძლევენ შესაძლებლობას სწავლებისა და უნარების განვითარებისთვის.

ამრიგად, გიგ ეკონომიკა უზრუნველყოფს ბევრი სარგებელს, მაგრამ ასევე გააჩნია გამოწვევები, რომლებიც საჭიროებენ მთავრობებისა და კომპანიებისგან ყურადღებას და რეგულირებას [1].

უმუშევრობის დონე ამჟამად ყველაზე დაბალი ნიშნულზეა. მიუხედავად ამ ხელსაყრელი დინამიკისა, აუცილებელია იმის აღიარება, რომ „სამუშაოს“ კონცეფციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ჰარვარდისა და პრისტონის ეკონომისტების ანალიზის მიხედვით ახალი სამუშაო ადგილების თითქმის 94 პროცენტი ასოცირდება დასაქმების ალტერნატიულ ფორმებთან, როგორიცაა ფრილანსერინგი, მცირე ოფისები/დისტანციური მუშაობა (SOHO) და გიგ ეკონომიკა. ტრადიციულმა არაკვალიფიციურმა წარმოების სამუშაოებმა ადგილი დაუთმო ავტომატიზაციას და რობოტოტექნიკას. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ თანამედროვე სამუშაოები მოითხოვს არა მხოლოდ ახალი უნარებს, არამედ ტრადიციული შეხედულების გადახედვას იმის შესახებ, თუ რა არის „სამუშაო“. სამუშაოს ახლებური განმარტება ხელს უწყობს მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების ახალი ტალღა წარმოქმნას, იძლევა შემოქმედებითი რეალიზაციის უნიკალურ შესაძლებლობებს.

ამრიგად, გიგ ეკონომიკის, როგორც შემოსავლის წყაროს, პოპულარობა სწრაფად იზრდება მთელ მსოფლიოში. სულ უფრო მეტი მუშაკი ეძებს დასაქმების მოქნილ ფორმებს, რომლებიც განსხვავდება ტრადიციული ფორმებისგან. მიუხედავად გარანტირებული სამუშაოს და ისეთი

შეღავათების არარსებობისა, როგორიცაა ჯანმრთელობის დაზღვევა, ახალი თაობის დასაქმებულთათვის მიმზიდველია შემოსავლის სხვადასხვა წყაროს არსებობა. ამ ბიზნეს მოდელის შემუშავებით ჩნდება შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ახალი რეგულაციები და იქმნება პროფკავშირები [1].

მთავარი იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს გიგ ეკონომიკას, არის თანამშრომლების ტრადიციული დაქირავებიდან გადასვლა დამოუკიდებელ შემსრულებლებთან, ანუ ფრილანსერებთან ხელშეკრულებების დადებაზე. ეს გადასვლა შესაძლებელი გახდა ინტერნეტ პლატფორმების განვითარების წყალობით, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგრეგატორები და ბაზრები.

მაგალითად, ბინის მფლობელებს შეუძლიათ კლიენტების პოვნა Airbnb პლატფორმის საშუალებით, მძღოლები აწვდიან ტაქსის მომსახურებას Uber-ისა და Yandex-ის გამოყენებით. ხელოსნებს, რომლებიც ქმნიან უნიკალურ ხელნაკეთ ნივთებს, შეუძლიათ თავიანთი პროდუქციის გაყიდვა Etsy-ზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ციფრული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარება განუხრელად ზრდის მოთხოვნას ფრილანსერ სპეციალისტების მომსახურებაზე. უახლოეს მომავალში შესაძლოა კიდევ უფრო დიდი მოთხოვნილება გაჩდეს სამგანზომილებიანი გრაფიკის მხატვრებსა და დიზაინერებზე, რადგან კიბერსივრცეები, რომლებიც აერთიანებს კომპიუტერულ გრაფიკას და ვირტუალურ და გაფართოებულ რეალობის ტექნოლოგიებს, გულისხმობს სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობის შექმნას.

თუმცა, ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად ამ ინდუსტრიის წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები არის მუშაკთა უფლებებისა და ინტერესების არასაკმარისი დაცვა, შემოსავლის პერიოდული არასტაბილურობა, კორპორატიული სოციალური პროგრამების ნაკლებობა და შედარებით მოკრძალებული ხელფასი. ფაქტორების ეს კომპლექსი ართულებს გლობალური გიგ ეკონომიკის განვითარების პროცესს[4]. Business Insider-ის მიხედვით, ბაზრის ზომა მოსალოდნელია, რომ 2027 წლისთვის 2.4 ტრილიონ დოლარს მიაღწევს წელიწადი. ინტელექტუალური პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება ახალ ჰორიზონტს უხსნის კომპანიებს. ძირითადი წარმოების პროცესების ავტომატური კონტროლს მოაქვს მნიშვნელოვანი უპირატესობები, ზრდის ეფექტურობას და ამცირებს შეცდომების რიცხვს. იდენტიფიცირებულია ასეთი ურთიერთქმედების ზოგიერთი ასპექტი.

პრევენციული მოვლის შემთხვევაში IoT (Internet of Things)-ისა ახდენს მონაცემების შეგროვებას მოწყობილობებიდან სენსორების მეშვეობით და მიღებული ინფორმაციის შემდგომი დამუშავება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რომელსაც შეუძლია რა დიდი

მონაცემებთან მუშაობა, დამოუკიდებლად ახდენს რეაგირებას ცვლილებებზე და იღებს ზომებს მათ აღმოსაფხვრელად.

ლოჯისტიკაში ხელოვნურ ინტელექტსა და IoT-ს ასევე მოაქვს მნიშვნელოვანი შედეგები. ინტელექტუალური პლატფორმები ამარტივებენ რესურსების მონიტორინგს და ავტოპარკების მართვას. თავის მხრივ, აქტივების თვალთვალის სისტემები საშუალებას იძლევა სამუშაო პროცესების ავტომატიზაციის და პროაქტიული მოვლის. რეალურ დროში სენსორებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაფუძნებული ანალიზი ხელს უწყობს სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობის პროგნოზირებას, რითაც ამცირებს შეფერხების პერიოდებს და ზრდის ეფექტურობას.

ამჟამად სოფლის მეურნეობის სექტორიც მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის წყალობით. ისეთი მოწყობილობების გამოყენებით, როგორიცაა ნიადაგის ტენიანობის სენსორები და ამინდის მონიტორები, ფერმერებმა გააუმჯობეს სარწყავი სისტემების, მოსავლისა და მავნებლების კონტროლის მართვის მეთოდები. ხელოვნურმა ინტელექტის, მანქანათმცოდნეობის, რობოტოტექნიკის, უპილოტო საფრენი აპარატების ინტეგრაციამ სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში გამოიწვია „ჭკვიანი სოფლის მეურნეობის“ შექმნა. ეს მიდგომა ხელს უწყობს ოპერაციების მონიტორინგის გამარტივებას, ამცირებს დამოკიდებულებას ხელით შრომაზე და აუმჯობესებს მიღებული პროდუქციის ხარისხს და რაოდენობა. ის ამაღლებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის ოპტიმიზაციის ეფექტიანობას. გარდა ამისა, ინოვაციურ სისტემებს შეუძლიათ შეაფასონ მზის სინათლის დონე, რომელსაც იღებენ კულტურები, რაც თავის მხრივ ფერმერებს ღონისძიებების ოპტიმიზაციის საშუალებას აძლევს. ასე რომ, ინფრაწითელი სენსორებისგან და თანამგზავრების სურათებიდან მიღებული ინფორმაციის წყალობით, შესაძლებელი გახდა მცენარის ზრდის ტემპის მონიტორინგი და საკვები ნივთიერებების დეფიციტის შემთხვევაში სწრაფი რეაგირება.

ხელოვნური ინტელექტი და IoT გახდა საცალო ვაჭრობის ძირითადი ელემენტები, რამაც გამოიწვია კონცეფციის ჭკვიანი საცალო ინდუსტრიის შექმნა. პროგნოზები აჩვენებს, რომ IoT-ით ჩართული საცალო სექტორი 2025 წლისთვის 94 მილიარდ დოლარს მიაღწევს. საცალო მოვაჭრეები აქტიურად ნერგავენ სენსორებს მაღაზიებთან, აგროვებენ მონაცემებს მომხმარებლების, მათი პროდუქტებთან ურთიერთქმედების და პრეფერენციების შესახებ. სენსორები ჩაწერენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოძრაობენ მომხმარებლები, რამდენ დროს ატარებენ მაღაზიაში და რა საქონელზეა ყველაზე მაღალი მოთხოვნა. რაც თავის მხრივ, ანალიტიკოსებს ეხმარება გაიგონ მომხმარებლის პრეფერენციები. მარაგების დონის ოპერატიული მონიტორინგი მომარაგების ჯაჭვის გააუმჯობესების, პოპულარული

პროდუქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და ჭარბი მარაგის შემცირების საშუალებას იძლევა.

თუ გავაანალიზებთ სამშენებლო ინდუსტრიას, აქაც ხელოვნური ინტელექტის და IoT ტექნოლოგიების დანერგვის წყალობით, კომპანიებს ასევე შეუძლიათ ეფექტურად შექმნან მიწოდების ჯაჭვები ისე, რომ აღარ იყოს პრობლემები წარმოებისთვის საჭირო რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით. ვინაიდან დაგვიანებამ შეიძლება შეიცვალოს სამუშაოს დასრულების ვადები, რაც თავის მხრივ გამოიწვევს უარყოფით შედეგებს ობიექტის დაგვიანებით მიწოდებისთვის ჯარიმების გადახდის სახით. ხოლო სამშენებლო მოედანზე კამერებისა და სენსორების დანერგვა ხელს შეუწყობს სამუშაოზე დაზიანების რისკების მინიმუმამდე შემცირებას რადგან გაანალიზდება მიღებული მონაცემები ხელოვნური ინტელექტის მიერ, რომელიც შეძლებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას, ამით თავიდან აიცილებს უარყოფითი შედეგებს.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ბიზნესში დანერგვა იწვევს ინოვაციური გადაწყვეტილებების გაჩენას, რომელიც ამარტივებს სამუშაო პროცესებს, ზრდის ეფექტურობას და სრულყოფს გადაწყვეტილებების მიღების მეთოდებს [5,6]

თანამედროვე სამყაროში გიგ ეკონომიკა და ტექნოლოგიური პლატფორმები ქმნის უნიკალურ ურთიერთკავშირს, ცვლიან ბიზნესის კეთების წესებს ინოვაციების დანერგვის გზით. ეჭვგარეშეა, რომ ამ ურთიერთობას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ, გიგ ეკონომიკა უზრუნველყოფს მეწარმეობის შეუზღუდავ შესაძლებლობებს და დასაქმების მოქნილობას. ტექნოლოგიური პლატფორმები, პროექტებისა და თანამშრომლების მოძიებას, ამცირებენ ხარჯებს. მეორე მხრივ, არის მუშაკთა დაუცველობა, შემოსავლების მერყეობა და სოციალური შეღავათების ნაკლებობა.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოქნილობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის ბალანსის პოვნა, რათა ყველა მონაწილისთვის სამართლიანი პირობები იყოს უზრუნველყოფილი. ამავე დროს არ შეიძლება უარყოფა იმისა, რომ გიგ ეკონომიკა და ტექნოლოგიური პლატფორმები აქტიურად აყალიბებენ ბიზნესის მომავალს. ისინი ხელს უწყობენ ინოვაციებს, ქმნიან ახალ ბაზრებს და ხსნიან ახალი შესაძლებლობები ადამიანებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გრიგოლაია ნ., (2023) გიგ ეკონომიკა და საგადასახდო დაბეგვრის პრობლემები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში"

2. Mas A., and Pallais A. (2017). Valuing alternative work arrangements. *American Economic Review* 107:12: 3722-3759. Retrieved from https://oar.princeton.edu/bitstream/88435/pr1mj6g/1/aer.20161500.pdf

3. Goos M., and Manning A. (2007). Lousy and Lovely Jobs: the Rising Polarization of Work in Britain. *The Review of Economics and Statistics,* Vol. 89, № 1, pp. 118-133. Retrieved from https://www.jstor.org/stable/40043079

4. Gig Economy Platforms Are Creating A New Class of Entrepreneurs https://www.entrepreneur.com/leadership/gig-economy-platforms-are-creating-a-new-class-of/288178.– (дата обращения 25.09.2023).

5. Gig Economy – An Emerging Concept. [ელექტრონული რესურსი] https://www.aranca.com/knowledgelibrary/articles/business-research/gig-economy-an-emerging-concept

6. The Synergy of IoT and AI: Revolutionizing the Future of Business.[ელექტრონული რესურსი] https://iotbusinessnews.com/2023/07/06/04040-the-synergy-of-iot-and-ai-revolutionizing-the-future-of-business/

ციფრული ტანსფორმაცის ზეგავლენა საბანკო სექტორზე
Impact of digital transformation on the banking sector

ანა ტატიშვილი -საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასისტენტ - პროფესორი
Ana Tatishvili - Assistant professor of Georgian National University SEU

აბსტრაქტი: ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია საბანკო სისტემის გამართული ფუნქციონირება. ციფრული ტრანსფორმაცია საბანკო და ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში გულისხმობს მოწინავე ტექნოლოგიებისა და პროცესების ინტეგრაციას, რომელიც მიზნად ისახავს საბანკო მომსახურების ეფექტურობის, ხელმისაწვდომობისა და მომხმარებლის საერთო გამოცდილების გაუმჯობესებას. საფინანსო სექტორში ტექნოლოგიების განვითარება იძლევა ინოვაციების დანერგვისა და ახალი საგადახდო პროდუქტების შექმნის შესაძლებლობას. ნაშრომში შესწავლილია საბანკო სისტემაში ციფრული ტრანსფორმაციის როლი, ერთიანი ინფორმაციულ-ანალიტიკური ველის შექმნისადმი კომპლექსური მიდგომა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები. საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, ინოვაციები, საგადახდო ტექნოლოგიები, საბანკო საქმე.

Abstract: One of the main determining factors of any economy is the proper functioning of the banking system. Digital transformation in the banking and financial services industry involves the integration of advanced technologies and processes aimed at improving the efficiency, accessibility and overall customer experience of banking services. The development of technologies in the financial sector provides an opportunity to introduce innovations and create new payment products. The role of digital transformation in the banking system, a complex approach to the creation of a unified information-analytical field and prospects for the development of digital technologies has to be studied.
Keywords: digital transformation, innovations, payment technologies, banking.

საბანკო-საფინანსო სისტემამ განიცადა რიგი ტრანსფორმაცია, ცვლილება განიცადა საოპერაციო მოდელმაც, რასაც თან ახლავს ახალი შესაძლებლობები, რომლებიც მორგებულია თანამედროვე მომხმარებლის მოთხოვნილებებზე. საგადახდო ტექნოლოგიების კუთხით, საქართველოს საბანკო სექტორი ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. გადახდებისა და საბანკო სერვისების მიღების საკმაოდ მრავალფეროვანი საშუალებები არსებობს: უკონტაქტო ბარათები, მობილური საფულეები, გადახდის სამაჯურები, შტრიხ კოდები, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი და ა.შ. სერვისების გამოყენება შესაძლებელია ნაღდ ფულთან ფიზიკური კონტაქტის გარეშე.

სისტემის ხელმისაწვდომობის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება, რომელიც ფინანსურ სექტორში ჯანსაღი ინოვაციების გამოჩენას წაახალისებს. აღნიშნული, თავის მხრივ, მდგრადი ფინანსური სექტორის არსებობისთვის აუცილებელი კომპონენტია. ახალ ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სერვისების განვითარება, რომლებიც ნაკლებად ხარჯიანია და მომხმარებელზეა მორგებული, ხელს შეუწყობს კონკურენციისა და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდას. კომერციულმა ბანკებმა გადაახალისეს ციფრული საბანკო პლატფორმა, დაამატეს ახალი ინოვაციური პროდუქები და ისეთი საბანკო სერვისებიც, რომლის მიღება აქამდე მომხმარებლებს მხოლოდ ფილიალში ვიზიტისას შეეძლოთ.

სტატისტიკის თანახმად, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, მობილური ბანკი გადახდების რაოდენობის დაახლოებით 128 პროცენტიანი საშუალო წლიური ზრდის ტემპით წარმოადგენდა ყველაზე სწრაფად მზარდ გადახდის არხს. გასაკვირი არ არის, რომ ის მალევე დამკვიდრდა საქართველოში განხორციელებული გადახდებისას ყველაზე ხშირად გამოყენებად საგადახდო საშუალებად საბარათე ინსტრუმენტის შემდეგ. ასევე, სწრაფი ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების თანხას (ბოლო 8 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ზრდა დაახლოებით 102 პროცენტია) და 2022 წელს პირველად გადააჭარბა საბარათე ინსტრუმენტის საშუალებით განხორციელებული გადახდების თანხას, თუმცა ჩამოუვარდება ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული გადახდების თანხას. უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს, მხოლოდ მობილური ბანკით განხორციელებულმა გადახდებმა თანხობრივი მაჩვენებლებით გადაუსწრო არადისტანციური არხებით (ფილიალებსა და სერვის ცენტრებში) განხორციელებულ გადახდებსაც. ინტერნეტ-ბანკით, ტრადიციულად, ყველაზე მეტი უნაღდო გადახდა ხორციელდება თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა საშუალებებით განხორციებული გადახდების თანხას.

დიაგრამა N1. საქართველოში უნაღდო გადახდის ინიცირების საშუალებების გამოყენება 2012-2023 წლებში.



წყარო: საქ. ეროვნული ბანკი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბანკი გარდაიქმნა პროდუქტზე ორიენტირებულიდან, მომხმარებელზე ორიენტირებულ ბიზნეს მოდელად. დიდი ყურადღება ეთმობა ციფრული არხების საშუალებით მომხმარებელთა ქცევის შესწავლას, მათი საჭიროებების პროგნოზირებას და დაკმაყოფილებას პერსონალიზირებული სერვისების სწრაფი მიწოდებით.

მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებით, უწყვეტი ციფრული ინოვაციებისა და საბანკო მიდგომის შემუშავებით, ბანკის მიზანია: შეინარჩუნოს და გააფართოვოს მომსახურების ბაზარზე თავისი წილი დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით, შეამციროს საოპერაციო ხარჯები, გაზარდოს მომხმარებელთა კეთილგანწყობა და მიიღოს შემოსავლის ახალი წყაროები. ციფრული ტრანსფორმაცია საბანკო ინდუსტრიის გამოწვევაა, ტრადიციულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა დაინახეს ახალი ტექნოლოგიების სრული პოტენციალი, მაღალი მოთხოვნა და მიიღეს მათი დანერგვის აუცილებლობა კონკურენტუ-ნარიანობის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://nbg.gov.ge
2. https://www.ibm.com/think/topics/digital-transformation-
3. bankinghttps://bankofgeorgia.ge/files/96738e3e-a584-407f-82c4-29a654865cd0.pdf
4. Pioytr L. and Jonathan W. Digital Transformation and the Economics of Banking: Economic, Institutional and Social Dimensions; Copyright 2024.

კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია საქართველოში და მისი აღსრულების ზეგავლენა შესაბამის ბაზარზე (სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერების მაგალითზე)

Practical implementation of the competition policy in Georgia and the impact of its implementation on the relevant market (on the example of tenders announced by state procurement organizations for the purpose of purchasing design/construction/engineering works)

აკაკი ცერცვაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტი
atsertsvadze@gnca.gov.ge
Akaki Tsertsvadze - PhD student of Georgian Technical University

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია კონკურენციის პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში, მიმოიხილავს საქართველოში ამ პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის პროცესს და პოლიტიკის აღსრულების ზეგავლენის შეფასებას შესაბამის ბაზარზე (სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერების კონკრეტულ მაგალითზე). რაოდენ მნიშვნელოვანია კონკურენციის დაცვის კუთხით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესის მკაცრი მონიტორინგი და მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამის ბაზარზე ზეგავლენის ეფექტების შეფასება, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს და გააჯანსაღოს კონკურენციის დონე ქვეყანაში.

საკვანძო სიტყვები: კონკურენციის პოლიტიკა, იმპლემენტაცია, პრაქტიკული რეალიზაცია, ზეგავლენის შეფასება, კონკურენტული გარემო.

Abstract. The article discusses the role and importance of competition policy in the process of building the country's market economy, reviews the process of forming and practical implementation of this policy in Georgia, and evaluates the impact of policy implementation on the relevant market (on the specific example of tenders announced by state procurement organizations for the purpose of purchasing design/construction/engineering works). How important it is to strictly monitor the process of enforcement of the decisions taken in terms of competition protection and to evaluate the impact of the decisions on the relevant market, which, in turn, should promote and improve the level of competition in the country.

Keywords: Competition policy, implementation, practical implementation, impact assessment, competitive environment.

შესავალი. საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესი ოცდაათ წელზე მეტია მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდება. თუმცა, ქვეყანაში რეალიზებული კონკურენციის პოლიტიკის არათანმიმდევრულობის გამო, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო მხოლოდ ცხრა წელიწადია (2014 წლის 14 აპრილიდან), რაც ემსახურება თავისუფალი ვაჭრობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების ხელშეწყობას და სრულყოფას. აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ანალოგიურად, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს როლისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხებს, საფუძველი ჩაეყარა 1992 წლიდან, რაშიც, დიდი წვლილი მიუძღვით, ცნობილ მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს, ეკონომიკის ყოფილ მინისტრებს - მიხეილ ჯიბუტს და ვლადიმერ პაპავას, თანამოაზრეთა გუნდთან ერთად.

პოსტსოციალისტური ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, საქართველომ გაიარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულესი და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი. მნიშვნელოვანი

წარმატების მიღწევის საწინდარი ამ რთული პროცესის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებთან ერთად გარე სამყაროსთან მაქსიმალურად ჰარმონიზებული კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციაა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს და ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

გასული საუკუნის 90–იანი წლების დასაწყისში, ქვეყნის წინაშე დადგა ამოცანა- მაქსიმალურად უმტკივნეულოდ, სოციალისტური ეკონომიკის სისტემიდან (რომელიც ემყარებოდა ცენტრალურ დაგეგმარებას და საწარმოო საშუალებებზე და პროდუქციაზე საზოგადოებრივ საკუთრებას), კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ თავისუფალ სამეწარმეო სისტემაზე გადასვლა, ანუ განხორციელებულიყო ეკონომიკისა და თავისუფალი სამეწარმეო სისტემის შერწყმა.

იმპლემენტაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი დაემთხვა მასობრივი პრივატიზაციის პროცესს, რის გამოც პოლიტიკის აღსრულებას დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა ესაჭიროებოდა. აღნიშნულ ეტაპზე საქართველოს კონკურენციის ორგანომ (ეკონომიკის სამინისტრომ) მის წინაშე მდგარ ამოცანებს (ახალი მონოპოლიური წარმონაქმნების დაუშვებლობას და სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღებას) იმ პერიოდში მეტ–ნაკლები წარმატებით გაართვა თავი.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ამ პერიოდში გაწეული საქმიანობა, საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა შეფასებული - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1999 წლის ანგარიშში, რომელიც ეხებოდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კონკურენციის პოლიტიკის მიმდინარეობის საკითხებს[3].

2004 წლის დეკემბრიდან, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკაში ლიბერალური მიდგომების ერთგულების კარგად ნაცნობი მოვლენების შემდგომ დაიწყო განსხვავებულ ხედვაზე დაფუძნებული კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების პროცესი საქართველოში. პირველ ეტაპზე მოხდა ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს რიცხოვნობის რადიკალური შემცირება (01.12.2004 წელი) საქართველოში მოქმედი კონკურენციის ჩარჩო - სამართალში ცვლილებების განუხორციელებლად, რითაც ფაქტიურად უარი ეთქვა 1992 წლიდან რეალიზებულ კონკურენციის პოლიტიკას და დაიწყო ინტენსიური მუშაობა, ახალ, თავის ნებაზე მიშვებული კანონმდებლობის დანერგვა. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ამ პერიოდში ახალი საქმეების შესწავლა არ დაუწყია და ახალ ხედვაზე დაფუძნებული

[3]European Bank for Reconstruction and Development (Annual report 1999); https://www.ebrd.com/publications/annual-report-1999-english.pdf

კონკურენციის ჩარჩო კანონის პროექტზე მუშაობის პარალელურად, მისი აქტიურობა შემოიფარგლებოდა მიმდინარე (ადრე დაწყებული და დაუსრულებელი) სასამართლო დავებში ჩართულობით.

მოგვიანებით, 2005 წლის 19 აგვისტოდან მოხდა როგორც მოქმედი ჩარჩო კონკურენციის კანონის, ისე საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის როგორც დამოუკიდებელი ორგანოს ლიკვიდაცია.

ევროკავშირის მხარდაჭერით, 2014 წლის დასაწყისში განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმის შედეგად, საელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გამოეყო კონკურენციის სააგენტო და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ერთეულად, მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილების დამტკიცებული დებულების შესაბამისად[4].

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობის შედეგად, კონკურენციის სფეროს ძირითადი ნორმატიული აქტები (საქართველოს მთავრობის 2 დადგენილება და სააგენტოს თავმჯდომარის 5 ნორმატიული აქტი) შემუშავდა და 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან სააგენტოს უფლებამოსილებები სრულად ამოქმედდა. შესაბამისად, ქართული კონკურენციის სამართალი, კონკურენციის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ - ევროკავშირის კანონმდებლობას დაეფუძნა.

უწყების ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება საქართველოში, კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

2020 წლის 4 ნოემბერი, ძალაში შევიდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების ძირითადი ნაწილი, რომელიც სრულად შეესაბამება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას, DCFTA-ის მოთხოვნებს და ასახულია ევროკავშირის კონკურენციის სამართალში არსებული ძირითადი პრინციპები[5].

2020 წელი, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და სააგენტოს სტრუქტურის ქვეშ საქმიანობა დაიწყო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს აპარატმა. რომლის კომისიის წევრები დამოუკიდებელნი არიან კონკურენციის სააგენტოსგან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში[6].

---

[4] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2320439?publication=0
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

[5] თავი 10 კონკურენცია მუხლი 203 პრინციპები
https://dcfta.gov.ge/assets/uploads/agreement/competition/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98.pdf

[6] https://gnca.gov.ge/index.php?m=347

2021 წლის 1 იანვარი, ძალაში შევიდა ანტიდემპინგური კანონმდებლობა და სააგენტოში შესაბამისმა დეპარტამენტმა დაიწყო ფუნქციონირება.

2022 წლის 29 მარტი, საქართველოს პარლამენტმა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი დაამტკიცა[7] ამავე წლის ნოემბერში ამოქმედდა შესაბამისი აღმასრულებელი ფუნქციებით აღჭურვილი დეპარტამენტი, სააგენტოს შიდა სტრუქტურაში.

პრაქტიკული რეალიზაცია. 2014 წლიდან დღემდე, სააგენტოს ოთხ ათეულზე მეტი კონკრეტული საქმე აქვს შესწავლილი, როგორც დომინატური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, შეთანხმებული ქმედების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების გამოვლენის კუთხით, გაიცა 88 რეკომენდაცია კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, დასრულდა 11 ბაზრის მონიტორინგი, გაიცა სამ ათეულამდე თანხმობა ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის შესახებ. შესწავლილი საქმეებიდან აბსოლუტურ უმრავლესობაში გამოვლენილია და აღკვეთილია კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები[8]. სააგენტოს მიერ გამოვლენილი და აღკვეთილი ბაზრის შემზღუდავი ქმედებების შემდგომ, ამ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენციები ნათელია და წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითის სახით.

ზეგავლენის შეფასება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს უკვე მიღებული გადაწყვეტილებებით გამოწვეული შედეგების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება.

2019 წლის ივნისში საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა ანგარიში 2015 წლის 22 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებ[9], რომელიც „ოპტიმალ გრუპ+“-ის განცხადების საფუძველზე განხორციელებულ მოკვლევას უკავშირდებოდა. კერძოდ, სახელმწიფო შემსყიდველი

კონკურენციის აღსრულების ისტორია საქართველოში

[7] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში 2021;
https://admin.competition.ge/uploads/4ded76bf81764b9db0e7a5902301d992.pdf

[8] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის ანგარიში
https://gnca.gov.ge/uploads_script/public_information/tmp/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%202022%20A3%202.pdf

[9] შპს „ოპტიმალ გრუპ+“-ის განცხადების საფუძველზე
დაწყებული მოკვლევის შესაბამისად,
საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის
2015 წლის 22 აპრილის N45 ბრძანებით დამტკიცებული
გადაწყვეტილება
https://gnca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/77394c1672c6409e8c2f85d36536b828.pdf

ორგანიზაციების მიერ საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში იმპერატიულად სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის წარდგენის მოთხოვნას. აღნიშნული დათქმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობას. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა - სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-10 მუხლთან მიმართებაში სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ქმედებების შეფასება წარმოადგენს სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. აღნიშნული ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაში. სახელმწიფო შესყიდვების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციები გვევლინებიან ბაზრის მონაწილეებად, რაც ბუნებრივია მათ შესაძლებლობას აძლევს, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნის სხვადასხვა შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა და განვითარებაზე. ერთ-ერთ ასეთ ბაზარს კი წარმოადგენს საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებში საექსპერტო მომსახურება. მოკვლევის შემდგომ, ზეგავლენის შეფასებისას დადასტურდა, რომ სააგენტოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ბაზრის სტრუქტურა პრაქტიკულად შეცვალა და კონკურენტული გარემო გააუმჯობესა. გადაწყვეტილების შეფასებისას სააგენტომ იხელმძღვანელა ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა სუბიექტების რაოდენობის ცვლილების დინამიკა, შესაბამის ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობისა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიდგომების ცვლილება. დადგინდა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე შესაბამის ბაზარზე ოპერირებდა მხოლოდ ერთი აკრედიტირებული სუბიექტი, 2018 წლის მდგომარეობით კი აღნიშნულ სუბიექტთა რაოდენობამ 37 ეკონომიკურ აგენტს მიაღწია. შესაბამის ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა შრომასა და შრომით ძალებზე, რაც თავის მხრივ, აისახა ამ ბაზარზე დასაქმებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის მკვეთრ ზრდაზე. თუ 2014 წელს აღნიშნულ სფეროში დასაქმებული იყო 255 პირი, 2018 წლისთვის დასაქმებულ პირთა რაოდენობამ 865-მდე გაიზარდა.აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სააგენტოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებამ დადებითი იმპულსები შესძინა საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას შესაბამისობის შეფასების მომსახურების ბაზარს - მოხდა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობის არსებითი მატება, რამაც პრაქტიკულად შეცვალა ბაზრის სტრუქტურა და გაუმჯობესდა კონკურენტული გარემო.**დასკვნა.** ცხადია საქართველომ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების პროცესში გარკვეული ეტაპები განვლო, მათ შორის იყო

პერიოდი, როდესაც სრულიად ამოვარდნილი იყო კონკურენციის ზოგადი პრინციპებიდან ქვეყანაში რეალიზებული პოლიტიკა. დღეისათვის, როგორც ვხედავთ, სახეზეა ევროკავშირთან თითქმის სრულად ჰარმონიზებული კონკურენციის სამართალი (გარდა სახელმწიფო დახმარების ნაწილში) და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებას. კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება და იმპლემენტაცია არის დინამიური პროცესი, რომელიც პერიოდულად საჭიროებს ცვლილებებს, ქვეყანაში არსებული ვითარების, ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების ეტაპების, ქვეყანაში არსებული გამოწვევების და სხვა შიდა ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესი არ არის ერთჯერადი და, ის მუდმივად ზედამხედველობას საჭიროებს, ცხადია, მნიშვნელოვანია კონკურენციის დაცვის კუთხით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესის მკაცრი მონიტორინგი და მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამის ბაზარზე ზეგავლენის ეფექტების შეფასება, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს და გააჯანსაღოს კონკურენციის დონე ქვეყანაში, შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად აუცილებელია პროცესის მუდმივი მონიტორინგი და საკითხზე სიღრმისეული, მეცნიერული კვლევების წარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები (17-18 ნოემბერი 2017 წელი)
2. https://gnca.gov.ge/uploads_script/publications/tmp/81b623d91dd94bd2955643d88ccae8a7.pdf
3. ფეტელავა სლავა. ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები. ჟურნალი - ეკონომისტი. გუგუშვილის ეკონ. ინსტიტუტი. ოქტომბერ-ნოემბერი #5. თბილისი 2014 წ.
4. კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. ჟურნალი - SEU and Scince. #1. თბილისი 2014 წ.
5. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში (2022 წელი)
6. https://gnca.gov.ge/uploads_script/public_information/tmp/2021.pdf
7. კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (2019 წ.) ქ. ზუკაკიშვილი; ქ. ლაფაჩი; ლ. ჯაფარიძე; ი. სოვიენე.

კომერციული ბანკები საქართველოში

Commercial banks in Georgia

დავით დავითაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მაგისტრანტი
davitadze.d09@gtu.ge
Davit Davitadze - GTU, The Faculty of Business Technologies
გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
tsaavagiorgi11@gtu.ge
Giorgi Tsaava - GTU, Professor
Department of Finance and Banking Technologies,

აბსტრაქტი. ნაშრომში აღწერილია თემის აქტუალურობა, დასახულია მიზანი და ამოცანები, მითითებულია თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, დაზუსტებულია კომერციული ბანკების საქმიანობა საქართველოში, ჩამოყალიბებულია დოკუმენტების ის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია ლიცენზიის მოსაპოვებლად, რომელსაც გასცემს ეროვნული ბანკი. აღნიშნულია, რომ კომერციული ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა ფორმირება და ფუნქციონირება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომერციული ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონდმებლობისა და კომერციული ბანკის წესდების შესაბამისად. იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს კომერციული ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობას და თავის მხრივ ნიშნავს ბანკის დირექტორატს, რომელსაც ევალება ბანკის მართვა. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს - საბანკო სექტორის რეგულირების შესახებ ქართული და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევები, სხვადასხვა მკლევართა ანალიტიკური ნაშრომები, საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი; ეროვნული ბანკი; ლიცენზია.

The abstract. The paper describes the relevance of the topic, sets the goal and objectives, specifies the theoretical and methodological bases, specifies the activities of commercial banks in Georgia, and establishes the list of documents necessary to obtain a license issued by the National Bank. It is noted that the formation and functioning of the governing bodies of the commercial bank is carried out in accordance with the Law of Georgia "On Entrepreneurs". The highest governing body of the commercial bank is the general meeting of shareholders, which acts in accordance with the legislation of Georgia and the charter of the commercial bank. He elects the Supervisory Board. The Supervisory Board of the Commercial Bank ensures the supervision of the activities of the Commercial Bank and in turn appoints the Directorate of the Bank, which is responsible for the management of the Bank. The theoretical and methodological basis of the work is - the researches of Georgian and foreign scientists on the regulation of the banking sector, the analytical works of various authors, the information-statistical and analytical materials of the National Bank of Georgia.

KeyWords: Commercial Bank; The National Bank; License.

კომერციული ბანკების საქმიანობა საქართველოში რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, კანონით „მეწარმეთა შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

კომერციული ბანკები წარმოადგენენ საქართველოს საფინანსო სექტორის დომინანტს და მის მთავარ შემადგენელს. საქართველოში კომერციული ბანკები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. საბანკო საქმიანობის დასაწყებად აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია, რომლის მისაღებად საბანკო

საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მიერ უფლებამოსილი პირი ეროვნულ ბანკში წარადგენს წერილობით მიმართვას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

1. სადამფუძნებლო დოკუმენტები;

2. კომერციული ბანკის ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს 50 მლნ ლარზე ნაკლები;

3. ინფორმაცია ადმინისტრატორების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

4. დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;

5. ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის შესახებ;

6. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია;

7. ბიზნესგეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ბიზნესსტრატეგიას, ინფორმაციას ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის კომერციული ბანკის ბიზნესსტრატეგიაზე პოტენციური გავლენის შესახებ, მიზნობრივი ბაზრის აღწერას და საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასებას.

8. დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც მომავალში განთავსდება კომერციული ბანკი.

საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ შუამდგომლობის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში ეროვნული ბანკი ვალდებულია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლიც თაობაზეც წერილობით უნდა აცნობოს განმცხადებელს. საბანკო ლიცენზია არის უვადო და მისი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.

კომერციულ ბანკს ეკრძალება საწესდებო კაპიტალის შევსება არაფულადი ფორმით, ასევე მას არ აქვს უფლება, შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი აქციების გამოსყიდვით. კანონმდებლობით დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები კომერციული ბანკების საკუთრების უფლებისა და აქტივების სტრუქტურაზე. მაგალითად: კომერციულ ბანკს ეკრძალება, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი ოდენობით ფლობდეს წილს იმ იურიდიული პირის კაპიტალში, რომელიც არ არის ფინანსური ინსტიტუტი.

კანონმდებლობის მიხედვით, თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია ჰქონდეს წესდება. წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ დაუყონებლივ, წერილობით ეცნობება ეროვნულ ბანკს.

კომერციული ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა ფორმირება და ფუნქციონირება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომერციული ბანკის მმართველობის

უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონდმებლობისა და კომერციული ბანკის წესდების შესაბამისად. იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს კომერციული ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობას და თავის მხრივ ნიშნავს ბანკის დირექტორატს, რომელსაც ევალება ბანკის მართვა.

ნებისმიერი ქვეყნის კომერციულ ბანკებს, მათ შორის, საქართველოში, ცენტრალური ბანკი განუსაზღვრავს სავალდებულო ეკონომიკურ ლიმიტებსა და ნორმატივებს, რომლებიც ავალდებულებს მათ დაიცვან კაპიტალის, ლიკვიდური აქტივების, ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტების და ა.შ. ზღვრული მოცულობები.

კომერციული ბანკების საქმიანობა წარმოუდგენელია მათი მხრიდან ანგარიშებისა და ჩანაწერების სისტემატურად წარმოების გარეშე. ისინი ასევე ვალდებული არიანი შეადგინონ წლიური საფინანსო ანგარიშგებები, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას. კომერციული ბანკი კანონმდებლობით ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატაროს გარეაუდიტორული შემოწმება. ამასთან, აღნიშნული აუდიტორული კომპანია უნდა იყოს საერთაშორისო დონის და თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია გარეაუდიტორული შემოწმების დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემოწმების სრული ანგარიში, გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული საფინანსო ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი აღმოაჩენს, რომ რომელიმე კონკრეტული ბანკის მენეჯმენტი ვეღარ ახორციელებს მის მართვას, რაც გამოიხატება მისი ფინანსური მაჩვენებლების თუ სავალდებულო ნორმატივების მნიშვნელოვანი გაუარესებით, და ამით საფრთხე ექმნება მეანაბრეთა და აქციონერთა ფულად სახსრებს, იგი ამ ბანკის დროებით ხელმძღვანელად ნიშნავს თავის წარმომადგენელს, ე.წ. „დროებით ადმინისტრატორს“. აღნიშნული მექანიზმი ნიშნავს კომერციული ბანკის არსებული მენეჯმენტის უფლებამოსილების შეჩერებას.

დროებითი ადმინისტრატორის მთავარი მიზანია კომერციული ბანკის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანა, მისი ლიკვიდობის, ფინანსური და სხვადასხვა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება. მას შემდეგ, რაც ამოიწურება დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა და მიიღწევა მისი დანიშვნის საბოლოო მიზანი, იგი უქმდება, რაც ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში, ხოლო კომერციული ბანკი უბრუნდება საქმიანობის ჩვეულ რეჟიმს. დროებითი ადმინისტრაცია ასევე უქმდება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება კომერციული ბანკის გადარჩენა და უქმდება მისი ლიცენზია. კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ბანკი გადადის ლიკვიდაციის რეჟიმზე, რომელსაც ასევე ეროვნული ბანკის

დანიშნული პირი, ე.წ. „ლიკვიდატორი“ ახორციელებს. ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნიდან 3 თვის განმავლობაში შეადგინოს აქტივებისა და პასივების ნუსხა და მისი ასლი გადასცეს ეროვნულ ბანკს გამოსაქვეყნებლად. ლიკვიდატორი უფლებამოსილია საჯარო აუქციონზე გაყიდოს ბანკის აქტივები ან აქტივზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს, რიგითობის მიხედვით.

კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად, ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ეროვნული ბანკი;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;
- ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხა არა უმეტეს 10 000 ლარისა;
- იურიდიულ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხა არა უმეტეს 10 000 ლარისა;
- ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხა არა უმეტეს 100 000 ლარისა;
- კომერციული ბანკის სუბორდინირებული ვალი;
- კომერციული ბანკის სხვა ვალდებულებები კომერციული ბანკის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ.

საქართველოში რეფორმებისა და ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ყველაზე წინ სწორედ კომერციული ბანკები წავიდნენ. საქართველოში ფულად-საკრედიტო სისტემის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების, მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაციის პროცესის, კომერციული ბანკების წარმოშობისა და განვითარების, საბანკო რეფორმის ჩატარების სხვადასხვა ეტაპის შედეგად ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ფინანსურ სისტემაში ჩამოყალიბდა დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

- სახელმწიფომ შეძლო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების თანმიმდევრული ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;
- საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების ზრდაზე;
- შეიქმნა კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების მოქნილი სისტემა;
- შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის ქმედითი სისტემა;
- ქართული ბანკების სახით ქვეყანაში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტები.

დღევანდელი ქართული საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი, ტექნოლოგიურად - ყველაზე განვითარებული, ინტელექტუალური პოტენციალით - ყველაზე მძლავრი ბიზნესსექტორი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი სახის **დასკვნების** გაკეთება:

1. შესწავლილია - საქართველოში კომერციული ბანკი, საბანკო საქმე, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე რისკიანი და სწრაფად ცვალებადი საქმიანობა. საბანკო სფეროს დეტალური მახასიათებლების შესწავლის შედეგად ჩამოყალიბებულია ის, რომ კომერციული ბანკები წარმოადგენენ საქართველოს საფინანსო სექტორის დომინანტს და მის მთავარ შემადგენელს.

2. დაზუსტებულია - კომერციული ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა ფორმირება და ფუნქციონირება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომერციული ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონდმებლობისა და კომერციული ბანკის წესდების შესაბამისად. იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს კომერციული ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობას და თავის მხრივ ნიშნავს ბანკის დირექტორატს, რომელსაც ევალება ბანკის მართვა.

3. რეკომენდირებულია - ცენტრალური ბანკი განუსაზღვრავს სავალდებულო ეკონომიკურ ლიმიტებსა და ნორმატივებს, რომლებიც ავალდებულებს მათ დაიცვან კაპიტალის, ლიკვიდური აქტივების, ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტების და ა.შ. ზღვრული მოცულობები. კომერციული ბანკების საქმიანობა წარმოუდგენელია მათი მხრიდან ანგარიშებისა და ჩანაწერების სისტემატურად წარმოების გარეშე. ისინი ასევე ვალდებული არიანი შეადგინონ წლიური საფინანსო ანგარიშგებები, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ, ხანთაძე გ. საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი: დანი. 2015.

2. ცაავა გ, ბიბილური ა. ციფრული ეკონომიკა ფინანსურ ინდუსტრიაში. თბილისი: დანი. 2023.

3. ცაავა გ, ბურდიაშვილი რ, მოსიაშვილი ვ. რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი. თბილისი: დანი. 2020

4. მოსიაშვილი ვ, ჭელიძე მ. საბანკო საქმე. თბილისი: დანი. 2018.

5. ბურდიაშვილი რ. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. თბილისი: პოლიგრაფისტი. 2013.

საბანკო სექტორის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

The main directions of improvement of the corporate management of the banking sector in Georgia

მერაბ გეჯუა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი
merabigejua@yahoo.com
Merab Gejua - Sokhumi State University
Doctor of Economics. Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში, უახლესი ლიტერატურული წყაროებისა და მდიდარი ფაქტობრივი მასალების შესწავლის საფუძველზე, განხილულია საქართველოს საბანკო სექტორის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები.

გაანალიზებულია სამართლებრივი და ინსტიტუციური გაუმჯობესება და ძირითადად განხილულია ბოლო სამართლებრივი რეფორმები „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონებში, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ კორპორაციული მართვის საკითხზე.

აღწერილია საბანკო სექტორის კორპორაციული მართვის ღიაობისა და ინფორმაციული გამჭვირვალობის მნიშვნელობა. კარგი კორპორაციული მართვის ერთ-ერთი პრინციპია ის, რომ დაინტერესებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის, მისი სტრატეგიული განვითარების პერსპექტივებისა და მიზნების შესახებ და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკის შესახებ.

ინფორმაციის გამჭვირვალობის მახასიათებლები დაჯგუფებულია ინვესტორებისთვის მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით, რეგულარული ანგარიშგების ფორმების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების, ასევე საქართველოს საბანკო სექტორის ინფორმაციის ღიაობის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მართვა, ინფორმაციული გამჭვირვალობა, კორპორაციული მართვის ღიაობა, შიდა კონტროლის სისტემა.

Abstract. In the article, based on the study of the latest literary sources and rich factual materials, the main directions for improving the corporate management of the banking sector of Georgia are discussed.

The legal and institutional improvements are analyzed and mainly the recent legal reforms in the "Entrepreneurship" and "Securities Market" laws, which directly affect the issue of corporate governance, are discussed.

The importance of openness and informational transparency of the corporate management of the banking sector is described. One of the principles of good corporate governance is that stakeholders should have information about the company's activities, its strategic development prospects and goals, and any risks associated with them.

The characteristics of information transparency are grouped according to the degree of importance for investors, taking into account the requirements of the national legislation regulating regular reporting forms, as well as the openness of information in the banking sector of Georgia.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ფოკუსირებულია საქართველოში არსებულ 5 რეიტინგულ ცნობილ კომერციულ ბანკზე, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს 2023 საანგარიშო წელს. აქედან, კვლევის მიზნის შესაბამისად, არჩეულია შემდეგი ბანკები: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, ქართუ ბანკი, ბაზისბანკი.

ამ კვლევის მიზნებისთვის გამოყენებული იყო აღწერილობითი კვლევის დიზაინი. კვლევის დასკვნები ეფუძნება პირველად და მეორეულ მონაცემებს. მონაცემები შეგროვდა არსებული კვლევებისა და ლიტერატუ-რის ანალიზის, ამასთანავე კითხვარების ფორმულირებით, რომელიც გადაეცა რესპონდენტებს. დასკვნები მთლიანად ეყრდნობა წინა კვლევების შედეგებისა და შერჩეული რესპონდენტების მიერ მოწოდებულ მონაცემებსა და

ფაქტებს. კვლევამ შეისწავლა კორპორაციული მმართველობა ქვეყნის კო-მერციულ ბანკებში, რათა დასაქმებულთა პასუხები იყოს რაოდენობრივი და ადვილად გაზომვადი.

კვლევა ეფუძნება სხვადასხვა სტატისტიკურ ტესტებსა და ანალიზებს. ამ მიზნით, რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის გამოყენებული იქნა პროგრამული უზრუნველყოფის სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებისთვის (SPSS) და Microsoft Excel. ეს პროგრამული უზრუნველყოფა ჩვეულებრივ გამოიყენება მკვლევარების მიერ და ადვილად ხელმისაწვდომია ბიზნეს გარემოში. რესპონდენტის პროფილის მიხედვით საშუალო და სტანდარტული გადახრის გამოსათვლელად გამოყე-ნებული იყო აღწერითი სტატისტიკა. კვლევის დიზაინისა და გეგმის საბო-ლოო ნაბიჯი არის შეჯამებული მონაცემებიდან მიღებული შედეგი და საბოლოოდ წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაცია შემდგომი სრულყოფისათვის.

საქართველოს კომერციულ ბანკში კორპორაციული მართვის პრაქტიკის შესასწავლად, ეს კვლევა შეიცავს საქართველოს 5 კომერციული ბანკის ნიმუშს და ასევე კითხვარის მიზნით შერჩეულია ყოველი ბანკის 40 თანამ-შრომელი, ჯამში გამოკვლეულია 200 ადამიანი. ამ კვლევისთვის შერჩეული ნიმუში მოიცავს კერძო საბანკო სექტორს, ძირითადად ის თანამშრომლები იქნა აღებული, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული ცოდნა ამ საკითხთან და-კავშირებით. სათანადო ყურადღება გამახვილდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვლევა მოიცავს ყველა დონის მენეჯმენტის თანამშრომლებს. მასში შედის საბჭოები, დეპარტამენტის უფროსი, ფილიალის მენეჯერი, ოფიცერი, უფროსი და უმცროსი ასისტენტი და ხელმძღვანელი.

საწყის ეტაპზე, თეორიული ბაზის შემუშავების მიზნით, მონაცემთა შეგროვების პროცედურა იყო როგორც პირველადი, ასევე მეორეული. ძირითადად, მონაცემთა მეორეულ წყაროს წარმოადენს ინტერნეტი, წიგნები და ჟურნალები და საკითხთან დაკავშირებული სტატიები. ანალოგიურად, შემდგომ ეტაპზე მონაცემთა შეგროვების პირველადი წყარო გამოიყენებოდა მონაცემთა შეგროვების მიზნით, რათა გაანალიზებულიყო მონაცემები შედეგების დასადგენად. მონაცემთა პირველადი წყარო იყო სტრუქტურირე-ბული კითხვარები, რომლებიც შედგებოდა არჩევანის კითხვებისგან და შეფასების სკალებისგან.

კვლევისას გამოყენებული ძირითადი ინსტრუმენტი არის სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შექმნილია კვლევის დასახული მიზნების შესასრულებლად. შინაარსის ვალიდობის მაქსიმიზების მიზნით, ჩატარდა ლიტერატურის ყოვლისმომცველი მიმოხილვა კორპორაციული მართვის შესახებ. კითხვარის საფუძველზე, მონაცემები შეგროვდა და გაანალიზდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის გამოყენებით, რათა აღეწერა ის, რაც დაფიქსირდა ამ თემის შესაბამისი ლიტერატურის მითითებით შემუშავებულ თეორიულ ჩარჩოსთან დაკავშირებით.

კვლევის მონაცემები შეგროვდა კითხვარის დახმარებით, რომელიც დაფუძნებულია 5 ლიკერტის ქულის შეფასების სკალაზე, რომელიც მერყეობს 1-დან - „სრულიად არ ვეთანხმები“ 5-მდე - „სრულიად ვეთანხმები“.

დაყენდა 30 აზრის განცხადება 6 განსხვავებული ცვლადის გასაზომად, რომელთა შორის 5 დამოუკიდებელი ცვლადია, 1 არის დამოკიდებული ცვლადი. 25 განსხვავებული აზრის განცხადება გამოყენებული იქნა დამოუკიდებელი ცვლადების აღსაწერად, კერძოდ, „გამჭვირვალობა T“, „პასუხისმგებლობა R“, „სამართლიანობა F“, „დისციპლინა D“ და „ანგარიშვალდებულება A“. 5 განსხვავებული აზრის განცხადება აღწერილია დამოკიდებული ცვლადით, რომელიც არის „აღქმული შესრულება PP“. ამრიგად, ამ კვლევაში შესამოწმებელი ჰიპოთეზა იქნება:

ალტერნატიული ჰიპოთეზა 1 (H1): არსებობს გამჭვირვალობის მნიშვნელოვანი კავშირი აღქმულ შესრულებაზე.

ალტერნატიული ჰიპოთეზა 2 (H2): არსებობს ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი კავშირი აღქმულ შესრულებაზე.

ალტერნატიული ჰიპოთეზა 3 (H3): არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი სამართლიანობასა და აღქმულ შესრულებას შორის.

ალტერნატიული ჰიპოთეზა 4 (H4): არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი დისციპლინასა და აღქმულ შესრულებას შორის.

ალტერნატიული ჰიპოთეზა 5 (H5): არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი პასუხისმგებლობასა და აღქმულ შესრულებას შორის.

კვლევის შედეგები. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები კორპორაციული მმართველობის თვალსაზრისით ხელმძღვანელობენ კოდექსით, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას ისეთი ინსტიტუტების გავლენით, როგორიცაა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), დიდი ბრიტანეთის საფონდო ბირჟა და სხვა. კორპორაციული მმართველობის კოდექსი არეგულირებს სამეთვალყურეო საბჭოს და მის კომიტეტებთან დაკავშირებულ საკითხებს, დირექტორთა საბჭოს უფლება-პასუხისმგბლობებს, რისკების მართვის მექანიზმებს და შიდა კონტროლის ფუნქციებს.

საქართველოში კომერციული ბანკების ეთიკის კოდექსი და პროფესიული ქცევის სტანდარტები კორპორაციული მართვის ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოს ნაწილია. ეთიკის კოდექსი ადგენს საბანკო სექტორში ეთიკისა და საბანკო საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას საბანკო

სექტორის მიმართ, ინვესტორების ნდობის ჩათვლით, და განა-პირობებს საბანკო სექტორის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

ამასანავე, კორპორაციული მართვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, რაც ასახულია „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონებში, რომლებშიც ცვლილებები დაემატა 2016 წელს პასუხისმგებელი ბიზნესის უფრო ეფექტიანი კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. იურიდიული სუბიექტების ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით შემოთავაზებულ საკანონმდებლო სიახლეებთან ერთად, აღნიშნული ცვლილებები შეეხო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების საკითხსაც, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებების/დამატებების უმეტესი ნაწილი განხორციელდა საქართველოში კაპიტალის ბაზრების ზრდის უზრუნველსაყოფად.

სამართლებრივ ცვლილებებში შედის რიგი დამატებითი გარანტიები აქციონერთა უფლებების დასაცავად. ეს ცვლილებები აქციონერებს უფრო მეტ დაცვას აძლევს კომპანიის უსამართლო და არაპროპორციული ტაქტიკის მენეჯმენტისგან. სააქციო კორპორაციების მცირე მფლობელთა დიდი რაოდენობა ამ ტიპის საკანონმდებლო რეგულაციას განსაკუთრებით ეფექტიანს გახდის.

ერთ-ერთი სასარგებლო საკანონმდებლო გაუმჯობესება აქციონერთა ინტერესების დასაცავად და ასევე პასუხისმგებელი ფირმის უკეთესი ღიაობის უზრუნველსაყოფად არის 111-ე მუხლი, რომელიც შევიდა საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. ეს ცვლილება ეხება აქციონერებს, რომლებიც ფლობენ ანგარიშგების კომპანიის 5% ან მეტ აქციებს; კანონის შესაბამისად მათ ეძლევათ უფლება მიიღონ ინფორმაცია კომპენსაციისა და შემოსავლის სხვა ფორმების შესახებ, რომელსაც დირექტორები და საბჭოს წევრები იღებენ კომპანიისგან. აღნიშნული საკანონმდებლო დამატება მიზნად ისახავს სამი მიზნის მიღწევას: ბიზნესში უფრო გამჭვირვალე და მაღალი ხარისხის კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას; პასუხისმგებელი ფირმის ინსტიტუციური ფუნდამენტის გაძლიერება; და მცირე აქციონერების ინტერესების დაცვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფირმის აქციონერთა რაოდენობა ასახავს პასუხისმგებელი საწარმოს სპეციფიკას, სხვა მრავალ ცვლადთან ერთად. ასეთ სცენარში დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ მცირე აქციონერებმა ზედამხედველობა გაუწიონ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის მუშაობას, ასევე კომპანიის კორპორაციული ადმინისტრირების ყველაზე დაბალი დონეებზე. მცირე აქციონერების ინტერესები შეიძლება დაზარალდეს, თუ კომპანიის წესდება ადეკვატურად ვერ აკონტროლებს კორპორაციული მართვის ერთ ან მეტ შემთხვევას. კანონის უფრო მკაცრი ხასიათი ანგარიშვალდებული ფირმის შემთხვევაში ამცირებს

კომპანიის მცირე აქციონერების ინტერესების საფრთხის ქვეშ დაყენების შესაძლებლობას. მცირე აქციონერების ინტერესების ეფექტიანი დაცვა ზოგადად კორპორაციული მმართველობის კიდევ ერთი საკითხია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, პასუხისმგებელი ბიზნესის მართვისას, აღნიშნული საკითხი საგრძნობლად უარესდება.

ეს არ უნდა იყოს ერთადერთი ფაქტორი ანგარიშვალდებული ფირმისთვის ღიაობის და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის დამყარებისთვის. სამართლებრივი დაცვა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მოიცავდეს რაიმე სახის აკრძალვას და/ან პასუხისმგებლობის დაკმაყოფილებას, შეიძლება არ მიუთითებდეს მთავრობის ჩარევაზე კომერციულ საქმიანობაში. კანონის გარკვეულწილად მკაცრი კრიტერიუმები მუშაობს სხვადასხვა ინვესტორების ინტერესების დასაცავად, ღია სააქციო საზოგადოების ინსტიტუციური ხასიათის შენარჩუნებით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა და დაემატა 535-ე მუხლის პირველი ნაწილში, რომელიც ეხება ისეთ ანგარიშვალდებულ საწარმოს, რომელიც ფლობს აქციების 50%-ს ან მეტს; ასეთ შვილობილი საწარმოს არ აქვს უფლება შეისყიდოს ფასიანი ქაღალდები სხვა საწარმოსგან. იმ დებულებების გამო, რომლებიც იცავს ღია სააქციო საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის იდენტურობასა და უსაფრთხოებას, ასევე დამფუძნებელი კომპანიის ინვესტორების ინტერესებს და ჰოლდინგური კომპანიების მართვის შედარებით მაღალი სტანდარტის გამო, აღნიშნული კანონიერი აკრძალვა უფრო მეტ გარანტიას იძლევა ანგარიშვალდებული საწარმოს სტაბილური არსებობისთვის.

პასუხისმგებელი საწარმოს ინსტიტუციური ფუნდამენტის ჩამოყალიბების დამატებითი გზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება არის სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც მენეჯმენტში აუცილებელი რგოლის როლის გაძლიერება. კორპორაციული მენეჯმენტის უპირველესი პასუხისმგებლობაა უფლებამოსილების სამართლიანად განაწილება აქციონერთა, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს შორის. აქციონერთა ინტერესების დაცვა და მენეჯმენტის გაუმჯობესებული პრაქტიკის დანერგვა არის საკანონმდებლო მოთხოვნის მიზანი, რომ სამეთვალყურეო საბჭო იყოს წარმოდგენილი პასუხისმგებელი ორგანიზაციის მენეჯმენტის ფარგლებში.

სამეთვალყურეო საბჭო ემსახურება როგორც მეკავშირე აქციონერთა საერთო კრებასა და დირექტორთა საბჭოს შორის. მისი უპირველესი პასუხისმგებლობა უნდა იყოს დირექტორების ქმედებების ზედამხედველობა და პასუხისმგებლობა აქციონერთა საერთო კრების წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტდეს იმ პირებით, რომლებიც შეძლებენ შეასრულონ მხოლოდ საკუთარი მოვალეობები და ერთდროულად არ იყვნენ დირექტორთა საბჭოს წევრები, რათა მაღალი სტანდარტით განახორციელონ აღნიშნული მიზანი.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კორპორაციული მენეჯმენტის საკითხი იყოს დიფერენცირებული აქციონერთა კრების დაწყებამდე ნდობის მაღალი დონით, რაც საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან წევრების არჩევას, რომლებსაც არ აქვთ სხვა პოზიცია ფირმის საბჭოში. კერძოდ, წინა საკანონმდებლო სტრუქტურის მიხედვით, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში შეიძლება იყოს ნებისმიერი წევრი, იქნება ეს „დამოუკიდებელი“ თუ „დამოკიდებული“ წევრი. დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გადამწყვეტი გარანტია საბჭოს მუშაობის მთლიანობისა და მისი მოვალეობების უმაღლესი დონის შესასრულებლად. პოტენციალი, რომ საბჭო მთლიანად შეივსოს კორპორაციისგან დამოუკიდებელი წევრებით, შესაძლებელი და სასურველია, თუმცა პრაქტიკაში თითქმი არ გამოიყენება.

ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ 31 პუნქტი, რომელიც დაემატა საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ შესაბამის ნაწილს, რომელიც ნათლად განსაზღვრავს მენეჯმენტის სხვადასხვა წრეების როლებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც შედის კორპორაციული მენეჯმენტის კომპეტენციაში. კომპანიის დირექტორების კონტროლის ხარისხი და მისი პასუხისმგებლობა აქციონერთა წლიურ კრებაზე აუცილებლად გაიზრდება ძალაუფლების გაზიარების შესადარებელ პირობებში. ამის შედეგად შეიცვალა „თვითკონტროლის“ წამგებიანი პრაქტიკა. ხშირ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრებოდა ფორმალური ტვირთი, რამაც გამოიწვია პასუხისმგებელი საწარმოს მნიშვნელობის დაკარგვა, რადგან არც ერთ საკანონმდებლო მოთხოვნას არ ჰქონდა მსგავსი აკრძალვა შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებამდე. ამ ყველაფერმა გამოიწვია რამდენიმე პრობლემა კომპანიის სტრატეგიულ მენეჯმენტთან დაკავშირებით. ე.წ. კორპორაციული მენეჯმენტი განიხილება იურიდიულ დანამატად. სამდონიანი სტრუქტურის შემუშავება აქციონერთა საერთო კრებით, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორობით წინ მიიწევს ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯით.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში შემოღებული 91-ე მუხლი განიხილება, როგორც პასუხისმგებელი საწარმოს სამართლებრივი მდგომარეობისა და მასში მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურობის ამაღლების დამატებითი ინსტრუმენტი. ამ ნორმის მიხედვით ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა აკონტროლოს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა, ასევე გარე აუდიტორთან ურთიერთობის მართვა. აუდიტის კომიტეტის ძირითადი მიზნებია ფინანსური მონიტორინგის ანგარიშების მიწოდება, ფირმის სხვადასხვა ფინანსური რისკების მენეჯმენტის დარწმუნება, გარე აუდიტის მუშაობის კოორდინაცია, იმის დადგენა, აქვს თუ არა შიდა აუდიტს რაიმე სტრუქტურული კავშირი კომპანიასთან და ამ სამუშაოს კონტროლი და კოორდინაცია. აუდიტის კომიტეტი გადამწყვეტი სუბიექტია, რადგან

ის მუშაობს სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად და ეძღვება კომპანიის გარე აუდიტორების კვალიფიკაციის მიუკერძოებლად შეფასებას.

თითოეული შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილების მიზნები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: აქციონერთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესება; უფრო დახვეწილი კორპორაციული მართვის სტანდარტების შემუშავება ანგარიშვალდებულ საწარმოებში; სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულების დონის ამაღლება აქციონერთა წლიური საერთო კრების წინაშე; და დირექტორატის საქმიანობაზე ზედამხედველობის გაძლიერება. აღნიშნული სიახლეები იძლევა პასუხისმგებელი საწარმოს ინსტიტუციურ გაძლიერებას კორპორაციული მართვის კანონმდებლობის ახალი კომპონენტების მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს კაპიტალის ბაზრის ზრდას.

კარგი კორპორაციული მმართველობის ერთ-ერთი პრინციპია, რომ დაინტერესებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ, მისი სტრატეგიული განვითარების პერსპექტივებისა და მიზნების და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკის შესახებ. გამჭვირვალობა ნიშნავს ღიაობას, კომპანიის მიერ მზაობას, მიაწოდოს მკაფიო ინფორმაცია აქციონერებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. მაგალითად, გამჭვირვალობა ეხება კომპანიის წლიურ ანგარიშებში ფინანსური მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომელიც არის ჭეშმარიტი და ზუსტი, ამასთანავე გამჭვირვალობა მოიცავს არაფინანსურ მაჩვენებლებზე ინორმაციის გამჟღავნებას .

ორგანიზაციის ოპერაციებისა და საქმიანობასთან დაკავშირებული მატერიალური საკითხების გამჟღავნება უნდა იყოს დროული და ზუსტი, რათა ყველა ინვესტორს ჰქონდეს წვდომა მკაფიო, ფაქტობრივ ინფორმაციაზე, რომელიც ზუსტად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მდგომარეობას. ორგანიზაციებმა უნდა განმარტონ და საჯაროდ გახადონ საბჭოსა და მენეჯმენტის როლები და პასუხისმგებლობები, რათა უზრუნველყონ აქციონერებისთვის ანგარიშვალდებულების მაღალი დონე. გამჭვირვალობა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ნდობას კომპანიის გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესებში .

ინფორმაციული გამჭვირვალობის მახასიათებლების დაჯგუფება ხდება ინვესტორებისთვის მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით, რეგულარული ანგარიშგების ფორმების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების, აგრეთვე საქართველოს საბანკო სექტორის ინფორმაციის ღიაობის გათვალისწინებით, რათა აირჩიონ კორპორაციული მენეჯმენტის ინფორმაციული გამჭვირვალობის ამსახველი ანალიტიკური მახასიათებლები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ანალიტიკური მონაცემების

ხელმისაწვდომობა. კორპორაციული მართვის ანგარიშებში ინფორმაციის გამჭვირვალობის დონე ძირითადად შემდეგი სახის მახასიათებლებით არის შეფასებული:

1. რეპორტები და საზოგადოებასთან ურთიერთობა: ძირითადად ეხება კომპანიის მიერ სხვადასხვა პროცესებისა და მის საქმინობაზე რეგულარულ რეპორტებს სხვადასხვა სახის მედიის გამოყენებით. ეს შეიძლება ასევე უკავშირდებოდეს ანგარიშგების გამჟღავნებას საზოგადოებისთვის სხვადასხვა სახის მონაცემების გამოქვეყნებით.

2. სავალდებულო მახასიათებლები: ეს კატეგორიაში მოიცავს ისეთ ინფორმაცია, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს კანონის შესაბამისად და ძირითადად აისახება კომპანიის წლიურ ანგარიშებში. ეს ძირითადად დაკავშირებულია შემდეგი სახის ინფორმაციასთან: წესდების უახლესი ვერსიის გამოქვეყნება; ინფორმაციის მიწოდება დინტერესებულ მხარეების შესახებ; ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რომელსაც შესაძლოა დიდი გავლნა ჰქონდეს კომპანიის ფასიანი ქაღალდების/აქციების ღირებულებაზე; კომპანიის საქმიანობის წლიური ანგარიშები; და სხვა ინფორმაცია რომელიც უკავშირდება კომპანიის საქმიანობას.

ბანკის მართვა ადეკვატურად გამჭვირვალე უნდა იყოს მისი აქციონერების, მეანაბრეების, სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისა და ბაზრის მონაწილეებისთვის. გამჭვირვალობა შეესაბამება ჯანსაღ და ეფექტიან კორპორაციულ მმართველობას. კორპორაციული მართვის სფეროში გამჭვირვალობის მიზანია ამ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მათ საშუალებას მისცემს შეაფასონ ბანკის მართვის საბჭო და უმაღლესი მენეჯმენტის ეფექტიანობა. ბაზელის კომიტეტის პრაქტიკის მიხევით, ბანკებმა ყოველწლიურად უნდა გაამჟღავნონ შემდეგი ინფორმაცია: დაქირავების მიდგომა საბჭოს წევრების შერჩევისა და უნარ-ჩვევების, გამოცდილების და შეხედულებების შესაბამისი მრავალფეროვ-ნების უზრუნველსაყოფად; და შექმნა თუ არა ბანკმა საბჭოს კომიტეტები და რამდენჯერ შეიკრიბა ძირითადი მუდმივი კომიტეტები.

კვლევის შედეგები ადასტურებს კორპორაციული მმართველობის ურთიერთკავშირს მის ცვლადებთან. დამოკიდებული ცვლადების და დამოუკიდებელი ცვლადების აღწერითი სტატისტიკიდან მიღებული შედეგები შეჯამებულია შემდეგნაირად.

გამჭვირვალობის საერთო საშუალო საშუალო მნიშვნელობა არის 3.96, რაც აჩვენებს, რომ რესპონდენტები თანხმდებიან, რომ გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი ფაქტორია აღქმული შესრულებისთვის. t-ტესტის მიხედვით, გამჭვირვალობის ყველა ცვლადს აქვს p-მნიშვნელობა 0.05-ზე ნაკლები, რაც აჩვენებს, რომ ყველა ამ ცვლადის საშუალო მნიშვნელობა მნიშვნელოვნად აღემატება 3-ს.

ანგარიშვალდებულების საერთო საშუალო არის 3.453, რაც აჩვენებს, რომ რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ანგარიშვალდებულება არის კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი

ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს აღქმულ შესრულებაზე. t-ტესტის მიხედვით, ანგარიშვალდებულების ყველა ცვლადს აქვს p-მნიშვნელობა 0.05-ზე ნაკლები, რაც აჩვენებს, რომ ყველა ამ ცვლადის საშუალო მნიშვნელობა მნიშვნელოვნად აღემატება 3-ს, გარდა ერთი ცვლადისა (საბჭოში არსებობს ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქე).

სამართლიანობის საერთო საშუალო არის 3.4567, რაც აჩვენებს, რომ საბანკო სექტორის ორგანიზაციების თანამშრომელი აფასებს სამართლიანობას, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს და ის გავლენას ახდენს აღქმულ შესრულებაზე. t-ტესტის მიხედვით, სამართლიანობის ყველა ცვლადს აქვს p-მნიშვნელობა 0.05-ზე ნაკლები, p-მნიშვნლობა=0.206, გარდა ერთი ცვლადის (არ ყოფილა შეკითხვები ან კამათი იმის თაობაზე, ბანკს აქვს გაცემული თუ არა გამჭვირვალობის ანგარიში), რაც აჩვენებს, რომ ყველა ამ ცვლადის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება 3-ს, გარდა აღნიშნული ცვლადისა.

დისციპლინის საერთო საშუალო არის 3.385, რაც აჩვენებს, რომ საბანკო სექტორის თანამშრომელი მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას და ეს გავლენას ახდენს საქართველოს კომერციული ბანკების აღქმულ შესრულებაზე. t-ტესტის გაკეთებისას სამართლიანობის ყველა ცვლადს აქვს p-მნიშვნელობა 0.05-ზე ნაკლები ერთი ცვლადის გარდა, ანუ p-მნიშვნელობა=0.340, რაც აჩვენებს, რომ ყველა ამ ცვლადის საშუალო მნიშვნელობა ერთი ცვლადის გარდა 3-ზე მნიშვნელოვნად აღემატება.

პასუხისმგებლობის საერთო საშუალო არის 3.345, რაც აჩვენებს, რომ საბანკო სექტორის ორგანიზაციების თანამშრომელი გრძნობს, რომ პასუხისმგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია კომერციულ ბანკში და ეს გავლენას ახდენს აღქმულ შესრულებაზე. t-ტესტის გაკეთებისას პასუხისმგებლობის ყველა ცვლადს აქვს p-მნიშვნელობა 0.05-ზე ნაკლები, რაც აჩვენებს, რომ ყველა ამ ცვლადის საშუალო მნიშვნელობა მნიშვნელოვნად აღემატება 3-ს.

აღქმული შესრულების საერთო საშუალო არის 4.137, რაც აჩვენებს, რომ საქართველოს კომერციულ საბანკო სექტორში აღქმული შესრულების დონე კარგია. t-ტესტის გაკეთებისას, აღქმული შესრულების ყველა ცვლადს აქვს p-მნიშვნელობა 0,05-ზე ნაკლები, რაც აჩვენებს, რომ ყველა ამ ცვლადის საშუალო მნიშვნელობა მნიშვნელოვნად აღემატება 3-ს.

ჩვენ ვხედავთ, რომ თანამშრომელი გრძნობს, რომ კომერციული ბანკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გამჭვირვალობას. და ბანკის წლიური ანგარიში მოიცავს განყოფილებას, რომელიც ეძღვნება ბანკის საქმიანობას კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისას. შესაბამისად, ბანკის საერთო დისციპლინა დამაკმაყოფილებელია.

ჰიპოთეზის მნიშვნელობა ცვლადებს შორის ასევე გაანალიზებულია ნიმუშიდან მიღებული მნიშვნელობიდან. მიღებულია ხუთივე ალტერნატიული ჰიპოთეზა: არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი ბანკის კორპორაციული მმართველობის აღქმულ შესრულებასა და

გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, სამართლიანობის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ცვლადებთან.

ამრიგად, კორელაციური შედეგები გამოყენებული იქნა ხუთი კვლევის ჰიპოთეზაზე პასუხის გასაცემად. გაკეთდა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი ხუთივე დამოუკიდებელ ცვლადსა და დამოკიდებული ცვლადის აღქმულ შესრულებას შორის, რაც გულისხმობს, რომ ყველა ცვლადი დადებითად არის დაკავშირებული 5%-იან მნიშვნელოვან დონეზე.

ლიტერატურის სია

1. ჟღენტი, კ., კორპორაციული მართვის ღიაობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა საქართველოში: გამოწვევები და სრულყოფის გზები., თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2016.

2. საქართველოს პარლამენტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1998. [Online]. Available: https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

3. საქართველოს პარლამენტი, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი., აქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1994. [Online]. Available: https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბერი, ბრძანება N215/4 ,,კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დანტკიცების თაობაზე“: [Online]. Available: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4333402?publication=0 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

5. საქართველოს ბანკის მმართველობითი დოკუმენტები. [Online]. Available: https://bankofgeorgia.ge/ka/about/management უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

6. თიბისი ბანკის კორპორაციული მართვა. [Online]. Available: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/csr-reports უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

7. ლიბერთი ბანკის მმართველობა. [Online]. Available: https://www.libertybank.ge/ka/chven-shesakheb/kompaniis-shesakheb/mmartveloba უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

8. ბაზისბანკის მენეჯმენტი. [Online]. Available: https://bb.ge/ge/about-holding/management უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

9. ბანკი ქართუს მმართველობა. [Online]. Available: https://www.cartubank.ge/ge/archive/ უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 31.04.2024.

ლიკვიდობის რისკ-მენეჯმენტი კომერციულ ბანკში, ლიკვიდობის მარეგულირებელი ბერკეტები და მართვის სტრატეგიები

Liquidity risk management in a commercial bank, liquidity regulatory levers and management strategies

გიორგი ჯამბრიშვილი - შპს ,,იუაი".
აუდიტორული მომსახურების განყოფილების უმცროსი სპეციალისტი
ფინანსების ბაკალავრი
giorgijambrishvili@gmail.com
Giorgi Jambrishvili - "EY" LLC.
Junior specialist of the audit service department

აბსტრაქტი. როგორც მოგეხსენებათ, სტაბილური ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების გადამწყვეტი ფაქტორი ფინანსური სტაბილურობაა. ძლიერი საბანკო სისტემა კი ფინანსური სტაბილურობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. თანამედროვე პირობებში საბანკო სექტორში საბაზრო მექნიზმების პრინციპების ღრმა ცოდნა და მათი გონივრული გამოყენება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული საბანკო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორად იქცა, ამ ყოველივემ კი ბანკების საქმიანობაში ლიკვიდობის მნიშვნელობას მთავარი ფოკუსი შესძინა.

ლიკვიდობა კომერციული ბანკებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, ვინაიდან იგი მის საიმედოობასა და სტაბილურობას ადასტურებს. ბანკის ლიკვიდობა - კრედიტორებისა და მეანაბრეების წინაშე არებული ვალდებულებების დროულ და სრულფასოვან შესრულებას გულისხმობს (მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე).

აღნიშნულიდან აგმომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კომერციული ბანკისთვის ლიკვიდობა მისი ფინანსური მდგრადობის აუცილებელი პირობაა. ნაშრომში გამოკვლეულია ლიკვიდობის გაუმჯობესებისა და რეგულირბის გზები , მისი უკეთ მართვის მეთოდები და კონკრეტული გზები, რომელიც საბანკო კრიზისის დროს ბანკს ოპტიმალურობისა და მდგრადობის შენარჩუნებაში დაეხმარება.

ნაშრომის მიზანია საბაკო ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული საკითების სრულყოფა და იმ მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ საბანკო ლივიდობაზე.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი. ლიკვიდობა, აქტივი, პასივი, ნაღდი ფული.

Abstract. As you know, the decisive factor for maintaining stable economic growth is financial stability. A strong banking system is the main determinant of financial stability. In modern conditions in the banking sector, deep knowledge of the principles of market mechanisms and their reasonable use occupy an important place. Since the last decades, the banking sector has become one of the fastest growing sectors of the economy, and all this has given the importance of liquidity in the activity of banks a major focus.

Liquidity is one of the most important characteristics for commercial banks, as it proves its reliability and stability. Bank's liquidity - refers to the timely and full performance of obligations to creditors and depositors (without significant losses).

From the above, it can be said that liquidity for a commercial bank is a necessary condition for its financial stability. The paper examines the ways of improving and regulating liquidity, its better management methods and specific ways that will help the bank to maintain optimality and stability during the banking crisis.

The aim of the paper is to improve the issues related to bank liquidity management and to review the important aspects that affect bank liquidity.

Keywords: commercial bank. Liquidity, asset, liability, cash.

1. მოკლევადიანი ლიკვიდობის პროგნოზირების მეთოდი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიკვიდობის პროგნოზირების ძირითადი მიზანი საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის შეფასებაა. ის მიზნად ისახავს აღმოფხვრას ლიკვიდობის დროებითი დისბალანსი საბანკო სისტემისთვის ლიკვიდობის მიწოდების ან ჭარბი ლიკვიდობის შემცირების საშუალებით. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად ეროვნული ბანკი იყენებს ერთკვირიანი რეფინანსირების ოპერაციებს. გადაწყვეტილებები რეფინანსირების მოცულობების შესახებ ლიკვიდობის პროგნოზის საფუძველზე მიიღება.

ბანკთაშორის მოკლევადიან ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის მისაღწევად ლიკვიდობაზე მოთხოვნის პროგნოზირებაა აუცილებელი. ამის შემდგომ, ეროვნული ბანკი რეფინანსირების ოპერაციების მეშვეობით ბაზარს ლიკვიდობას იმ მოცულობით მიაწვდის, რაც ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთისა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის, ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაში თუ ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთი აღემატება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ეროვნული ბანკი გაზრდის რეფინანსირების სესხებით ლიკვიდობის მიწოდებას ბაზარზე სანამ საპროცენტო განაკვეთი არ დაუახლოვდება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს და პირიქით, თუ საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია პოლიტიკის განაკვეთზე, ეროვნული ბანკი შეამცირებს რეფინანსირების სესხებით ლიკვიდობის მიწოდებას. ლიკვიდობის პროგნოზირებისას სებ-ის ბალანსის ძირითადი კომპონენტები განიხილება რომელთა ცვლილება ზეგავლენას ახდენს საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე. ამისათვის, ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფი აფასებს როგორც ბანკების მხრიდან ლიკვიდობის მოთხოვნაზე, ასევე ლიკვიდობის მიწოდების ავტონომიურ წყაროებზე. მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წარმოქმნილი დისბალანსის გამოვლენის შემდეგ სებ-ი მიმართავს, ჭარბი ლიკვიდობის ამოღების ან ლიკვიდობის მიწოდების ღონისძიებებს.

ლიკვიდობის მიწოდებაზე მოქმედი ავტონომიური ცვლადები მიიღება სებ–ის ბალანსიდან და წარმოდგენს:

- წმინდა უცხოური აქტივები
- მთავრობის წმინდა პოზიცია სებ–ის მიმართ
- ნაღდი ფული მიმოქცევაში
- სხვა წმინდა აქტივები

აგრეთვე მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ მიწოდებული რეზერვები, რომლებიც განისაზღვრება ღია ბაზრის ოპერაციების და სებ-ის მიერ გაცემული სესხების მოცულობით.[10]

2. კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა

კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის წინაშე მუდმივად დგას საკითხი, თუ რომელ ფინანსურ ინსტრუმენტებში, რა მოცულობით და ვადით განათავსოს თავის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები. აღნიშული ისე უნდა განხორცულდეს , უზრუნველყოფილ იქნეს შემოსავლიანობის სათანადო დონე და ბანკი არ აღმოჩნდეს ლიკვიდური სახსრების უკმარისობის წინაშე.

ნებისმიერმა ბანკმა ჯერ უნდა შეიმუშაოს, შემდეგ კი პრაქტიკაში გამოიყენოს ლიკვიდობის ოპტიმალური დონის შენარჩუნების ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ბანკის კლიენტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს ფულად სახსრებზე და იმავე დროს, ბანკის აქტივების სათანადო რენტაბელობას. იმ ღონისძიებების და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნებისკენაა მიმართული, შეიძლება ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგია ვუწოდოთ. ლიკვიდობის მართვა სხვადასხვა ბანკში განსხვავებულია და მათ სპეციალიზაციაზე, კლიენტურაზე, ჩატარებულ ოპერაციებსა და სვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ბანკის მუშაობის პროცესში ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგია მუდმივად უნდა იცვლებოდეს და უმჯობესდებოდეს, იმისთვის ,რომ ადეკვატურად მოხდეს რეაგირება კონიუნქტურულ ცვლილებებზე.

გეპის მართვა და რისკ მენეჯმენტი :

[10] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=540

აქტივებისა და პასივების მართვის (საპროცენტო განაკვეთების რისკის ჰეჯირების) ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია გეპის მართვა, რომელიც აქტივებისა და პასივების დაფარვის ვადებს შორის არსებული განსხვავების გამო წარმოქმნილი რისკის ცვლილებას ეყრდნობა. გეპის მოდელებს მოკლევადიან პერსპექტივაში წმინდა საპროცენტო შემოსავლის სტაბილიზების ან გადიდების მიზნით აგებენ. ბანკის მოგების დასაცავად საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ნეგატიური გავლენისგან განსაკუთრებულ ყურადღებას პორთფელის იმ შემადგენელ ელემენტებს უთმობენ , რომლებიც ყველაზე უფრო მგრძნობიარეა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო გაჩენილი რისკის დონის მიხედვით ბალანსის მუხლები სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

- **საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისადმი მგრძნობიარე მუხლები;**
- **საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისადმი არამგრძნობიარე მუხლები;**
- **ფიქსირებულ განაკვეთიანი მუხლები.**[11]

ყველაზე უფრო მგრძნობიარე აქტივებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ეკუთვნის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, სესხები, რომლებიც მოკლე დროში უნდა დაიფაროს ან განახლდეს. თუ საპროცენტო განაკვეთმა სესხების პირველად გაცემამდე აიწია, მაშინ ბანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებს მათ, თუ სესხების მოსალოდნელი შემოსავლიანობა თითქმის შესაბამისი იქნება სხვა შესადარისი ფინანსური ინსტრუმენტების მიმდინარე მოსალოდნელი შემოსავლიანობის. შესაბამისად, ის სესხები, რომელთა მოქმედების ვადა იწურება, ბანკს მისცემს სახსრებს, რომლებიც მიმდინარე პროცენტით ახალ კრედიტებში იქნება რეინვესტირებული.

გეპის სიდიდეს ანგარიშობენ საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობიარე აქტივებსა **(RSA – Risk Sensitive Assets)** და საპროცენტო განაკვეთების მიმართ მგრძნობიარე პასივებს (RSL – Risk Sensitive Liabilities) შორის სახვაობით დროის თითოეული მონაკვეთისათვის.

გეპი = RSA – RSL

ბანკის მოგებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასეთი სახით:

$$\Delta_{wsS} = gepi \; X \; \Delta_i$$

ΔwsS წმინდა საპროცენტო შემოსავლის მოსალოდნელი შეცვლაა;

გეპი – საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე აქტივებისა და საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობიარე პასივების სხვაობა;

Δi - მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების დონის მოსალოდნელი ცვლილება.

მეტი თვალსაჩინოებისთვის გეპის მართვა შეგვიძლია განვიხილოთ საილუსტრაციო მაგალითის საფუძველზე :

კომერციული ბანკი I	
აქტივები, ლარი	პასივები, ლარი

[11] Тавасиев А.М., Основы банковского дела, Москва.2006.с 257

ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივები		ცვალებადი პროცენტის მქონე ვალდებულებები	
მოკლევადიანი სესხები	10 მლნ	სადეპოზიტო სერთიფიკატები ცვალებადი პროცენტით	50 მლნ
მოკლევადიანი ობლიგაციები	10 მლნ		
ფიქსირებული პროცენტის მქონე აქტივები		ფიქსირებული პროცენტის მქონე ვალდებულებები	
რეზერვები	60 მლნ	მოთხოვნამდე დეპოზიტები	60 მლნ
გრძელვადიანი სესხები	60 მლნ	შემნახველი დეპოზიტები	20 მლნ
გრძელვადიანი ობლიგაციები და აქციები	60 მლნ	გრძელვადიანი სადეპოზიტო სერთიფიკატები	20 მლნ
		სააქციო კაპიტალი	50 მლნ

მთლიანი აქტივები: 200 მლნ. ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივები : 20 მლნ. ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივების წილი მთლიან აქტივებში : 20 /200= 0.1 ანუ 10 %

გეპი : ცვალებადი პროცენტის მქონე აქტივები - ცვალებადი პროცენტის მქონე ვალდებულებები 20 – 50 = - 30 მლნ

კომერციული ბანკის ცვლილება შემოსავალში საპროცენტო განაკვეთის 2 % ული პუნქტით ზრდის დროს $\Delta I = GAP \times \Delta i$ -30 მლნ * 2/100 = - 600 000

კომერციული ბანკის ცვლილება შემოსავალში საპროცენტო განაკვეთის 4 % ული პუნქტით ზრდის დროს - 30 * 4/100 = - 1200 000

აღნიშნული მაგალითის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან ბანკის გეპი არის უარყოფითი იგი პასივების მიმართ მგრძნობიარეს წარმოადგენს. შესაბამისად საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის შემთხვევაში ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2 % ული პუნქტის შემთხვევაში 600 000 და 4 % ული პუნქტის შემტხვევაში 1200 000 ით შემცირდება.

3. ლიკვიდობის რეგულირება და საბანკო რეიტინგი

დღესდღეობით ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების რამოდენიმე მეთოდიკა არსებობს, რომელიც გარე მომხმარებელს ბანკში არსებული ფინანსური სიტუაციის შესახებ წარმოდგენისშექმნის საშუალებას აძლევს. ამ მეთოდიკების ერთ-ერთ სახეს **საბანკო რეიტინგი** წარმოადგენს. ფინანსური ანალიზის მეთოდიკას, როგორც წესი საინფორმაციო სამსახურები ან სულაც სპეციალური სარეინტინგო სააგენტოები ანხორციელებენ. მისი ძირითადი დამახასიათებელ ნიშანი ბანკის ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური შეფასებაა, ამის შემდგომ ბანკს ეძლევა საშუალება შეფასდეს საერთო სარეინტინგო სისტემაში.[12]

ფინანსური ანალიზის მეთოდიკა, რომელსაც ქვეყნების ცენტრალური ბანკები, იყენებენ მიზნად ისახავს გამოავლინოს ფინანსურად მდგრადი ბანკები, რათა მათ მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს ფინანსური ანალიზისა, რომელსაც იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკი ***CAMEL-ob*** სისტემის ანალიზის მეთოდი წარმოადგენს. ეს მეთოდი წარმოიშვა აშშ-ში 1978 წელს. აბრევიატურა *C*AMEL იშიფრება შემდეგნაირად: **C-**

[12] ук Ж. Финансовые системы Франций и других стран. В 2-х тт. Пер.с фр. Т1 в 2 кн. М.:АО Финстатинформ, 2000. с130

capital adequacy ანუ კაპიტალის საკმარისობა. სისტემა განსაზღვრავს ბანკის კაპიტალის რა წილი შეიძლება იქნეს გამოყენებული ბანკის კრედიტორთა დასაცავად.

A- asset quality ანუ აქტივების ხარისხი. განსაზღვრავს აქტივების დაბრუნებადობის დონის პრობლემური სესხების გამოვლენის გზით.

M-management- ბანკის მენეჯმენტის დონე, რომელიც ფასდება მუშაობის შედეგების მიხედვით.

E – earnings,- მომგებიანობა და ბანკის ეფექტიანობა, საკმარისია თუ არა არსებული მოგება ბანკის მიმავალი საქმიანობის გაგრძელებისათვის.

L- liquidity - ლიკვიდურობა. საკმარისად ლიკვიდურია თუ არა ბანკი ნაკისრი ვალდებულებების გასასტუმრებლად. პირველ ეტაპზე საბანკო კონტროლიორების მიერ გაკეთებული ანალიზისას ყურადღება ბანკის კაპიტალზე კონცენტრირდება , როგორც ბანკის საიმედობის ფუნდამენტალურ მაჩვენებლებზე. ბანკს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი კაპიტალი შეუძლია აიტანოს სერიოზული ზარალი და შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა.

ვალუტის გაუფასურებით საქართველო უფრო იაფი და კონკურენტული ქვეყანა ხდება დანარჩენი მსოფლიოსათვის, მცირდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და სამომავლოდ ეკონომიკას გაზრდილ ინვესტიციებსა და სამუშაო ადგილებს სთავაზობს. თუმცა, ძლიერ და დროში გაწელილ გაუფასურებას მკაცრი ფინანსური კრიზისის გამოწვევა შეუძლია.

4. ლიკვიდობის მარეგულირებელი ბერკეტები და მართვის სტრატეგიები

ბაზელი III საერთაშორისო მარეგულირებელი შეთანხმებაა ,რომელმაც რეფორმების ნაკრები შემოიღო რათა შეემცირებინა რისკები საერთაშორისო საბანკო სექტორში. ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაკრები, რომელიც გულისხმობს შეინარჩუნონ გარკვეული ბერკეტების კოეფიციენტები და სარეზერვო კაპიტალის გარკვეული დონე ხელთ.

ბაზელ III- მ ასევე შემოიღო ახალი ბერკეტები და ლიკვიდობის მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავს გადაჭარბებული და სარისკო დაკრედიტებისგან დაცვას. ხოლო ფინანსური სტრესის პერიოდში ბანკების საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. ბაზელ III წამოადგენს საბანკო ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რამდენიმე წესს. პირველი, რომელიც ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტს ეხება მოითხოვს, რომ ბანკებს ჰქონდეთ „მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (HQLA) საკმარისი რეზერვი, რათა მათ შეეძლონ მნიშვნელოვანი ლიკვიდობის სტრესის პერიოდში გადარჩენა. HQLA ეხება იმ აქტივებს, რომლებიც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ნაღდ ფულად, ღირებულების მნიშვნელოვანი დაკარგვის გარეშე. ლიკვიდობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი დებულება არის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSF), რომელიც ბანკის „ხელმისაწვდომ სტაბილურ დაფინანსებას“ (ძირითადად კაპიტალი და ვალდებულებები ერთ წელზე მეტი დროის ჰორიზონტით) სტაბილური დაფინანსების ოდენობასთან ადარებს. რომელიც მას სჭირდება. ბანკის NSF კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 100%. ამ წესის მიზანია „ბანკებისთვის შექმნას სტიმული თავიანთი საქმიანობა დააფინანსონ უფრო სტაბილური წყაროებით მუდმივ საფუძველზე“ და არა თავიანთი ბალანსების „შედარებით იაფი და უხვი მოკლევადიანი საბითუმო დაფინანსებით“ დატვირთვა.[13]

საბაკო ლიკვიდობის მართვის სტრატეგიები :

1. ზუსტი ფულადი ნაკადების პროგნოზი

[13] https://www.investopedia.com/terms/b/basell-iii.asp

ფულადი სახსრების ზუსტი პროგნოზირება ლიკვიდობის მართვის შესანიშნავი საფუძველია. ფულადი ნაკადების ზუსტი პროგნოზების შემუშავებით, მარტივადაა შესაძლებელი ფულადი სახსრების არსებული მდგომარეობის დროის სხვადასხვა მომენტში შეფასება და იმის განსაზღვრა თუ რამდენად სრულფასოვნად გამოიყენებიან ისინი მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარავად.

2. კონტრაგენტის გადახდისუუნარობის რისკი

კონტრაგენტებთან ბიზნესის დაწყებამდე აუცილებელია , რომ შემოწმდეს მათი ლიკვიდობის რისკი. თანხის მნიშვნელოვანი დანაკარგებისგან თავის არიდებისთვის კონტრაგენტის გადახდისუუნარობის გამო.

3. გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკა და სახელმძღვანელო მითითებები

მნიშნელოვანია , მართლზომიერი მითითებები და პოლიტიკა ფულადი სახსრების განაწილებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის ფინანსური სიძლიერისთვის ზიანის მომტანი ინვესტიციები, ამ გზით, ლიკვიდობის პოზიცია დარჩება სასურველ დონეზე.

4. გარე რისკების ანალიზი

გარე ტენდენციები, როგორიცაა საბაზრო რისკი, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ლიკვიდობაზე. გაზრდილმა საპროცენტო განაკვეთებმა და უფრო მაღალმა ფასებმა, შეიძლება საკმაოდ ძლიერ იმოქმედოს კომპანიის სასურველი ლიკვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობაზე. ფინანსური კრიზისები, ისევე როგორც ბოლოდროინდელი COVID-19 გარემოებები, გარე ტენდენციების კარგი მაგალითია, რამაც ლიკვიდურობა შეაფერხა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მსგავსი პოტენციური გარე რისკების გათვალისწინება.

5. საოპერაციო რისკების თავიდან აცილება

საოპერაციო რისკები, როგორიცაა ადამიანური შეცდომები, ისევე როგორც თაღლითობა, შეიძლება გამოვლინდეს და თავიდან იქნეს აცილებული სწორი კონტროლის პროცესის დანერგვით. საოპერაციო რისკებთნ გამკლავების შემდეგ, ლიკვიდობის რისკი მნიშვნელოვნად მცირდება.

6. დებიტორული დავალიანების ეფექტური მართვა

მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების გადახდების დროული და მოწესრიგებული მართვა. ეს გადამწყვეტია ბიზნესის წარმადობისთვის, რათა კომპანიას გააჩნდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოვალეებისა და მომწოდებლებისთვის გადასახდელად.

7. ხშირი ანალიზი

პერიოდული ანალიზი ფულადი სახსრების მომიქცევისა და მიმდინარე ლიკვიდობისა , რათა შენარჩუნებულ იქნეს კომპანიის ფინანსური მდგრადობა. ამ გზით შესაძლებელია ნებისმიერი რისკის შემცირება, რომელიც საფრთხეს უქმნის ბანკს.

8. ყველა ფინანსური მონაცემის ცენტრალიზება

ბანკების, მომწოდებლების, მომხმარებლების, შვილობილი კომპანიების, თანამშრომლების მზარდი რაოდენობის გამო, ლიკვიდობის მართვა რთულდება. ეს ნიშნავს, რომ უნდა ენდო ყველას და მიიჩნიო ,რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის დროული და სწორი, რათა გამოყენებულ იქნეს ლიკვიდობის სრულყოფილი ანალიზისთვის.

9. ავტომატური მოხსენება

ლიკვიდობის მართვის ავტომატური ანგარიშგება ამცირებს ადამიანის მიერ წარმოქმნილი შეცდომების რისკს და მნიშვნელოვანად ამცირებს დროს ლიკვიდობის შესახებ

რეგულარული ხელით ანგარიშგებასთან შედარებით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მონაცემების ამოღება მრავალი წყაროს სისტემიდანაა საჭირო.

10. სეზონური კორექტირება

მრავალი ბიზნესი ძალიან მგრძნობიარეა სეზონურობის მიმართ. ამ დროს, გასათვალისწინებელია სეზონური კორექტირება ლიკვიდობის ანალიზში. ეს ნიშნავს, რომ ბანკის ფულადი სახსრების შემოდინება და გადინება განსხვავდება თითოეული სეზონის მიხედვით, რაც უნდა იყოს აღრიცხული, რათა განისაზღვროს, რომ შესაძლებელია კრედიტორების მიმართ აღებული ვალდებულებების დაკმაყოფილება.

11. პროგნოზირებადი ანალიტიკა

პროგნოზირებადი ანალიტიკა, მანქანური სწავლებით (ML) ან ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით, გვაძლევს მაქსიმალურად დეტალური პროგნოზების საშუალებას გარე მოვლენებთან და სეზონურობასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ალგორითმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ფულადი ნაკადების დარღვევების გამოვლენისთვის. ეს ყოველივე კი უზრუნველყოს ლიკვიდურობის რისკის მაქსიმალურ შემცირებას.[14]

დასკვნა. ამრიგად, ნაშრომის ბოლოს, წარმოგიდგენთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება სასურველია ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ასამაღლებლად. როგორც კონკრეული ბანკისათვის ასევე მთლიანობაში თანამედროვე საბანკო სისტემისათვის.

ბანკის ლიკვიდობის სრულფასოვანი ანალიზისთვის განსაკუთრებული ყურადღება ბანკის მენეჯმენტის კომპეტენტურობასა და ბანკში დანერგილი საინფორმაციო და კონტროლის სისტემის ადეკვატურობაზე უნდა გამახვილდეს. მნიშვნელოვანია, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სხდომების რეგულარული ჩატარება და აღნიშნული კომიტეტის მიერ მომზადებული ინფორმაციის განხილვა კომერციული ბანკის მენეჯმენტის მიერ. რათა შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. ლიკვიდობის ოპტიმალური მართვისათვის საყურადღებოა, კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის სამსახურის მერ უზრუნველყოფილ იქნას ლიკვიდობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის მიღება და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს მასზე ოპერატიული რეაგირება. კერძოდ, ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად უნდა იქნეს განხილული და გაანალიზებული შემდეგი საკითხები:

- ბანკის ვალდებულებების სტრუქტურა და მისი დახასიათება. დეპოზიტების სტრუქტურული შემადგენლობა და მათი დაჯგუფება ვადიანობისა და სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით. აუცილებელია ბანკის მიმდინარე ვალდებულებების დინამიკისა და ცვლილების გამომწვევი მიზეზების შეფასება.
- ბანკის კლიენტურის დაჯგუფება და თითოეული ჯგუფის ხვედრითი წილის განსაზღვრა მთლიან დეპოზიტებში;
- ბანკის მიერ ნასესხები სახსრების შემადგენელი სტრუქტურა, ვადიანობა და დახასიათება. ბანკის აქტივ-პასივების მართვის ანალიზი და შეფასება;. ლიკვიდობის ანალიზისას, მიშვნელოვანია ასევე, გარესაბალანსო ვალდებულებების შეფასება შესაბამისი რისკების გათვალისწინებით;
- ბანკის ლიკვიდობის ნორმატივების დაცვის ანალიზი. ადგილი ხომ არ აქვს ლიკვიდობის კოეფიციენტების დაცვას ხელოვნური მანიპულაციებით. ასევე უნდა შეფასდეს

[14] https://www.nomentia.com/blog/introduction-to-liquidity-management-objectives-risk-strategies

ბანკის უნარი და შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს დამატებითი ფულადი რესურსები.

პოტენციური ლიკვიდობის რისკის შეფასებისას აუცილებელია შემდეგი კოეფიციენტების ცვლილებების ტენდენციის ანალიზი:

- სესხები/დეპოზიტები;
- ლიკვიდური აქტივები/დეპოზიტები;
- მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- ლიკვიდური აქტივები/მთლიან ვალდებულებები;
- დეპოზიტების ზრდა სესხების ზრდასთან მიმართებაში.
- საზედამხედველო ორგანოს მიერ დაწესებული მინიმალური სტანდარტი განხილულ უნდა იქნას, როგორც მხოლოდ აბსოლუტური მინიმუმი.

კომერციულმა ბანკმა ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად უნდა უზრუნველყოს ბალანსის ისეთი სტრუქტურის ფორმირება უნდა შეძლოს, რომ აქტივები მცირე დროში დანაკარგების გარეშე გარდაიქმნება ფულად საშუალებებად პასივების მოთხოვნის კვალობაზე. ლიკვიდობის ანალიზისას აუცილებელია ზუსტად დადგინდეს ბანკის საბალანსო უწყისში აღრიცხული ლიკვიდური აქტივების ოდენობა და გამოთვლილ იქნას ლიკვიდური აქტივების ვალდებულებებთან ფარდობის კოეფიციენტი.

- თუ ეს კოეფიციენტი საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, ბანკის მენეჯმენტმა უნდა გადაწყვიტოს აპირებს თუ არა შეინარჩუნოს ლიკვიდობის მაღალი დონე, თუ იგი განპირობებულია სესხების მომგებიანი გაცემის ან ინვესტირების შესაძლებლობების დროებითი ნაკლებობის გამო.
- თუ ეს კოეფიციენტი ჯგუფის საშუალო კოეფიციენტზე დაბალია, ლიკვიდობის მართვის სამსახურმა უნდა დააყენოს საკითხი პოტენციური საფრთხის შესახებ;
- ამის შემდეგ უნდა გამოითვალოს ბანკში სხვა აქტვების ოდენობა, რომელებიც შედარებით ნაკლებად ლიკვიდურია, მარგამ საჭიროების შემთხვევაში მათი გაყიდვა შეიძლება აუცილებელი გახდეს.

საყურადღებოა, რომ ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია ბანკის ლიკვიდობის პოზიცია მოსალოდნელი ვალდებულებების გასტუმრების უზრუნველსაყოფად. საკრედიტო პორტფელის მოცულობის მთლიან აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი ბანკის საკრედიტო პორტფელის სიდიდის ადეკვატურობას განსაზღვრავს. ძალიან დიდი ან პატარა საკრედიტო პორთფელი უარყოფითად იმოქმედებს ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე. CAMEL-ის რეიტინგული სისტემის მიხედვით აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა რეკომენდებულია მერყეობდეს 50%-65%-ის ფარგლებში, ხოლო ბანკის დეპოზიტების მთლიან აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 65%-90%- ის ფარგლებში.

საბანკო სისტემის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ლიკვიდობის მართვის ხარისხის გაუმჯობესება მონეტარული ხელისუფლების ზომებთან ერთად. ეს მოიცავს, როგორც შიდა კონტროლის სრულყოფის საკითხს, ასევე ლიკვიდობის მართვის საკუთარი მოდელების შემუშავებასა და გამოყენებას.

საკრედიტო ორგანიზაციებისა და მთლიანობაში საბანკო სისტემის დონეზე, ლიკვიდობის მართვის ეფექტური სისტემის არსებობა, სისტემური საბანკო კრიზისების თავიდან აცილებისა და საბანკო სისტემის დინამიკურად ფუნქციონირების წინაპირობებს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. კოვზანაძე ი, კონტრიძე თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი გამომცემლობა „თსუ“ 2022 ;
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=540 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.06.2024
3. Тавасиев А.М., Основы банковского дела, Москва.2006.
4. ук Ж. Финансовые системы Франций и других стран. В 2-х тт. Пер.с фр. Т1 в 2 кн. М.:АО Финстатинформ, 2000. с130
5. https://www.investopedia.com/terms/b/basell-iii.asp უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.06.2024
6. https://www.nomentia.com/blog/introduction-to-liquidity-management-objectives-risk-strategies უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 20.06.2024

პროფესიონალი ბუღალტრის როლი პროფესიული ეთიკის სტანდარტებში
The role of the professional accountant in professional ethics standards

მანანა მჭედლიშვილი -კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
manana.mchedlishvili@ciu.edu.ge
Manana Mchedlishvili - Caucasus International Univers
Academic Doctor of Economics, Associate Professor
ნაირა ტაბატაძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
naira.tabatadze@ciu.edu.ge
Naira Tabatadze - Caucasus International University
Academic Doctor of Economics, Associate Professor

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია პროფესიული ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები, დასახულია გზები და ჩამოყალიბებულია დასკვნები თანამედროვე ციფრულ ეპოში, პროფესიონალი ბუღალტრების როლსა და მნიშვნელობაზე; რომელნიც ხელს შეუწყობენ კომპანიებში ეთიკაზე დაფუძნებული კულტურის დამკვიდრებას. დასაქმების ბაზარს თუ გადახედავთ, კარგ ბუღალტერზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. დღეს ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი პროფესია. მუდმივად მოითხოვს თვითგანვითარებას, კოდექსში შესული ცვლილებების შესწავლას და გაანალიზებას. პროფესიონალი ბუღალტერი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. თუმცა ამ მოთხოვნებიდან ძირითადია სათანადო განათლება და პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე. ამასთან ერთად მიგვაჩნია, რომ ის უნდა ფლობდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგ ძირითად პრინციპებს: პატიოსნება, ობიქტურობა, პროფესიული კომპეტენტურობა, კონფედენციალობა, ტექნიკური სტანდარტების დაცვა.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებულია ბუღალტრის ეთიკის კოდექსი შესაბამისი სტანდარტებით. აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება ყველა პროფესიონალ ბუღალტერზე, იმისდამიუხედავად თუ სად მუშაობს ის ვაჭრობაში, მრეწველობაში თუ განათლების სფეროში. ბუღალტერს უნდა გააჩნდეს გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევები, იყოს ქცევის პრინციპებისა და ფასეულობების ერთგული, გაცნობიერებული ჰქონდეს საკუთარი მოვალეობა არა მხოლოდ კონკრეტული კომპანიის მიმართ, არამედ მთლიანად საზოგადოების წინაშე. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა თუ მოსახლეობა ეყრდნობა პროფესიონალ ბუღალტრებს ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების შედგენის საკითხებში, ბიზნესის ეფექტიან მართვასა და კომპეტენტურ რეკომენდაციებში დაბეგვრის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამიტომ ბუღალტერი დაინტერესებული უნდა იყოს იმაში, რომ მის მიერ გაწეული მომსახურეობა გამოირჩეოდეს ხარისხის უმაღლესი დონით და შეესაბამებოდეს ეთიკურ ნორმებს. ხელმძღვანელობა კი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეთიკური ქცევის მნიშვნელობას და მომავალში მოელის, რომ თანამშრომლები იმუშავებენ ეთიკური ნორმების დაცვით;

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ეთიკა, ობიექტურობა, პროფესიული ქცევა, კონფედენციალურობა, ერთგულება.

Abstract. The paper discusses the main principles of the professional accountant's code of ethics. Pathways are outlined and conclusions are drawn on the role and importance of a professional accountant in the modern digital age; which will help to establish a culture based on ethics in companies. If you look at the employment market, the demand for good accountants is quite high. It is one of the highest paying professions today. Constantly requires self-development, study and analysis of changes in the code. A professional accountant must meet a number of requirements. However, the most important of these requirements is proper education and a sense of responsibility towards society. Along with this, we believe that he or she should possess the following basic principles of the code of professional ethics: honesty, objectivity, professional competence, confidentiality, compliance with technical standards.

The Code of Ethics of Accountants has been developed by the International Federation of Accountants with relevant standards.These standards apply to all professional accountants, regardless of where they work in trade, industry or education.An accountant must have certain professional skills, to be faithful to the principles of conduct and values, to be aware of his duty not only to a specific company, but to society as a whole. The government or the population of any country relies on professional accountants in matters of financial accounting and reporting, in

effective management of business and competent recommendations regarding various issues of taxation. Therefore, the accountant should be interested in the fact that the services provided by him are distinguished by the highest level of quality and comply with ethical norms. Management pays special attention to the importance of ethical behavior and expects employees to work in compliance with ethical norms in the future;

Key words: professional ethics, objectivity, professional behavior, confidentiality, loyalty.

შესავალი. ეთიკა ბერძნული სიტყვაა (Ethike) და ნიშნავს ფილოსოფიურ მოძღვრებას, მორალის შესახებ ზნეობას. აღრიცხვაში პროფესიული ეთიკა არსებობს არაკეთილსინდისიერი კორპორაციებისა და ბუღალტრებისაგან საზოგადოების დასაცავად. ბუღალტერი არის სპეციალისტი, რომელსაც ევალება მონაწილეობა მიიღოს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში. იგი აანალიზებს და ამოწმებს ფინანსურ და ბუღალტრულ ანგარიშებსა და ტრანზაქციებს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან. ბუღალტერი ახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს, ადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს, უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში, ადგენს პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის და ფინანსურ ანგარიშგებას ფასს სტანდარტების მოთხოვნებით, ასევე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საგადასახადო დავების განხილვაში. რა თქმა უნდა ყველა ბუღალტერი არ არის არაკეთილსინდისიერი მაგრამ, როდესაც ეთიკა ირღვევა, ამან შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს. 2001 წელს, ენრონის კრახმა 60 მილიარდიანი დანაკარგით უარყოფითი გავლენა იქონია ინვესტორებზე 5600 თანამშრომელზე, რომელთა საპენსიო ანგარიშები განადგურდა.[15]

ძირითადი ნაწილი. ბუღალტრულ პრაქტიკაში 1929 წლამდე არ არსებობდა პროფესიული ეთიკის სტანდარტები. თავდაპირველად ბუღალტრები არავის წინაშე არ იყვნენ ანგარიშვალდებულნი გაესაჯაროებინათ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. გამონაკლის მხოლოდ ის კომპანიები წარმოადგენდნენ რომელთათვისაც მუშაობდნენ.

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს თავჯდომარე რობერტ ჰ.ჰერცი აღნიშნავს, რომ: აღრიცხვის ანგარიშგების და ინფორმაციის გასაჯაროების ოფიციალური სტანდარტების შემუშავების იდეა წარმოიშვა 1929 წლის საფონდო ბირჟის კრახისა და დიდი დეპრესიის შემდეგ. ამ იდეამ მოიტანა აშშ-ში ბირჟების და ფასიანი ქაღალდების კომისიის შექმნა. მომდევნო წლებში კი უფრო მეტი სტანდარტი და ეთიკური ნორმა იყო შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილი.[16]

[15] წყარო: ლ.საბაური, ნ.კვატაშიძე შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, თბილისი 2023. გვ. 39-40
[16] წყარო: ლ.საბაური, ნ.კვატაშიძე შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, თბილისი 2023. გვ. 41-42

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს საერთაშორისო მაშტაბით გამოსაყენებელ ეთიკის კოდექსს პროფესიონალი ბუღალტრებისთვის. კოდექსის თანახმად, ბუღალტრის როლი არის ის რომ სააღრიცხვო ინფორმაცია წარუდგინოს სხვადასხვა ორგანიზაციებს. ეს როლი რთულად შესაძლებელი ხდება როდესაც ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი. მაგალითად, თუ კორპორაცია ფირმას ქირაობს აუდიტის ჩასატარებლად და ფინანსური ინფორმაციის შესამოწმებლად, ფირმა ვალდებულია წარუდგინოს აუდიტის ზუსტი ანგარიში კორპორაციის აქციონერებსაც და საზოგადოებასაც, მაშინაც კი როცა ინფორმაცია საზიანოა თავისი კლიენტებისთვის.

ბუღალტრეთა პროფესიული საქმიანობა რეგულირდება რიგი დებულებებით, საკანონმდებლო აქტებით, ინსტრუქციებით და ნორმატიული მოთხოვნებით. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებულია ბუღალტრის ეთიკის კოდექსი შესაბამისი სტანდარტებით. აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება ყველა პროფესიონალ ბუღალტერზე. ბუღალტერს უნდა გააჩნდეს გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევები, იყოს ქცევის პრინციპებისა და ფასეულობების ერთგული, გაცნობიერებული ჰქონდეს საკუთარი მოვალეობა არა მხოლოდ კონკრეტული კომპანიის მიმართ, არამედ მთლიანად საზოგადოების წინაშე. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა თუ მოსახლეობა ეყრდნობა პროფესიონალ ბუღალტრებს ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების შედგენის, ბიზნესის ეფექტიან მართვასა და დაბეგვრის საკითხებში. ამიტომ ბუღალტერი დაინტერესებული უნდა იყოს იმაში, რომ მის მიერ გაწეული მომსახურეობა გამოირჩეოდეს ხარისხის უმაღლესი დონით და შეესაბამებოდეს ეთიკურ ნორმებს.

აუცილებელია აღინიშნოს რომ ბუღალტერთა პროფესიული კლასიფიკაცია, განსაკუთრებით აღრიცხვის ეროვნული სისტემის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის დროს, დამოკიდებულია შესაბამის ცვლილებებზე განათლების, კადრების მომზადებისა და გადამზადების სფეროში. ამიტომ ფინანსური აღრიცხვის პროფესიის წარმომადგენლებმა უნდა გადახედონ თავიანთ ადგილს და როლს ეკონომიკური სუბიექტის სტრუქტურაში, ხოლო მენეჯმენტის პერსონალმა გააცნობიეროს ბუღალტრის მნიშვნელობა კომპანიის განვითარებაში. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის პრინციპები მოიცავს მნიშვნელოვან ეთიკურ ნორმებს, რომლების ყველა ბუღალტერმა უნდა დაიცვას. განვიხილოთ ეთიკის კოდექსის მიხედვით ძირითადი პრინციპები და კონცეპტუალური მიდგომები ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის.

პროფესიული ბუღალტრის ეთიკის კოდექსისდან გამოვყოფდით შემდეგ ძირითად პრინციპებს: [17]

[17] წყარო: ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, IFAC, ბაფ, თბილისი, 2022. გვ.51-104

1. პატიოსნება და ობიექტურობა. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, პროფესიონალი ბუღალტრები ადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას და ეწევიან საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურებას, ახორციელებენ შიდა აუდიტს, ასრულებენ ფინანსური მენეჯერის ფუნქციებს. მიუხედავად ბუღალტრის მიერ შესრულებული ფუნქციების სირთულისა ის უნდა იყვეს პატიოსანი და ობიექტური. ეთიკის კოდექსის მიხედვით, არ შეიძლება საჩუქრების მიღება, რომლებმაც შეიძლება მის პროფესიულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა მოახდინოს. ასევე არ შეიძლება ასეთი საჩუქრების შეთავაზება იმ პირებისთვის, ვისთანაც ის ბიზნესს აწარმოებს. სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს სხვადასხვანაირი წარმოდგენა იმისა თუ რა ითველბა შეუსაბამო საჩუქრად.

2. პროფესიული ქცევა. პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია დაიცვას პროფესიული ქცევის პრინციპები, კერძოდ კი სათანადო კანონები და ნორმატიული აქტები. თავი აარიდოს ნებისმიერ ქმედებას, რაც დისკრედიტაციას გაუწევს მის პროფესიას. ბუღალტერს უნდა ჰქონდეს ზოგადი განათლების გარკვეული დონე, რომელსაც თან ახლავს სპეციალური განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამის დისციპლინებში გამოცდის ჩაბარება და სპეციალობით მუშაობის გამოცდილება.

3. კონფედენციალურობა. პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია დაიცვას დამსაქმებლის ან მომხმარებლის ინფორმაციის კონფედენციალურობა, რომელზეც ხელი მიუწვდება საკუთარი მოვალეობების შესრულების დროს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მას მინიჭებული აქვს ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილება ან ეს ნაკარნახევია კანონით.

ბუღალტერმა არ უნდა შექმნას და არ უნდა გამოიყენოს დამსაქმებლის ან მომხმარებლის შესახებ მონაცემების გამოყენების მოჩვენებითობა საკუთარი ან მესამე პირის გამორჩენის მიზნით. ინფორმაციის კონფედენციალობას იცავს კანონი, ამიტომაც მსგავსი ეთიკური ნორმები დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის მარეგულირებელ-სამართლებრივ ბაზაზე. ბუღალტერმა შეიძლება შემდეგ შემთხვევებში გაამჟღავნოს ინფორმაცია: ა)თუ დამსაქმებელი ან მომხმარებელი მისი გამჟღავნების უფლებას იძლევა, ბ)როცა გამჟღავნება საჭიროა კანონმდებლობით მაგალითად, სასამართლო განხილვის პროცესში დოკუმენტების წარდგენის ან ჩვენების დროს.

4. ეთიკური კონფლიქტების მოგვარების უნარი. ბუღალტრის ეთიკის კოდექსში გათვალისწინებულია ხელმძღვანელის, დირექტორის, მენეჯერის მხრიდან ზეწოლის შესაძლებლობა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მათ შორის ურთიერთობას ოჯახური ან პირადი ხასიათი აქვს. ამიტომ კოდექსი შეიცავს გაფრთხილებას ისეთი ურთიერთობების ან ინტერესების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ ან დაემუქრონ პროფესიონალი ბუღალტრის წესიერებას.

5. საგადასახადო პრაქტიკის ფლობა. საგადასახადო ანგარიშგების შედგენის დროს ბუღალტერმა უნდა უზრუნველყოს დამსაქმებელი ან მომხმარებელი აუცილებელი ინფორმაციით მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის და დაწესებული შეზღუდვების შესახებ. ბუღალტერმა წერილობით უნდა წარმოადგინოს ის საგადასახადო რეკომენდაციები და დასკვნები, რომლებმაც შესაძლებელია კომპანიას სერიოზული ფინანსური შედეგები მოუტანოს. ასევე მის მიერ შედგენილი ანგარიშგება არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს, მათ შორის ყალბ ან შეცდომაში შემყვან განცხადებებს, არ უნდა იყოს დამაბნეველი. თუ საგადასახადო ანგარიშგებაში დაშვებულია შეცდომა ბუღალტერი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ მომხმარებელს ან დამსაქმებელს.

6.ეთიკური სტანდარტები შრომის ბაზარზე საკუთარი მომსახურების შეთავაზებისას. ბაზარზე თავისი მომსახურების წინ წამოწევის დროს პროფესიონალმა ბუღალტრებმა არ უნდა: გამოიყენონ საშუალებები, რომლებიც ზიანს აყენებს მოცემული პროფესიის რეპუტაციას, არ უნდა ისაუბრონ უარყოფითად სხვა ბუღალტრების მუშაობის შესახებ, არ უნდა გააზვიადონ საკუთარი კვალიფიკაცია, გამოცდილება და მათ მიერ გაწეული მომსახურეობები.

ბუღალტრის ეთიკის კოდექსის მე-2 ნაწილში განხილულია ეთიკური ნორმები, რომლებიც გამოიყენება ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების მიერ და მოქმედებს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე და პროფესიის სფეციფიკურ მახასიათებლებზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. დამოუკიდებლება. ანგარიშგების შედგენის დროს ბუღალტერმა არ უნდა გამოიჩინოს დაინტერესება, რაც შეიძლება ჩაითვალოს წესიერების, ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებთან შეუთავსებლად. მაგალითად, თუ მიმდინარე პერიოდის მანძილზე ბუღალტერი იყო დირექტორთა საბჭოს წევრი, თანამდებობის პირი, კომპანიის თანამშრომელი, ის წარმოადგენს დაინტერესებულ პირს და ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მის დამოუკიდებლობას კომპანიის საქმიანობის შესახებ ანგარიშის შედგენისას. მსგავს სიტუაციებში აკრძალულია ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების დანიშვნა შესაბამისი კომპანიის აუდიტორებად.

2. ჰონორარი. ჰონორარი არის ბუღალტრის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების სამართლიანი ასახვა, რომლის დროსაც მხედველობაშია მისაღები: მომსახურების კონკრეტული სახის გაწევისთვის აუცილებელი უნარები და ცოდნა; მომზადების და გამოცდილების დონე; ბუღალტრის მიერ მომსახურების გაწევაზე დახარჯული დრო.

3. ბიზნესთან შეუთავსებელი საქმიანობა. საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა რაიმე სახის ბიზნესსა ან გარიგებაში, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის წესიერებას, დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

4. მომხმარებელთა ფულადი სახსრები. ბუღალტერი რომელსაც მინდობილი აქვს სხვა პირთა კუთვნილი ფულადი სახსრები, ვალდებულია: შეინახოს ისინი პირადი ან კომპანიის სახსრებისგან განცალკევებით, გამოიყენოს მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით, ნებისმიერ დროს მზად იყოს ფულად სახსრებზე ანგარიშგებისათვის იმ პირების წინაშე, რომლებსაც ამ ანგარიშგების მიღების უფლება აქვთ.

5. რეკლამა და საკუთარი მომსახურების შეთავაზება. ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრის მიერ რეკლამირება და საკუთარი მომსახურების შეთავაზება IFAC -ის წევრი ორგანიზაციების კომპეტენციას განეკუთვნება და წყდება თითოეული ქვეყნის სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური პირობების შესაბამისად. რეკლამა და მომსახურების შეთავაზება მიმართული უნდა იყოს ობიექტურ ინფორმირებულობაზე და უნდა აკმაყოფილებდეს წესიერების, პატიოსნებისა და საიმედოობის მოთხოვნებს. ბუღალტრებმა, რომლებიც პროფესიულ საკითხებზე წიგნებისა და სტატიების ავტორები არიან, შეიძლება მიუთითონ თავიანთი სახელები, პროფესიული კვალიფიკაცია და ორგანიზაციის სახელი, მაგრამ არ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ. ეს ეხება ლექციებსაც და რადიოსა ან სატელევიზიო პროგრამებში გადაცემულ ინტერვიუებსაც.

6. ერთგულება. დაქირავებულმა პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა დაიცვან ლოიალობა თავიანთი დამქირავებლებისა და კოლეგების მიმართ. თანამშრომლისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს კანონებისა და საკუთარი კომპანიის ეთიკური მიზნების ერთგულებას, მაგრამ შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტური სიტუაციები, როდესაც ხელმძღვანელობა ბუღალტერისგან მოითხოვს: ა)კანონის დარღვევას; ბ)თავისი პროფესიის წესებისა და სტანდარტების დარღვევას; გ)დამსაქმებლის აუდიტორებად მოქმედი პირების მოტყუებას ან შეცდომაში შეყვანას (მათ შორის დუმილის დაცვით); დ) ხელმოწერას განცხადებაზე, რომელიც არსებითად ამახინჯებს ფაქტებს;

7. კოლეგების მხარდაჭერა. პროფესიონალი ბუღალტერი, განსაკუთრებით თუ სხვა ბუღალტრების მიმართ ავტორიტეტული უფლებამოსილება გააჩნია, თვალყურს ადევნებს, რომ ხელქვეითებმა დაიცვან საკუთარი მოსაზრებები მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

8. ინფორმაციის წარდგენა. პროფესიონალი ბუღალტერი პატიოსნად წარადგენს ფინანსურ ინფორმაციას სრული მოცულობით. ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს ფორმა, რომელიც ნათლად აღწერს ბიზნეს-გარიგებების, აქტივების ან ვალდებულებების ნამდვილ ბუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკის კოდექსის დებულებებისა და წესების დაცვა ძალზე მნიშვნელოვანია ბუღალტრებისთვის. დადგენილი ნორმებისა და წესების დარღვევის

შემთხვევაში ბუღალტერს შეიძლება ჩამოერთვას პროფესიული საქმიანობის ლიცენზია და გაირიცხოს პროფესიული ორგანიზაციის წევრთა სიიდან.

დასკვნა. დასაქმების ბაზარს თუ გადახედავთ, კარგ ბუღალტერზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. დღეს ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. მუდმივად მოითხოვს თვითგანვითარებას, კოდექსში შესული ცვლილებების შესწავლას და გაანალიზებას. პროფესიონალი ბუღალტერი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. თუმცა ამ მოთხოვნებიდან ძირითადია სათანადო განათლება და პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე. ამასთან ერთად მიგვაჩნია, რომ ის უნდა ფლობდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგ ძირითად პრინციპებს: პატიოსნება, ობიქტურობა, პროფესიული კომპეტენტურობა, კონფედენსიალობა, ტექნიკური სტანდარტების დაცვა.

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია, პროფესიონალი ბუღალტრის კომპეტენციის საჭიროება ციფრულ ეპოქაში. მათ უნდა გააცნობიერონ ციფრული ტრანსფორმაციების მნიშვნელოვნება და გავლენა, როგორც საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში, ასევე ეთიკის კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობაში. პროფესიონალ ბუღალტრებს უნდა შეეძლოთ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ხარისხიანი და მიზნისთვის შესაფერისია ესა თუ ის მონაცემი, რომელთა გამოყენებაც ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ანალიზისა თუ პროცესების რობოტიზებული ავტომატიზაციის პროცესში ხდება. მიგვაჩნია, რომ პროფესიონალი ბუღალტრებისთვის უმნიშვნელოვანესია ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული უნარების გაძლიერება. რათა მათ თავიანთი ტრადიციული უნარების ახალი კონტექსტისთვის მორგება შეძლონ. ასევე მათ არ აქვთ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა ხელოვნური ინტელექტის, ბლოკჩეინისა (მათ შორის კრიპტოვალუტების) და მონაცემთა მართვის შესახებ.აუცილებელია მუდმივი ცვლილებების გახორციელება ამ მიმართულებითაც.

როგორც წესი, პროფესიონალ ბუღალტრებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, რაც უმთავრესია იმ მონაცემების დაცვის საქმეში, რომელიც მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არის და რომელზე დაყრდნობითაც გადაწყვეტილებების მიღება უხდებათ. რეალურად, პროფესიონლმა ბუღალტრებმა არ იციან როგორ დაიცვას საკუთარი ელექტრონული მოწყობილობები კიბერთავდასხმებისგან. ამ მხრივ კოდექსში ცვლილებებია შესატანი.

დღევანდელ კომპლექსურ ციფრულ სამყაროში - სადაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მუდმივად იცვლება ტექნოლოგიები, კანონები და რეგულაციები, ბუღალტრები ხელს შეუწყობენ კომპანიებში ეთიკაზე დაფუძნებული კულტურის დამკვიდრებას. მიგვაჩნია, რომ ახალი პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა

დაეთმოს ხუთ მიმართულებას: 1)მონაცემებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, 2)ტექნლოგიური შესაძლებლობები, 3)კიბერუსაფრთხოება, 4)საინფორმაციო ტექნლოგიები, 5)ხელოვნური ინტელექტი. კომპანიის ხელმძღვანელობა კი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეთიკური ქცევის მნიშვნელობას და მომავალში მოელის, რომ თანამშრომლები იმუშავებენ ეთიკური ნორმების დაცვით;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბაური ლ. კვატაშიძე ნ. (2023) შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, გამომცემლობა შპს „ფორმა“ გვ.39-46

2. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, IFAC, ბაფ, თბილისი, 2022

3. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. (2022). https:// saras.gov.ge. Retrieved from https://saras.gov.ge/Content/ files/SARAS%20AR22-2.pdf.

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2023-2026 წლების სტრატეგია. (2023, August 30). saras.gov.ge. Retrieved from saras.gov.ge.

2. IAASB Digital Technology Market Scan: Natural Language Processing." *IAASB*, 22 June 2022, https://www.iaasb.org/news-events/2022-06/iaasb- digital-technology-market-scan-natural-language-processing.

3. https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/mindsets-professional-accountants

4. https://www.cpacanada.ca/en/become-a-cpa/why-become-a-cpa/the-cpa-certification-program/the-cpa-competency-map/competency-map-2-0

5. https://mfac.gradstudies.yorku.ca//

6. https://www.technologyreview.com/2021/10/26/1038643/ai-reinforcement-learning-digital-twins-can-solve-supply-chain-shortages-and-save-christmas/

7. https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/mindsets-professional-accountants

8. https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/complexity-guidance-ethical-decision-making

გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები
Globalization and contemporary problems of international business

ეკატერინე უკლება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
Ekaterine.ukleba@atsu.edu.ge
Ekaterine Ukleba - Akaki Tsereteli State University
Doctor of Business Administration,
Associate Professor
სალომე გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
Salome.giorgadze5@atsu.edu.ge
Salome Giorgadze - Akaki Tsereteli State University
Doctor of International Relations

აბსტრაქტი. გლობალიზაცია არის უწყვეტი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირებს, კორპორაციულ და სუვერენულ სახელმწიფოებს სწრაფად და შემცირებული დანახარჯებით დაამყარონ მჭიდრო კონტაქტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გლობალიზაცია არის მრავლისმომცველი პროცესი, რომელიც სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყნების ინტეგრაციის გაძლიერებაში უდიდესი გავლენა იქონია 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიო კომუნისტური და კაპიტალისტურ ბანაკად დაყოფის პრაქტიკამ, რომლის შემდგომ მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბიზნესის წარმოება, შემცირდა ღია ბაზრებზე ქვეყნების ჩარევა ეკონომიკაში და დაჩქარდა პრივატიზაციის პროცესი. ინტეგრაციის უფრო მეტად გაღრმავებას ხელი შეუწყო ტექნიკურმა პროგრესმა და ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით კი – ინტერნეტმა, რომელმაც ერთსა და იმავე საწყის პოზიციაზე განალაგა მსოფლიოს დიდი თუ პატარა ქვეყანა. უპირველესად, ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებს აღმოაჩნდათ შესაძლებლობა საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწრაფად განევითარებინათ. ინფორმაციის გადაცემა გაიოლდა და ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის, განსაკუთრებულად დადებითად აისახა ეკონომიკაზე, რამაც დააჩქარა კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესი, ელექტრონული კომერციის განვითარება, საერთაშორისო ვაჭრობა და უპრეცედენტოდ გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა. უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ბიზნესის ზრდა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რაც ექსპერტთა შორის იწვევს სამართლიან დებატებს და ბადებს კითხვას, თუ რით არის განპირობებული პროცესის ამგვარი გააქტიურება.

დღესდღეობით ქვეყნების მთავარ ამოცანას წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში გაუმკლავდნენ ეკონომიკური გლობალიზაციის სირთულეებსა და გამოწვევებს. გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების მოტივატორს კომპანიების სტრატეგიული მიზნები და მოთხოვნები წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს მთელი რიგი ფაქტორებით, როგორიც არის რესურსების შეძენა შედარებით დაბალი ფასით, იაფი მუშა ხელი, ონლაინ გაყიდვები, განსაკუთრებით ამის ნათელი მაგალითი იყო კოვიდპანდემია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კომპანიებმა თავიანთი ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ფეხი აუწყონ გლობალიზაციის პოზიტიურ გამოვლინებებს და ადაპტირდნენ თანამედროვე გარემო პირობებთან. ერთმანეთთან ურთიერთქმედებით დააჩქარონ განვითარების ტემპი, რადგანაც საერთაშორისო ბიზნესი და ურთიერთვაჭრობა ყველასათვის მომგებიანი და ხელშემწყობია. ყოველივე ეს კი საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას და ქვეყანას დაეხმარება განვითარების მაღალი ინდექსის მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესი, ტექნოლოგიები

Abstract. Globalization is an ongoing process that allows individuals, corporations, and sovereign states to connect rapidly and cost-effectively across the globe. Globalization is a comprehensive process that is becoming

increasingly large-scale in the world economy. The practice of dividing the world into communist and capitalist camps at the end of the 80s had a great influence on strengthening the integration of countries, after which business production was significantly activated, the intervention of countries in the economy of open markets was reduced, and the process of privatization was accelerated. Further deepening of integration was facilitated by technical progress and the development of technologies, and in particular by the Internet, which placed large and small countries of the world on the same initial position. First of all, economically advanced countries had the opportunity to rapidly develop communication technologies. The transfer of information became widespread and accessible to everyone, had a particularly positive effect on the economy, which accelerated the process of formation of the world capital market, the development of electronic commerce, international trade, and an unprecedented increase in the volume of investments. In the recent period, the growth of international business has become visible to everyone, which causes a fair debate among experts and raises the question of what is the reason for such activation of the process. Nowadays, the main task of the countries is to deal with the difficulties and challenges of economic globalization in the process of globalization. The motivator for deepening the globalization process is the strategic goals and requirements of companies, which may be caused by a number of factors, such as the purchase of resources at a relatively low price, cheap labor, online sales, especially the Covid pandemic was a clear example of this. Based on the above, we think that for the effective functioning of their business, companies need to adapt to the positive manifestations of globalization and adapt to modern environmental conditions. By interacting with each other, they should speed up the pace of development, because international business and mutual trade will be beneficial and beneficial for everyone. All this will ultimately improve the well-being of each citizen and help the country achieve a high development index.

Key word: Globalization, economic globalization, international business, technologies

გლობალიზაცია ზრდის ურთიერთდამოკიდებულების პროცესს ქვეყნებს, ბიზნესებსა და ინდივიდებს შორის მთელს მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ფუნქციონირება ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში. გლობალიზაციამ გახსნა ახალი ბიზნეს ბაზრები, რამაც ასევე გაზარდა კონკურენცია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. საჭირო გახდა ბიზნესი ადაპტირდეს ცვლილებებზე, რათა დარჩეს კონკურენტუნარიანი და შეინარჩუნოს თავიანთი პოზიცია ბაზარზე. დღესღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხილვის საკითხია ციფრული ტექნოლოგიების ზრდა, რომელიც პირდაპირკავშირშია ბიზნესის განვითარებასა და წინსვლაზე. ონლაინ სამუშაო ბაზრის დამსახურებით კომპანიებს მომხარებელთან ურთიერთობა გაუმარტივდათ, თუმცა კონკურენტუნარიანობა მეტად თვალსაჩინო და აქტიური გახდა. ყოველივე ამან კი გამოიწვია ელექტრონული კომერციისა და ციფრული მარკეტინგის განვითარება, რომელიც ბიზნეს სტრატეგიის არსებითი და ძირეული კომპონენტია.

გლობალიზაციამ ძალიან დიდი გავლენა იქონია განვითარებული ქვეყნების ბიზნესზე და გახსნა ახალი შესაძლებლობები. მან გაზარდა შიდა და საერთაშორისო კონკურენტების

კონკურენცია. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, მსოფლიო საქონლის ექსპორტის ღირებულება 2000 წელს 5,8 ტრილიონი დოლარიდან 2020 წელს 19,5 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2023 წელს 28 ტრილიონი დოლარი გახდა. სამყაროში, სადაც ძალაუფლების მრავალი ცენტრია, ბიზნესი შესაძლოა უფრო მრავალფეროვანი და რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდეს. მათ შეიძლება დასჭირდეთ ნავიგაცია სხვადასხვა მარეგულირებელ გარემოში.

ტექნოლოგიური მიღწევებიდან გეოპოლიტიკურ ცვლილებებამდე, რამდენიმე საკვანძო ტენდენციამ ჩამოაყალიბა ბიზნესის ფუნქციონირება გლობალური მასშტაბით. ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარება იყო თამაშის შეცვლა იმ ბიზნესებისათვის, რომლებიც გლობალურ გაფართოებას ეძებდნენ. ციფრულმა პლატფორმებმა, ელექტრონულმა კომერციამ და მოწინავე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გაანადგურეს გეოგრაფიული ბარიერები, რაც საშუალება მისცა კომპანიებს შეაღწიონ ახალ ბაზრებზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ და ბიზნეს ოპერაციების წარმოების შესაძლებლობამ გარდაქმნა ტრადიციული ბიზნეს მოდელი, რაც ერთმანეთთან დაახლოვა ურთიერთდაკავშირებულობის ქსელი გლობალურ ეკონომიკაში. გლობალური პროცესები გამოირჩევა თავიანთი ობიექტური ხასიათით, სწორედ ამიტომ ლოგიკურია, რომ ისინი თვითდინებით ვითარდებიან და ანგარიშს არ უწევენ ქვეყნის შესაძლებლობებს, მის თვითმყოფადობას, უნიკალურობას და რესურსების გამოყენების ჩვენეულ ხედვას. საერთაშორისო ბიზნესის ვალდებულებაა, გაითვალისწინოს გლობალიზაციის ზოგადი კანონზომიერებანი, ჩაერთოს გლობალური პროცესების მართვის არეალში, თავი დაიმკვიდროს მსოფლიო საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში. ეს ვალდებულება ვრცელდება არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებზეც. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი. ამიტომ, გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობა, მათი გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაციით. ქვეყნების წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. ბიზნესის გარემოს შესაფასებლად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანალიზება, რადგანაც ის არის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი. გლობალური ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისების, მიზეზების, შედეგებისა და პერიოდულად განმეორებადობის ალბათობასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის მუდმივი კამათისა და აზრთა დიდ განსხვავებას აქვს ადგილი. ეკონომისტთა ერთი ჯგუფის აზრით, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. თუმცა არც ერთი თეორია არ იძლევა დღეს პასუხს კითხვაზე –

რა საზოგადოებაში ცხოვრობს კაცობრიობა და რა ელოდება მას გლობალიზაციის პირობებში.

ამრიგად, ვფიქრობთ რომ მსოფლიო წესრიგს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გლობალიზაციასა და ბიზნესის მენეჯმენტის თანამედროვე საკითხებზე. გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და ბიზნეს შესაძლებლობებზე ზემოქმედებით, ბიზნესმა უნდა იცოდეს გეოპოლიტიკური ლანდშაფტი და ადაპტირდეს გარემო პირობების გათვალისწინებით, რადგანაც, წარმატების მისაღწევად სტრატეგიები მუდმივად ცვლად გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბ., 2010;
2. ნ. ჭითანავა, გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები;
3. საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011;
4. John H. Dunning, Sarianna M. Lundan, Multinational Enterprises and the Global Economy, Edward Elgar Publishing, Publishing House “Routledge”, 2008.principes of economic – N. Gregory Mankiw – 8th edition -2015
5. "Definition of 'global village'". Collins dictionary. Collins dictionary. Retrieved 23 November 2018
6. https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sp082500
7. https://globalizationdotcom.wordpress.com/2018/01/10/first-blog-post/

HRM დეპარტამენტის როლი ორგანიზაციაში დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში

The role of the HRM department in raising awareness of discrimination in the organization

ლევან ლევერაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.
l.leverashvili1@seu.edu.ge
Levan Leverashvili - Georgian National University SEU
Doctor of Social Sciences.
l.leverashvili1@seu.edu.ge

რეზიუმე. დისკრიმინაცია გულისხმობს უსამართლო მოპყრობას, რომელიც დაფუძნებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა რასა, სქესი, ასაკი და სხვა, რაც იწვევს უთანასწორობასა და გარიყულობას. ის სათავეს იღებს ღრმად დამკვიდრებული ფსიქოლოგიური ტენდენციებიდან და განპირობებულია სოციალური წყობით. ევოლუციური განვითარების მიუხედავად, დისკრიმინაციული ქცევა აგრძელებს სხვადასხვა ფორმით გამოვლინებას, სოციალურ და პროფესიულ კონტექსტში. თანამედროვე სამუშაო ადგილებზე HRM სამსახურები გადამწყვეტ როლს ასრულებენ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი პასუხისმგებლობა ცდება ადმინისტრაციულ ამოცანებს და ინკლუზიური, სამართლიანი გარემოს ხელშეწყობაზე ზრუნვასაც ითვალისწინებს. HRM სამსახური ცნობიერების ამაღლებისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს განათლებისა და ტრენინგის პროგრამებს. ისინი ასევე შეიმუშავებენ და უზრუნველყოფენ მტკიცე მრავალმხრივი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას, აღნიშნულის მიღწევა კი მხოლოდ მკაფიო კომუნიკაციითა და რეგულაციების აღსრულების მონიტორინგით მიიღწევა. ეფექტური ანგარიშგების მექანიზმების არსებობა კი აუცილებელია იმისათვის, რომ თანამშრომლებმა თავი დაცულად იგრძნონ.

საკვანძო სიტყვები: დისკრიმინაციის აღკვეთა, ორგანიზაციული ცნობიერება, HRM სამსახურის პასუხისმგებლობა, ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკა, სამუშაო გარემო, ორგანიზაციული ინკლუზიური კულტურა.

Resume Discrimination involves prejudicial treatment based on characteristics like race, gender, age, and more, leading to inequality and exclusion. It stems from deep-seated psychological tendencies and societal conditioning. Despite evolutionary advances, discriminatory behavior persists, manifesting in various forms across social and professional contexts. In modern workplaces, HR departments play a crucial role in combating discrimination. Their responsibilities extend beyond administrative tasks to fostering inclusive and equitable environments. HRM implements education and training programs to raise awareness and promote diversity. They also develop and enforce robust anti-discrimination policies, ensuring they are comprehensive, clearly communicated, and regularly updated. Effective reporting mechanisms are essential to make employees feel safe and supported in addressing discriminatory practices.

Key words: Prevention of discrimination, organizational awareness, responsibility of HRM department, anti-discrimination policy, work environment, Inclusive culture of the organization.

დისკრიმინაციის არსი - დისკრიმინაცია არის ადამიანებისა და ჯგუფების უსამართლო ან მიკერძოებული მოპყრობა, ქმედება ან ისეთი დამოკიდებულება, რომელიც უარყოფს თანაბარ უფლებებს, შესაძლებლობებს ან რესურსების ხელმისაწვდომობას რაიმე მახასიათებლების საფუძველზე. დაფუძნებულია ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა რასა, სქესი, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა. ტერმინის განმარტება მარტივია, თუმცა იმის ახსნა, თუ რატომ ხდება აღნიშნული მეტად კომპლექსური. ადამიანის ტვინი სამყაროს აღქმის გასამარტივებლად ბუნებრივად ახდენს საგანთა კატეგორიებად დაყოფას. მაგალითად პატარა ბავშვები სწრაფად ამჩნევენ განსხვავებას ბიჭებსა და გოგოებს

შორის. თუმცა ფასეულობებს, რომლებსაც ამ კატეგორიებს ანიჭებენ და ღირებულებები, რომლებიც მათ უყალიბდებათ, სწავლობენ - თავიანთი მშობლებისგან, თანატოლებისგან, იმ სოციუმისგან, რომელშიც იზრდებიან, ასევე დაკვირვებით, რომელსაც სამყაროზე ახორციელებენ. ხშირად დისკრიმინაცია შიშისა და გაუგებრობისგან მოდის.

კაცობრიობას დასაბამითგანვე მოსდევს დისკრიმინაციული აზროვნება და ქმედება, რომელსაც ახასიათებს უსამართლობა, ცრურწმენები და უთანასწორობა. ფსიქოანალიტიკურ თეორიაზე დაყრდნობით, ინდივიდის არაცნობიერი - „იგი“ (ID) მიდრეკილია საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებისკენ, იქამდე სანამ, ინდივიდი „ეგოს“ (EGO) განვითარების საფეხურს „ზე-მე“-ს (SUPER-EGO) მიაღწევდა, ისწავლიდა კულტურული ნორმების, ღირებულებების და სხვათა ინტერესების გათვალისწინებას. სოციალურ და ინდივიდუალურ იმედგაცრუებას მოსდევდა მოწყვლადი, რაიმე ნიშნით გამორჩეული, თუ უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფების მიმართ აგრესიული მოპყრობა. ზემოხსენებული შესაძლოა ჩაითვალოს ერთგვარ „აგრესიის გადაადგილებად“. აღნიშნული პერსპექტივის მტკიცებით, არსებობს მოტივაციური და ადაპტაციური განზომილება, რომელიც ემყარება ცრურწმენას - ადამიანები საკუთარ თვითშეფასებას ზრდიან ცრურწმენების მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ დისკრიმინაციულ ქცევას, ადაპტური ეგო-დაცვითი ფუნქცია გააჩნია.

დღემდე გავლილი ევოლუციის მრავალათასწლოვანი გზა სამწუხაროდ არ აღმოჩნდა საკმარისი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებების აღმოსაფხვრელად. ქმედების, რომელიც პიროვნებას თავს გარიყულად, არასრულფასოვნად, დაუცველად და მიუღებლად აგრძნობინებს. დისკრიმინაციის მრავალ სახესხვაობას ვხვდებით და შეიძლება შევხვდეთ ყველგან: საზოგადოებაში, სამეგობროში, უნივერსიტეტში, სამსახურში თუ ოჯახში. ხშირად ადამიანები შეუცნობლად ახდენენ სხვა ადამიანების დისკრიმინაციას, თუნდაც ხუმრობებით. შესაძლოა თავად ინდივიდი არ იყოს დისკრიმინაციის მსხვერპლი, თუმცა შეესწროს თუ როგორ ახდენს ერთი ადამიანი მეორეს ჩაგვრას რაიმე ნიშნით.

არსებული მდგომარეობა - დღევანდელ მრავალფეროვან და დინამიკურ სამუშაო ადგილზე, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ტრადიციული როლი გასცდა ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, რომელიც ახლა ეკისრება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებს, არის ინკლუზიური და სამართლიანი სამუშაო გარემოს ხელშეწყობა დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებით. დისკრიმინაცია რასის, სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობისა ან სხვა მახასიათებლების საფუძველზე, არა მხოლოდ არღვევს ეთიკურ სტანდარტებს, არამედ აფერხებს ორგანიზაციის პროდუქტიულობას და თანამშრომლების მორალურ შეხედულებებს. აქედან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა,

აუცილებელია სხვადასხვა სტრატეგიული ინიციატივების მეშვეობით პასუხისმგებლობა მიმართოს დისკრიმინაციული პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

განათლება და გადამზადება - ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, რომელსაც HRM სამსახურები იყენებენ დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, არის მულტიკომპონენტური განათლებისა და ტრენინგის პროგრამები. ეს პროგრამები შექმნილია იმისთვის, რომ თანამშრომლებმა გააცნობიერონ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები, მათი უარყოფითი გავლენა, ასევე მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მნიშვნელობა. იმისთვის, რომ ტრენინგი აღმოჩნდეს ეფექტური, ამისათვის უნდა იყოს ინტერაქციული, უწყვეტი და განმეორებადი ღონისძიება. აუცილებელია მოიცავდეს რეალურ სცენარებს, როლურ თამაშებს, სავარჯიშოებს და დისკუსიებს, რომლებიც ეხმარება თანამშრომლებს ცნებების გაგებასა და გაშინაგანებაში (ინტერნალიზებაში). აღნიშნული სესიების ორგანიზაციული კულტურის რეგულარულ ნაწილად ქცევით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები უზრუნველყოფენ ცნობიერების ამაღლებასა და შენარჩუნებას.

პოლიტიკის შემუშავება და აღსრულება - დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან გასამკლავებლად, აუცილებელია ორგანიზაციული პოზიცია ნათლად იყოს დაფიქსირებული, მკაფიო და მტკიცე ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებით. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის შემუშავებასა და აღსრულებაზე, უზრუნველყოფს მათ მრავალმხრივობას და მოიცავს დისკრიმინაციის ყველა პოტენციურ ფორმას. აუცილებელია გატარებული პოლიტიკა იყოს მკაფიო და ყველასთვის გასაგები, ხოლო აღსრულების მექანიზმები უნდა მოიცავდეს ტრენინგების ჩატარებას დისკრიმინაციისგან თავის დაცვის და მათთან გამკლავების შესახებ. მნიშვნელოვანია აღნიშნული პოლიტიკის რეგულარულად განახლება ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და საზოგადოების დინამიური ცვლილების შესაბამისად.

ანგარიშგების მექანიზმები - იმისათვის, რომ ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა ეფექტურად გატარდეს, აუცილებელია თანამშრომლებმა თავი დაცულად იგრძნონ და მხარი დაუჭირონ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის მოხსენებას. HRM-ის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონფიდენციალური და ხელმისაწვდომი ანგარიშგების სისტემების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული სისტემის შესახებ ინფორმაციას უნდა ფლობდეს ორგანიზაციის მასშტაბით ყველა დასაქმებული, რათა თითოეულ მათგანს ესმოდეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს დისკრიმინაციის დროს. HRM-ის სამსახურმა ასევე უნდა უზრუნველყოს, ანგარიშების განხილვა მაქსიმალურად მოკლე დროში, კონფიდენციალურობის მაქსიმალური დაცვით. აღნიშნული ეხმარება ისეთი გარემოს შექმნას, სადაც თანამშრომლები გრძნობენ თავს დაცულად, დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება შურისძიების შიშის გარეშე.

გამოწვევები და გადაწყვეტილებები - დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კრიტიკული როლის მიუხედავად, HRM-ის სამსახურები აწყდებიან გამოწვევებს ცნობიერების ამაღლების კუთხით. თანამშრომლები, რომლებიც ვერ ხედავენ მნიშვნელობას მრავალფეროვნების ინიციატივებში, მათი წინააღმდეგობა შეიძლება მნიშვნელოვანი დაბრკოლება აღმოჩნდეს. გარდა ამისა, შეზღუდულ რესურსებს და ტოპ მენეჯმენტის არასაკმარის მხარდაჭერას შეუძლია შეაფერხოს HRM-ის სამსახურების ძალისხმევა. ამ გამოწვევების დასაძლევად HRM-ის სამსახურებმა უნდა მიაღწიოს ხელმძღვანელი პირების თანხმობას, იმის დემონსტრირებით, თუ როგორ შეუძლია მრავალფეროვნებას და ინკლუზიურ ინიციატივებს ფართო ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში ხელშეწყობა. ამ დაბრკოლებების ეფექტურად დაძლევას ხელს შეუწყობს უწყვეტი სწავლება, პოლიტიკის ინკლუზიური მიმოხილვა და მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული სტრატეგიები.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ძალისხმევა, დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით არ ეხება მხოლოდ სტანდარტთან შესაბამისობას, ან რისკების შემცირებას, არამედ ინკლუზიური სამუშაო ადგილის შექმნას. მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მხარდაჭერით, HRM-ის სამსახურს შეუძლია შექმნას გარემო, სადაც ყველა თანამშრომელი გრძნობს დაფასებას და პატივისცემას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამუშაოს კმაყოფილების ზრდაში, პროდუქტიულობის ამაღლებასა და საერთო ორგანიზაციული წარმატების მიღწევაში. HRM-ის სამსახურს ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ღია დიალოგებს, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და პერსპექტივა დისკრიმინაციისა და ინკლუზიის შესახებ. ეს მცდელობები ხელს შეუწყობს დისკრიმინაციის ირგვლივ საუბრების ნორმალიზებას და ინკლუზიის ყოველდღიური ორგანიზაციული ცხოვრების ნაწილად ქცევას. HRM-ის სამსახურებს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ თანასწორობისა და ყველას მიმართ პატივისცემის კულტურის ხელშეწყობის მიმართულებით.

HRM-ის სამსახური შეუცვლელ როლს ასრულებს ორგანიზაციებში დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. სტრატეგიული განათლების, მტკიცე პოლიტიკის შემუშავების, ეფექტური ანგარიშგების მექანიზმებისა და ინკლუზიური კულტურის აქტიური ხელშეწყობის გზით.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

- **დისკრიმინაციის გავლენა ინდივიდებზე და ორგანიზაციებზე** - დისკრიმინაცია აყენებს სერიოზულ ზიანს როგორც ინდივიდებს, ასევე ორგანიზაციებს. ის ხელს უშლის თანაბარ

შესაძლებლობებს, უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანების თვითშეფასებაზე და იწვევს მათ გარიყვას.

- **ინდივიდებზე გავლენა:** დისკრიმინაცია ხშირად განაპირობებს განცდას, რომ პიროვნება ნაკლებად ღირებულია, დაუცველი და მიუღებელია.
- **ორგანიზაციაზე გავლენა**: დისკრიმინაცია ამცირებს ორგანიზაციის პროდუქტიულობას და ცუდად მოქმედებს თანამშრომლების მორალზე, რაც საბოლოოდ აისახება ორგანიზაციის წარმატებაზე და მის, როგორც დამსაქმებლის იმიჯზე.

➢ **HRM-ის სამსახურის როლი და პასუხისმგებლობა დისკრიმინაციის პრევენციაში** - HRM-ის სამსახურის როლი, ცდება ადმინისტრაციულ ამოცანებს და ინკლუზიური, სამართლიანი გარემოს ხელშეწყობაზე ზრუნვასაც ითვალისწინებს.

- **განათლება და გადამზადება:** HRM-ის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი არის დისკრიმინაციის შესახებ მულტიკომპონენტური განათლებისა და ტრენინგის პროგრამებით თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება, რომლებიც აუცილებელია იყოს უწყვეტი და განმეორებადი.
- **პოლიტიკის შემუშავება და აღსრულება:** HRM პასუხისმგებელია მკაფიო და მტკიცე ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც ყველა თანამშრომელს შესაძლებლობას აძლევს, იცოდეს როგორ უნდა იმოქმედოს დისკრიმინაციის დროს.
- **ანგარიშგების მექანიზმები:** HRM-ის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალური და ხელმისაწვდომი ანგარიშგების სისტემები, რომლებიც დასაქმებულებს აძლევს დისკრიმინაციის შესახებ ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას შურისძიების შიშის გარეშე.

➢ **HRM-ის გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები** - HRM-ის სამსახურს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისას, აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები, თუმცა სწორი სტრატეგიების შერჩევით შესაძლებელია ამ გამოწვევების დაძლევა.

- **თანამშრომლების წინააღმდეგობა:** თანამშრომელთა ნაწილი შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მრავალფეროვნების ინიციატივებს, რაც HRM-ის ძალისხმევას აფერხებს.
- **რესურსების შეზღუდვა:** შეზღუდული რესურსები და ტოპ მენეჯმენტის არასაკმარისი მხარდაჭერა ქმნის დამატებით დაბრკოლებებს.
- **გადაჭრის გზები:** HRM-ის სამსახურს შეუძლია ხელმძღვანელი პირების მხარდაჭერის მოპოვება მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მნიშვნელობის დემონსტრირებით, მუდმივი სწავლებითა და პოლიტიკის მიმოხილვით.

- **HRM-ის გავლენა ორგანიზაციულ კულტურაზე** - HRM-ის სამსახურს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ორგანიზაციაში ინკლუზიური კულტურის შექმნაში. ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლების კმაყოფილებისა და პროდუქტიულობის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში საერთო ორგანიზაციული წარმატების საწინდარი გახდება.
  - **ღია დიალოგის მხარდაჭერა:** HRM-ის სამსახურს შეუძლია წაახალისოს ღია დიალოგები, სადაც თანამშრომლები ერთმანეთს უზიარებენ დისკრიმინაციისა და ინკლუზიის შესახებ თავიანთ გამოცდილებასა და მოსაზრებებს.
  - **ინკლუზიური სამუშაო გარემოს შექმნა**: HRM-ის სამსახურის ძალისხმევით შესაძლებელია ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა, სადაც თითოეული თანამშრომელი გრძნობს დაფასებასა და პატივისცემას.
- **სტრატეგიული ინიციატივების საჭიროება** - HRM-ის სამსახურს უნდა ჰქონდეს ტოპ მენეჯმენტის მხარდაჭერა, სტრატეგიულ განვითარების გეგმაში გაითვალისწინოს დისკრიმინაციის პრევენციის მექანიზმები და ცნობიერების ამაღლების გზები.
  - **მოსამზადებელი პროგრამები:** მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მხარდამჭერი პროგრამები უნდა იყოს მუდმივად განახლებადი და ინტეგრირებული ორგანიზაციულ კულტურაში.
  - **მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული სტრატეგიები:** HRM-ის სამსახური უნდა ახორციელებდეს მონაცემთა მუდმივ ანალიზს, რათა შეაფასოს და განაახლოს დისკრიმინაციის პრევენციის პოლიტიკა.
  - **გლობალური და ეთიკური სტანდარტების დაცვა:** HRM-ის სამსახურის ძალისხმევა არის გლობალური ეთიკური სტანდარტების დაცვა და მათთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ამ დასკვნებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ HRM-ის სამსახურს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება დისკრიმინაციის პრევენციასა და ცნობიერების ამაღლებაში, რაც მნიშვნელოვნად აისახება, როგორც ინდივიდებზე, ასევე ორგანიზაციის კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. "Human Resource Management"- Derek Torrington, Laura Hall, Stephen taylor;
2. Promoting Equality and Diversity: A Practitioner's Guide" - Diane Gilhoole;
3. "Human Resource Management and the Implementation of Diversity Policies in Organizations" - Sarah L. McDonald and John S. Hite;
4. Journal of Organizational Behavior - Julie B. Olson-Buchanan and Wendy R. Boswell;
5. "HRM's Role in Shaping a Discrimination-Free Workplace" - Susan Jackson and Randall Schuler
6. Oxford University Press "Human Resource Management: Ethics and Employment"- Ashly Pinnington and Rob Macklin.

მენეჯერული უნარები როგორც პერსონალის მართვის საფუძველი
Managerial skills as the basis of personnel management

ანი ბიბილური - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი
anibibiluri@gmail.com
Ani Bibiluri - Georgian Technical University
Academic Doctor of Business Administration
Assistant Professor,

აბსტრაქტი. მენეჯმენტი მრავალფეროვანი, საინტერესო და მრავალმხრივი სფეროა, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროსა და პროცესს, სადაც იგი განიხილება არა მარტო როგორც მართვა, არამედ გონივრული მიდგომების ერთობლიობა, რომელიც გვეხმარება დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. მართვა ერთგვარი ხელოვნებაა, რომელიც თავისი არსით ყოველთვის არსებობდა, მაგრამ დღეისათვის მენეჯმენტი სამეცნიერო დისციპლინაა, სწავლების სფერო, რაც ყველა სექტორისათვის აუცილებელი და ამავდროულად საჭიროა, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც კონკურენცია უმაღლეს ნიშნულს აღწევს, სწორი და გონივრული მართვის უნარი, ის საწყისი მოთხოვნებია, რასაც დამსაქმებელი თითოეულ პოტენციურ დაქირავებულს სთხოვს, განსაკუთრებით კი პირებს, რომელსაც აქვთ ამბიცია და პრეტენზია იყვნენ მმართველი რგოლის მენეჯერები. ორგანიზაციის საქმიანობა ხომ სწორედ პერსონალის ფორმირებით იწყება, რადგან ადამიანურ რესურსს გადამწყვეტი და საკვანძო მნიშვნელობა გააჩნია კომპანიის განვითარებაში, რისთვისაც საჭიროა შემოიკრიბოს გუნდი, რომელსაც ექნება საერთო ორგანიზაციული კულტურა, მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც მათ გაერთიანებას შეუწყობს ხელს. ჩემი თემა სწორედ მენეჯერულ უნარებს ეხება, უფრო დეტალურად კი კარგი მენეჯერის ცნების გარშემო დისკუსიას, თუ ვინ არის კარგი მენეჯერი რეალობაში, აგრესიული მმართველი საკუთარი თამაშის წესებით თუ კარგი ლიდერი - გუნდის იმედი ორგანიზაციული ინტერესებით.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, მენეჯერი, ლიდერი, მმართველი.

Abstract. Management is a diverse, interesting and multifaceted field that includes all areas and processes of life, where it is considered not only as management, but also a set of reasonable approaches that help us achieve the set goals and objectives. Management is a kind of art, which in its essence has always existed, but today management is a scientific discipline, a field of study, which is necessary and at the same time necessary for all sectors, because in the conditions of a market economy, where competition reaches its highest level, the ability to manage correctly and wisely is the initial requirement that an employer asks every potential hire, especially those who have the ambition and claim to be top management. After all, the activity of the organization begins with the formation of personnel, because human resources have a decisive and key importance in the development of the company, for which it is necessary to gather a team that will have a common organizational culture, mission, vision and values, which will help to unite them. My topic is about managerial skills, and in more detail, the discussion around the concept of a good manager, who is a good manager in reality, an aggressive manager with his own rules of the game or a good leader - the hope of the team with organizational interests.

Keywords: Management, Human Resource Management, Manager, Leader, Ruler.

შესავალი. მენეჯემენტი ინგლისური სიტყვაა და მართვას გულისხმობს, რაც გამოიხატება ყველა არსებული რესურსის საშუალებით დასახული მიზნების მიღწევაში, რომლის შედეგიც დადებითი უნდა იყოს. თუმცა მართვის მზა რეცეპტი არ არსებობს, რადგან ყველა ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე იგი ინდივიდუალურია. ტერმინი „მართვა“ და „მენეჯმენტი“ სინონიმებად გამოიყენება, არსობრივად კი ხშირად მათ შორის განსხვავებაა, რადგან მართვა ეს არის ბევრად ფართო, ღრმა და მეტად მასშტაბური მოვლენა, რადგან მოიცავს ჩვენი ცხოვრების

თითოეულ ასპექტს. მენეჯმენტი კი მიესადაგება სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს ანუ სადაც საუბარია ორგანიზაციებსა და საბაზრო ურთიერთობებზე.

მართვა საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ მეცნიერებად მე-19 საუკუნის ბოლოს აშშ-ში ჩამოყალიბდა ანუ მენეჯმენტი, როგორც მეცნიერების დარგი სწორედ ამ პერიოდიდან ითვლის სათავეს. შედარებით მოგვიანებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარდა ადამიანური რესურსების მართვა (HRM) ცალკე მიმართულებად, რომელიც გულისხმობს დაქირავებულის ინტელექტუალური რესურსის, გონებრივი და შრომითი შესაძლებლობების გამოყენებას სასურველი შედეგების მისაღწევად.

ძირითადი ნაწილი. პერსონალის მართვა წარმატებული კომპანიის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, რადგან კომპანია შედგება ადამიანებისგან, რომელთაც მინიჭებული აქვთ გარკვეული როლები და მათი ძალისხმევით ხდება მიზნებისაკენ სწრაფვა. ვინ არის მენეჯერი? იგი პირია, რომელიც მართავს ორგანიზაციას და პასუხისმგებელია საქმიანობის საბოლოო შედეგებზე. რეალობაში ხშირად უწოდებენ მათ ვისაც დაქვემდებარებული პერსონალი არც კი ჰყავს, მაგალითად: გაყიდვების მენეჯერი, ოფისის მენეჯერი და ა.შ. თუმცა რეალურად მენეჯერად მოიაზრება ხელმძღვანელი და მმართველი პოზიცია, რომელიც ორგანიზაციულ სტრუქტურაში იმყოფება ბევრად მაღლა, ვიდრე სხვა დასაქმებული პირები და ჰყავს დაქვემდებარებულები, მარტივად რომ ვთქვათ, გუნდი ვისთან ერთადაც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას. ზოგადად, მენეჯმენტში გამოყოფენ პერსონალის დაყოფის რამდენიმე დონეს, როგორიცაა:

- **დაბალი რგოლის პერსონალი,** რომელთა საქმიანობა რუტინულია და მოიცავს მარტივი დავალებების შესრულებას, რეალურად ვერ გრძნობენ კომპანიის მართვის სიმძიმეს, რაც გულისხმობს ორგანიზაციის სტრატეგიასა თუ გეგმებზე ფიქრს. თუმცა სწორედ დაბალი რგოლის თანამშრომლებზეა ყველაზე ფსიქოლოგიურად რთული და სტრესული სამუშაო, რადგან მათ აქვთ ყველაზე მეტი ურთიერთობა მომხმარებლებთან. მაგალითად: ექთანი, მასწავლებელი, გაყიდვების მენეჯერი, მოლარე-ოპერატორი და ა.შ. ამ პოზიციის მქონე ადამიანები ქმნიან კომპანიის იმიჯს, შესაბამისად მათი მომზადებისა და მუშაობის ხარისხი აჩვენებს კომპანიის ხელმძღვანელთა დამოკიდებულებას ორგანიზაციისადმი. თითქოს მარტივი რგოლია, მაგრამ რეალურად ყველაზე მეტად უნდა იყვნენ მომზადებულნი სამუშაო პროცესისათვის და იცოდნენ ყველა ნიუანსი, რაც შეეხება პროდუქტს, მომსახურებას და ა.შ.
- **საშუალო რგოლი** - დეპარტამენტის ხელმძღვანელები, განყოფილების უფროსები და ა.შ. პერსონალი, რომელიც შუალედური რგოლია დაბალსა და უმაღლეს მენეჯმენტს შორის. სწორედ საშუალო რგოლის თანამშრომელთა საქმიანობა, განაპირობებს დასახული მიზნების მიღწევადობას, შესაბამისად მათ მოეთხოვებათ პასუხი კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

- **უმაღლესი მენეჯმენტი** - ტოპ მენეჯერები, მმართველობითი საფეხურის უმაღლესი დონე, დირექტორები და პრეზიდენტები, ვინც ქმნიან ამინდს ორგანიზაციაში. თითოეული მათი გადაწყვეტილება სიღრმისეულად ეხება კომპანიის ყველა საფეხურს, სწორედ ისინი განსაზღვრავენ განვითარების სტრატეგიას, მიმართულებებსა და მოქმედების გეგმას. უმაღლესი მენეჯმენტი წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში და გვევლინება მთავარ მოთამაშედ, რომელთა წესები და კანონები უმთავრესია. უმაღლესი მენეჯმენტი განსაზღვრავს საშუალო და დაბალი რგოლის პერსონალის საქმიანობის არეალსა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას.

მენეჯმენტის სამივე დონე ქმნის ორგანიზაციას და მათი შეთანხმებული ქმედებებით საქმიანობს ორგანიზაცია. აღნიშნული ხორციელდება შემდეგი ხუთი ფუნქციის განხორციელებით, როგორიცაა:

1. **დაგეგმვა** - ყველაფერი იწყება მიზნებისა და სტანდარტების დამკვიდრებით, რაც გულისხმობს კომპანიაში წესების დანერგვასა და პროცედურების შემუშავებას. ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს ამბიცია იყოს ბაზრის ლიდერი საჭიროა ჰქონდეს სათანადო გეგმა, სიტუაციის განვითარების წინასწარი პროგნოზი და განსაზღვრული რისკები.

2. **ორგანიზება** - გეგმას სჭირდება განხორციელება, შესაბამისად საჭიროა თითოეულ დაქვემდებარებულს კონკრეტული დავალება გაუნაწილდეს, ხოლო საჭიროებისას განყოფილება ან სტრუქტურული ერთეულიც კი შეიქმნას. უფლებამოსილების სწორად დელეგირება საკვანძო საკითხია ორგანიზაციის მუშაობისას, რადგან პერსონალის მუშაობის კოორდინაცია დასახული მიზნის მისაღწევად გადამწყვეტია.

3. **კადრებით დაკომპლექტება** - სწორედ ამ საფეხურზე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ჩართულობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის მომავალი თანამშრომლების შერჩევა, დაქირავება, ტრენინგი და განვითარება, ასევე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაწერა. მნიშვნელოვანია პერსონალის შესრულებული სამუშაოს შეფასება, რაც საშუალებას იძლევა დავრწმუნდეთ კადრების შერჩევის სისწორეში.

4. **ლიდერობა** - კარგი მენეჯერი ყოველთვის ლიდერია, რომელიც არა მარტო „აიძულებს“ თანამშრომელს იმუშაოს, არამედ მოტივაციას უჩენს დროულად და ხარისხიანად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, რადგან თავად არის მათი ინსპირაციის წყარო. ლიდერი ყოველთვის მონაწილეობს სამუშაო პროცესში და ერთგვარი მორალური საყრდენია მათთვის.

5. **კონტროლი** - ნებისმიერი სამუშაო ითხოვს საბოლოო მონიტორინგს, თუ როგორ განხორციელდა დაგეგმილი პროცესი და მიღწეულ იქნა კი სასურველი შედეგი. კონტროლი

აუცილებელი, სავალდებულო და საჭირო მოვლენაა, რადგან შემოწმების გარეშე არსებობს ალბათობა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად არ შესრულდეს.

მენეჯმენტის სამივე დონე ინაწილებს მოცემულ ფუნქციებს და შესაბამისად ერთვება მუშაობის პროცესში. თუმცა, პასუხისმგებლობის მხრივ, ძირითადად დატვირთვა ყოველთვის საშუალო რგოლის პერსონალზე მოდის, რომელიც დამაკავშირებელი ხიდია უმაღლესსა და დაბალ რგოლს შორის. სწორედ საშუალო რგოლშია თავმოყრილი მენეჯერები, რომლებიც ყველაზე მეტად პასუხისმგებლები არიან თანამშრომელთა მართვაზე. თუკი მენეჯერი, მმართველი, ხელმღვანელი - მრავალი სახელი შეიძლება ვუწოდოთ, არ არის სათანადოდ ძლიერი, კომპანიას ყოველთვის ექნება პრობლემები მმართველობით სფეროში, რაც შემდგომ აისახება აუცილებლად მის საქმიანობაზეც. ვინ არის მენეჯერი? აგრესიული მმართველი თუ კარგი ლიდერი? ალექსანდრე მაკედონელი ამბობდა: *„მე არ მეშინია ლომების არმიის, რომელსაც უძღვება ცხვარი. მეშინია ცხვრის ფარის, რომელსაც მართავს ლომი“.* გენიალური სიტყვებია და სრულად ასახავს მენეჯერის მნიშვნელობას, რომელიც უნდა იყოს უდაოდ ლიდერი, რომელიც სამართლიანობის პრინციპების დაცვით, ეთიკური ნორმების სრული გათვალისწინებითა და ადამიანური ფაქტორებით უძღვება ორგანიზაციას. მენეჯერი კარგი ხელმძღვანელია, რომელიც თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს გონივრულად იყენებს და არსებული რესურსების დახმარებით მართავს კომპანიას/დეპარტამენტს/გუნდს, შესაბამისად ხედავს მიზანსა და საშუალებებს, სწორად აღიქვამს რისკებსა და დგამს ნაბიჯებს. ლიდერი აგრესიული მმართველი არაა, მაგრამ აგრესიულია იქ სადაც ვერ პოულობს ჭეშმარიტებასა და სამუშაოსადმი ერთგულებას. კარგ ლიდერს უნდა შეეძლოს თანამშრომელთა მოტივაცია, რადგან მოტივაცია არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ადამიანის ქცევას. აბრაამ მასლოუს მოტივაციის თეორია ამის დამადასტურებელი ფაქტია, რადგან სწორედ საფეხურეობრივადაა განაწილებული ძირითადი მოთხოვნილებები, რაც განაპირობებს პიროვნების ქცევის მოტივებს:

- ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები - საკვები, წყალი და ა.შ;
- უსაფრთხოება - დაცულობის განცდა, რომელიც გამოწვეულია მოწესრიგებული და მშვიდი სამყაროსადმი მოთხოვნილებით;
- სიყვარულის, ემოციებისა და გრძნობების განცდა;
- პატივისცემა, რაც იწყება საკუთარი თავიდან და სხვების მიერ დაფასების მოთხოვნილებიდან;
- თვითრეალიზაცია, რაც გამოიხარება საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებით მაქსიმალური შედეგის მიღების სურვილში.

მოცემული იერარქიის პირველი და მეორე საფეხური პირველადი მოთხოვნილებაა, ხოლო დანარჩენი უკვე ფსიქოლოგიური კონტექსტით ხასიათდება და მეორადია. თუმცა თუკი ვერ დაკმაყოფილდება საწყისი მოთხოვნილებები მომდევნო ეტაპზე გადასვლის სურვილი არ გაჩნდება. ეს უდევს საფუძვლად აღნიშნულ თეორიას, პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, დგება მეორადი მოთხოვნილებების სურვილი, რომლის რიგითობა შეიძლება შეიცვალოს მაგრამ არ გაქრება. სწორედ ამიტომ კარგი მმართველი აღნიშულ მოტივატორებს იყენებს საკუთარი კომპანიის წარმატებისათვის და შესაბამისად განსაზღვრავს თუ რომელ თანამშრომელს რა სჭირდება მოცემულ მომენტში, ამავდროულად პერსონალის ქცევას იყენებს ორგანიზაციის კეთილდღეობისათვის.

რა თვისებებია საჭირო მმართველობითი უნარების ჩამოსაყალიბებლად? ჩემი აზრით ხელმძღვანელებად იბადებიან. თუმცა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია განავითაროს საკუთარი თავი და ეცადოს გახდეს კარგი ლიდერი, რისთვისაც მმართველობითი ადმინისტრაციული სკოლის დამაარსებლის ფეიოლის მართვის 14 პრინციპი ერთგვარი სახელმძღვანელოა, რომელიც საშუალებას იძლევა საბაზისო ელემენტების გაგების, რაც აუცილებელია მენეჯერული ქცევისათვის.

1. **შრომის დანაწილება და დაყოფა,** რომელიც გულისხმობს დასაქმებულთა შორის მიზნებისა და დავალებების სწორად განაწილებას, რათა ყურადღება და ძალები ერთი მიმართულებით წარიმართოს ეფექტურად. კერძოდ ყოველთვის მკაფიოდ უნდა დაისვას ამოცანა, რომ ერთხელ გაკეთებული საქმის ხელმეორედ შესრულება არ გახდეს საჭირო.

2. **ძალაუფლება და პასუხისმგებლობა**, რაც მოიაზრებს ძალაუფლების მფლობელის სრულ პასუხისმგებლობას, რადგან ლიდერი ვალდებულია პასუხი აგოს მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელმაც საბოლოოდ შედეგი მოიტანა. ძალაუფლება ძალისგან განსხვავდება, რადგან ერთი მოიცავს ინტელექტუალურ მართვას, ხოლო მეორე ცოტა აგრესიულ საქმიანობას. ამიტომ ჭეშმარიტი ლიდერი მხოლოდ ძალაუფლებას ფლობს და არასოდეს იყენებს ძალას.

3. **დისციპლინა** - ნებისმიერ საქმიანობას სჭირდება დისციპლინის უნარი, სადაც მოიაზრება კომპანიის წესები და ინტერესები, რომელთა დაცვა ყველა თანამშრომლისათვის სავალდებულოა. დისციპლინა უყალიბებს პიროვნებას შინაგან კულტურას და ეხმარება გააცნობიერის საკუთარი როლი ორგანიზაციის საქმიანობასა და ზოგადად ცხოვრებაში.

4. **ერთი ადამიანი ერთი უფროსი** - იგულისხმება, რომ მმართველობით იერარქიაში აუცილებელია არსებობდეს ერთი მენეჯერი და არა რამდენიმე, რადგან ხშირად მენეჯერების ურიცხვი არმია პერსონალში გაურკვევლობის განცდას და პროტესტის გრძნობასაც კი იწვევს.

5. **მოქმედების ერთიანობა** - ერთი მიზნისთვის ბრძოლა, საერთო სამოქმედო გეგმა და ერთი ხელმძღვანელი *(„ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ - სამი მუშკეტერის დევიზი).*

6. **ინდივიდუალური ინტერესების დაქვემდებარება საერთო ინტერესებისადმი** - აღნიშნული გულისხმობს თანამშრომელთა პირადი ინტერესების გვერდზე გადადებას და კომპანიაზე ზრუნვას, რადგან თუკი ყველა თანამშრომელი პირადი მიზნებისთვის იმუშავებს, კომპანიის მომავალი გაურკვეველი და ბუნდოვანი იქნება.

7. **პერსონალის წახალისება-დაჯილდოება** - ორგანიზაციის თანამშრომლები საჭიროებენ ღირსეულ ანაზღაურებასა და დამსახურებულ ჯილდოს, რადგან აღნიშნული დიდი მოტივატორია, ზრდის სტიმულსა და ხელს უწყობს სამუშაო პროცესის გააქტიურებას. კარგი მენეჯერი მუდმივად ზრუნავს წახალისების ღონისძიებების დაგეგმვაზე, რადგან იცის რამდენად ღირებულია შრომის დაფასება, ამავდროულად აღნიშნული სტიმულის სქემა აუცილებელია ნიჭიერთა/ტალანტების მართვისას, რადგან მოცემული კატეგორია ადამიანური რესურსების მართვაში ყველაზე რთულია. პროფესიონალი, ნიჭიერი და წარმატებული კადრი დიდხანს არ ჩერდება ერთ ადგილას, თუკი ვერ ხედავს წინსვლის შესაძლებლობას, შესაბამის ანაზღაურებასა და ადამიანურ დამოკიდებულებას/დაფასებას.

8. **ცენტრალიზაცია** - კომპანიას სავალდებულოდ უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი (გენერალური ან/და აღმასრულებელი დირექტორი), რადგან ერთი, რეალური, საბოლოო ლიდერის გარეშე სისტემა ვერ იმუშავებს და უბრალოდ რაღაც მომენტში ჩავარდება.

9. **იერარქია** აუცილებელია იყოს რაც შეიძლება ნაკლებად ზიანის მომტანი. სწორედ საშუალო რგოლის მენეჯერის როლი მნიშვნელოვანია იერარქიულ ჯაჭვში, რადგან მან უნდა შეძლოს დაალაგოს ურთიერთობები და კავშირები.

10. **წესრიგი** - მენეჯერის მთავარი უნარია იყოს მოწესრიგებული და თავად შეუქმნას თითოეულ თანამშრომელს მყუდრო სამუშაო გარემო, საკუთარი სივრცე, სადაც შეძლებენ იმუშაონ მშვიდად და ხალისიანად. მსოფლიოს მრავალი ცნობილი კომპანია ორიენტირებულია აღნიშნული საკითხის ირგვლივ და ყველა თანხმდება, რომ სამუშაო ადგილი უნდა იყოს ქაოსის მიღმა.

11. **სამართლიანობა** - წარმოუდგენელია ლიდერი აღნიშნული თვისების გარეშე, რადგან თუკი დასაქმებული ეწევა თანამშრომელთა დისკრიმინაციას, სამსახურში უთანასწორო და არათანაბარი პირობებია, ხდება ჩაგვრის ფაქტები, კომპანიაში კადრების გადინება აუცილებლად მოხდება. სამართლიანობის პრინციპი გულისხმობს პატივისცემას, სადაც ყველა დასაქმებული თანასწორია პიროვნულად, მაგრამ შესაძლებელია იყვნენ თანამდებობრივად განსხვავებულ პოზიციებზე.

12. პერსონალის სტაბილურობა - კადრების გადინება ორგანიზაციის ცუდი მართვის შედეგია, ეს არის მაჩვენებელი რომელიც გვაჩვენებს - რაღაც წესრიგში არ არის. შესაბამისად კარგი ხელმძღვანელი ეძებს მიზეზებს და ცდილობს აღმოფხვრას ისინი. წასვლა არავის უნდა სასიამოვნო და კომფორტული გარემოდან, წასვლის სურვილს აღძრავს უსამართლობა, არასასურველი სიტუაცია და განვითარების შესაძლებლობის არქონა. ხშირად საუბრობენ, რომ მმართველი, რომელიც ებღაუჭება საკუთარ სამუშაო ადგილს ბევრად კარგია, ვიდრე ნიჭიერი და პერსპექტიული კადრი, რომელიც სამსახურიდან შეიძლება ნებისმიერ დროს წავიდეს. აღნიშნული სადავო საკითხია და მრავალ დეტალს მოიცავს.

13. ინიციატივა - კარგი ლიდერი ინიციატორია, მაგრამ ამავდროულად არ ზღუდავს თანამშრომლებს საკუთარი ინიციატივების გამოვლენაში, რადგან პერსონალი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამუშაო პროცესში, ახალი ენერგია და ძალა შემატონ კომპანიას.

14. კორპორატიული სულისკვეთება - ორგანიზაციული კულტურია, ეთიკა, მისია, ხედვა და ღირებულებები - ყველაფერი რაც თანამშრომლებს აერთიანებს და ერთიან ძლიერ კავშირად წარმოაჩენს. კომპანია, რომელსაც აქვს ღრმა მორალური სამართლიანობისა და პატივისცემის პრინციპები „განწირულია“ იყოს ლიდერი.

ძლიერი ლიდერის სახელმძღვანელოა: *„ბიზნესში არსებობს მოსაზრება რომ კარიერული აღმასვლისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები ვინც საფეხურებზე გვხვდება, რადგან დაღმასვლისას არ ვიცით როგორ შეცვლიან ისინი ჩვენს ცხოვრებას“.* შესაბამისად წარმატებული მენეჯერი ბუნებით ლიდერია, რომელიც მუდმივად ვითარდება, ეხმარება თანამშრომლებს კარიერულ ზრდაში, საუბრობს გუნდის სახელით და საკუთარ პასუხისმგებლობას არ გაურბის. აგრესიული მმართველი კი ლიდერის სრული საპირისპიროა, ამიტომ დასაფასებელია ორგანიზაციისათვის მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე მენეჯერი, რომელსაც შეუძლია მართოს კომპანიის გუნდი და შეინარჩუნოს ავტორიტეტი. ქართულ რეალობაში ბევრი რამ დასახვეწია, რადგან ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობა ბოლო წლებში გაიაზრეს, თუ რამდენად საჭიროა გაუფრთხილდე თანამშრომელს, სწორად შეარჩიო ჯგუფის ხელმძღვანელი, განსაზღვრო სწორი პრიორიტეტები და მიმართულებები.

დასკვნა. მენეჯმენტი ამოუწურავი სფეროა, რადგან მრავალ მიმართულებას აერთიანებს, იგი მოიცავს როგორც პერსონალის მართვას, ამავდროულად ხარისხს, ფინანსებს, მარკეტინგს და ა.შ. შესაბამისად სწორედ მენეჯერია პირი ვინც მართავს აღნიშნულ პროცესებს გონივრულად და თანმიმდევრულად. კარგი მენეჯერი ეხმარება თანამშრომლებს იგრძნონ საკუთარი როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციაში, ჰქონდეთ ნდობა და დაფასების მოლოდინი, რადგან ხელმძღვანელი ავტორიტეტი და იმედია, ვისიც სჯერათ და რთულ სიტუაციებში პირველს

მიმართავენ დახმარებისათვის. კარგი მენეჯერული უნარების მქონე კადრი კომპანიის მონაპოვარია, რომელსაც უნდა გაუფრთხილდნენ და სათანადოდ იქნას დაფასებული.

References

Paichadze, N. (2019). *Human Resource Management.* Tbilisi: "Iverioni".

Tsaava, G., & Bibiluri, A. (2024). Human capital problem and socially responsible management of insurance companies. *Analysis and evaluation of the financial and banking sector of Georgia*, 69-78.

Tsaava, G., Burdiashvili, R., & Bibiluri, A. (2023). Perfection of the essence of commercial banks' activity-" Operation"," Product" and" Service" and the problem of forming the Author's seven approaches to their judgment. *Scientific Journal „Spectri “*, 8(2).

კორპორაციული კულტურის შედარებითი დახასიათება ევროკავშირის ქვეყნებში

Comparative characterization of corporate culture in EU countries

ტარიელ (ტატო) ჯოხაძე - ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
tatojoxadze1997@gmail.com
Tariel (Tato) Jokhadze - Institute of Economic Research and Development

აბსტრაქტი. კომპანიის შემოსავლიანობაზე, ზოგადად ფინანსური მდგომარეობის ზრდასა თუ ოპტიმიზაციაზე ფაქტორთა საკმაოდ დიდი სპექტრი ახდენს გავლენას. ბუნებრივია ბიზნესის სამყაროში სადაც კერძო სექტორი და კომერცია დომინანტურია, საკმაოდ მნიშვნელვანია მისი შემოსავლიანობის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი. ჩვენს ნასრომში შესწავლიალია კომპანიის შემოსავლიანობაზე გავლენის მქონე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის ხარისხი, როგორიც არის კორპორაციული კულტურა, რომელიც ფაქტობრივად მუდამ დინამიური და ცვალებადი ახალ რელობასთან და/თუ გამოწვევებთან შესაბამისობაში.

საკვლევის თემის გარშემო არსებული პრობელემატიკიდან თუ აქტუალი საკითხებიდან ყურადღება გავამახვილეთ შემდეგზე. დასაწყისში შევისწავლეთ არსებული ლიტერატურული წყაროები, შემდეგ ანალიზი გავუკეტეთ კორპორაციული კულტურის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები ძირითადი და მახასიათებლებს (სადაც ინტერესის ობიექტი იყო ორგანიზაციული კულტურის ძირითადი თეორიები და მახასიათებლები). თეორიული მსჯელობის შემდეგ არსებული მეორადი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოვიკვლიეთ კორპორაციული კულტურის უცხოური პრაქტიკა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც აქცენტი გავაკეთეთ ევროპისდან ორ სახელმწიფოზე დანია (ევროპის ერთ-ერთი მაღალგანვითარებულიქვეყანა) და სლოვაკეთი (პოსტსოციალისტური ქვეყანა).

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული კულტურა, მოტივაცია, მენეჯერი, მენეჯერული გადაწყვეტილება, აქციონერი.

Abstract. The profitability of the company, the growth or optimization of the financial situation in general is influenced by a wide range of factors. Naturally, in the world of business, where the private sector and commerce are dominant, it is quite important to analyze the factors affecting the growth of its income. In our research, the quality of such an important factor influencing the company's profitability as the corporate culture, which is actually always dynamic and changing in accordance with new realities and/or challenges, is studied.

We focused on the following from the problematics or actual issues surrounding the research topic. At the beginning, we studied the existing literary sources, then we closed the analysis to the main factors and characteristics affecting the formation of corporate culture (where the object of interest was the main theories and characteristics of organizational culture). After the theoretical reasoning, on the basis of the analysis of existing secondary information, we investigated the foreign practice of corporate culture in developed countries, where we focused on two countries from Europe, Denmark (one of the highly developed European countries) and Slovakia (a post-socialist country).

Key words: corporate culture, motivation, manager, managerial decision, shareholder.

ევროკავშირის ქვეყნების კორპორაციული კულტურის კვლევისას მთავარი მიზანი ფოკუსირებული იყო მენეჯერების ქცევის ზოგიერთ ასპექტზე ორ ქვეყანაში: დანიასა და სლოვენიაში. საბაზისო კვლევის იდეა არის, რომ ერთმანეთთნ შედარდეს ეს ორი შედარებით პატარა ევროკავშირის ქვეყანა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კულტურული მემკვიდრეობითა და ეკონომიკური სიძლიერით. დანია მიეკუთვნება სკანდინავიურ ტრადიციებსა და კულტურას და ეკონომიკურადაც არის ფრიად განვითარებული. მეორეს მხრივ, სლოვენია მიეკუთვნება პოსტ-სოციალისტური ქვეყნების აღმოსავლეთ ევროპულ ჯგუფს და ევროკავშირის ქვეყნების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც ეკონომიკა საშუალო დონეზე დაბლაა. მეორედი ინფორმაციის ანალიზზე, რომელზედაც მიგვიწვდებოდა ხელი, ჩვენ

ვცადეთ გაგვერკვია ეროვნული კულტურის გავლენები მენეჯერულ ქცევებზე და პრაქტიკებზე, როგორც ზოგადად ასევე კონკრეტულ ვითარებებში, რომელიც გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიტანა. ორივე ქვეყანას ეკონომიკური რეცესია სხვადასხვა გზით შეეხო, განსხვავებული შედეგებითა და შესაბამისობებით.

მენეჯმენტის პრაქტიკების კვლევა დანიასა და სლოვენიაში მოცემულია ჰოფსტადის მიერ და მისი კვლევები ეროვნული კულტურების მონაცემთა წყაროს წარმოადგენდნენ. კვლევის თავისებურებიდან გამომდინარე, ეროვნული კულტურული მახასიათებლები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მენეჯმენტის პრაქტიკებზე და პოლიტიკაზე. კვლევა ფოკუსირებული იყო მომავლის ვარაუდზე, რომ ეს განსხვავებები არიან უფრო მეტად მკაფიოდ ნაჩვენები ექსტრემალურ სიტუაციებში, როგორიცაა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი.

ჩვენ განსაკუთრებით ვიყავით დაინტერესებულნი მენეჯმენტის აღქმაში არსებული განსხვავებებით:

- მენეჯერისა და დასაქმებულის ერთმანეთთან ურთიერთობით
- სამუშაო გერემო - მიოტივაცია და ნდობა
- კრიზისის დროს მენეჯერების პრიორიტეტები

იმისათვის, რომ გავიგოთ, კულტურულ განსხვავებებზე დაყრდნობით, თუ როგორ უმკლავდებიან მენეჯერები კრიზისს, ჩვენ ვკონცენტრირდით კვლევის დროს მიმდინარე კითხვებზე:

- როგორი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკურმა კრიზისმა მენეჯერულ მეთოდებზე დანიასა და სლოვენიაში?
- კრიზისის პირობებში რამდენად შედიან დასქმებულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- კრიზისული მდგომარეობის დროს, რაზე არიან მენეჯერები უფრო მეტად ორიენტირებულნი? - პროაქტიულ მიდგომებზე (ინვესტიციები, კადრების მომზადება ა.შ.), თუ რეაქტიულ მიდგომებზე (დანაზოგი, ტრენინგების შემცირება და ა.შ.)?
- მოელიან რაიმე არსებით დახმარებას მენეჯერები სახელმწიფოსგან?
- რა არის მენეჯერებისთვის უმთავრესი პრიორიტეტები კრიზისული მდგომარეობის დროს?

ჩვენს მიერ მოძიებული კვლევა, რომელიც ჩატარდა დანიურ და სლოვენიურ მეჯერულ ქცევებზე და განსაკუთრებით შედეგების ინტერპრეტაცია არის ძირითადად დაკავშირებული ჰოფსტადის ეროვნულ-კულტურული განზომილებების სწავლებიდან. რამდენადაც ჩვენ ვხედავთ პირველ დიაგრამაში, აქ არის მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებები დანიურ და

სლოვენიურ ძალაუფლების მანძილის ინდექსში, ინდივიდუალობის ინდექსში და გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსში, მაგრამ არა მამაკაცურობის ინდექსში.

დიაგრამიდან ჩანს, რომ არის მნიშვნელოვანი განსხვავებები მენეჯერულ ქცევასა და პრაქტიკაში.

დანია, ევროპული ქვეყნების სკანდინავიური კლასტერის წევრი კულტურული განზომილებების თვალსაზრისით, განისაზღვრება სუსტი გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსით და მცირე დისტანციური ძალაუფლების ინდექსით და აქ დაბალი ადგილი უკავია ჯგუფურ კოლექტივიზმს, მაშინ როცა საკმაოდ მაღალ ადგილს იკავებს ინსტიტუციური კოლექტივიზმი და გენდერული ეგალიტარიზმი (თანასწორობა). გამომდინარე პოზიციებიდან ნახსენები კულტურული განზომილებების დიაგრამაში, სკანდინავიური ქვეყნები არიან საოცრად მსგავსი, თუმცა მათ შორის მაინც არის რამდენიმე განსხვავება.

დიაგრამა 1. დანიისა და სლოვენიის კულტურული განზომილებები[18]



სლოვენია წარმოადგენს აღმოსავლეთ ოვროპის ქვეყნების კლასტერს და აქვს მძლავრი გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსი და დიდი ძალაუფლების მანძილის ინდექსი და კოლექტივიზმში მას უკავია მაღალი ადგილი. მაშასადამე, აქ მოსალოდნელია უფრო მეტად ავტორიტეტული ლიდერობა. უფრო დეტალურმა შეხედულებებმა აჩვენა მნიშვნელოვნად მაღალი განსხვავებები კულტურულ განზომილებაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, ვიდრე სკანდინავიურ ქვეყნებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კვლევის შედეგები სლოვენიასთან დაკავშირებით არ ასახავს იგივე სურათს სხვა სხვა აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში. შემდეგ

[18] https://research.cbs.dk/en/studentProjects/a1b7337e-740c-4f90-9e48-49d24be0808f [გადამოწმებულია 23.04.2024

გრაფიკებში, ჰოფსტადის ეროვნულ-კულტურული განზომილებებიდან, ჩვენ წარმოვადგენთ რამდენიმე განსხვავებას დანიელ და სლოვენიელ მენეჯერებს შორის.

დანიელი მენეჯერების უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ მათი გადაწყვეტილებები შეიძლება განხილულიყო, რადგანაც მენეჯერებიც უშვებენ შეცდომებს, მაგრამ მათი საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება, უფრო მეტად ეხებოდა კრიზისული მდგომარეობის რა დროსაც კრიზისის დროს საჭიროა ახალი იდეები და თანამშრომლებს შეუძლიათ წამოჭრან ეს იდეები კრიზისის დასაძლევად. მეორეს მხრივ, სლოვენიელი მენეჯერების უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ მენეჯერებმა არ შეიძლება გაუზიარონ სხვებს და მათთან ერთად განიხილონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მათ ასევე დაასკვნეს, რომ მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი იყო შესაბამისობაში ცუდი მენეჯერული გადაწყვეტილებების და პრაქტიკებისა. ამ ყველაფერს ისინი ხსნიდნენ იმით, რომ მენეჯერებმა დაკარგეს რეალობის აღქმა და ადგილი ჰქონდა არაეფექტურ ლიდერობას. დამოკიდებულებაში არსებული ეს განსხვავება, პირდაპირ შესაბამისობაშია ძალაუფლებაში არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებთან. ჰოფსტადის განსაზღვებით - ორგანიზაციისა და ინსტიტუტების ნაკლებად ძლიერი წევრები იღებენ და მოელიან, ტომ ძალაუფლება არის არასამართლიანად გადანაწილებული. ამ უთანასწორობას იღებენ თანამშრომლები და ეს ყველაფერი არაა მენეჯერების მიერ ნაკარნახევი. ეს შეიძლება წარმოიქმნას ორივედან: დიდი გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსიდან და მძლავრი ძალაუფლების მანძილის ინდექსიდან სადაც თანამშრომლებს სჯერავთ, რომ მხოლოდ მენეჯერებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება და ისინი თვლიან, რომ ეს მათი პოზიციიდან გამომდინარე ბუნებრივიცაა. ამავე დროს, შედარებით მაღალი დონის ნდობა, რომელსაც სლოვენიელი მენეჯერები იღებენ თანამშრომლებისგან, ვიდრე მათი სკანდინავიელი კოლეგები შეიძლება ერთმანეთთან (სლოვენიელი და დანიელი მენეჯერები) კავშირში იყვნენ არა მართო სოციო-კულტურული არამედ სხვა ასპექტებითაც.

დიაგრამა 2. მენეჯერების უფლებების (respect) ზრდა კრიზისის დროს[19]

[19] https://research.cbs.dk/en/studentProjects/a1b7337e-740c-4f90-9e48-49d24be0808f [გადამოწმებულია 23.04.2024



როგორც კვლევებშია მოცემული - დანიელი მენეჯერების უმრავლესობა სასტიკად არ დაეთანხმა, რომ გაზრდილი უფლებები და პატივისცემა მენეჯერებისადმი სასარგებლო იქნებოდა კრიზისის დროს (მე-2 დიაგრამა). მეორეს მხრივ, სლოვენიელმა მენეჯერებმა ერთსულოვნად მიიღეს ის იდეა, რომ კრიზისის დროს ისინი უფრო დაფასებულნი, უფლებამოსილნი ყოფილიყვნენ და შესაბამისად უფრო მეტად ავტოკრატიულები უნდა ყოფილიყვნენ და მიეღოთ ცენტრალიზებული გადაწყვეტილებები კრიტიკულ მომენტებში. მათ ასევე არსებითად განაცხადეს, რომ ამ დროს ძალაუფლების მანძილი უნდა გაიზარდოს.

მთლიანად ჰოფსტადის განზომილებებიდან გამომდინარე, მენეჯერული თვალსაზრისით მამაკაცურობა უფრო რთულია, რომ ჩაწვდე. ჩვეულებრივ ეს განიხილება, როგორც ორიენტაცია აქტივობაზე. ეს განზომილება დადასტურდა იმის ტესტირებით, რომ მენეჯერები პრიორიტეტს ანიჭებენ ძალისხმევას შედეგებზე. როგორც ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ პირველ დიაგრამაში, არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება დანიელებსა და სლოვენიელებს შორის მამაკაცურ კულტურულ განზომილებაში. ასე რომ, ჩვენ შეგვეძლო მოლოდინი გვქონოდა მათგან მსგავს რეაქციაზე არსებულ საკითხთან დაკავშირებით.

დიაგრამა 3. მენეჯერები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ძალისხმევას ვიდრე საბოლოო შედეგს[20]

[20] https://research.cbs.dk/en/studentProjects/a1b7337e-740c-4f90-9e48-49d24be0808f [გადამოწმებულია 23.04.2024



თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ დანიელ და სლოვენიელ მენეჯერებს შორის შეუთანხმებლობა იმ იდეასთან დაკავშირებით, რომ ძალისხმევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგები. სლოვენიელი მენეჯერებისთვის, ძალისხმევა არის აუცილებელი პრიორიტეტი; მეორეს მხრივ, დანიელი მენეჯერები ნათლად ანიჭებენ პრიორიტეტს საბოლოო შედეგებს, ვიდრე ძალისხმევას. ჩვენ ეს ყველაფერი გავიგეთ ისე, რომ ორივე შემთხვევაში მენეჯერები ორიენტირებულნი არიან მოქმედებისკენ, მაგრამ დანიელი მენეჯერებისთვის ეს აქტივობა უმთავრესად ფასდება შედეგებით, მაშინ როცა სლოვენიელი მენეჯერებისთვის შედეგები არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ისინი ასევე აფასებენ თანამშრომელთა ძალისხმევასაც. შედეგად, დანიელი მენეჯერები მიდრეკილნი არიან მიზნებისადმი მოქმედებისკენ და რეგულარული შეხვედრებისკენ, მაშინ როცა სლოვენიელი მენეჯერები იყენებენ მიზნის მიღწევის გზასა და არაპირდაპირ პიროვნულ ზედამხედველობას.

ეს საკითხი შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირდეს, როგორც ინდივიდუალიზმი კოლექტივიზმის წინააღმდეგ ან ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რომელსაც საზოგადოება ინაჩუნებს მის წევრებს შორის. დანიელები, როგორც ინდივიდუალური კულტურის წევრები, ხაზს უსვამენ საკუთარი თავის მნიშვნელობას, როგორცაა განსაზღვრული „მე“ თვალსაზრისით, სადაც უპირატესობა ენიჭება პიროვნებასა და მის ოჯახს. ამიტომაც, დანიელი მენეჯერები მოელიან, რომ თითოეული წევრი მუშაობს, როგორც ინდივიდუალური ერთეული, აღწევს მის მიზანს, რომელიც ასევე ასარგებლებს სისტემას, როგორც ერთ მთლიანს. კონტრასტში, კოლექტიურ საზოგადოებაში, ინდივიდუალები ქმნიან გუნდებს, რათა იზრუნონ მათზე ერთგულების სანაცვლოდ (რაც უფრო ღირებულია, ვიდრე სხვა წესები), ასე რომ მენეჯერები პასუხისმგებლობას გრძნობენ თანამშრომლებზე, როგორც გუნდის წევრებზე, ესმით მათი და ახალისებენ მათ მცდელობებს საბოლოო მიზნის მისაღწევად.

დანიელი მენეჯერების ნახევარზე მეტი შეთანხმდა, რომ ისინი მაშინ გრძნობენ თავს მოტივირებულად, როდესაც აღწევენ მიზნებს. ისინი მზად არიან რომ გასწიონ რისკი, რათა

მიაღწიონ უფრო მაღალ მიზნებს. სლოვენიაში, გამოკითხული მენეჯერების ნახევარი, მიზნის მიღწევის ხარჯზეც კი, უპირატესობას უსაფრთხოებას ანიჭებს. ნეიტრალური პასუხების დიდი პროცენტულობა გვიჩვენებს, რომ ორივე მხარეს არის ყოყმანი და გადაუწყვეტელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკიდურესად მაღალი განსხვავებები ჰოფსტადის გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსში დანიელებსა და სლოვენიელებს შორის გვიჩვენებს, თუ როგორ ბალანსს იჭერენ მენეჯერები შედეგების მიღწევებსა და უსაფრთხოებაში.

დიაგრამა 4. მენეჯერები, რომლებიც მიზნების მიღწევას უფრო ანიჭებენ უპირატესობას ვიდრე უსაფრთხოებას[21]



დაკვირვებებმა ასევე აჩვენა განსხვავებები მენეჯერების აღქმაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით. ამ საკითხის რაციონალური მიზეზი მხოლოდ კულტურული განსხვავებები არ არის, ამის მიზეზს ასევე წარმოადგენს ეროვნული და ეკონომიკური ფილოსოფია. მაღალ განვითარებულ ბაზრის ეკონომიკებში, რომელებიც ასევე გამოირჩევიან დიდი ტრადიციებით (როგორიცაა დანიის მაგალითი), ქვეყანა წარმოჩენილია, როგორც მარეგულირებელი ეკონომიკასთან რამდენადმე პირდაპირი კავშირით. სლოვენიასა და სხვა აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში, ყოფილი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემიდან გადასვლა ოფიციალურად დასრულდა, მაგრამ ეროვნულ ცნობიერებაში სახელმწიფოს როლი ისევ უმთავრესია. ჩვენ შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ სლოვენიელი მენეჯერების ნახევარზე მეტი მხარს უჭერენ იმ მტკიცებულებას, რომ სახელმწიფო უნდა იღებდეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას ხალხზე, მაშინ როცა დანიელი მენეჯერების ძალიან მცირე რაოდენობა იზიარებს იგივე აზრს.

ჩვენს მიერ ევროკავშირში, კერძოდ კი დანაიასა და სლოვენიაში კორპორაციული კულტურის განსხვავებისა და მართვის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მოძიების შედეგად ანალიზზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: დანიელი მენეჯერები უფრო მეტად ფოკუსირდებიან აქციონერებზე, ვიდრე ამას სლოვენიელი მენეჯერები აკეთებენ და ამ ყველაფერს წვლილი შეაქვს

[21] https://research.cbs.dk/en/studentProjects/a1b7337e-740c-4f90-9e48-49d24be0808f [გადამოწმებულია 23.04.2024

დანიური კომპანიების უფრო მაღალ ეფექტურობაში. სლოვენიაში, ზოგადი აღქმიდან გამომდინარე, მენეჯერებს ხშირად აქვთ საკუთარი პრიორიტეტები, რომლებიც შეიძლება ყოველთვის არ იყოს აქციონერებისა და თანამშრომლების საჭიროებებთან შესაბამისი. ეს ანომალია, ყოფილი, საჯარო საკუთრებაში არსებული კომპანიების თავისუფლად კონტროლირებადი პრივატიზაციის შედეგია და აღებულია მენეჯერების მიერ. ჩვენ გავინტერესებდა, თუ იყო ეს განსხვავებები მნიშვნელოვანი და შესაბამისად, თუ ითამაშებდა რაიმე როლს მენეჯერების პრაქტიკაში.

მეორადი კვლევის განხილვისას გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- ეროვნული კულტურების შეფასება დელიკატური გამოწვევაა. ხშირად რთულია გამოყო ფაქტები სტერეოტიპებისაგან, მიუხედავად ობიექტური კვლევის მეთოდოლოგიისა. კვლევის კითხვები ჰიპოთეზები დაფუძნებული იყო ვარაუდზე, რომ დანია არის თვითკმარი, ადაპტირებადი, კონსენსუსის მაძიებელი, კომუნიკაბელური და არაფორმალური ინდივიდი, საზოგადო აზრია იმისა, რომ დასაქმებულმა იცის კარგად რასაც აკეთებს და მუშაობს შედეგის მიღწევისთვის და არა იმისათვის, რომ იყოს გამორჩეული საზოგადოებაში. სლოვენია კი არის ქვეყანა, რომელიც ხასიათდება შრომისმოყვარეობით, ავტორიტეტის პატივისმცემით და პროფესიონალი თანამშრომლებით და საზოგადოდ მიღებულია რომ დასაქმებული მუშაობს ვიღაცისთვის.
- ამ ორ ქვეყანას შორის საერთოა ძლიერი კომუნიტარული ხასიათი, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს ეფექტური საზოგადოების აშენებას, რომელი საზოგადოებაც შრომობს როგორც გუნდი და ქმნის სანდო სისტემას: ნდობა ინდივიდუალებს შორის, ნდობა თანამშრომლებში და ნდობა სისტემაში.
- მთავარი კულტურული განსხვავებები დანიელ და სლოვენიელ მენეჯერებს შორის არის (რომლებიც ზეგავლენას ახდენს მათ პრაქტიკულ საქმესა და ქცევებში) ძალაუფლების დისტანცია (არათანაბრად გადანაწილებული ძალაუფლება) და გაურკვევლობაში თავის გართმევა (კულტურული სხვაობა, რა დროსაც სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად იქცევა სტრესულ და გაურკვეველ სიტუაციებში). ჩვეულებრივ ძალაუფლების დისტანცია (არათანაბრად გადანაწილებული ძალაუფლება), რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებისთვის, აყალიბებს ავტოკრატიულ სტილს, რომელიც აისახება გადაწყვეტილების მიღებასა და ქვემდგომებთან ურთიერთობაში.
- მთავარი კულტურული განსხვავებები დანიელ და სლოვენიელ მენეჯერებს შორის არის (რომლებიც ზეგავლენას ახდენს მათ პრაქტიკულ საქმესა და ქცევებში) ძალაუფლების დისტანცია (არათანაბრად გადანაწილებული ძალაუფლება) და გაურკვევლობაში თავის გართმევა (კულტურული სხვაობა, რა დროსაც სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად იქცევა

სტრესულ და გაურკვეველ სიტუაციებში). ჩვეულებრივ ძალაუფლების დისტანცია (არათანაბრად გადანაწილებული ძალაუფლება), რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებისთვის, აყალიბებს ავტოკრატიულ სტილს, რომელიც აისახება გადაწყვეტილების მიღებასა და ქვემდგომებთან ურთიერთობაში. ეს მახასიათებლები ნათლად ჩანს სლოვენიელ მენეჯერებში. მაშასადამე, ისინი იღებენ იერარქიულ და ვერტიკალურ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, მაშინ როცა დანიელი მენეჯერები უპირატესობას ანიჭებენ ჰორიზონტალურ სტრუქტურებს, რომლებშიც შერეულია ორმხრივი კომუნიკაცია (მენეჯერსა და დასაქმებულს შორის). ეს ყველაფერი კი დანიელ დასაქმებულებში იწვევს თავისუფლების გრძნობას და აძლევს იმის საშუალებას, რომ გამოთქვან საკუთარი აზრი და ჩაერიონ პრობლების აღმოფხვრაში. ამ სტილის ლიდერობას, რომელიც დაფუძნებულია ნდობასა და გუნდურ მუშაობაზე, შედეგად მოაქვს უკეთესი ჩართულობა, ნაკლები სტრესი, ამაღლებული მოტივაცია და როგორც მენეჯერებში, ასევე თანამშრომლებში აძლიერებს ორგანიზაციაში სრულფასოვანი წევრობის გრძნობას.

- შეგვიძლია ვთქვათ, რომ სლოვენიელმა მენეჯერებმა და ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ან გადმოიღონ დანიური სტილი. თუმცა, სლოვენიელი მენეჯერები და თანამშრომლები თავს ვერ იგრძნობენ კომფორტულად ასეთ გარემოში, იმის გამო რომ მათ შორის განსხვავებაა ძალაუფლების დისტანცისა (არათანაბრად გადანაწილებული ძალაუფლება) და გაურკვევლობაში თავის გართმევის (კულტურული სხვაობა, რა დროსაც სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად იქცევა სტრესულ და გაურკვეველ სიტუაციებში) კუთხით. ან ასეთი სტილის დანერგვა წაიღებს დიდ დროსა და მცდელობას, რათა გახდეს სლოვენიელი მენეჯერების, თანამშრომელებისა და ორგანიზაციებისთვის მისაღები. როგორც სხვა კვლევა აჩვენებს, ეროვნულ-კულტურული მოდელები არის უაღრესად წინააღმდეგობრივი და დროში რთულად იცვლება.
- განსაკუთრებით საყურადღებოა განსხვავებები გაურკვევლობაში თავის გართმევის (კულტურული სხვაობა, რა დროსაც სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად იქცევა სტრესულ და გაურკვეველ სიტუაციებში) კუთხით, იმიტომ რომ მოაქვს მნიშვნელოვან შედეგები მენეჯერულ პრაქტიკებში. ჩვენი კვლევა ადასტურებს, რომ სლოვენიელი მენეჯერები, რისკის გაწევის დროს გაურკვეველ სიტუაციებში, არიან უკიდურესად ფრთხილები. კრიზისის დროს ამ ყველაფერს უფრო ნეგატიური ეფექტი აქვს, რადგანაც ზედმეტი სიფრთხილე ხელს უშლის სწრაფ და ეფექტურ ინოვაციური გამოსავალის მოძებნას. ჩვენ დავადასტურეთ, რომ სლოვენიელი მენეჯერები მეტად (უფრო მეტად ვიდრე მათი დანიელი კოლეგები) აფასებენ უსაფრთხოებას, ვიდრე მიღწევებს. გაურკვევლობაში თავის გართმევის (კულტურული სხვაობა, რა დროსაც სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად იქცევა სტრესულ და გაურკვეველ სიტუაციებში) კიდევ

ერთი ასპექტი ეხება შრომით ბაზარზე მოქნილობას. ამ კუთხით, სლოვენიური კულტურის მახასიათებელია ცვლილებებზე წინააღმდეგობა, რომელიც მოიცავს სამსახურის შეცვლასაც. თანამშრომლების განთავისუფლება, კომპანიის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, დანიელი მენეჯერებისთვის უფრო მისაღებია ვიდრე სლოვენიელი მენეჯერებისთვის. მათ შორის განსხვავება არაა დიდი, მაგრამ სამსახურის ან პოზიციის დაკარგვა სლოვენიაში ნიშნავს ბუნდოვან მომავალს. სლოვენიელებისთვის სამსახურის შენარჩუნებაა უფროა პრიორიტეტი, ვიდრე კომპანიის კონკურენტუნარიანობის შემცირება. ეს მახასიათებელი ასევე დადასტურებულია იმ ფაქტით, რომ სლოვენიელი მენეჯერები საკლებად ფოკუსირდებიან საბოლოო შედეგებზე და საკმაოდ ბედნიერად გრძნობენ თავს, როდესაც თანამშრომლები საქმის დროს ძალისხმევას არ იშურებენ. ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სლოვენიელი მენეჯერებისთვის (განსხვავებით დანიელი კოლეგებისგან) რისკის გაწევა კრიზისის აღმოსაფხვრელად არაა პრიორიტეტი.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. Sousa-Poza, A., (2007) "The effect of job satisfaction on labor turnover by gender: An analysis for Switzerland," *The Journal of Socio-Economics,* Volume 36, Issue 6, Pages 895-913 https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S1053535707000479?via%3Dihub
2. https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/employee-turnover [გადამოწმებულია 29.04.2024].
3. http://surl.li/twtubf [გადამოწმებულია 22.04.2024].
4. http://www.insource.ge/ge/node/474 [გადამოწმებულია 10.04.2024].
5. https://openscience.ge/bitstream/1/869/1/samagistro%20khachidze%20aleqsandre.pdf?fbclid=IwAR0-SiDjbkBIPsAWnUaEFnMhL9sWqk9-wYGSszV5wUCa0LCU5b4NNg3EIbo [გადამოწმებულია 14.05.2024].
6. https://canadacollege.edu/dreamers/docs/Maslows-Hierarchy-of-Needs.pdf [გადამოწმებულია 27.04.2024].
7. https://www.managementstudyguide.com/edgar-schein-model.htm [გადამოწმებულია 21.04.2024].

ტრანსნაციონალური მედიაკორპორაციების სტრუქტურირებული მოდელების გარდაქმნის ტენდენციები ციფრულ ეპოქაში

Trends in the transformation of structured models of transnational media corporations in the digital age

დავით დოლიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციების
სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: davit.dolidze@ciu.edu.ge
Davit Dolidze - Caucasus International University
PhD student of the Doctoral Program of Mass Communications
of the Faculty of Humanities and Social Sciences of
E-mail: davit.dolidze@ciu.edu.ge

აბსტრაქტი. ბრენდი, თანამედროვე მარკეტინგის თეორიის ერთ-ერთი მთავარი კონცეფციაა. თუმცა, მედიის მენეჯმენტისა თუ სხვა ჟურნალისტურ პროფესიულ ლიტერატურაში, ბრენდებსა და ბრენდინგის პროცესს შედარებით მცირე მეცნიერული ყურადღება ექცევა. მიუხედავად იმისა, რომ ბრენდთან დაკავშირებული კონცეფციები თანდათან სულ უფრო ხშირად გვხვდება მეცნიერულ დისკუსიაში და დებატებში მედია პროდუქტებისა და მედია სერვისების შესახებ კვლევა მედია ბრენდებზე, როგორც ასეთი, მაინც ძალზედ მწირია, აქამდე არსებულს არ ჰქონდა სისტემატური ფოკუსი და თეორიული თანმიმდევრულობა.

ბრენდი ხშირად განიხილება მხოლოდ როგორც ინდუსტრიის მთავარი სიტყვა და არა თეორიული კონსტრუქცია ან ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც აყალიბებს წარმატების მდგრად სტრატეგიებს მედია ინდუსტრიის მუდმივად ცვალებად გარემოში. ამრიგად, მედიამცოდნეობისა და მასობრივი კომუნიკაციების სფეროში, ბრენდები და ბრენდინგი კვლავ მოითხოვს სრულფასოვან კვლევას.

სამეცნიერო პუბლიკაციის მიზანია, ხელი შევუწყოთ საკვლევი საკითხის შემდგომ განვითარებას, მედიის მენეჯმენტის ლიტერატურაში არსებული ბრენდების ჩამოყალიბების შესახებ არსებული კვლევების სისტემატური მიმოხილვისა და ანალიზის შეთავაზებით. ამ სფეროში ბრენდების კონცეპტუალიზაციისა და გაგების სხვადასხვა გზების იდენტიფიცირებითა და ანალიზის საფუძველზე. აგრეთვე, ჩამოვაყალიბებთ ერთგვარ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ასახავს ბრენდის სხვადასხვა განზომილებებს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სტატიაში წარმოგიდგენთ ბრენდინგის პროცესის კვლევის სისტემურ მიმოხილვასა და კონცეპტუალურ ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური მედიაკორპორაციები, მედიაბრენდები, კონცეპტუალური მოდელები, ციფრული ერა, ჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია.

Abstract. Brand is one of the main concepts of modern marketing theory. However, in media management or other journalistic professional literature, brands and the branding process receive relatively little scholarly attention. Although brand-related concepts are increasingly present in scholarly discussions and debates about media products and media services, research on media brands as such is still very scarce, lacking systematic focus and theoretical coherence.

Brand is often treated only as an industry buzzword, rather than a theoretical construct or analytical tool that shapes sustainable strategies for success in the ever-changing environment of the media industry. Thus, in the field of media studies and mass communications, brands and branding still require full-fledged research.

The aim of the scientific publication is to contribute to the further development of the research question by offering a systematic review and analysis of existing research on brand building in the media management literature. By identifying and analyzing different ways of conceptualizing and understanding brands in this field, we will also develop a kind of conceptual framework that reflects the different dimensions of the brand, both theoretically and practically. The article presents a systematic review and conceptual analysis of branding process research.

Key words: transnational media corporations, media brands, conceptual models, digital era, transformation of journalism.

ძირითადი ტექსტი.

კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მედია ბრენდების ანალიზი ეყრდნობა ძირითად ცნებებსა და მოდელებს, რომლებიც დანერგილია უშუალოდ მარკეტინგისა

და მარკეტინგული კომუნიკაციის ლიტერატურაში. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ხუთი განსხვავებულ მიდგომა მედია ბრენდების კონცეპტუალიზაციისა მედია მენეჯმენტის კონტექსტში. კერძოდ, ესენია:

- ბრენდი, როგორც პროდუქტი;
- ბრენდის ზრდა და გაფართოება;
- ბრენდის იდენტობა;
- ბრენდის დიფერენციაცია;
- ბრენდი, როგორც კაპიტალი.

დავიწყოთ თითოეული მათგანის განხილვა. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში ბრენდი ჩვეულებრივ გაგებულია როგორც წესი, ბრენდირებული პროდუქტი ან მომსახურება. იმისდა მიუხედავად, რომ მედიაპროდუქტის კონცეფციის ფარგლები გაცილებით ვიწროა, ვიდრე თავად მედია ბრენდის. კონცეპტუალური განსხვავება კი ძნელად მოსაფიქრებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ სიღრმისეულ ასახვაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ჩვენ გავაანალიზეთ, მედიაბრენდის კონცეფცია ასევე გამოიყენება ოჯახებისთვის განკუთვნილ მრავალარხიან მედიაკონტენტზე. როდესაც კონტენტი ქვეყნდება რამდენიმე არხით და ფორმატით, უფრო მოსახერხებელია საუბარი მედია ბრენდზე, ვიდრე, ვთქვათ, ცალკე აღებულ რომელიმე გაზეთზე, ვებ-საიტზე ან სატელევიზიო პროგრამაზე. სწორედ ამ დროს იყენებენ ტერმინს „მედიაბრენდი“, რათა ხაზი გაუსვან განსხვავებას კონკრეტულ მედია არხზე გამოჩენილ კონტენტსა და თავად იმ მედიაბრენდს შორის, რომლის ქოლგის ქვეშაც ერთიანდება და ამ გზით ქვეყნდება აღნიშნული კონტენტი.

თუმცა, ბრენდინგის პროცესის შესწავლის ყველაზე გავრცელებული მიდგომა იყო მედიაინდუსტრიის კონკრეტული სექტორებისა და მისი გამორჩეული მახასიათებლების შესწავლა. ამ მიდგომას არ გააჩნია უფრო ზოგადი კონცეპტუალური განხილვა მედიაბრენდების შესახებ. მედიასექტორების მიხედვით, ბრენდის კვლევის ძირითადი აქცენტი აშკარად ტელევიზიაზე იყო. კერძოდ, ბრენდინგის ადრეული კვლევები მედია მენეჯმენტის სფეროში კონცენტრირებული იყო სატელევიზიო მაუწყებლებზე, სატელევიზიო სადგურებსა და სატელევიზიო ქსელებზე. სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ კვლევებმა გამოიყენა ისეთი ტერმინი, როგორიცაა სატელევიზიო ბრენდი. მოგვიანებით კი გაჩნდა ტერმინები: საგაზეთო ბრენდი, ბრენდული ჟურნალი და ასე შემდეგ.

ბრენდების კონცეპტუალიზაციისა და შესწავლის კიდევ ერთი მიდგომა არის ბრენდის გაფართოებებზე ფოკუსირება. ბრენდის გაფართოება სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია, როგორც პერსპექტიული შესაძლებლობები მსხვილი მედია კომპანიებისთვის, რომ გაზარდონ თავიანთი ბიზნესი, რადგან ძლიერ მედიაბრენდს შეუძლია შექმნას ერთგვარი

პლატფორმა სხვადასხვა ახალი პროდუქტებისა შესაქმნელად. როგორც დოილი (2006, გვ. 107) ამბობს: *„ბრენდების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გამოწვევები მრავალ პლატფორმაზე და მრავალ ტერიტორიაზე, XXI საუკუნეში მედია კონტენტის შემქმნელებისთვის ყველაზე აქტუალური საკითხია“.*

როგორც მოგეხსენებათ, მსხვილი ტრანსნაციონალური მედიაკოპორაციები ცდილობენ აითვისონ რაც შეიძლება მეტი ქვეყნის საინფორმაციო სივრცე. შესაბამისად, ბრენდის სახელი და რეპუტაცია წარმოადგენს საკვანძო აქტივსა და უმთავრეს წარმატების ფაქტორს ნებისმიერი მედია კომპანიისთვის. ბრენდის გაზრდილი ცნობადობა და სანდოობა საშუალებას აძლევს კომპანიას წამოიწყოს ახალი გაფართოება ბევრად უფრო მცირე მარკეტინგული ინვესტიციებით, ვიდრე ის იქნება საჭირო სრულიად ახალი ბრენდის შესასვლელად მისთვის უცხო მედიაბაზარზე.

ბრენდის გაფართოებას შეუძლია გააძლიეროს ურთიერთობა მომხმარებლებსა და ბრენდს შორის, ასევე გაზარდოს მომხმარებელთა ლოიალობა ბრენდის მიმართ. საბოლოოდ, ბრენდის გაფართოებას შეუძლია ხელი შეუწყოს კროს-პლატფორმულ მარკეტინგულ აქტივობებს როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ მედიაბაზარზე. საერთო ჯამში, გაფართოებას შეუძლია მოიტანოს ფინანსური და სხვა ტიპის მარკეტინგული სარგებელი მედიაბრენდისთვის.

მესამე მიდგომა არის ბრენდის იდენტობის განსაზღვრა. მრავალი კვლევა განიხილავს ბრენდირებას მისი იდენტობის თვალსაზრისით, რაც თავისი არსით გულისხმობს ამათუიმ ბრენდის განმასხვავებელ მახასიათებლებს და გარეგნულ გამოხატულებას - რას წარმოადგენს ეს ბრენდი.

ბრენდის იდენტობის განსაზღვრისას, მკვლევარები ხშირად მიმართავენ აგრეთვე უამრავ დაკავშირებულ კონცეფციას, როგორიცაა ბრენდის ატრიბუტი, რომელიც ეხება განმასხვავებელ მახასიათებელს ან სარგებელს, რომელსაც ბრენდი გვთავაზობს, და ბრენდის დაპირება, რომელიც ეხება ფუნქციებისა და უპირატესობების მთლიანობას, რომელსაც ესათუის ბრენდი წარმოადგენს.

ზოგიერთ კვლევაში ბრენდის იდენტობა განიხილება აგრეთვე მისი ვიზუალური თვალსაზრისით, რაც გამოიხატება ბრენდის კონკრეტულ ვიზუალურ მახასიათებლებში ან იდენტიფიკატორებში, როგორიცაა ბრენდის სახელი ან ლოგო. ამ თვალსაზრისით ბრენდის იდენტობა ემსახურება მედიაკომპანიის ბრენდირებული შეთავაზებების შემუშავების, გაუმჯობესებისა და დიფერენცირების ინსტრუმენტს - რაც ეხმარება კომპანიას მომხმარებელმა უკეთ განასხვავოს თავისი შეთავაზებები კონკურენტების შეთავაზებებისგან.

მეოთხე მიდგომა, რომელსაც ჩვენ გავაანალიზებთ არის ბრენდინგის, როგორც პრაქტიკის განხილვა, რომელსაც მედია კომპანია ახორციელებს ბაზარზე წარმატების მისაღწევად

პროდუქტის დიფერენციაციის გზით. აღნიშნული მიდგომით, ბრენდინგის პროცესი განხილულია, როგორც ერთგვარი სტრატეგია ბრენდის დიფერენციაციის გზით მომხმარებელთა პოზიტიური დამოკიდებულების გამოწვევის, აუდიტორიის გაზრდისა და ბრენდის მიმართ ლიალურობით კონკურენტული უპირატესობის შესაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ ბრენდინგი, როგორც წესი, განიხილება, როგორც მედია პროდუქტებისა და სერვისების დიფერენცირების ტაქტიკა მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებით, ასევე არიან მეცნიერები, რომლებიც წარმოადგენენ ბრენდირებას, როგორც სტრატეგიულ პროცესს (მაგ. Chan-Olmsted & Cha, 2008, გვ. 35).

როდესაც გარემო სტაბილურია, მსხვილი მედიაკორპორაციები იყენებენ მათ ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს, ანუ მომხმარებლებს. მათ სურთ შექმნან ძლიერი და ხანგრძლივი კავშირი თავიანთ აუდიტორიასთან - დაუკავშირდნენ არსებულ და პოტენციურ მაყურებელს, მსმენელს ან მკითხველს, მათთვის ხელსაყრელი ნებისმიერი გზით. ბრენდის მენეჯმენტი წარმოიშვა, როგორც მენეჯერული ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს მედიასაშუალებებს კომუნიკაციის ამ განზომილებების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში.

მეხუთე მიდგომა ბრენდებისა და ბრენდინგის კონცეპტუალიზაციისთვის, არის ბრენდის განხილვა კონკრეტული აქტივის თვალსაზრისით, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ ბრენდის კაპიტალს. მედიაბრენდების ადრეულ კვლევებში, ბრენდის კაპიტალის კონცეფცია გამოიყენებოდა ბრენდების, როგორც ფინანსური და სიმბოლური აქტივების ღირებულების შესასწავლად. ბრენდის კაპიტალის ცნება ეხება მომხმარებელთა დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტული ბრენდისადმი. ბრენდის კაპიტალი მნიშვნელოვანი აქტივია კომპანიისთვის, რათა მოიპოვოს მდგრადი კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე. კომპანიები მიზნად ისახავენ გააუმჯობესონ თავიანთი ბრენდის კაპიტალი სხვადასხვა მარკეტინგული გათვლებით.

ბრენდის კაპიტალი აღწერს ურთიერთობას ბრენდსა და მომხმარებელს შორის ინდივიდუალური და კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ბრენდის იმიჯი ეხება მომხმარებელთა აღქმას მედიაბრენდისა და მისი პროდუქტების შესახებ. ეს კონცეფცია მჭიდრო კავშირშია ბრენდის ასოციაციის კონცეფციასთან, ანუ მომხმარებელთა მიერ ბრენდის შესახებ გონებრივ სურათებთან. სხვა კონცეფციები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრენდის კაპიტალთან მეცნიერულ კვლევებში, არის მომხმარებელთა კმაყოფილება და ბრენდის ლოიალობა.

მედია კომპანიის თვალსაზრისით, ბრენდის კაპიტალი არის აქტივი, რომელიც საშუალებას აძლევს მას მიაღწიოს ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას თავისი პროდუქტისთვის. კვლევები ასევე მიუთითებს, რომ ბრენდის კაპიტალი არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბრენდს მარკეტინგული მიზნების მიღწევაში. ბრენდის კაპიტალი არის მნიშვნელოვანი აქტივი,

რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს უკეთესი ფინანსური შედეგი და შექმნას მდგრადი კონკურენტული უპირატესობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მედია მენეჯმენტის სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევის უმეტესი ნაწილი ფოკუსირებულია ბრენდინგთან დაკავშირებული პრაქტიკული, ტაქტიკური და მომხმარებელზე ორიენტირებული საკითხების შესწავლაზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კვლევის არეალის შემდგომი განვითარება სარგებელს მოუტანს:

- ბრენდინგის პროცესის თეორიული საფუძვლების გაძლიერებას;
- მედიაბრენდების სტრატეგიული სვლების კვლევასა და ანალიზს;
- მედიაბრენდენდების კონცეპტუალური მოდელების ტრანსფორმირების პროცესის უკეთ შესწავლას.

პირველ რიგში, საჭიროა უფრო მეტი თეორიული კვლევა ბრენდებზე, რომლებიც ყველაზე მეტად ითვალისწინებენ მედია ინდუსტრიის სპეციფიკურ ხასიათს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით დღემდე, მხოლოდ რამდენიმე მეცნიერმა გამოაქვეყნა სტატიები, რომლებიც კონცენტრირებულია კონცეპტუალურ განვითარებაზე ან გვთავაზობს ახალ თეორიულ მიდგომებს მედია ბრენდების მიმართ უკვე არსებული თეორიის საფუძველზე.

აქამდე არსებული კვლევების დიდი ნაწილი ეყრდნობა მოქმედ პრაქტიკაზე ორიენტირებულ კონცეფციებსა და მოდელებს, რომლებიც დანერგილია პოპულარულ სახელმძღვანელოებსა და მენეჯმენტის ლიტერატურაში. ეს ცნებები და მოდელები, უმეტესწილად, მორგებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც ამჟამად მოქმედებენ მედია კომპანიები. მაგრამ თანამედროვე მედია ინდუსტრიის დინამიურ და მუდმივად ცვალებად ბიზნეს გარემოში საჭიროა მეტი თეორიული მუშაობა ბრენდებზე და ბრენდინგზე, რომელიც ითვალისწინებს სპეციფიკურ პირობებს, რომელშიც სამომავლოდ მოუწევთ ფუნქციონირება თანამედროვე მედია ორგანიზაციებს.

აგრეთვე, საჭიროა კვლევა, რომელიც ემპირიულად შეისწავლის და თეორიულად დაამუშავებს მედია ბრენდების სტრატეგიულ ხასიათს. უკვე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ბრენდი განიხილება ძირითადად, როგორც ტაქტიკური ინსტრუმენტი მომხმარებლებისთვის მედია პროდუქტების მარკეტინგულად შესაფუთად და სმდგომ მისაწოდებლად.

აქამდე თითქმის არ ექცეოდა ყურადღება ბრენდინგის სტრატეგიულ ხასიათს. სამომავლოდ, საჭირო იქნება თეორიულად დახვეწილი კვლევა ტრანსნაციონალური მედიაბრენდების სტრატეგიული ინსტრუმენტებისა და აქტივების შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ ქმნიან თავად ამ ორგანიზაციის ინტელექტუალურ კაპიტალს.

და ბოლოს, საჭიროა მეტი ანალიტიკური ყურადღების მიქცევა ბრენდის მენეჯმენტის გამოწვევებზე და სირთულეებზე თანამედროვე მედია ინდუსტრიის პირობებში. ისევე როგორც, უნდა მოხდეს საერთაშორისო მედიაბრენდების კონცეპტუალური მოდელების ტრანსფორმირების პროცესის დეტალური აღწერა და ანალიზი, იმის გასარკვევად თუ რა სირთულეებთან არის ეს პროცესი დაკავშირებული.

დასკვნა

დასასრულს, შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიაბრენდები და ზოგადად ბრენდინგის პროცესი წარმოადგენს ნაკლებად შესწავლილ კვლევის სფეროს, რომელიც ითხოვს მეტი მეცნიერის ყურადღებას. ასევე, დარგის წარმატებული პრაქტიკული განვითარებისთვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია, რომ მედია ორგანიზაციების წინაშე არსებული ცვლილებები და გამოწვევები მკაფიოდ და ზუსტად იყოს გაანალიზებული და ჩამოყალიბებული.

არსებული თეორიული მოდელებისა და ჩარჩოების გადახედვა მედიაბრენდების წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრისათვის საკმარისი არ არის. აუცილებელია შემუშავდეს ახალი მიდგომები და კონცეპტუალური სტრუქტურები. მთლიანობაში, როგორც ჩანს, კონკურენტულ გარემოში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მედია კომპანიებმა გააფართოვონ თავიანთი წარმოდგენები ბრენდისა და ბრენდინგის პროცესის შესახებ. ჯერჯერობით, მედია ინდუსტრიაში ბრენდების შესახებ დისკუსია და დებატები საკმაოდ შეზღუდულია.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს ვიწრო გაგება ხელს უშლის ბრენდებს საკუთარი რესურსებისა და აქტივების ეფექტურად გამოყენებაში. შესაბამისად, მომავალში მედია მენეჯმენტის სფერო მნიშვნელოვნად ისარგებლებს თუკი გაჩნდება საკითხისადმი ბევრად უფრო ფართო, სტრატეგიული მიდგომები. ბრენდის შექმნა მარკეტინგის განყოფილებაში მყოფი ოპერატიული ფუნქციიდან უნდა ამაღლდეს სტრატეგიულ, კორპორატიულ დონეზე. მედიაბრენდები კი არსებული კონკურენციის პირობებში, მომავალშიც გააგრძელებენ საკუთარ მიზანს, აითვისონ არც შეიძლება მეტის ქვეყნის საინფორმაციო სივრცე. გახდნენ ბაზარზე მონოპოლისტები და აიძულონ ლოკალური მედიასაშუალებები უპირობოთ მიიღონ მათ მიერ ნაკარნახევი სარედაქციო პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Albarran, A. B. (2006). Historical Trends and Patterns in Media Management Research. In A. B. Albarran, S. M. Chan-Olmsted. & M. O. Wirth (Eds.), Handbook of Media Management and Economics. New York & London: Routledge.

2. Arrese Reca, Á. (2006). Issues in Media Product Management. In A. B. Albarran, S. M. Chan Olmsted. & M. O. Wirth (Eds.), Handbook of Media Management and Economics. New York & London: Routledge.

3. Bucy, E. P. (2004). Second Generation Net News: Interactivity and Information Accessibility in the Online Environment. The International Journal on Media Management, 6(1&2), 102–113.

4. Chan-Olmsted, S. (2011). Media Branding in a Changing World: Challenges and Opportunities 2.0. The International Journal on Media Management, 13(1), 3–19.

5. Doyle, G. (2006). Managing Global Expansion of Media Products and Brands: A Case Study of For Him Magazine. The International Journal on Media Management, 8(3), 105–115.

6. Dubois, A., & Gadde, L.-E. (2002). Systematic Combining: An Abductive Approach to Case Research. Journal of Business Research, 55(7): 553–560.

7. Ellonen, H.-K., Tarkiainen A., & Kuivalainen O. (2010). The Effect of Magazine Web Site Usage on Print Magazine Loyalty. The International Journal on Media Management, 12(1), 21–37.

8. Förster, K. (2011). Key Success Factors in TV Brand Management: An International Case Study Analysis. Journal of Media Business Studies, 8(4), 1–22.

9. Tsoukas, H., & Knudsen, C. (2003). Introduction: The Need for Meta-theoretical Reflection in Organization Theory. In H. Tsoukas, & C. Knudsen (Eds.), The Oxford Handbook of Organization Theory. Oxford: Oxford University Press.

10. Van den Bulck, H., Tambuyzer, S. & Ackx, S. (2011). Readers' Responses to Product+ Strategies of Print Media Brands: Increasing Readership or Commoditization of Print Media? The International Journal on Media Management, 13(1), 71–85.

11. Voorveld, H. A. M., Bronner F. E., Neijens P. C. & Smit, E. G. (2013): Developing an Instrument to Measure Consumers' Multimedia Usage in the Purchase Process. The International Journal on Media Management, 15(1), 43–65.

12. Will, M. (2001). Why Communications Matter for Media Management? Editorial Introduction. The International Journal on Media Management, 2(3), 143–146.

13. Yi, K., & Kim, W.-G. (2008). The Battle Between Portals and Multimedia Content Sites in the UCC Market: Who is Stronger in Terms of Brand Equity? The International Journal on Media Management, 10(3), 112–121.

საქართველოში სამშენებლო სექტორის განვითარების ანალიზი
Analysis of construction sector development in Georgia

თამარ მარგიანი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი. ასისტენტ პროფესორი
Tamar Margiani - Caucasus International University
Doctor of Business Administration. assistant professor
ირაკლი დოჭვირი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Irakli Dochviri - Caucasus International University
Associate Professor

აბსტრაქტი. უძრავი ქონების ისტორია იწყება უძველესი ცივილიზაციებიდან, როდესაც ადამიანებმა პირველად დაიწყეს მუდმივი სახლებისა და ნაგებობების აშენება. დროთა განმავლობაში უძრავი ქონების ინდუსტრია განვითარდა ურბანული მოსახლეობის ზრდის პროპორციულად და ცვალებადი სამყაროს საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა, როგორიცაა ინდუსტრიული რევოლუცია და დიდი დეპრესია მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მასზე.

ახალ ეკონომიკურ პირობებში რადიკალურად იცვლება სამშენებლო საწარმოების მართვის პრინციპები და მეთოდები, რაც დაკავშირებულია საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებასთან, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, კონკურენციის გაზრდასთან, ეკონომიკური კავშირებისა და ურთიერთობების ცვლილებასთან. ამასთან ტექნოლოგიების განვითარებამ კერძოდ: უძრავი ქონების პლატფორმებმა, ხელოვნურმა ინტელექტმა და ვირტუალური რეალობის გამოიყენებამ უძრავ ქონებას უფრო ღრმა და ინტერაქტიული გამოცდილება შესძინა.

სამშენებლო სექტორის გააქტიურების, შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს ის, რომ საქართველოში ათწლეულების განმავლობაში არ არსებობდა იპოთეკური ბაზარი და შეფასებითი საქმიანობა. ამ გარემოებამ განაპირობა საბინაო იპოთეკური სესხის, ეროვნული სისტემის ფორმირებისა და განვითარების პრობლემებზე მიძღვნილი სამეცნიერო კვლევების არარსებობა. თანამედროვე პუბლიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი კი მეტწილად ჟურნალისტურია და სულაც არაა სამეცნიერო ხასიათის.

პრობლემის არასაკმარისმა ცოდნამ და მის თეორიულ დასაბუთებაზე პრაქტიკულმა მოთხოვნამ განაპირობა ამ თემის ფუნდამენტალური შესწავლის აუცილებლობა.

საქართველოში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრი განსაკუთრებით დედაქალაქში განვითრდა, რაც განპირობებულია:

- სოფლად არსებული უმუშევრობის და სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მასობრივი მიგრაციით;
- საზღვარგარეთ მოსახლეობის ემიგრაციის შედეგად წარმოქმნილი სურვილებით გაიუმჯობესონ თავიანთ სამშობლოში ოჯახების ცხოვრების დონე ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლით;
- გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავლის სტაბილურობით;
- მოგების მიღების შესაძლებლობით;
- ხელსაყრელი პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის;
- ომის შედეგად გაზრდილი მიგრაციით;
- უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის ზრდით.

ყოველივე აღნიშნულმა მიმზიდველი გახადა უძრავი ქონების ბაზარი ინვესტიციებისათვის.

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების გაფართოება და გაღრმავება ყოველი სამშენებლო საწარმოს წინაშე აყენებს ბაზარზე პოზიციის შესანარჩუნებლად მიმართულებებისა და ზომების მოძიების აუცილებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე თემა ფრიად ინოვაციურია და პასუხობს თანამედროვე ეკონომიკის გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: პირველადი უძრავი ქონება, მეორადი უძრავი ქონება, იპოთეკური სესხი, ესქრო ანგარიში.

Abstract. The history of real estate dates back to ancient civilizations when people first began building permanent homes and structures. Over time, the real estate industry has evolved in proportion to the growth of the urban population and to meet the needs of a changing world. Major historical events such as the Industrial Revolution and the Great Depression had a significant impact on it.

In the new economic conditions, the principles and methods of managing construction enterprises are radically changing, which is related to the variety of forms of ownership, the development of market infrastructure, increased competition, changes in economic connections and relations. In addition, the development of technologies in particular: real estate platforms, artificial intelligence and the use of virtual reality have given real estate a deeper and more interactive experience.

The need to activate and study the construction sector is conditioned by the fact that for decades there was no mortgage market and appraisal activity in Georgia. This circumstance led to the absence of scientific studies dedicated to the problems of housing mortgage loans, the formation and development of the national system. An important part of modern publications is largely journalistic and not at all scientific in nature.

Insufficient knowledge of the problem and the practical demand for its theoretical justification led to the necessity of a fundamental study of this topic.

The residential real estate market in Georgia has developed especially in the capital, which is due to:

- unemployment in rural areas and mass migration of rural population to cities;
- Desires arising as a result of emigration of the population abroad to improve the standard of living of families in their homeland by moving to a new place of residence;
- the stability of the rental income;
- with the possibility of making a profit;
- Favorable conditions for citizens of foreign countries;
- increased migration as a result of the war;
- With the increase in demand in the real estate market.

All of these made the real estate market attractive for investments.

The expansion and deepening of market relations in the country puts in front of every construction enterprise the need to find directions and measures to maintain its position in the market.

Based on this, the topic is very innovative and responds to the challenges of the modern economy.

Keywords: primary real estate, secondary real estate, mortgage loan, escrow account.

შესავალი

თანამედროვე პირობებში სამშენებლო სექტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკურ განვითარებაში. იგი საკმაოდ კაპიტალტევადია და ქმნის სამუშაო ადგილების დიდ რაოდენობას, ასევე საზოგადოების ძირითად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, მის მიერ წარმოებული პროდუქტი, როგორიცაა საცხოვრებელი, ურბანული ინფრასტრუქტურა, გზები და ა.შ.

ეკონომიკური შინაარსის თვალსაზრისით, სამშენებლო სექტორი არაერთგვაროვანია. იგი წარმოადგენს ორგანიზაციებისა და საწარმოების მახასიათებლების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ძირითადი საშუალებებით ახლის შექმნის და გაუმჯობესების პროცესს.

ადამიანური საჭიროებების მოთხოვნილების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორია, რომლის უზრუნველყოფის ხარისხი განსაზღვრავს მოქალაქეების ცხოვრების დონეს და მიუთითებს მათ სოციალურ კეთილდღეობაზე. სააბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება სწორედ ხალხის კეთილდღეობაზე და მათი სიმდიდრის ხარისხზეა დამოკიდებული. ბინათმშენებლობა, როგორც სტრუქტურის ფორმირების ფაქტორი, უზრუნველყოფს: სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მეტალურგიის სექტორების განვითარებას.

აღსანიშნავია მისი წვლილი ბიუჯეტის ფორმირების პროცესშიც. საბინაო მშენებლობას დიდი როლი აკისრია ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა: ქვეყნის რესურსების გამოყენება და უმუშევრობის შემცირება.

1. სამშენებლო სექტორის განვითარების თავისებურებები

ბაზრების ზოგად სისტემაში შეგვიძლია გამოვყოთ უძრავი ქონების ბაზარი, რომელშიც საბაზრო საქონლად გვევლინება უძრავი ქონება. უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვანია კომპონენტია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, ვინაიდან უძრავი ქონება არის ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი და მასში მოიაზრება როგორც ბუნებრივი რესურსები (ნიადაგი, წყალი, მინერალები და მცენარეული რესურსები) ასევე შენობები და ნაგებობები.

უძრავი ქონების ბაზარი წარმოადგენს კაპიტალური დაბანდებების სფეროს ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც წარმოიქმნება უძრავი ქონების გარიგებების დროს, როგორიცაა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, გაქირავება და ა.შ.

უძრავი ქონების ბაზრის გარეშე ვერ იარსებობდეს სხვა ბაზარები, ვინაიდან შრომის ბაზარი, კაპიტალის ბაზარი, საქონლისა და მომსახურების ბაზარი თავისი არსებობისთვის უნდა ფლობდეს ან უნდა ქირაობდეს უძრავი ქონებას თავისი საქმიანობის განსახორციელებლად.

ამრიგად, უძრავი ქონება წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს, რომლითაც ხორციელდება ოპერაციები უძრავი ქონების ბაზარზე.

უძრავი ქონების სტრუქტურა მოიცავს: უძრავ ქონებას; ბაზრის სუბიექტებს; ბაზრის ფუნქციონირების პროცესებს და ბაზრის ინფრასტრუქტურას.

უძრავი ქონების ბაზრის მაგალითით შეგვიძლია გამოვყოთ საცხოვრებლის ორი ძირითადი ტიპი - პირველადი და მეორადი.

მეორადი საცხოვრებელი ნიშნავს, რომ ობიექტები ადრე იყო ვიღაცის საკუთრებაში და გაყიდვისას იქნება უფლებები გადაცემული ახალ მესაკუთრეზე. ამრიგად, უძრავი ქონების მეორადი ბაზარი არის ყველა ქვეყნის საცხოვრებელი ქონების მთლიანობის ნაწილი, რომელმაც გაიარა სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურა და იყიდება ბაზარზე მფლობელების მიერ.

პირველადი უძრავი ქონება - მოიცავს მოიცავს იმ უძრავი ქონების ობიექტებს, რომელზეც საკუთრების უფლება პირველად გაიცემა, ე.ი. ის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები, რომლების წარმოადგენენ მშენებარე შენობებს ან ახლად აშენებულები, რომლებიც ახლახან არიან ექსპლუატაციაში შესულები. იგი იყიდება სამშენებლო კერძო კომპანიების საკუთარი ოფისების ან შუამავლების მეშვეობით. ზოგადად პირველადი უძრავი ქონების ბაზარი - ეს არის ახალად შექმნილი ობიექტების გაყიდვის, გარიგებების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ბინებს ახალაშენებულ და პრივატიზებულ ობიექტებში, რომლებიც ადრე არ იყო რეგისტრირებული

სახელმწიფო უძრავი ქონების რესტრში და რომლებმაც, ახლახან გაიარეს იგი. პირველადი ბაზრის მეშვეობით უძრავი ქონება ეკონომიკურ ბრუნვაში ერთვება.

დღეს, უძრავი ქონების ფასების მუდმივი ზრდის და მოსახლეობის ფენებს შორის თავისუფალი ფინანსური რესურსების შესაძლებლობამ მოსახლეობას საშუალება მისცა შეიძინოს უძრავი ქონება, მაგრამ ყველას არ შეუძლია უძრავი ქონების შეძენა მთელი ფასის სრულად გადახდით. ასევე გაჩნდა ბინების შეძენის ტენდენცია საკრედიტო სახსრების მეშვეობით. ამჟამად ეკონომიკური სუბიექტების მიერ აქტიურად გამოიყენება დაკრედიტების ერთ-ერთი ფორმა - იპოთეკური სესხი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში იპოთეკის უფლება დამკვიდრდა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, სანივთო უფლება.[22] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლი განსაზღვრავს ,,იპოთეკის“ ცნებას, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებას. უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით.[23]

იპოთეკური საბინაო დაკრედიტება, ხელს უწყობს საჭირო ეკონომიკური ეფექტის მიღებას, როგორც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, ასევე მომავალში. ეს ეფექტებია: ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა; სესხების გატანა ბანკებიდან და არასაბანკო დაწესებულებებიდან; ფონდებიდან და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან; მოსახლეობის შემოსავლები და ა.შ.

იპოთეკური სესხის სისტემის დაფინანსების ძირითადი წყაროები დღეს მოიცავს საბანკო სესხებს და კერძო პირების სახსრებს.

დაფინანსების წყაროების ფორმირებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- ქვეყნის სახემწიფო მმართველობის სისტემა;
- ეკონომიკური ინფრასტრუქტურა,
- პოლიტიკური რისკები, რომლებიც ამცირებს იპოთეკური სისტემის განვითარების ტემპს და დაკრედიტებას;
- საგადასახადო რისკები, რომლებიც ანელებს ქვეყანაში საინვესტიციო პროცესებს;
-საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, რომელიც არ იძლევა სრულყოფილებას გარანტიებს კრედიტორებისა და კაპიტალის მფლობელებისთვის.

[22] ლ. ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 1999, გვ.53
[23] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ, 1999, გვ. 486

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებში ეს ფაქტორები საქართველოში საინვესტიციო კლიმატის მიმზიდველობას ამცირებს, ვერ ხერხდება და უცხო ქვეყნებიდან კაპიტალის ეფექტურად მოზიდვა.

თუმცა, დღეს პირდაპირი ინვესტიციების თვალსაზრისით საქართველოს უძრავი ქონების მშენებლობის პოზიცია დამაიმედებელი ჩანს.

საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებში, იპოთეკა წარმოადგენს ეფექტური ინსტრუმენტს ფინანსური ვალდებულებების გადახდის უზრუნველსაყოფად და საიმედო გარანტს კრედიტორებისათვის. გარდა ამისა, იპოთეკა უზრუნველყოფს ეროვნული სიმდიდრის ეფექტურ მფლობელებზე გადაცემას და ხელს უწყობს რთული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას თანამედროვე ადეკვატური მეთოდების გამოყენებით. მისი საშუალებით იჭრება არა მხოლოდ სოციალური საკითხები, რომელთაგან მთავარია საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა, ასევე ეკონომიკური.

საცხოვრებლის მოთხოვნის სტიმულირება, გავლენას ახდენს მთლიანობაში ეკონომიკის ეკონომიკურ ზრდაზე. გარდა ამისა, საბინაო მშენებლობა შეიძლება გახდეს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისად სტაბილური და დადგენილი ეფექტური მოთხოვნა მის პროდუქტებზე.

მიუხედავად ამისა მრავალი შემთხვევაა, როდესაც დეველოპერი რაიმე მიზეზით ბლოკავს ობიექტის მშენებლობას უძრავი ქონება და მყიდველები ინვესტიციებისა და შეძენილი საცხოვრებლის გარეშე რჩებიან, სახელმწიფომ, როგორც უძრავი ქონების ბაზრის განვითარების სამართლებრივი სფეროს მთავარმა მარეგულირებელმა, ასეთი რისკები კანონით გათვალისწინებული დამატებითი იურიდიული ნომრების მიღებით უნდა უზრუნველყოს.

სამშენებლო პროექტების უზარმაზარ და რთულ ფინანსურ სექტორში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამჭვირვალობას, ნდობას და უსაფრთხოებას. ამიტომ გადაუდებლად უნდა განხორციელებულიყო ამ სფეროში ეგრეთ წოდებული ესქრო (Escrow account)[24] ანგარიშების წარმოება. სამშენებლო პროექტებში ესქრო ანგარიშების როლისა და მნიშვნელობის გაგება გადამწყვეტია როგორც კლიენტებისთვის, ასევე კონტრაქტორებისთვის, რათა დაიცვან თავიანთი ინტერესები და უზრუნველყონ შეუფერხებელი ფინანსური ტრანზაქციები.

ესქროს ანგარიშები იხსნება იმავე ბანკში, რომელიც სესხს აძლევს ამ მშენებლობას.

ესქრო ანგარიში არის სპეციალური საბანკო ანგარიში, რომელშიც ფული ინახება მანამ მშენებელსა და მყიდველს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ დაკმაყოფილდება. მომსახურებას, ასეთი ანგარიშის გახსნის წარმოებაზე ანხორციელებენ ბანკები, ისინი მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი შუამავლები და აკონტროლებენ

[24] https://www.escrow.com/what-is-an-escrow-account

ხელშეკრულების პირობების შესრულებას. ანგარიშსწორების ახალი მექანიზმი იმგვარდაა შექმნილი, რომ მშენებელი მიიღებს ფულად სახსრებს მხოლოდ კონკრეტული ეტაპების ან ვალდებულებების შესრულების შედეგად, რაც ამცირებს მყიდველის ფინანსური ზარალის რისკს. ესქრო შეთანხმებები ხშირად გულისხმობს მკაფიო ფინანსურ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს როდის და როგორ გამოიყოფა თანხები. ეს სიცხადე ორივე მხარეს სთავაზობს სტრუქტურირებულ ფინანსურ საგზაო რუკას და ამით უზრუნველყოფს სიურპრიზების არარსებობას.

თუ მშენებელს შეექმნება პრობლემები სახლის მშენებლობის დასრულებამდე და ვერ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ ბანკი უზრუნველყოფს მყიდველისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას. ასევე დავის შემთხვევაში, თანხები დაცულია ესქროს ანგარიშზე საკითხის გადაწყვეტამდე. ამრიგად, ეს სისტემა იცავს მყიდველს მშენებლობის უეცარი შეწყვეტის ან მშენებლობის გაყინვის რისკებისაგან.

თუმცა ექსროს აქვს გარკვეული ნაკლოვანებები:

- საქართველოში ყველა ბანკი არ მუშაობს ექსროს ნაგარიშებით;
- ესქროს ხელშეკრულების პირობების სირთულე, რაც მოითხოვს საფუძვლიან გაგებას და მოლაპარაკებას;
- პოტენციური შეფერხებები, თუ არ არის ეფექტური მართვა, ესქროს ანგარიშებიდან თანხების გათავისუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს შეფერხებები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არ სრულდება სახელშეკრულებო ვალდებულებება.
- სანამ ფული დევს ესროს ანგარიშზე, მას არ მოაქვს მოგება - განსხვავებით სადეპოზიტო ანგარიშისა როდესაც მასზე ირიცხება პროცენტი.
- კრედიტის გატანის საკომისიო.

მშენებლობის მრავალმხრივ სამყაროში, სადაც დიდი თანხები გადაირიცხება და პროექტები გრძელვადიანია, ესქროს ანგარიშები ფინანსური ნდობისა და უსაფრთხოების საყრდენებად დგას. ნეიტრალური ფინანსური შუამავლების მომსახურებით, ისინი ამსუბუქებენ ფინანსურ რისკს, ხელს უწყობენ ნდობას და ქმნიან გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პროექტის წარმატებით დასრულებას. ნებისმიერი სამშენებლო პროექტისთვის, რომელიც მიზნად ისახავს სწორი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, ესქროს ანგარიშის გამოყენება არ არის მხოლოდ გონივრული გადაწყვეტა - ეს აუცილებელი მოცემულობაა.

2. საქართველოს სამშენებლო სექტორი

ამ ეტაპზე საქართველოში სამშენებლო სექტორო წარმოდგენილია ფრაგმენტულად დამოუკიდებლად მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების სახით, რომლებსაც აქვთ საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლები.

სამწუხაროდ, საქართველოში უძრავი ქონების ბაზარის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა, თბილისზე, მის მახლობელ ქალაქებზე და საკურორტო ზონებზე მოდის.

რაც შეეხება სოფლებს და ცენტრიდან დაშორებული აქ უძრავი ქონების მშენებლობის თვალსაზრისით მძიმე სიტუაციაა, რადგან დიდ ინვესტორებს (ფიზიკურ პირებს), ასევე ორგანიზაციებს არ აქვთ სურვილი განიხილონ საინვესტიციო პროექტები, რადგან პრაქტიკაში, ინვესტიციები დამოკიდებულია პროექტის მაღალ სარგებელზე და სწრაფად დაბრუნებადობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის შემდეგ სხვა პროცესებთან ერთად მშენებლობის პროცესებიც განახლდა, გაჩნდა სხვა პრობლემები, კვალიფიციურო პერსონალის დეფიციტი, სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდა, შრომითი ძალის იმიგრაცია და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნულისა საქართველოს მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს სამშენებლო სექტორს და ა.გ 2016 წლიდან მოყოლებული მერიამ მიიღო ახალი რეგულაციები, რამაც ხელი შეუწყო შეჩერებული მშენებლობების დასრულებას, რაც გულიხმობდა ახალ კომპანიებისთვის მაღალ სამშენებლო კოეფიციენტის მიცემას თუ ისნის ძველი მშენებლების ვალდებულებებს გადაიბარებდენ. ასევე ახალი მშენებლები გაანთავისუფლეს დამატებითი ღირებულების გადასახადისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტისგან, რამაც ხელი შეუწყო 100-ზე მეტი წლობით გაჩერებეული საცხოვრებელი კორპუსის დასრულებას.

ასევე საქართველოში 2021 წლის 1 სექტემბრიდან ხორციელდება შეღავათიანი იპოთეკური პროგრამა - ,,სუბსიდირებული იპოთეკური სესხი“[25], რომელიც გულისხმობს იპოთეკურ სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სუბსიდირებას 5 წლის მანძილზე. სახელმწიფო აუნაზღაურებს ბანკს პროცენტის ნაწილი. სესხის მაქსიმალური მოცულობა 200 000 ლარია და პროგრამის ბენეფიციარები არიან ოჯახი, მარტოხელა მშობელი ან ქვრივი თუ სესხის აღების მომენტში ჰყავს 1 წლამდე ასაკის, აყვანილი ან 3 ან მეტი არასრულწლოვანი შვილი. ასეთი სუბსიდიების წყალობით, იპოთეკა მსესხებელს წელიწადში შეუმცირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3,5 %- ის, მაგრამ არაუმეტეს 6 %-ის, თუ მსესხებელს ჰყავს 1 ან 2 შვილი, სესხის პროცენტს გამოკლებული რეფინანსირების განაკვეთს 1.5%, არაუმეტეს 8%-ის ოდენობით.

ამჟამად უძრავი ქონების ფასები კვლავ ზრდას განაგრძობს. ამასთან ინვესტიციები უძრავ ქონებაში ყველაზე მომგებიან და დანაზოგის სარფიან დაბანდებად იქცა. რაც დასტურდება 2023

[25] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5231778?publication=0

წლის მონაცემებით. მთლიანი გამოშვების სტრუქტურაში სამშნებლო სექტორს 12%[26] უკავია და ჩამორჩება მხოლოდ დამამუშავებელ მრეწველობას და საბითუმო და საცალო ვაჭრობას. სამშნებლო სექტორზე მაღალ მოთხოვნას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქართველოს საქსტატის ეროვნული მონაცემების მიხედვით სამშენებლო სექტორზე გაცემული ახალი ნებართვები 11 279,[27] რაც ჯამში 9 379 223 კვადრატული მეტრია და ბოლო ათ წელში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.



სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ახალ მოთხოვნებს აკისრებს საწარმოების ფუნქციონირებას, რომელთა საქმიანობა ორიენტირებული უნდა იყოს სამშენებლო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, სახელშეკრულებო ურთიერთობების დაცვაზე, მათი გარღვევისა და მომგებიანობის უზრუნველყოფაზე, საწარმოთა საინვესტიციო და საწარმოო პოტენციალის რაციონალურ გამოყენებაზე. მაგალითად მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონებში, მრავალბინიანი სახლის ეზოებში და საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტის საფუძველზე დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში და წარმოადგენს მთლიანი ფართის 30%.

ამ სექტორშია დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 2 040ლარია, რაც საშუალო ხელფასის 132%-ია. სამშენებლო ბიზნესში რეგისტრირებულია 34 084სუბიექტი, მათგან აქტიურ საქმიანობს 17 654 კომპანია ახორციელებს .[28]

ყველაზე მაღალი ფასი ცენტრალურ უბნებზე - ვაკე, საბურთალო და მთაწმინდაზეა დაფიქსირებული. გაყიდვების კუთხით ყველაზე დიდი მოთხოვნა გლდანზე, დიდი დიღომზე და ვარკეთილზე მოდის.

[26] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
[27] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/621/informatsia-msheneblobaze-gatsemuli-nebartvebisa-da-ekspluatatsiashi-mighebuli-obiektebis-shesakheb
[28] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/65/sakmianobis-sakheebis-mikhedvit

უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ზრდამ გამოიწვია არა მარტო ფასების, არამედ იპოთეკური კრედიტების საპროცენტო განაკვეთის ზრდა.

უძრავი ქონების ფასების ბოლო წლების ანალიზით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომდევნო წლებში როგორც უძრავი ქონების ასევე მიწის ფასი კვლავ გაიზრდება. მთავარი ფაქტორები, რომლებიც გავლენას მოახდენს საბაზრო ურთიერთობებზე უძრავი ქონების სექტორში მომავალი წლების განმავლობაში იქნება ,,სუბსიდირებული იპოთეკური სესხის" პროგრამა, იმიგრირებული მოსახლეობის სიმრავლე, არარეზიდენტების მიერ უძრავი ქონების შესყიდვის შესაძლებლობა და დარჩენილი მიწის რესურსების სიმცირე.

დასკვნა

სამშენებლო სექტორი ხასიათდება ეკონომიკური მართვის ნიმუშებითა და პრინციპებით. ამავდროულად, მშენებლობას აქვს მხოლოდ ამ ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მისი პროდუქციის უნიკალურ ბუნებასთან და სამშენებლო პროცესებთან. მშენებლობის ობიექტური თავისებურებების გააზრება და გათვალისწინება აუცილებელი პირობაა სამშენებლო წარმოების დაგეგმვის, ორგანიზების, მართვის ფორმებისა და მეთოდების სწორი არჩევანისთვის.

მშენებლობას აქვს გადამწყვეტი გავლენა მატერიალური წარმოების ყველა დარგზე და მასშტაბებზე, ტექნიკურ წინსვლაზე, ქვეყნის ტემპსა და განვითარების პროპორციებზე. როგორც კრიზისიდან გამოსვლის სიჩქარე, ასევე შიდა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დიდწილად დამოკიდებულია სამშენებლო კომპლექსის ეფექტურობაზე.

ამჟამად, ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო საწარმოების ეფექტურ ფუნქციონირებას არის ესქრო საკრედიტო ანგარიშის წარმოება, რომელიც საქართველოს საფინანსო ინსტიტუების მიერ სრულყოფილად არ არის ათვისებული.

სამშენებლო კომპლექსის, მისი საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფო პოლიტიკით სამშენებლო ინდუსტრიის სფეროში. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა შექმნას საწარმოების ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო ყველა დარგში, განსაკუთრებით სამშენებლო, რადგან მის განვითარებაზეა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის მრავალი დარგის ეფექტური ფუნქციონირება.

ბიბლიოგრაფია:

1. Robert L. Peurifoy, Clifford J. Schexnayder, Robert Schmitt, Aviad Shapira, Aaron Cohen ,,Construction Planning, Equipment, and Methods, Tenth Edition'' 2023
2. Ibrahim Faki Ali ,,Construction Industry Development'' 2022
3. Joseph Iano, Edward Allen ,,Fundamentals of Building Construction : Materials and Methods" 2019
4. ლ. ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 1999, გვ.53
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ, 1999, გვ. 486
6. https://www.escrow.com/what-is-an-escrow-account
7. www.matsne.gov.ge- -საქართველოს მთავრობის დადგენილება N388 02.08.2021
8. www.geostat.ge
9. www. nbg.gov.ge

კლასტერიზაციის მნიშვნელობა ტრანსპორტში
Importance of clustering in transport

ანა კურტანიძე - პროფესორი.
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
a.kurtanidze@ssu.edu.ge
Anna Kurtanidze - Professor
Aviation University of Georgia.
Faculty of Business Administration
ლელა ბოჭოიძე - პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სატრანსპორტო სისტემების და მექნიკის ინჟინერიის ფაკულტეტი/ასოცირებული
Bochoidzelela05@gtu.ge
Lela Bochoidze - Associate Professor
Georgia Technical University,
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering
ნინო დარსაველიძე - ასოცირებული პროფესორი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სატრანსპორტო სისტემების და მექნიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
Darsavelidzenino05@gtu.ge
Nino Darsavelidze - Associate Professor
Georgia Technical University,
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering

აბსტრაქტი. მატერიალური წარმოების სფეროებს შორის, მომსახურების გაცვლის მექანიზმი თანამედროვე პირობებში, გარდაიქმნა რთულ და მრავალდარგოვან სატრანსპორტო სისტემად, რომლისთვის დამახასიათებელია, უამრავი, ურთიერთკავშირში მყოფი სატრანსპორტო მეურნეობა, რომლებიც მომსახურებას უწევენ რამოდენიმე ათასობით საწარმოო ობიექტს, სასოფლო-სამეურნეო ობიექტებსა თუ მშენებლობებს. ადამიანთა საზოგადოებრივ- სამეწარმეო საქმიანობის ეს რთული სისტემა დაკავშირებულია მზა პროდუქციის გადაადგილებასთან წარმოების ადგილიდან მომხმარებლამდე და წარმოადგენს მართვის მეცნიერებას ტრანსპორტის დარგში.

კლასტერის განვითარება, ბუნებრივია, დამოკიდებულია თანამედროვე ინფრასტრუქტურაზე. კლასტერის მომსახურებაზე შიდა მოთხოვნის ზრდა, კონკურენტული უპირატესობის თეორიის ტანახმად, კლასტერის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. კლასტერის ინოვაციურ საფეხურზე გადასვლისათვის აუცილებელია მოთხოვნის „ხარისხის“ გაუმჯობესება. რისი მიღწევა შესაძლებელია კლასტერში გაერთიანებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის გაზრდით. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც კლასტერი ინოვესტიციური განვითარების სტადიაზე იმყოფება, მომხმარებელი არასაკმარისად ინფორმირებულია და ამის გამო - ზედმეტად მომთხოვნი. ამ სიტუაციაში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის „ხარისხის“ სტიმულირება და გამოიყენოს შემდეგი ბერკეტები: შექმნას განახლებაზე მორგებული საკანონმდებლო სტანდარტები; განახორციელოს დროული რეფორმები.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო სისტემები, ლოგისტიკური სისტემები, კომპლექსური, კლასტერული, მენეჯმენტი, გლობალიზაცია, ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურა, მულტიმოდალური, ლოგისტიკური ცენტრები.

Abstract Among the areas of material production, the service exchange mechanism in modern conditions has transformed into a complex and multi-disciplinary transport system, which is characterized by numerous interconnected transport farms that serve several thousand production facilities, agricultural facilities and buildings. This complex system of social-entrepreneurial activity of people is related to the movement of finished products from the place of production to the consumer and represents the science of management in the field of transport.

The development of the cluster naturally depends on the modern infrastructure. According to the theory of competitive advantage, the growth of internal demand for cluster services is the most important prerequisite for the further development of the cluster. In order to move to the innovative stage of the cluster, it is necessary to improve the "quality" of demand. What can be achieved by increasing the quality of services provided by the organizations

united in the cluster. But, in the case when the cluster is at the stage of innovative development, the customer is insufficiently informed and therefore too demanding.

Key words: transport systems, logistics systems, complex, cluster, management, globalization, organizational-functional structure, multimodal, logistics centers.

შესავალი

ტრანსპორტის მენეჯმენტის წინაშე მდგარი პრობლემატური საკითხები, მათი სირთულიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, სისტემურ გადაწყვეტას მოითხოვს. სისტემური მეთოდი დიალექტიკური მეთოდის განუყოფელი ნაწილია.

სატრანსპორტო მეურნეობის ეფექტური მართვისათვის მნიშვნელოვანია მართვის ობიექტის სრულყოფილი შესწავლა. რაც მოიცავს მის მდგომარეობას მოცემულ მომენტში, წარსულსა და განვითარები ტენდენციებს, ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ და საწარმოო-ტექნოლოგიურ გარემოში. მართვის ობიექტი შესწავლილი უნდა იქნას როგორც შინაგანად არაერთგვაროვანი - სტრუქტურული სისტემა, რომლის ცვალებადი ელემენტები ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან.

თანამედროვე ტრანსპორტი წარმოქმნის რთულ სისტემას, რომელიც ტრანსპოტის სხვადასხვა სახეს აერთიანებს: საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო, შიდაწყლების, მილსადენ, საჰაერო ტრანსპორტს.

ყველა ფუნქციონალური სფერო: წარმოება, მომარაგება, რეალიზაცია, ტრანსპორტირება, ინფორმაციის გაცვლა - ერთ ჯაჭვს ქმნის, საერთო ინტეგრატორის - მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების - საფუძველზე. შემავალი მატერიალური ნაკადი ბიზნეს-პროცესის განმავლობაში გარდაიქმნება, იგი იძენს ახალ ღირებულებას. ლოგისტიკის დანერგვა მაკროდონეზე, დადებით ზეგავლენას ახდენს სასაწყობე და სატრანსპორტო მეურნეობებზე: მცირდება მარაგები, სატრანსპორტო ხარჯები, ტვირთებთან დაკავშირებული ოპერაციების რაოდენობა.

ყველა სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრისთვის დამახასიათებელია:

სატრანსპორტო ლოგისტიკურ ცენტრებში ფუნქციონირებენ ლოგისტიკური მომსახურების პროვაიდერები - სატრანსპორტო-საექსპედიციო კომპანიები, რომლებიც კომპლექსურ სატრანსპორტოექსპედიციურ მომსახურებას უწევენ კლიენტებს.

კლასტერის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურა ორი მსხვილი ბლოკისაგან შედგება, რომლის ქვესისტემებია - ფუნქციონალური და უზრუნველყოფის ქვესისტემა. რეგიონალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურის შემადგენლობაში შედის:

1. შუამავალი ფირმები, სასაწყობე მეურნეობა,სატრანსპორტო-ლოგისტიკური რისკების მართვის ქვესისტემა, მატერიალური ნაკადების უსაფრთხოებისა და დაზღვევის ქვესისტემა;

2. ყველა სახის ტრანსპორტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სატრანსპორტო ქვესისტემა, რომელიც წამოადგენს სატრანსპორტო კომპლექსს;

სატრანსპორტო-ლოგისტიკური კლასტერი განიხილება, როგორც გეოგრაფიული ნიშნით ლოკალიზებულ კომპანიათა ურთიერთკავშირი. რომელიც სპეციალიზირდება მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვებზე, დასაწყობებასა და ადგილზე მიტანაზე. მასში გაერთიანებული ორგანიზაციები აძლიერებენ ერთმანეთის ძლიერ მხარეებს და ახდენენ კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციას მოცემულ ტერიტორიაზე.

კლასტერული მიდგომა დარგობრივი მიდგომის ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა, რეგიონის კონკურენტუნარიანობას ზრდის ეკონომიკის გლობალიზაციის კონტექსტში.

კლასტერის ფორმირების აქტუალურობის არსი მდგომარეობს სახელმწიფოთაშორის პარტნიორობის განვითარებაში. მისი მიზანია კონკურენტული უპირატესობის რეალიზაცია.

გლობალიზაციის პირობებში, მაღალ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფენ არა ცალკეული ფირმები, არამედ კლასტერები, რომლებიც, ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობაში იმყოფებიან.

ლოჯისტიკური კლასტერების მომსახურებით მსოფლიოს მასშტაბით ბევრი მიწოდების ქსელი სარგებლობს. ისეთი კლასტერები უმეტესად სამომხმარებლო ბაზრებთან ან პორტების და აეროპორტების სიახლოვეს არიან განთავსებული. ლოგისტიკურ კლასტერში, როგორც წესი, დიდი მოცულობის ტვირთები იყრის თავს, რაც მასშტაბური ეკონომიის საშუალებას იძლევა -გადამზიდავები ამცირებენ ცალმხრივ დატვირთვას, ე.წ. „ცარიელი ზურგჩანთების" რაოდენობას, შემდგომი დატვირთვის შესაძლებლობების წინასწარ განსაზღვრის გზით. გარდა ამისა, კლასტერის შიგნით შესაძლებელია რესურსების გაცვლა, როგორიცაა კონტეინერები, სარკინიგზო სარკინიგზო მანქანები, რაც ამცირებს კომპანიების ხარჯებს. ეფექტური კარგო ნაკადების არსებობა აიაფებს ტრანსპორტირების ტარიფებს, იწვევს ვაჭრობის გააქტიურებას და უფრო მეტ კომპანიას იზიდავს კლასტერში. ამასთან ერთად, იზრდება ლოგისტიკურ კლასტერებში დასაქმებულთა რიცხვი.

მიუხედავად სხვადასხვა ევროპულ ლოგისტიკურ ცენტრებს შორის არსებული განსხვავებისა, მათ აერთიანებთ შემდეგი - მულტიმოდალურობის სტიმულირება.

ბოლო მონაცემებით, ლოგისტიკურ სექტორში ევროპაში 7.9 მილიონი ადამიანია დასაქმებული. მათი საშუალო წლიური ხელფასი კი 28,4 ათას ევროს შეადგენს. ლოგისტიკის სექტორი გამოირჩევა მაღალი საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლით, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 2.3%-ს შეადგენს. ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის კლასტერების მიმართულებით ევროპის წამყვან ქვეყნებს შორისაა ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, დანია, საფრანგეთი, ირლანდია და ისლანდია. ლოგისტიკის ინდუსტრია და მასთან დაკავშირებული

კლასტერები სწრაფად მზარდია ბალტიისპირეთის ქვეყნებში. მათ შორის ლატვია გამოირჩევა, სადაც ყველაზე მეტი ლოჯისტიკური კომპანია და „სტარტაპია“ შექმილი.

წარმოების, გადაზიდვებისა და ვაჭრობის გლობალიზაციამ, ჩვენს დროში, მოითხოვა უფრო ეფექტიანი, ლოგისტიკური კლასტერების შექმნის აუცილებლობა, რომლის მეშვეობით სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების რაციონალური მართვაა შესაძლებელი. ეს არის ტვირთის მოძიების, დასაწყობების, ტრანსპორტირების, დისტრიბუციის და მონაცემთა ნაკადების პროცესები. მათი შესრულების საიმედოობა, აქცევს ლოგისტიკას შეუფერხებლად მომუშავე ქსელად.

ამრიგად, სატვირთო გადაზიდვების ორგანიზაციის და მათი მართვის ასპექტები, ლოგისტიკური კლასტერის ცენტრების გავლით, საერთაშორისო მნიშვნელობის მატარებელია. ამიტომ, მოითხოვს საერთაშორისო სამთავრობო დონეზე შეთანხმებულ და თანმიმდევრულ ასახვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://eugeorgia.info/ka/article/817/saqartveloshi-lojistikuri-klasteris-sheqmnis-tarigi-kvlav-ucnobia/ტრანსპორტი და ლოჯისტიკა. 31 მარტი 2020 |
2. „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში 2014წ
3. businesscontact.ge/ka/article.2022.
4. Колодин В. С. Логистическая инфраструктура регионального товарного рынка / В. С. Колодин. Иркутск: Изд-во ИГЭА, 2018. С. 49. 2 Там же. С. 44.

გლობალური გამოწვევების პირობებში ფერმერული ეკონომიკის განვითარების პრობლემები და მათი დაძლევის გზები

Problems of agricultural economy development in the face of global challenges and ways to overcome them

თენგიზ ლაჭყეპიანი - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.
Tengiz Lachkepiani – Professor, Academic Doctor of Economics
Georgian Technical University
t.latchkepiani@gtu.ge
მაია კილაძე - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინჟინერიის აკადემიური დოქტორი
Maya Kiladze - Professor, Academic Doctor of Engineering,
Georgian Technical University
maya_kiladze@yahoo.com
მაია ლომიშვილი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
Maia Lomishvili – Associate Professor, Georgian Technical University,
Academic Doctor of Agricultural Engineering.
lomishvili@gtu.ge
მთვარისა თანანაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის აკადემიური დოქტორ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Mtvarisa Tananashvil - Associate Professor, Academic Doctor of Engineering,
Georgian Technical University
mtvarisa.tananashvili@mail.ru

აბსტრაქტი. სტატია წარმოადგენს კვლევას სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მიდგომების შემუშავებაში. მასში წარმოდგენილია ძირითადი მიღწევები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური განვითარების ეტაპების თეორიის, წარმოების თეორიისა და შემოსავლების უთანასწორობის ურთიერთობის თეორიის მიდგომებში. მონაცემები მოტანილია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის სტატისტიკური სამსახურის პუბლიკაციებიდან, ასევე სამეცნიერო სტატიებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ფერმის ეკონომიკური განვითარების თეორიებთან და ემპირიულ კვლევებთან. კვლევა ეფუძნება ისტორიული მეცნიერების ტრადიციულ მეთოდებს: პრობლემური, შედარებითი ისტორიული და სისტემური. შედეგები აჩვენებს, რომ არ არსებობს ეკონომიკურად ოპტიმალური სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურა. უფრო სწორად, როგორც ჩანს, ის ვითარდება ეკონომიკური განვითარების სტადიასთან ერთად. დღეს, როდესაც მსოფლიო სოფლის მეურნეობა ახალ პირობებში კრიზისს განიცდის, მნიშვნელოვანია ობიექტურად შეფასდეს მსოფლიოს ქვეყნებში მეურნეობების განვითარების გამოცდილება და აქედან მიიღოს საჭირო რეკომენდაციები. თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითადი სფეროებია: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლის გაძლიერება, შესყიდვები, მიწოდება და მარკეტინგის სტრუქტურების შექმნა, სტიმულირება, საკრედიტო თანამშრომლობის განვითარება, ფერმების გლობალური მნიშვნელობის ჯაჭვებთან დაკავშირების ხელშეწყობა და ციფრული ტრანსფორმაცია, სოფლის მეურნეობა.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო მხარდაჭერა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, ფერმერული ეკონომიკა, მეურნეობა, გლობალური ბაზრები, სოფლის მეურნეობის განვითარება.

Abstract. Abstract. The article is a study in the development of agricultural economics approaches.

It presents the main advances used in the approaches of the theory of stages of economic development, the theory of production and the theory of the relationship of income inequality.

The data are brought from the publications of the statistical services of several countries of the world, as well as from scientific articles related to theories and empirical studies of farm economic development.

The research is based on the traditional methods of historical science: problematic, comparative historical and systematic.

The results show that there is no economically optimal agricultural structure. Rather, it seems to evolve along with the stage of economic development. Today, when the world agriculture is experiencing a crisis under new

conditions, it is important to objectively evaluate the experience of the development of farms in the countries of the world and take the necessary recommendations from it. The main areas of development of the modern economy are: strengthening the role of agricultural cooperatives, creation of procurement, supply and marketing structures, stimulation, development of credit cooperation, promotion of connecting farms to global value chains and digital transformation, agriculture.

შინაარსი. დღეს, მეურნეობის განვითარება ახალ ეპოქას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მიღწევაა სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ განვითარებაში, მეურნეობის ამჟამინდელი მოდელი ბევრ პრობლემას აჩენს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა კვლავ დაბალია მრავალი ასპექტით,მაგალითად როგორიცაა სურსათის უვნებლობა და ხარისხი, რაოდენობა, წარმომავლობა. Covid-ის პანდემიისა და კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები, საშინაო შეზღუდვებთან და ეკონომიკურ სისუსტეებთან ერთად, აიძულებს ბევრ ქვეყანას მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდეს ამ ფერმერული მოდელის შემუშავებაში. ასევე გლობალურ სოფლის მეურნეობაში ძლიერი ცვლილებებით, როგორიცაა მაგალითად სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიები. ჩვენი კვლევა ეხება მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ფერმის ეკონომიკური განვითარების სამეცნიერო საფუძვლისა და გამოცდილების სინთეზის, ანალიზის, შედარებისა და შეფასებისთვის. მეურნეობის განვითარება, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ახალ პირობებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია არა მხოლოდ ტერიტორიისთვის, არამედ რეგიონისთვის და მთელი ეროვნული ეკონომიკისთვის. ერთის მხრივ, ფერმერული მეურნეობის განვითარება აუმჯობესებს პროდუქტიულობას, ზრდის ფერმერთა შემოსავალს, მეორე მხრივ, აყალიბებს ინტენსიური მეურნეობის მაღალ სპეციალიზებულ სფეროებს, ზრდის დასაქმებას, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარების ზრდას. ამიტომ აუცილებელია თეორიული საფუძვლების შესწავლა, რათა აღმოვაჩინოთ მეურნეობების ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალები ეკონომიკური თეორიის მიდგომის ფარგლებში. ჩანს, რომ თითოეულ სკოლას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ფერმერული მეურნეობის განვითარების სხვადასხვა დონეზე, რაც მკვლევარებს აინტერესებთ. მაგალითად ვ. როსტოვის ეკონომიკური განვითარების ეტაპების თეორია, რომელიც ასევე ცნობილია როგორც დედუქციური ისტორიული მოდელი ყოფს ეკონომიკურ პროცესს ხუთ ეტაპად: სოციალური ეტაპების ტრადიციულ სისტემას (სოფლის მეურნეობის საფუძველია ეკონომიკა), განვითარებისთვის მომზადების ეტაპი (ეკონომიკის სექტორების გაჩენა, რომლებსაც აქვთ განვითარებისათვის ინვესტიციების მოზიდვა და სტიმულირება), ინვესტიციების განაკვეთის ზრდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 5-დან 10%-მდე. ეკონომიკური სიმწიფის გზაზე მყოფი ეტაპი (ინვესტიციების მაღალი დონე, ჩნდება ზრდის მრავალი პოლუსი, იცვლება ეკონომიკის სტრუქტურა) და მაღალი მოხმარების სტადიის ეპოქა. ამ დაყოფით განვითარებადი ქვეყნები ამჟამად 1-3 ეტაპებზე არიან. განვითარების დაბალი

დონის მქონე საზოგადოებაში სოფლის მეურნეობის სექტორი კვლავ იკავებს პროდუქტის ღირებულების სტრუქტურისა და სამუშაო ძალის სტრუქტურის დიდ ნაწილს. ამ მოდელის მიხედვით, ყველაზე კრიტიკული ეტაპია „აფრენის“ ეტაპი. აფრენისთვის მოსამზადებლად, ეკონომიკას უნდა ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ძირითადი ინდუსტრია. სოფლის მეურნეობას, რომელიც აგრარული რევოლუციის „აფრენისთვის“ ემზადება, მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის ამოცანა აქვს. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ არ არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების ოპტიმალური ვარიანტი. ძალიან ადრე, მეცნიერებმა გააცნობიერეს, რომ არ არსებობდა ეკონომიკურად ოპტიმალური სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურა. პირიქით, ის იზრდება ეკონომიკური განვითარების სტადიასთან ერთად.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეურნეობის განვითარება გარდაუვალი ტენდენციაა და გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემაზე. მეურნეობის განვითარება მიწის ფართობის ზრდასა და კონცენტრაციაზე უნდა მოხდეს; უნდა იყოს სპეციალიზებული წარმოება; გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უახლესი მიღწევები და გაძლიერდეს თანამშრომლობა წარმოებასა და მოხმარებას შორის. რაც შეეხება კითხვას, ემორჩილება თუ არა სასოფლო-სამეურნეო წარმოება მასშტაბის უკუგების კანონს? ეს არის დიდი ხნის კითხვა სოფლის მეურნეობისა და განვითარების კვლევებისთვის, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საჯარო პოლიტიკაზე. ზოგადი დასკვნა არის ის, რომ დაბალი შემოსავლის ან განვითარებად ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებში არსებობს ფერმის ზომასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას შორის უკუკავშირი. ამ ნეგატიური ურთიერთობის ახსნისას, ფ. ელისი [1] ვარაუდობს, რომ მცირე ფერმერები განიცდიან დაბალი შესაძლებლობის შრომის ხარჯებს და მიწის უფრო მაღალ ხარჯებს. ამიტომ მათ უნდა გამოიყენონ მიწა ოპტიმალურად და მიიღონ მაღალი მოსავალი. ტექნიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, ფერმის წარმოების მასშტაბის გაფართოება საშუალებას იძლევა გამოიყენოს საწარმოო ობიექტები მეტი პროდუქტიულობითა და კონტროლის შესაძლებლობებით. თუმცა, როდესაც მასშტაბი გარკვეულწილად გაიზრდება, მას მოუწევს მეტი მუშაკის დაქირავება და პრობლემების წინაშე აღმოჩნდება მართვასა და ზედამხედველობაში, რაც გამოიწვევს არაეფექტიანობას.S. Simmons [2] ამტკიცებს, რომ ფერმერებს შორის მიწათსარგებლობის დაბალი ეფექტიანობის მიზეზი არის მცირე წარმოების მასშტაბი, რაც არ იძლევა მანქანების გამოყენების საშუალებას. მექანიზებული მანქანებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოუყენებლობა იწვევს სოფლის მეურნეობის დაბალ პროდუქტიულობას. გარდა ამისა. მიწის მცირე ფართობი ართულებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, სარწყავ სისტემებში, სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნას კომერციული წარმოებისთვის და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაში. კვლევებმა ასევე აჩვენა ფარდობითი ფაქტორების ფასების

ცვლილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფერმის ზომის ზრდაში .მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კონსენსუსი მიწის ზომასა და შრომის პროდუქტიულობას შორის კავშირზე. მკვლევართა უმეტესობა მხარს უჭერს მცირე ფერმერების მიწის ცენტრალიზაციის პოლიტიკას ფართომასშტაბიანი საწარმოო ბანაკების ფერმერულ სისტემაში. სპეციალიზაცია მიზნად ისახავს სარგებლისა და მასშტაბის ეკონომიის ხელშეწყობას კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და მთელი საზოგადოების რესურსების ხელშეწყობის მიზნის მისაღწევად. მეორეს მხრივ, პროდუქტიულობის გაზრდის ფენომენი ასევე მნიშვნელოვანია, იმ პირობით, რომ ინტერდისციპლინური შრომის ბაზრის გავლენა უფრო დიდია, ვიდრე მიწის კონცენტრაციის გავლენა. მიწის ცენტრალიზაციის პროცესში ჩართული ადამიანური რესურსი ეფექტიანად უნდა იქნეს გადატანილი ეკონომიკის სხვა სექტორებზე. ასეთ პირობებში განვითარებად ქვეყნებს არ სჭირდებათ მიწის არათანაბარი განაწილებაზე ფიქრი. თუ შრომის ბაზარი ზედმეტად არ არის დამახინჯებული. ახალი შრომის ბაზრიდან მიღებული შემოსავალი ანაზღაურებს შემოსავლის შემცირებას გადანაწილებიდან. გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი საკითხი ზრდასა და შემოსავლების უთანასწორობას შორის. ვინაიდან მეურნეობის განვითარება გამოიწვევს მიწის დაგროვებას და ბევრი ფერმერი დაკარგავს მიწას, რაც გამოიწვევს გაღარიბების რისკს, სოფლად წარმოიქმნება უთანასწორობა. თუ აღქმა არასწორია, ეს გავლენას მოახდენს მეურნეობის ეკონომიკურ განვითარებაზე. ჯერ კუზნეცისა და ლუისის ეკონომიკური ზრდის თეორია,ასევე ტორბეკი და ჩარუმილინდი ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ზრდა და შემოსავლის განაწილების უთანასწორობა განვითარდება ინვერსიული სახით. შემდეგ ზრდა გრძელდება, მაგრამ უთანასწორობა მცირდება. ეს ნიშნავს, რომ მზარდი უთანასწორობა უნდა იქნას მიღებული ფერმის განვითარების დასაწყისში, რადგან უფრო ეფექტიანი ფერმები აგროვებენ მეტ მიწას და კაპიტალს მეტი მოგების მიღების მიზნით. პრობლემა არის ის, თუ როგორ უნდა განვითარდეს სწრაფად, რათა გადავიდეს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი იზრდება და უთანასწორობა მცირდება. მსოფლიო ბანკის ზრდის თეორია, შემოსავლების გადანაწილებასთან ერთად, გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, ზრდის სარგებელი უნდა გადანაწილდეს დაბალშემოსავლიან ადამიანებზე. შედეგად, უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის სწრაფად აღმოიფხვრება, მაგრამ ვეღარ იქნება ზრდის მამოძრავებელი ძალა. უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების ზემოაღნიშნული ანალიზიდან ვთვლით, რომ მეურნეობების ეკონომიკურ განვითარებასა და სოფლად შემოსავლების განაწილების უთანასწორობას შორის ურთიერთობის გადაწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს მსოფლიო ბანკის თეორიას. ეს ნიშნავს მეურნეობის განვითარების დაჩქარებას ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად და ამავდროულად, ფერმერული მეურნეობის განვითარებით, ის ასევე დაინტერესებულია სეპარაციის პრობლემის მოგვარებით. განვითარების

პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს ზრდის შედეგად გამომუშავებული სარგებელის გამოყენებაზე, როგორიცაა სამთავრობო ბიუჯეტი, ODA კაპიტალი, ინვესტირებაზე იმ ადგილებში, სადაც სოფლის ღარიბ მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს, როგორიცაა:1) ინფრასტრუქტურა (ელექტროენერგია, სუფთა წყალი, ინფორმაცია, გზები და ა.შ; 2) არასასოფლო-სამეურნეო პროფესიები სოფლად; 3) პროფესიული მომზადებისა და განათლების ცენტრები სოფლად; და 4) სკოლები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობების ეკონომიკური განვითარების პროცესში აუცილებლად გაჩნდება ორი ტიპის მეურნეობა, რომლებსაც გაკოტრება ემუქრება:

1. ფერმერული ოჯახები შეიძლება იყვნენ დაკავებულნი სოფლის მეურნეობის წარმოებაში, მაგრამ არ გააჩნიათ საკმარისი კაპიტალის ინვესტიციები, მიწა და ტექნოლოგია;

2. ფერმერთა შინამეურნეობებს არ შეუძლიათ სოფლის მეურნეობით დაკავება სოფლის მეურნეობის წარმოებისადმი ენთუზიაზმის ნაკლებობის ან სოფლის მეურნეობის წარმოების დაბალი ეფექტიანობის გამო.

3. შინამეურნეობები, რომლებსაც არ შეუძლიათ სოფლის მეურნეობით დაკავება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან სოფლის არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე გადაყვანა.

თანამედროვე ახალ პირობებში სოფლად იქმნება და ვითარდება აგროინდუსტრიული კომპლექსები. შესაბამისად, ეს იქნება სოფლის მეურნეობის მუშაკების არამეურნეობაში გადაყვანის შესაძლებლობა. სასოფლო - სამეურნეო წარმოების შესაძლებლობების არმქონე ოჯახებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა კოოპერატიული მეურნეობის მოდელში. კაპიტალის გარეშე ადამიანებს შეუძლიათ ჰქონდეთ მიწა და დახარჯონ შრომა. მათ, ვისაც კაპიტალი აქვს, ვისაც სურს ინვესტირება სოფლის მეურნეობაში, შეუძლია წვლილი შეიტანოს, დაიქირაოს ტექნიკური ექსპერტები და დაყოს მოგება შემოტანილი კაპიტალის ღირებულებაზე. ამ მოდელით არა მხოლოდ ისარგებლეს, არამედ ღარიბმა ფერმერებმა არ დაკარგეს მიწა, მიიღეს სტაბილური სამუშაო ადგილები და შემოიღეს სოციალიზაცია სოფლის მეურნეობისთვის საინვესტიციო რესურსების მობილიზებისთვის. დადასტურდა, რომ ასეთი მეურნეობა სოფლის მეურნეობის წარმოების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ფორმაა. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოფლად სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ცხოვრების გაუმჯობესებაში, ამიტომ განვიხილავთ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში მეურნეობების ეკონომიკური განვითარების გამოცდილებას, რათა შევიმუშაოთ განვითარების ძირითადი კანონები და გამოვრიცხოთ პრაქტიკიდან შეუსაბამო მექანიზმებისა და პოლიტიკის გამოყენება. უცხოური მეურნეობების მასშტაბები და მათი სპეციალიზაცია ასახავს ქვეყნების კლიმატურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ პირობებს. ინდუსტრიალიზაციის პროცესის დასაწყისში მეურნეობების რაოდენობა ყველა ქვეყანაში გაიზარდა, ფერმები კი მცირე იყო. შემდეგ,

განვითარების პროცესში ფერმები გროვდებიან და ამახვილებენ ყურადღებას წარმოებაზე, იზრდება მასშტაბები, მაგრამ მეურნეობების რაოდენობის კლების ტენდენციაა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, სადაც ფერმების რაოდენობა პიკს მიაღწია 1935 წელს, მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა 1935 წელს 1974 წელთან შედარებით. იმ მომენტში, საშუალო ფერმის ფართობი გაიზარდა 203 ჰექტრიდან (82 ჰა) 1935 წელს 440 ჰექტარამდე (178 ჰა) 1974 წელს. ეს გამოწვეული იყო სამრეწველო წარმოების ძლიერი განვითარებით, რამაც მოიზიდა რესურსები. ამავდროულად, ძალიან მცირე მეურნეობებს არ შეუძლიათ ეფექტიანად აწარმოონ ბიზნესი მაღალ კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკაში, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან შექმნან ერთობლივი საწარმოები (კოოპერატივები) ან არ იმუშაონ სოფლის მეურნეობაში. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ინგლისი, საფრანგეთი, ნიდერლანდები და იაპონია, მეურნეობები ასევე ვითარდებიან ზოგადი წესის შესაბამისად, ანუ ინდუსტრიალიზაციის ეტაპზე გადასვლისას ფერმა ყვავის, როდესაც მრეწველობა იზრდება, ფერმების რაოდენობა მცირდება და თანდათანობით იზრდება ზომაში. ფერმის სპეციალიზაციის დონე განსხვავდება ქვეყნებს შორის. განვითარებული სოფლის მეურნეობისა და წარმოებისა და ბიზნეს საქმიანობის დიდი სახელმწიფო მხარდაჭერის მქონე ქვეყნებში სპეციალიზაციის დონე ძალიან მაღალია, მაგალითად, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში. განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა ვიეტნამი, ფერმებს ხშირად აერთიანებენ სპეციალიზაციის დივერსიფიკაციასთან, რადგან ეს ხელს უწყობს ბუნებრივი კატასტროფების რისკების შეზღუდვას და ბაზრის რყევებს და იძლევა სასოფლო-სამეურნეო რესურსების, მიწისა და შრომის გამოყენების საშუალებას. ფერმერებისთვის მიწის ფართობის გაზრდის პირობების შესაქმნელად, ყველა ქვეყნის მთავრობები იღებენ მიწის მენეჯმენტის სპეციალურ ზომებს, როგორიცაა: მიწის კანონების ამოქმედება, მიწის იჯარის ლეგალიზაცია და ფერმერებისთვის საჯარო მიწაზე ფერმერების შეზღუდული დროით მეურნეობის უფლება. გარდა ამისა, იაპონიაში სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციისა და უწესრიგობის აღმოფხვრას ახორციელებს სასოფლო - სამეურნეო მიწის კონსოლიდაციის სახელმწიფო კორპორაცია ფერმა - ფერმა ლიზინგისა და სუბლიზინგის გზით (ცნობილია როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწის ბანკები). 2018 წლის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაგროვების საერთო ფართობი 4,4 მლნ ჰექტარს შეადგენს. იაპონიის სასოფლო - სამეურნეო ბანკის ინიციატივით, რომელიც 2013 წელს დაიწყო 48.7%-ით. სახელმწიფო მხარდაჭერა, მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება მიმართული იყოს პროდუქტიულობის გაზრდაზე (ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების დემონსტრირებით და წარმოების ოპტიმიზაციის გზით), სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, ასევე შიდა ბაზრის განვითარება და მომხმარებლისთვის შესაფერისი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა. საწარმოო და ბიზნეს

პროცესში რისკების შესამცირებლად მეურნეობები ერთმანეთთან თანამშრომლობენ მრავალი ფორმით, დაბლიდან მაღლამდე, სადაც თანამშრომლობა უმაღლესი ფორმაა. ამრიგად, კოოპერატიული მოძრაობა ფართოდ გავრცელდა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, ესპანეთში, პორტუგალიაში, დანიაში, კანადაში, შვედეთში. ევროპაში სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების მრავალი სახეობა არსებობს: კაპიტალის მიწოდება, მასალები, ტექნოლოგიები, სასოფლო-სამეურნეო მომსახურება, ტრენინგი, სამეცნიერო კვლევა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება და პროდუქციის მოხმარება. თითოეულ ფერმას შეუძლია ერთდროულად შეუერთდეს მრავალ სხვადასხვა კოოპერატივს. ამრიგად, ფერმერული კოოპერატივების მეშვეობით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაახლოებით მესამედი ფერმებიდან იყიდება [2], მაგალითად, იაპონიაში გავრცელებულია თანამშრომლობა, რომლის დახმარებითაც ფერმერები აკმაყოფილებენ საჭიროებებს სასუქების, პესტიციდების, მანქანების, საკვების, მედიკამენტების, სარეველების კონტროლის მიწოდებაზე, იღებენ საჭირო ვეტერინარულ და აგრონომიულ მომსახურებას. თანამშრომლობა ასევე ხორციელდება მთელი ღირებულების ჯაჭვის გასწვრივ, მათ შორის ჯაჭვის მონაწილეები, როგორიცაა ფერმერები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, არასასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მხარეები, საბითუმო ბაზრები, საცალო ვაჭრობა, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოები, პირდაპირი გაყიდვების არხები და ა.შ. ზოგადად, მეურნეობის კოოპერატიული ფორმები მთელ მსოფლიოში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ძლიერდება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივების უმეტესობა ჩამოყალიბებულია, რასაც შემდეგი პრობლემები ახასიათებს: რთულია კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბება და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რთულია ახალ გარემოსთან ადაპტაცია, ძნელია სწორი სტრატეგიისა და მოდელის არჩევა. გარდა ამისა, ერთობლივ საწარმოებზე ზეწოლას განიცდიან მრავალი საერთო გარემოება და მოთხოვნა, კერძოდ: ინფორმაციული ტექნოლოგიების და ბიოტექნოლოგიის განვითარება, კონცენტრაცია და ინტეგრაცია ინდუსტრიის სხვა სეგმენტებში, წარმოებისა და მარკეტინგის ჯაჭვები, განსხვავებები და ცვლილებები მომხმარებელთა პრეფერენციებში, მოთხოვნის ზრდა. მზა პროდუქტების (საკვები) გამყიდველებისგან, გარემოს დაცვის მოთხოვნების გამკაცრება. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში სამომხმარებლო კოოპერატივები არის არაკომერციული ორგანიზაციები და, მათი საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე, იყოფა გადამამუშავებელ, მარკეტინგის (კომერციული), მომსახურების, მარაგის, მებაღეობის, მეცხოველეობის და სხვა კოოპერატივებად, რომლებიც შექმნილია ერთი ან რამდენიმე ამ საქმიანობის განსახორციელებლად. . ეს ტიპები შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს თითოეული ფერმის საწარმოო პოტენციალის

რეალიზებას. ამრიგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების დაკავშირება მრავალი წელია არსებობს, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზების საშუალება. ეს მოდელი გაფართოვდა და აყვავდა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც ადრე ჰქონდათ ცენტრალური დაგეგმვის მოდელი. ფერმერებსა და საწარმოებს შორის კომუნიკაცია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და მოხმარებაში ძალიან აუცილებელია საწარმოო ქსელის, მიწოდების ჯაჭვების და ღირებულების ჯაჭვების სულ უფრო სპეციალიზებული მოდელის კონტექსტში. კონტრაქტების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და მოხმარება ეხმარება შინამეურნეობებსა და ფერმერებს, გადავიდნენ ტრადიციული თვითკმარი წარმოებიდან ბაზარზე და ექსპორტზე ორიენტირებული მაღალი დამატებული ღირებულების საქონლის წარმოებაზე. ეს ეხმარება ფერმას შეამციროს წარმოების ხარჯები, გაზარდოს შემოსავალი, გაზარდოს ბაზარზე ხელმისაწვდომობა, შეამციროს ტრანზაქციის ხარჯები და შეამციროს საბაზრო რისკი ინსიტუტებისა და სერვისების მხარდაჭერით, ასევე ბიზნესის მიერ პროდუქტების მოხმარების ვალდებულები. ჩნდება კითხვები იმის შესახებ, არის თუ არა საკონტრაქტო წარმოება მომგებიანი ფერმერებისთვის და ფერმებისთვის, თუ არის ის უბრალოდ გზა მსხვილი საწარმოებისთვის, რათა გამოიყენონ და სარგებლობდნენ ფერმერების ძალისხმევით, და არიან თუ არა მცირე ფერმერული ოჯახები სიღარიბის შემცირების პროგრამების სამიზნე. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ საკონტრაქტო სოფლის მეურნეობის წარმოებისა და მოხმარების პროგრამების უმეტესობა არ მოიცავს მცირე ფერმერებს. საკონტრაქტო წარმოება ნაკლებად სავარაუდოა, რომ გააუმჯობესოს მცირე მესაკუთრე ფერმერების კეთილდღეობა განვითარებად ქვეყნებში, რადგან მათთან კონტრაქტი ზრდის ბიზნესის გარიგების ხარჯებს. თუმცა, უკეთესი ინსტიტუციური სისტემების განვითარება და ტრანზაქციის დაბალი ხარჯები დაეხმარება ბევრ მცირე ფერმერს გახდეს ბიზნეს პარტნიორი.

დასკვნა. მეცნიერთა მიერ ფერმების ეკონომიკური განვითარების თეორიების ახალ კონტექსტში შესწავლა და მსოფლიოში მეურნეობების მოდელების შემუშავების გამოცდილება აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში მეურნეობების ეკონომიკური განვითარება ორიენტირებულია ორ პრობლემაზე პირველი არის წარმოების ფაქტორებზე (შრომა, კაპიტალი, მიწა და სხვ.) ფოკუსირება, რომლებიც მნიშვნელოვანი პირობაა ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ეფექტიანი წარმოება ფერმერისგან მოითხოვს წარმოების ფაქტორების კონცენტრირებას გარკვეულ მასშტაბზე. გარდა ამისა, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში ახალი მიღწევების გამოყენება, წარმოებაში აღჭურვილობის გამოყენება ფართოვდება მაღალი ხარისხის პროდუქტების შესაქმნელად, საკვების ჰიგიენისა და

უსაფრთხოების სტანდარტების უზრუნველსაყოფად. მეორე არის წარმოების ორგანიზების შესაბამისი მეთოდის არჩევა. კომისია და თანამშრომლობა წარმოების კონტროლის პროცესის ორი მხარეა. ამ პროცესის დროს წარმოების ზოგიერთი ეტაპი გამოეყო ბიზნეს ოპერაციებს; ზოგიერთი ეტაპი მოითხოვს დაბალანსებულ კოორდინაციას ეკონომიკურ აქტორებს შორის მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად. ამრიგად, წარმოების ორგანიზება ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში მეურნეობების განვითარება ვერ მოხდებოდა მათი თანამშრომლობისა და ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების გარეშე. პროგრამების მხარდაჭერა რიგ აქტუალურ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა:

1. ფერმერებისთვის და მათ მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის დაკრედიტების წყაროების გაფართოება, განსაკუთრებით მცირე მეურნეობებისთვის;

2. შესყიდვების, მიწოდებისა და მარკეტინგის სტრუქტურების შექმნის სტიმულირება, საკრედიტო თანამშრომლობის განვითარება.

3. ხელი შეუწყოს ფერმების დაკავშირებას გლობალურ ღირებულების ჯაჭვებთან და ღირებულების ჯაჭვებთან.

4. ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელება სოფლის მეურნეობაში. ზოგადად, მებაღეობის ინდუსტრიაში, ნივთების ინტერნეტის (IoT) ტექნოლოგია, დიდი მონაცემები (BigData) გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიების პროდუქტების საშუალებით, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც შეუძლია გააანალიზოს მონაცემები გარემოს, მცენარის ტიპისა და მცენარის ზრდის სტადიის შესახებ. მეცხოველეობა იყენებს ინტერნეტის ტექნოლოგიებს, ბლოკჩეინი (Blockchain) და ბიოტექნოლოგია ფართოდ გამოიყენება მეცხოველეობის დიდ ფერმებში.

ლიტერატურა

1. Ellis E,PEASENT ECONOMIKS FARM HOUSENDOLS AND AGRARIAN DEVELOMPENT (2 ND ED). COMBZIDGE UNIVERSITETU PRESS. COMBSIDGE 1993. 166. UPS.

2. SIMMONS.S - LAND FRAGMENTATION DEVELOMPING COUNTRIESTHE OPTIMAL CHOICE,AND POLICU IMPLICATION "EXCPLOZATION IN ECONOMIK HICTORU 1987

3. რეფორმები სოფლის მეურნეობაში - მსოფლიო ბანკის ანალიზი. ვაშინგტონი, 2000.

4. ნ. შალამბერიძე, დ. სილაგაძე - ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების ფაქტორები და პირობები. ჟ."ეკონომიკური პროფილი". ტ. 7. 2012.

მიწის ბაზარი
land market

შორენა ცაავა – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
(აგრარული ეკონომიკის სპეციალობით)
Shorena Tsaava - Doctor of Social Sciences
(Specialty in Agricultural Economics)
ნანა ცაავა - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების
სპეციალობით ბიზნესის მართვის მაგისტრი
Nana Tsaava - International Economic Relations
Master of Business Administration

Abstract. Introduction and Objective of Research: The market economy in Georgia is developing gradually, the prices of goods and services are freely formed based on supply and demand. competitive markets are created, In most of the world's economic system, competition is an integral part of the market.

A free market is needed for business development, where there is an appropriate environment for the development of a business idea and it is not blocked. It is necessary to study the market, determine the need, analyze so that our idea does not turn out to be unsuccessful. However, the abundance of products and/or items that are in high demand does not mean that it is difficult to compete and it is necessary to look for rare products and/or items. It is necessary to develop a business plan. Also considering the investment.

The topic of our discussion will be the land market.

For the development of the land market, it is necessary to study the rational, effective and correct management of land resources.

Land is different from other goods, the value of land, the degree of usefulness depends on the complex with such natural resources as water, soil and sunlight.

The form and scale of land use are different depending on the individual requirements of legal or private individuals.

Land - for some legal entities, it is not only a place of accommodation, but also a special warehouse, a pantry, from which the products needed by the society are obtained.

The unique properties of the land and the fact that it is possible to encumber/use the land registered with ownership rights. Also, in terms of land use, signing various agreements, lease, mortgage, usufruct, etc. Forms the land market.

Research Methodology: The research uses information and analysis methods.

Results and implications: To support sustainable land management, investment in land improvement and increased efficiency, land title registration is essential.

Based on the data of the register of rights to immovable objects, throughout Georgia, for the period up to December 31, 2013, ownership rights were registered for 437,749 residential apartments/units, 2,827 commercial premises and 3,028,526 plots of land;

For the period up to September 10, 2023, throughout Georgia, ownership rights were registered for 878,623 residential apartments/units, 13,482 commercial premises and 4,179,147 land plots.

As for the real estate business, there has been an increase in title registrations over the last 10 years - 50% for residential flats/units, 79% for commercial space and 38% for land.

Conclusion: Institutional development: Access to clear and comprehensive information on land rights is key to transparency, functioning of land markets and planning. Also, in order to improve the land market, it is necessary to pay attention to migration. It is necessary to create households for which land lease fees will be available. Employment of the rural population, determining the category of the land and using it with the appropriate function in order to increase the fertility of the land and not the other way around.

Keywords: land, market, Effective, National Public Registry Agency, Property rights.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკა ეტაპობრივად ვითარდება, საქონლისა და მომსახურების ფასები თავისუფლად ყალიბდება მიწოდებისა და მოთხოვნის საფუძველზე. შექმნილია კონკურენტული ბაზრები, მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის უდიდეს ნაწილში კონკურენცია ბაზრის განუყოფელი ნაწილია.

ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა თავისუფალი ბაზარი, სადაც ბიზნეს იდეის განვითარებისათვის არსებობს შესაბამისი გარემო და არ იბლოკება. საჭიროა ბაზრის შესწავლა, მოთხოვნილების განსაზღვრა, ანალიზი იმისათვის რომ ჩვენი იდეა არ აღმოჩნდეს წარუმატებელი. თუმცა პროდუქციის სიმრავლე ან/და იმ ნივთებზე, რომლებზეც მრავლადაა მოთხოვნა, არ ნიშნავს იმას რომ, კონკურენციის გაწევა ძნელია და აუცილებელია ვეძებოთ იშვიათი პროდუქტი ან/და ნივთი. საჭიროა ბიზნესის გეგმის შემუშავება. ასევე ინვესტიციის გათვალისწინება.

იმისათვის, რომ წარმატებული ბიზნესი გვქონდეს უნდა შევიმუშავოთ გამართული ბიზნეს გეგმა, რომლისთვისაც საჭიროა კომპეტენცია, გამოცდილება და დაგროვილი ცოდნა.

ბიზნესის წარმოებას ცოდნასთან ერთად ასევე სჭირდება მხარდაჭერა. კარგი იქნება თუ საწყის ეტაპზე გავივლით სპეციალურ კურსს.

მიწის ბაზრის განვითარებისათვის საჭიროა შევისწავლოთ მიწის რესურსების რაციონალური, ეფექტური და სწორი მართვა.

მიწა განსხვავდება სხვა საქონლისგან, მიწის ფასეულობა, სარგებლიანობის ხარისხი დამოკიდებულია ისეთ ბუნებრივ სიმდიდრესთან კომპლექსში, როგორიცაა წყალი, ნიადაგი და მზის სინათლე.

მიწის გამოყენების ფორმა და მასშტაბი განსხვავებულია იურიდიული თუ კერძო პირების ცალკეული მოთხოვნების მიხედვით.

მიწა - ზოგიერთი იურიდიულ პირისათვის არის არა მარტო განთავსების ადგილი, არამედ თავისებური საწყობიც, საკუჭნაო, საიდანაც მიიღება საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქცია.

მიწის რაოდენობა (მოცულობა) განსაზღვრულია, მისი გადიდება ან შემცირება შეუძლებელია. სხვა წარმოების საშუალებები შეიძლება შეიცვალოს ან გაიზარდოს, მაგრამ მიწის ეს თავისებურება სულაც არ ნიშნავს სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი მიწის რაოდენობის შეზღუდულობას, 90 წლებში დადგენილი იყო რომ დედამიწის ზედაპირზე არსებული 10,5 მილიარდი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ვარგისი მიწებიდან ათვისებული იყო მხოლოდ ერთი მიალიარდი ჰექტარი ანუ 10%. რეზერვი საკმაოდ დიდია, საჭიროა გარკვეული ხარჯების გაღება და ფართობების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა.

მიწის გამოყენება წარმოების სხვა საშუალებებისგან განსხვავებით დაკავშირებულია მუდმივ ადგილთან. ასევე, თუ სხვა წარმოების საშუალებები გამოყენებისას ცვდება, მიწის სწორი

რაციონალური და ეფექტური გამოყენებისას პირიქით უმჯობესდება, მით უფრო მატულობს მისი მწარმოებლურობა, იზრდება მისი ნაყოფიერება.

მიწის ეს უნიკალური თვისებები და ის რომ შესაძლებელია საკუთრების უფლებით რეგისტრირებული მიწის სხვადასხვა უფლებებით დატვირთვა/სარგებლობა. ასევე, მიწის გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა ხელშეკრულებების დადება, იჯარის, იპოთეკის, სარგებლობის და აშ. აყალიბებს მიწის ბაზარს.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს მასშტაბით, **2013 წლის 31 დეკემბრამდე** პერიოდისთვის, საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო 437 749 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე, 2827 კომერციულ ფართზე და 3 028 526 მიწის ნაკვეთზე;

2023 წლის 10 სექტემბრამდე პერიოდისთვის, საქართველოს მასშტაბით, საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო 878 623 საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე, 13 482 კომერციულ ფართზე და 4 179 147 მიწის ნაკვეთზე.

რაც შეეხება უძრავი ნივთის ბიზნესს ბოლო 10 წლის განმავლობაში გაზრდილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია - 50 %-ით საცხოვრებელ ბინა/ერთეულზე, 79 % -ით კომერციულ ფართზე და 38 %-ით მიწის ნაკვეთზე. (შენიშვნა: რიცხობრივი მონაცემების თაობაზე ინფორმაცია მოძიებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის №200516 წერილით).

მიწის მდგრადი მართვის, მიწის გაუმჯობესებაში ინვესტიციების და ეფექტურობის გაზრდის მხარდასაჭერად, აუცილებელია მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე https://slr.napr.gov.ge/about განთავსებული ინფორმაციით:

მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1. მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტი (2016-2019 წლები) - პროექტის ფარგლებში 23 612 მესაკუთრის უფლება დარეგისტრირდა, რომელთაგან 10 943 ქალი მესაკუთრეა. პროექტის ფარგლებში დარეგისტრირებულმა ფართობმა კი 79 385 ჰა შეადგინა. მსოფლიო ბანკის 2019 წლის 29 ოქტომბრის შეფასების თანახმად, საპილოტო პროექტი წარმატებულად შეფასდა, რაც ნიშნავს, წინასწარ განსაზღვრული ყველა ინდიკატორის შესრულებას.

2. სისტემური რეგისტრაცია საირიგაციო არეალებზე (2020-2022 წლები) – რიგი რეგიონები მოიცვა აღნიშნულმა პროექტმა - პროექტის გეოგრაფიული არეალების საერთო ფართობი 110 893 ჰა-ს შეადგენს, ხოლო 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში 70 911 მოსახლე ცხოვრობს. გეოგრაფიული არეალები მოიცავს

როგორც ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიებს (იორმუღანლო, ლამბალო, თულარი), ისე საოკუპაციო ხაზთან მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულს (ნიქოზი). სისტემური რეგისტრაციის პროცესში დარეგისტრირდება/დაზუსტდება 100 000-მდე მიწის ნაკვეთი.

3. სისტემური რეგისტრაცია მაღალმთიან არეალებზე (2020-2021 წლებში)-არეალების შერჩევის დროს ყურადღება მიექცა რეგისტრირებული ნაკვეთების სიმცირეს და ეკონომიკურ პერსპექტივას. პროექტის ფარგლებში, სისტემური რეგისტრაციის წესით საკუთრების უფლება 9 300-ზე მეტ (83 000-ჰა) მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა.

4. სისტემური რეგისტრაცია საგარეჯოს და ყვარლის მუნიციპალიტეტებში (2021-2022 წლები) - პროექტის გეოგრაფიული არეალების საერთო ფართობი შეადგენს 420 212 ჰა-ს, ხოლო 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ცხოვრობს 63 700-მდე მოსახლე. სისტემური რეგისტრაციის პროცესში დარეგისტრირდება/დაზუსტდება 68 000-მდე მიწის ნაკვეთი.

5. სისტემური რეგისტრაციის ეროვნული პროექტი (2022-2024 წლები) 2022-2024 წლებში სისტემური წესით 1.2 მილიონი ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდება. მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიქმნება სრულყოფილი საკადასტრო მონაცემები. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N798 ბრძანებით განისაზღვრა სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიული არეალები (59 მუნიციპალიტეტი), სადაც სისტემური რეგისტრაცია 2025 წლის 1 იანვრამდე დასრულდება.

ინსტიტუციური განვითარება: მიწის უფლებების შესახებ ცალსახა და ყოვლისმომცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის გამჭვირვალობის, მიწის ბაზრის ფუნქციონირებისა და დაგეგმვის გასაღები.

ასევე, მიწის ბაზარი გაუმჯობესებისათვის საჭიროა მიგრაციას მიექცეს ყურადღება. აუცილებელია შეიქმნას შინამეურნეობები რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება მიწის ნაკვეთების იჯარის საფასური.სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასაქმება, მიწის ნაკვეთის კატეგორიის დადგენა და შესაბამისი ფუნქციით გამოყენება, რათა მოხდეს მიწის ნაყოფიერების ამაღლება და არა პირიქით.

გამყენებული ლიტერატურა

1. „მიწის კადასტრი", ავტორი: ნაუმ ტურაბელიძე, ნელი ქვაცაბაია;
2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაცია
3. (WWW.napr.gov.ge).
4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის №200516
5. წერილი;
6. „მიწის რესურსების მართვა", ავტორი: ნაუმ ტურაბელიძე, ნელი ბერიძე.

სოციალური საწარმოების როლი ტურიზმში
The Role of Social Enterprises in Tourism

მაია ღვინჯილია - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასოც. პროფესორი
m.gvinjilia@seu.edu.ge
Maya Gvinjilia - Georgian National University SEU
assoc. professor

აბსტრაქტი. სოციალური საწარმო არის "ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით"[29].

სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სექტორში სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ სოციალური ცვლილებების შეტანაში. სოციალური საწარმოების სარგებელი მასპინძლობისა და ტურიზმის სფეროში საზოგადოებისა და გარემოსთვის სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს:

- მათ შეუძლიათ გააძლიერონ ადგილობრივი თემები და ხელი შეუწყონ კულტურულ მრავალფეროვნება;
- უზრუნველყონ დასაქმების, ტრენინგის და შემოსავლის შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ქალების, ახალგაზრდობისა და ეროვნული უმცირესობებისთვის;
- წარმოაჩინონ თავიანთი დანიშნულების ადგილის უნიკალური კულტურა, ტრადიციები და მემკვიდრეობა და ხელი შეუწყონ კულტურათაშორის დიალოგს და ურთიერთგაგებას სტუმრებსა და მასპინძლებს შორის.

მნიშვნელოვანია მათი ჩართვა ტურისტულ შეთავაზებაში, რაც შეიძლება გამოიხატოს ტურისტებისთვის ტრადიციული რეწვის მასტერკლასების ჩვენებაში, ან საინტერესო ნაწარმის დამზადების დათვალიერებაში. მოგზაურების მიერ დახარჯული თანხა უნდა ხმარდებოდეს ადგილობრივი ბაზრის გაძლიერებას. ეს არის თანამედროვე ტურიზმის საერთაშორისო ტენდენცია.

საქართველოში სოციალურ საწარმოებს კარგი პოტენციალი აქვს. საქართველოს გაცნობის სურვილის მქონე ტურისტებს, შეუძლიათ, გააცნონ ისეთი საინტერესო კულტურული საქმიანობები, რომლებიც ერთის მხრივ მათ აღფრთოვანებას გამოიწვევს და მეორეს მხრივ მათ გაუჩნდებათ სურვილი, რომ ადგილობრივ საზოგადოებას დაეხმარონ ფინანსურად, ცოდნის გაზიარებით და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: სოციალური საწარმო, ტურიზმი, მდგრადი განვითარება.

Abstract. The social enterprise is "an organization or a company that has a social mission with entrepreneurial income strategies".

Social companies in the hospitality and tourism sector can play a crucial role in combating social changes. The benefits of social enterprises on the field of hosting and tourism includes various areas for society and the environment:

- can strengthen local communities and promote cultural diversity;
- ensure the possibilities of employment, training and income for the local population, especially for women, youth and national minorities;
- to demonstrate the unique culture, traditions and inheritance of your goal and to promote intercultural dialogue and understanding between guests and hosts.

It is important to include them in a tourist offer that can be expressed when demonstrating traditional craftsmen or in the manufacture of interesting products. The money spent on travelers should be used to strengthen the local market. This is the international trend of modern tourism.

Social companies in Georgia have good potential. Tourists with the desire to get to know Georgia can introduce interesting cultural activities that they delight on the one hand, and on the other hand they will help the local community financially to exchange knowledge, etc.

Keywords: Social Enterprise, Tourism, Sustainable Development.

[29] https://www.segeorgia.org/ge/faq

სოციალური საწარმო არის "ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით"[30].

სოციალური საწარმო ისეთი კომპანიაა, რომელსაც აქვს სოციალური ან გარემოსდაცვითი მისია, რომლის მოგებაც გამოიყენება მოსახლეობაზე სოციალური გავლენის გასაზრდელად. ის არ არის საქველმოქმედო ან არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ წარმოდგენილია ბაზარზე, როგორც ნებისმიერი სხვა კომპანია, რომლებიც ფინანსურ შემოსავლებს პრიორიტეტს ანიჭებენ სოციალურ ღირებულებას.

სოციალური საწარმოები გვხვდება სხვადასხვა სექტორში, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, გარემო და კულტურა. ერთ-ერთი სექტორი, სადაც სოციალური საწარმოების რაოდენობა იზრდება არის სტუმართმოყვარეობა და ტურიზმი.

სტუმართმოყვარეობა და ტურიზმი არის ვრცელი და მრავალფეროვანი ინდუსტრია, რომელიც მოიცავს სასტუმროებს, რესტორნებს, ტურისტულ სააგენტოებს, ტუროპერატორებს და ბევრ სხვა ბიზნესს, რომელიც აკმაყოფილებს მოგზაურებისა და სტუმრების მოთხოვნილებებსა და სურვილებს, რომელიც მნიშვნელოვან დადებით და უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებასა და გარემოზე. ერთის მხრივ, სტუმართმოყვარეობასა და ტურიზმს შეუძლია შექმნას სამუშაო ადგილები, გამოიმუშაოს შემოსავალი, ხელი შეუწყოს კულტურულ გაცვლას და მხარი დაუჭიროს ადგილობრივ თემებს; მეორე მხრივ, სტუმართმოყვარეობამ და ტურიზმმა შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დეგრადაცია, სოციალური უთანასწორობა და ადამიანის უფლებების დარღვევა.

სოციალური საწარმოების მიზანია სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარება და მათი მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება. მნიშვნელოვანია სამართლიანი და ღირსეული დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზება მარგინალიზებული ან დაუცველი ჯგუფებისთვის, როგორიცაა ქალები, ახალგაზრდები, ლტოლვილები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კალათების შემქმნელები ოკავანგოს დელტაში, ბოცვანაში.

ოკავანგოს დელტა, კალაჰარის უდაბნოს მიდამოებში, არის ტრადიციული კალათების მრეწველობის ცენტრი. ტურიზმის მეტი წილი ბოცვანაში ბუნებასთან ან ველურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ადგილობრივ დონეზე ჩართულნი არიან კერძო კომპანიები, როგორებიცაა ბოცვანის შემოქმედების მარკეტინგის ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც პროდუქციის

[30] https://www.segeorgia.org/ge/faq- უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.06.2024 წ.

შემქნელები იღებენ თითოეული კალათის ნავაჭრის ღირებულებიდან საფასურს, იმ შემთხვევაში თუ კომპანიის ერთგულნი დარჩებიან და შეინარჩუნებენ კალათების მოწვნის ტრადიციას. 1980 წლიდან ბოცვანის წარმოებამ დაიწყო პრაქტიკოსებისადმი დახმარების გაწევა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის ინდუსტრიას აქვს პოტენციალი შექმნას დადებითი სოციალური ზემოქმედება სხვადასხვა გზით, როგორიცაა ადგილობრივი თემების გაძლიერება, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა. სოციალური საწარმოები არის კომპანიები, რომლებსაც აქვთ როგორც სოციალური, ასევე ფინანსური მისია, და ისინი სულ უფრო მეტად ჩნდებიან ამ სექტორში, როგორც სოციალური ცვლილებებისა და ცვლილებების შეტანის გზაზე.

სოციალური საწარმოს უპირატესობები

სოციალური საწარმო არის ბიზნეს მოდელის ტიპი, სადაც მთავარი მიზანია საზოგადოებისა და გარემოს დახმარება და არა საწარმოს მფლობელების. ამ ტიპის ბიზნესი სულ უფრო პოპულარული ხდება ბოლო წლებში, რადგან კომპანიები ცდილობენ მოგების მიღებისას დადებითი გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე. სოციალურ საწარმოდ ფუნქციონირებას შეუძლია მრავალი სარგებელი მოუტანოს კომპანიებს, გაზრდილი ფინანსური სტაბილურობიდან დაწყებული თანამშრომლების მორალის გაუმჯობესებამდე.

სოციალური საწარმოს ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ფინანსური სტაბილურობის გაზრდის პოტენციალი. საზოგადოებისა და გარემოს მომგებიანი სერვისების მიწოდებაზე ფოკუსირებით, კომპანიებს ხშირად შეუძლიათ მიიღონ გრანტები და საჯარო დაფინანსების სხვა ფორმები, რომლებიც მიუწვდომელია ტრადიციული მომგებიანი ბიზნესებისთვის. ეს თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი ინიციატივების დასაწყებად, დამატებითი თანამშრომლების დასაქირავებლად ან კვლევისა და განვითარების პროექტებში ინვესტირებაზე. ეს დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება დაეხმაროს სოციალურ საწარმოებს დარჩეს კონკურენტუნარიანი და მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში[31].

სოციალური საწარმოს სახით მუშაობის კიდევ ერთი სარგებელი არის თანამშრომლების გაუმჯობესებული სულისკვეთება. საწარმოს სახით ფუნქციონირებით, კომპანიებს შეუძლიათ შესთავაზონ თავიანთ თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ხელშესახები გავლენა საზოგადოებაზე თავიანთი მუშაობისა და გარემოს საშუალებით. მიზნის ამ გრძნობამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი სამუშაო კმაყოფილება, ლოიალობა და თანამშრომელთა ჩართულობა.

[31] https://www.csrdg.ge/storage/files/doc/Social_Entrepreneurship_Research.pdf- უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.06.2024 წ.

სოციალურ საწარმოებს ასევე აქვთ პოტენციალი მოიზიდონ მეტი მომხმარებელი და დაამყარონ ურთიერთობები მათთან. მომხმარებლები სულ უფრო მეტად ეძებენ კომპანიებს, რომლებიც იზიარებენ მსგავს ღირებულებებს და სოციალური საწარმოებად მოქმედებით კომპანიებს შეუძლიათ აჩვენონ თავიანთი ვალდებულება საზოგადოებაზე პოზიტიური ზემოქმედებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაყიდვების გაზრდა, ლოიალური მომხმარებლები და კმაყოფილი მომხმარებლების პოზიტიური რეკომენდაციებიც კი.

სოციალურ საწარმოდ ფუნქციონირებას შეუძლია კომპანიებს შესთავაზოს კონკურენტებისგან დიფერენცირების შესაძლებლობა. სულ უფრო და უფრო ხალხმრავალ ბაზარზე, კომპანიებს შეიძლება გაუჭირდეთ კონკურენციისგან გამორჩევა. საზოგადოებისა და გარემოსთვის სასარგებლო სერვისების მიწოდებაზე ფოკუსირებით, კომპანიებს შეუძლიათ განასხვავონ საკუთარი თავი და მოიპოვონ უპირატესობა თავიანთ ინდუსტრიაში.

საბოლოო ჯამში, სოციალური საწარმოდ გახდომა შეიძლება იყოს ეფექტური გზა კომპანიებისთვის, რომ დარჩეს კონკურენტუნარიანი დღევანდელ ბაზარზე.

სოციალური საწარმოს სარგებელი მასპინძლობისა და ტურიზმის სფეროში

სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სექტორში სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ სოციალური ცვლილებებისა და მსოფლიოში ცვლილებების შეტანაში. სოციალური საწარმოების სარგებელი მასპინძლობისა და ტურიზმის სფეროში საზოგადოებისა და გარემოსთვის მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს.

მათ შეუძლიათ გააძლიერონ ადგილობრივი თემები და ხელი შეუწყონ კულტურულ მრავალფეროვნებას. სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ უზრუნველყონ დასაქმების, ტრენინგის და შემოსავლის შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ქალების, ახალგაზრდობისა და ეროვნული უმცირესობებისთვის. მათ ასევე შეუძლიათ წარმოაჩინონ და აღნიშნონ თავიანთი დანიშნულების ადგილის უნიკალური კულტურა, ტრადიციები და მემკვიდრეობა და ხელი შეუწყონ კულტურათაშორის დიალოგს და ურთიერთგაგებას სტუმრებსა და მასპინძლებს შორის. Sapa O'Chau[32] მაგალითად, არის სოციალური საწარმო ვიეტნამში, რომელიც გთავაზობთ ავთენტურ და პასუხისმგებელ სალაშქრო ტურებს და საოჯახო საცხოვრებლის განთავსებას საპას რეგიონში, რომელსაც ხელმძღვანელობენ ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების გიდები. სოციალური საწარმო ასევე აწარმოებს სკოლას და კაფეს, რომლებიც მხარს უჭერენ ადგილობრივი საზოგადოების განათლებას და საარსებო წყაროს.

მასპინძლობისა და ტურიზმის სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკა და ინოვაციები, რომლებიც ამცირებს მათ გარემოსდაცვით კვალს და ზრდის

[32] http://sapaochau.org/-უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.06.2024 წ.

მათ მდგრადობას კლიმატის ცვლილების მიმართ. მათ ასევე შეუძლიათ თავიანთი სტუმრებისა და პარტნიორების ცნობიერების ამაღლება და შთააგონებენ მათ მიიღონ ზომები ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემების დასაცავად და აღდგენისთვის, რომლებზეც ისინი ეყრდნობიან. მაგალითად, Chumbe Island Coral Park[33] არის სოციალური საწარმო ტანზანიაში, რომელიც მართავს საზღვაო დაცულ ტერიტორიას და ტყის ნაკრძალს კერძო კუნძულზე. სოციალური საწარმო გთავაზობთ ეკო-ლოჟებს და ეკო-აქტივობებს, რომლებიც ამცირებენ გარემოზე ზემოქმედებას და ხელს უწყობენ კონსერვაციის ძალისხმევას. სოციალური საწარმო ასევე ამზადებს ადგილობრივ სკოლებსა და თემებს საზღვაო და ტყის ეკოლოგიასა და კონსერვაციაში[34].

მასპინძლობისა და ტურიზმის სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი რესურსები და ქსელები სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადასაჭრელად და სოციალური საკითხის მხარდასაჭერად, რომლებიც შეესაბამება მათ მისიებსა და ღირებულებებს. მათ ასევე შეუძლიათ თავიანთი მოგების ან მომსახურების ნაწილი საქველმოქმედო ორგანიზაციებს შესწირონ. მაგალითად, Not For Sale არის სოციალური საწარმო ნიდერლანდებში, რომელიც მართავს რესტორნებისა და კაფეების ქსელს, რომელიც აწარმოებსს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის კერძებს. სოციალური საწარმო ასევე უზრუნველყოფს ტრეფიკინგის გადარჩენილთა და ლტოლვილთა ტრენინგსა და დასაქმების შესაძლებლობებს და მხარს უჭერს ადამიანებით ვაჭრობის საწინააღმდეგო ინიციატივებს მთელ მსოფლიოში.

ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ სოციალურ საწარმოებს სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სფეროში სოციალური ცვლილებების გატარება, არის Soria Moria Boutique Hotel-ის შემთხვევა Siem Reap-ში, კამბოჯაში. ეს სასტუმრო დაარსდა 2007 წელს ნორვეგიელი წყვილის მიერ, რომლებსაც სურდათ შეექმნათ ბიზნესი, რომელიც სარგებელს მოუტანდა ადგილობრივ საზოგადოებას და გარემოს, ისევე როგორც მათ სტუმრებს. მათ გადაწყვიტეს მიეღოთ სოციალური საწარმოს მოდელი, რომელიც გააძლიერებს მათ თანამშრომლებს, მხარს დაუჭერს ადგილობრივ ინიციატივებს და შეინარჩუნებს რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობას.

Soria Moria Boutique Hotel-ის ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი, რაც მას წარმატებულ სოციალურ საწარმოდ აქცევს, არის:

- 2011 წელს დამფუძნებლებმა აქციების 51% გადასცეს მათ 29 ადგილობრივ თანამშრომელს და ამით სასტუმროს უმრავლესობის მფლობელები გახდნენ. ამან მათ მისცა წილი კომპანიაში და

[33] https://zanzibar-retreats.com/property/chumbe-island/ /-უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 11.06.2024 წ.
[34] https://fastercapital.com/de/inhalt/Was-Sozialunternehmen-sind-und-wie-sie-sich-von-regulaeren-Startups-unterscheiden.html#Wie-sich-Sozialunternehmen-von-traditionellen-Unternehmen-unterscheiden-/-უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.06.2024 წ.

სიტყვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, თანამშრომლები იღებენ ტრენინგს, განათლებას და კარიერის განვითარების შესაძლებლობებს თავიანთი უნარებისა და ცოდნის გასაფართოებლად.

- სასტუმრო თანამშრომლობს სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან და პროექტებთან, რომლებიც მიზნად ისახავს Siem Reap-ის მოსახლეობის ცხოვრების პირობების და კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, სასტუმრო მხარს უჭერს სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს.

ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სოციალური საწარმოს რესტორანი კენიაში. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა დღეს მსოფლიოში არის საკვების ნარჩენები და შიმშილი. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში წარმოებული საკვების დაახლოებით მესამედი იკარგება, ხოლო თითქმის 690 მილიონი ადამიანი იტანჯება ქრონიკული შიმშილით. ეს არ არის მხოლოდ მორალური და ჰუმანიტარული პრობლემა, არამედ გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პრობლემა, რადგან საკვების ნარჩენები ხელს უწყობს წყლის დეფიციტს, რესურსების ამოწურვას და სხვ.

ზოგიერთი სტუმართმოყვარეობისა და ტურისტული სოციალური საწარმო ამ პრობლემას პირდაპირ აგვარებს ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებით, რომლებიც ამცირებს საკვების ნარჩენებს და კვებავს მშიერებს. ამის მაგალითია Kuleana, სოციალური საწარმოს რესტორანი ნაირობიში, კენიაში, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქში საკვების ნარჩენებისა და შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლას. Kuleana მუშაობს ანაზღაურებადი მოდელის მიხედვით, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ აირჩიონ რამდენის გადახდა სურთ თავიანთ კვებაზე შემოსავლის, კმაყოფილების და კეთილშობილების საფუძველზე. რესტორანი თავის ინგრედიენტებს ადგილობრივი ფერმერებიდან და ბაზრებიდან იღებს და იყენებს ჭკვიან ტექნოლოგიას საკვების მარაგისა და მოხმარების მონიტორინგისა და ოპტიმიზაციისთვის.

კულენა ასევე თანამშრომლობს სურსათის სამაშველო ორგანიზაციებთან, როგორიცაა Food for Education და Feeding the Streets, რათა ზედმეტი საკვები გადასცეს დაბალი შემოსავლის მქონე სკოლებსა და უსახლკარო თავშესაფრებს. ამ გზით, კულეანა არა მხოლოდ ამცირებს საკუთარი საკვების ნარჩენებს, არამედ აწვდის საკვებს მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

„Kuleana“ არის შთამაგონებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ სოციალურ საწარმოებს სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სფეროში სოციალური ცვლილებებისკენ, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და რთული გამოწვევის გადაწყვეტის გზით. ბიზნეს ინოვაციების, სოციალური ზემოქმედებისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის შერწყმით, Kuleana გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სექტორი იყოს დამხმარე ძალა მსოფლიოში.

ტენდენციები და ინოვაციები

მას შემდეგ, რაც მსოფლიო აწყდება უპრეცედენტო გამოწვევებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, სოციალური უთანასწორობა და ჯანმრთელობის კრიზისი, სოციალური საწარმოები სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სფეროში ჩნდება პოზიტიური ცვლილებების მძლავრ ძალად. ეს არის კომპანიები, რომლებიც იყენებენ თავიანთ მოგებასა და რესურსებს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად, მათი მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის სერვისებითა და გამოცდილების მიწოდებით. ამით ისინი ქმნიან ღირებულებას მრავალი დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის მათი თანამშრომლებისთვის, თემებისთვის და მსოფლიოსთვის.

ბევრი სოციალური საწარმო მასპინძლობისა და ტურიზმის სფეროში იყენებს პრაქტიკას, რომელიც ამცირებს მათ გავლენას გარემოზე და აძლიერებს მათი დანიშნულების ადგილის ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს. მაგალითად, Lapa Rios Lodge კოსტა რიკაში არის ძვირადღირებული ეკო-სახლი, რომელიც იცავს 1000 ჰექტარ ტროპიკულ ტყეს და მხარს უჭერს ადგილობრივ კონსერვაციასა და განათლების

ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმისა, თუ როგორ ახდენენ სოციალური საწარმოები სტუმართმოყვარეობასა და ტურიზმში, მართავენ სოციალურ ცვლილებებს და ქმნიან განსხვავებას მსოფლიოში. ამ ტენდენციებისა და ინოვაციების ათვისებით, ისინი არა მხოლოდ ქმნიან დადებით გავლენას, არამედ შთააგონებენ სხვებს შეუერთდნენ მათ მისიას.

სოციალური საწარმოები სტუმართმოყვარეობასა და ტურიზმში შეიძლება იყოს მძლავრი ინსტრუმენტი სოციალური ცვლილებებისა და მსოფლიოში ცვლილებების შესატანად, მაგრამ მათ ასევე აწყდებიან მრავალი გამოწვევისა და შეზღუდვის წინაშე. ამ საკითხების გააზრებითა და განხილვით, ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ უფრო ინკლუზიურ, მრავალფეროვან და მდგრად სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის ინდუსტრიას, რომელიც სარგებელს მოუტანს როგორც საზოგადოებას, ასევე ეკონომიკას.

საქართველოში სოციალურ საწარმოებს კარგი პოტენციალი აქვს. საქართველოს გაცნობის სურვილის მქონე ტურისტებს, შეუძლიათ, დაანახვონ ისეთი საინტერესო კულტურული საქმიანობები, რომლებიც ერთის მხრივ მათ აღფრთოვანებას გამოიწვევს და მეორეს მხრივ მათ გაუჩნდებათ სურვილი, რომ ადგილობრივ საზოგადოებას დაეხმარონ ფინანსურად, ცოდნის გაზიარებით და ა.შ.

მათთვის ტურიზმი არის კიდევ ერთი შემოსავლის წყარო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მეწარმეობისთვის. რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებული იქნება შემოსავლები, მათ დაეხმარებათ, რომ უფრო მდგრადები გახდნენ და ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესონ, რაც საბოლოო ჯამში მათ ბენეფიციარებზე ახდენს გავლენას.

სოციალურ საწარმოებს აქვთ კონკრეტული პოტენციალი ტურიზმში. ქმნიან საინტერესო პროდუქტს, რომელიც ტრადიციებთან არის დაკავშირებული, თავად პროდუქტის შექმნა არის ის ტურისტული სერვისი, რომელსაც სტუმრებს სთავაზობენ. მაგალითად როგორ დავამზადოთ თიხის, ან თექის ნაწარმი, რომელსაც აქვს ორმაგი ღირებულება:

პირველი – სტუმარს შეუძლია გაიცნოს ქვეყნის ტრადიციები და მეორე, თავად ჩაერთოს ამ ყველაფერში.

ტურიზმში სოციალური საწარმოების ჩართულობა დამატებითი ფინანსების წყარო შეიძლება გახდეს. ამისთვის საჭიროა ტურისტული სააგენტოების ჩართვა, რომლებიც შუამავალ როლს თამაშობენ უცხოელ ვიზიტორებსა და სოციალურ საწარმოებს შორის.

დასკვნა

სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის სექტორში სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ სოციალური ცვლილებების შეტანაში. სოციალური საწარმოების სარგებელი მასპინძლობისა და ტურიზმის სფეროში საზოგადოებისა და გარემოსთვის სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს:

- მათ შეუძლიათ გააძლიერონ ადგილობრივი თემები და ხელი შეუწყონ კულტურულ მრავალფეროვნება;
- უზრუნველყონ დასაქმების, ტრენინგის და შემოსავლის შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ქალების, ახალგაზრდობისა და ეროვნული უმცირესობებისთვის;
- წარმოაჩინონ თავიანთი დანიშნულების ადგილის უნიკალური კულტურა, ტრადიციები და მემკვიდრეობა და ხელი შეუწყონ კულტურათაშორის დიალოგს და ურთიერთგაგებას სტუმრებსა და მასპინძლებს შორის.

მნიშვნელოვანია მათი ჩართვა ტურისტულ შეთავაზებაში, რაც შეიძლება გამოიხატოს ტურისტებისთვის ტრადიციული რეწვის მასტერკლასების ჩვენებაში, ან საინტერესო ნაწარმის დამზადების დათვალიერებაში. მოგზაურების მიერ დახარჯული თანხა უნდა ხმარდებოდეს ადგილობრივი ბაზრის გაძლიერებას. ეს არის თანამედროვე ტურიზმის საერთაშორისო ტენდენცია.

საქართველოში სოციალურ საწარმოებს კარგი პოტენციალი აქვს. ქვეყნის გაცნობის სურვილის მქონე ტურისტებს, შეუძლიათ, გააცნონ ისეთი საინტერესო კულტურული საქმიანობები, რომლებიც ერთის მხრივ მათ აღფრთოვანებას გამოიწვევს და მეორეს მხრივ მათ გაუჩნდებათ სურვილი, რომ ადგილობრივ საზოგადოებას დაეხმარონ ფინანსურად, ცოდნის გაზიარებით და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ღვინჯილია მაია, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის ასპექტები ტურიზმში (ქართული ხალხური ტრადიციების მაგალითზე), დისერტაცია, თბილისი, 20162.
2. https://fastercapital.com/de/inhalt/Soziale-Unternehmen-im-Gastgewerbe-und-Tourismus--Den-sozialen-Wandel-vorantreiben--Wie-Startups-im-Gastgewerbe-und-Tourismus-einen-Unterschied-machen.html#Was-ist-ein-Sozialunternehmen-im-Gastgewerbe-und-Tourismus-
3. https://rootedstorytelling.com/social-impact/social-enterprises-tourism-experiences/
4. http://sapaochau.org/
5. https://www.segeorgia.org/ge/faq

ჩრდილოვანი ეკონომიკა და ეკონომიკური უსაფრთხოება
Shadow economy and economic security

კახაბერ ციმინტია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი.
kakhatsimintia@sou.edu.ge
Kakhaber Tsimintia - Sokhumi State University.
Associate Professor

აბსტრაქტი. სტატიაში წარმოდგენილია ჩრდილოვანი ეკონომიკის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. მასში თანმიმდევრულადაა განხილული ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ჩრდილოვანი ეკონომიკის ზეგავლენის ნეგატიური მხარეები, ჩრდილოვანი ეკონომიკის გამო ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისთვის შექმნილ საფრთხეებზე. კონკრეტული ინდიკატორების საშუალებით გაანალიზებულია საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის მდგომარეობა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ნეგატიურ და პოზიტიურ მიმართულებებზე, მათზე ჩრდილოვანი ეკონომიკის ზეგავლენაზე, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების მიმართულებებზე, ეკონომიკური რეფორმების ახალი ტალღის აუცილებლობაზე და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების ზეგავლენით მდგრადი ეკონომიკური განვითარების ცალკეული ინდიკატორების გაუმჯობესებაზე.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოვანი ეკონომიკა, ეკონომიკური უსაფრთხოება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი, ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში

Abstract. The article presents the impact of the shadow economy on the country's economic security. It consistently discusses the negative aspects of the influence of the shadow economy on economic security, the threats created by the shadow economy to the sustainable and safe development of the economy. The state of possibility of sustainable economic development in Georgia is analyzed by means of specific indicators.

The author focuses on the negative and positive directions of the possibility of sustainable economic development in Georgia, the influence of the shadow economy on them, the directions of the reduction of the shadow economy, the need for a new wave of economic reforms and the improvement of individual indicators of sustainable economic development due to the influence of the reduction of the shadow economy.

Keywords: Shadow economy, economic security, scale of shadow economy, shadow Economy in the Georgia

შესავალი. ჩრდილოვანი ეკონომიკა ამახინჯებს ეკონომიკური ზრდის, ეროვნული სიმდიდრის ფორმირების, შემოსავლების განაწილების მაჩვენებლებს, ზრდის მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციას, ხელს უწყობს სიღარიბის ზრდასა და გაღრმავებას, ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმირებას, ეკონომიკური საქმიანობის და ზოგადად საზოგადოების კრიმინალიზაციას, რითაც აფერხებს ქვეყნის მდგრად და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, ამახინჯებს რა, ეკონომიკური განვითარების რეალურ სურათს, ხელს უწყობს ეკონომიკური უსაფრთხოების ნეგატიური პარამეტრების ფორმირებას. განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთ კომპონენტზე, როგორიცაა მდგრადი განვითარება, რადგან არღვევს ეკონომიკური სისტემის ელემენტთა სიმყარეს, ზრდის ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეებს.

კვლევის შედეგები. ჩრდილოვანი ეკონომიკის მიერ ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიმართ გამოწვეული საფრთხეები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

- ✓ ეკონომიკური სტრუქტურის დეფორმაცია;
- ✓ ეკონომიკური აქტივობის კრიმინალიზაცია;

- ✓ მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება;
- ✓ სიღარიბის ზრდა და გაღრმავება.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი მასშტაბების მთავარი შედეგი კი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის, საზოგადოებრივი თანხმობის რღვევა, ეკონომიკური განვითარების ნეგატიური პირობებია. რაც ხელს უშლის ქვეყნის უმთავრესი ეროვნული ინტერესის - თითოეული მოქალაქისათვის ცხოვრებისა და კეთილდღეობის მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენის შესწავლისას მნიშვნელოვანი საკითხია იმ ინდიკატორების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც მოხდება ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწეული დონის შეფასება. ცხადია, რომ ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის არსებობა პირდაპირ თუ ირიბ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა მაჩვენებელზე. ამასთან, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ რამდენიმე ისეთი ინდიკატორის წარმოდგენა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ამ მაჩვენებლებიდან იმ უმთავრესის შერჩევა, რომელზეც ჩრდილოვანი ეკონომიკა ახდენს განსაკუთრებულ ზეგავლენას. ე.წ. ,,კოპენჰაგენის კრიტერიუმებისა“ და საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ განსაზღვრულ იქნა ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და მათი ზღვრული მნიშვნელობები, რომლებშიაც ყველაზე მეტად აისახება ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის მასშტაბები და მისი ფუნქციონირების შედეგები.

ცხრილი 1.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორები

#	მაჩვენებლები	ზღვრული მნიშვნელობა	2005	2010	2015	2020
1	მშპ-ის ზრდის ტემპი (ბოლო ოთხი წლის საშუალო) (%)	3	8,0	4,9	4,3	1,95
2	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (PPP) (აშშ დოლარი)	6000	4200	5800	9630	14 861
3	ადამიანის განვითარების ინდექსი (Human Development Index)	0,8	-	0,698	0,754	0,812

4	ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი მშპ-ში (%)	25	28,1	19,3	28,4	30,3
5	ბიუჯეტის დეფიციტი (GFSM - 1986) მშპ-ის მიმართ (%)	3,0	2,6	6,7	3,7	9,8
6	საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში (%)	30	15,8	23,5	23,7	25,3
7	მეცნიერებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში (%)	2,0	-	0,2	0,2	-
8	განათლებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში (%)	5,0	3,3	2,8	3,0	3,5
9	საქონლის ექსპორტის წილი მშპ-ში (%)	20	12,7	14,0	15,8	20,9
10	ექსპორტით იმპორტის გადაფარვა (%)	75	34,8	31,9	30,1	41,5
11	ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში (%)	20	30,3	21,7	11,97	12,71
			66,1	64,73	53,07	-
12	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი (%)	10	35,4	37,3	21,6	21,3
	სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლების წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 2,15 დოლარზე ნაკლები დღეში (2017 PPP)		12,9	14,4	4,9	5,8
	სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლების წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 6,85 დოლარზე ნაკლები დღეში (2017 PPP)		71,7	70,6	56,2	58,3
13	სახელმწიფო ვალების წილი მშპ-ში (%)	60	-	37,2	36,8	62,6
14	დამნაშავეობის დონე 1000 კაცზე (რეგისტრირებული დანაშაულის მიხედვით)	50	11	9	-	15
15	დეპოპულაციის დონე	100 : 100	100 : 107	100 : 97	100:82	100:108

მშპ-ის ზრდის ტემპი (ბოლო ოთხი წლის საშუალო. მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში იგი ზღვრულ მაჩვენებელზე პოზიტიური პარამეტრით ხასიათდებოდა გარდა

2020 წლისა, რაზეც არსებითი ზეგავლენა მოახდინა COVID -19-ის პანდემიამ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ რომ ზღვრული 3,0 % ეს არის ნიშნული, რომლის ქვევითაც ეკონომიკური ზრდის ტემპის არსებობა ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით საფრთხის შემცველი და არასასურველია. თუმცა საქართველოს მდგომარეობისთვის, როგორც აღვნიშნავდით [8] მიღწევადი და რეალისტურია მშპ-ის ზრდის 7-10%-იანი ტემპი, რომელზე ნაკლებიც განვითარებისთვის ვერ ჩაითვლება პოზიტიურად. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სიღარიბის გაღრმავების შეჩერება და საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება, გარკვეული განვითარებაც, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის სივრცესთან ასოცირების, შემდგომი ინტეგრაციის დადებით მხარეებსა და მოსალოდნელ შესაძლებლობებს, ქვეყანაში არსებობს პოტენციალი უფრო ოპტიმისტური სცენარით განვითარებისთვის. საქართველოსთვის განვითარების ოპტიმისტური სცენარი იქნება გრძელვადიან პერიოდში რეალური მშპ-ის 10%-ზე მაღალი ზრდა. ასეთ პირობებში ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა სწრაფად მოახდინოს არსებითი ხასიათის პერმუტაცია, უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პარამეტრები და ღირსეულად უპასუხოს მის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

მშპ ერთ სულზე მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (PPP) (აშშ დოლარი). აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში მუდმივად ზრდით ხასიათდება. რაც ერთის მხრივ გამოწვეულია მშპ-ის ზრდით, რაც უდაოდ პოზიტიური მომენტია, მაგრამ მეორეს მხრივ ქვეყანაში მოსახლეობის შემცირება და ვალუტის კურსის ვარდნაც ახდენს ზეგავლენას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ რომ ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი ჩვენი გათვლებით, მინიმუმ მშპ-ის მეოთხედია, (არსებული მონაცემებით კი 50%-იც კი) გამოდის რომ მშპ-ის ზრდის ტემპისა და ერთ სულზე მშპ-ის მონაცემები რამდენადმე უფრო პოზიტიურია.

ადამიანის განვითარების ინდექსი. ცნობილია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი სამ კომპონენტს მოიცავს: სიცოცხლის ხანგრძლივობა და ხარისხი (სიცოცხლის ხანგრძლივობა, სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი), განათლების დონე (სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო ოდენობა, განათლების ინდექსი) და მთლიან შიდა პროდუქტს (ან მთლიან ეროვნულ შემოსავალს) მოსახლეობის ერთ სულზე საერთაშორისო დოლარებში. ამჟამად, ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი მსოფლიოში 0,735 - ს შეადგენს, განვითარებულ ქვეყნებში - 0,911-ს, განვითარებადში - 0,663-ს. 2020 წლისთვის საქართველოში 0,812 -ს შეადგენს.

ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი მშპ-ში. მის ზღვრულ მნიშვნელობად მიღებულია 25%. 2000 წლისთვის საქართველოში იგი მხოლოდ 5%-ს შეადგენდა, 2005 წლისთვის კი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა და 28,1%-ს შეადგენდა, 2020 წლისთვის კი უკვე 30,3 %-ია.

ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის მიმართ. აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენს მიერ წარმოდგენილ საანალიზო პერიოდში მერყეობდა და ზოგჯერ სცდებოდა ზღვრულ ნიშნულს (მაგ. 2010 წ. — 6,7 %). 2020 წლისთვის ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 9,8 % შეადგინა (სავარაუდოდ მნიშვნელოვანი წვლილი პანდემიას მიუძღვის). მომავალში მაქსიმალურადაა გასათვალისწინებელი ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები და მუქარები, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ნეგატიური პარამეტრები;

საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში (%). იგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, როგორც ეკონომიკის განვითარების არსებული პირობების შეფასების, ისევე ჩრდილოვანი სექტორის როლის დახასიათებისთვის. მისი დაბალი დონე ჩრდილოვანი ეკონომიკის სასურველზე მაღალ მასშტაბებზე მიუთითებს. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში იგი ზღვრულ ინდიკატორზე დაბლა იყო ფიქსირებული და 2020 წლისთვის მშპ-ის 25,3 %-ს შეადგენს.

მეცნიერებასა და განათლებაზე ასიგნებების წილი მშპ-ში. მოცემულმა მაჩვენებელმა საანალიზო პერიოდში მთლიანობაში პოზიტიური ცვლილებები განიცადა. თუმცა, ასიგნებების მეცნიერებისა და განათლების სფეროების მიხედვით დიფერენცირებისას, ჩანს
რომ მეცნიერების ასიგნებანი ნაცვლად ზღვრული 2,0%-იანი ნიშნულისა სტაბილურად 0,2%-ს შეადგენს. პოზიტიურად მიგვაჩნია, ის რომ გამოყოფილი თანხების მოცულობა, მშპ-ის ზრდის კვალობაზე, პერიოდულად იზრდება. ანალოგიურ პოზიტივს აქვს ადგილი მშპ-ში განათლებაზე ასიგნებების მიხედვითაც. ამასთან, ზრდად მშპ-ში მისი წილი 2020 წლისთვის 3,5 %- ს შეადგენს, ნაცვლად ზღვრული 5 %-სა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით არსებითი ხასიათის პოზიტიური ცვლილებებია განხორციელებული, კვლავაც მრავალი პრობლემა რჩება გადასაჭრელი, რათა მიღწეულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი მაჩვენებლები.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორთა ანალიზისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქონლის ***იმპორტ-ექსპორტთან დაკავშირებული მაჩვენებლების*** განხილვა წარმოადგენს, რამდენადაც აღნიშნული მაჩვენებლები ახასიათებენ სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ქვეყნის პოზიციების ცვლილებას. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოს პოზიციები, პროდუქციის ექსპორტთან მიმართებაში, მხოლოდ სუსტი გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, საქონლის ექსპორტის წილმა მშპ-ში 2020 წლისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით მიაღწია ზღვრულ დონეს 20,9, თუმცა ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი

მნიშვნელოვნად ჩამორჩება მისაღებ დონეს და ნაცვლად 75%-ისა 2020 წლისთვის მხოლოდ 41,5%-ს შეადგენს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში. ჩვენი აზრით, განვითარებული ქვეყნებისთვის მშპ-ის 20%-ზე მაღალი ჩრდილოვანი ეკონომიკა, ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით მიუღებელია. 10 % დაბალი კი მისაღებ პარამეტრად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ითვლება რომ მშპ-ის 50%-ზე მაღალი ჩრდილოვანი სექტორი, ეკონომიკის სტრუქტურულ რღვევას იწვევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ მიმართულებით არაერთმნიშვნელოვანი მონაცემები გაგვაჩნია. ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით იგი საანალიზო პერიოდის ბოლო ათწლეულში ზღვრულ ნიშნულზე უფრო პოზიტიურია, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 2015 წლისთვის მნიშვნელოვნად აღემატება მას.

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი. აღნიშნული მაჩვენებლის ანალიზი მნიშვნელოვან მასალას იძლევა ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის დახასიათებისთვის. ჩრდილოვანი ეკონომიკა აღრმავებს რეალურ ქონებრივ დიფერენციაციას. ამასთან, დამალული შემოსავლების, გადასახადებისა და ქონების გამო რბილდება აღნიშნული დიფერენციაციის ოფიციალური მაჩვენებლები. მიღებულია რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილმა არ უნდა გადააჭარბოს 10 %-ს. 2020 წლისთვის საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარზე ორჯერ მაღალი იყო და 21,3 %-ს შეადგენდა. ჩვენ ასევე წარმოვადგინეთ სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლების ორი მაჩვენებელი - მინიმალური, როცა ზღვრად აღებულია აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 2,15 დოლარზე ნაკლები დღეში (2017 PPP) და როცა ზღვრად აღებულია 6,85 დოლარზე ნაკლები დღეში (2017 PPP). შესაბამისად მივიღეთ, რომ 2020 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 5,8 %, ანუ 200 ათასზე მეტი ადამიანი დღეში 2,15 დოლარზე ნაკლებს ღებულობდა (თვეში დაახლოებით 175 ლარზე ნაკლებს), ხოლო მოსახლეობის ნახევარზე მეტს (58,3%), ანუ 2 მლნ-ზე მეტ ადამიანს თვეში 500 ლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა. აშკარაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორისაა, ქვეყნის უმთავრესი მიზანი - მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა, მინიმალურ დონეზეც არაა უზრუნველყოფილი. აღნიშნული აუფერულებს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პოზიტიურ მაჩვენებლებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩრდილოვანი ეკონომიკის მისაღებზე მაღალ დონეს.

სახელმწიფო ვალების წილი მშპ-ში. სახელმწიფო ვალების წილი მშპ-ში (ზღვრული მაჩვენებელი 60 %). ბოლო მონაცემებით აღნიშნულმა მაჩვენებელმა საქართველოში 2020 წელს 62,6%-ს მიაღწია, რაც ეკონომიკის უსაფრთხო და მდგრადი განვითარებისთვის საფრთხის

მატარებელია. ამასთან, სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩება აღებული ვალების მიზნობრიობა და მათი სტრუქტურა.

დამნაშავეობის დონე 1000 კაცზე (რეგისტრირებული დანაშაულის მიხედვით). მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში იგი პოზიტიური იყო, რაც ყოველდღიური ცხოვრებითაც დასტურდება. დანაშაულის მხრივ საქართველო ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყანადაა აღიარებული. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ არ ხდება დანაშაულის რეგისტრაცია, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, რთულია კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან, გადასახადებისგან თავის არიდებასთან, ზოგადად, ჩრდილოვან ეკონომიკასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოვლენა.

დეპოპულაციის დონე. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი უარესობისკენაა შეცვლილი და ეკონომიკური თვალსაზრისით ნეგატიურ ნიშნულზეა დაფიქსირებული.

დასკვნა. ამგვარად, ეკონომიკის მდგრადი განვითარების ჩვენს მიერ შერჩეული ინდიკატორების ანალიზი მიუთითებს ამ მიმართულებით არსებულ პოზიტიურ ტრაექტორიაზე, თუმცა მთავარი მიზანი - მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა, კვლავაც მიუღწეველია. კვლავაც კრიტიკულ ზღვარზე ნეგატიურია რეალური მშპ-ის გრძელვადიანი ზრდის, ბიუჯეტის დეფიციტის, მშპ-ში საგადასახადო შემოსავლების წილის, მეცნიერებასა და განათლებაზე ასიგნებების მოცულობის, საქონლის ექსპორტის, სიღარიბის, სახელმწიფო ვალის მაჩვენებლები. რიგი მათგანის პარამეტრებით ირიბად (და კიდევ ერთხელ) დასტურდება ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი მასშტაბი. ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოების ცალკეული მაჩვენებლის გაუმჯობესება ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის მასშტაბების შემცირებაზეც მიუთითებს. მაგალითად, მშპ-ში საგადასახადო შემოსავლების წილის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირება, გამოწვეული გადასახადისგან თავის არიდების პრევენცია-შემცირებით. ზოგადად, ჩრდილოვანი ეკონომიკური შემცირება, მისი დაკვირვებადი ეკონომიკის საზღვრებში მოქცევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს და სხვადასხვა დარგების (სფეროების) რეფორმირების ურთიერთდამოკიდებულ პროცესს წარმოადგენს. მაგალითად, რეპეტიტორთა საქმიანობის ფორმალურ სექტორში მოქცევა დაკავშირებულია განათლების სფეროს რეფორმებთან, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ორგანიზებასთან და ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის, ზოგადად ეკონომიკის განვითარებასთან.

როგორც ცნობილია, ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემის გადაწყვეტის ორი ძირითადი მიმართულებაა აღიარებული: ლიბერალური (ეკონომიკური), რაც გულისხმობს ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების ღონისძიებებს და ამ დროს ეკონომიკურ მეთოდებზე აქცენტირებას და ადმინისტრაციული, რომელიც კანონის გამკაცრებას და უპირატესად ადმინისტრაციული ზემოქმედების მეთოდთა გამოყენებას ეფუძნება. ცალ-ცალკე ამ მეთოდთა გამოყენება შესაძლებელია კონტრპროდუქტიული იყოს, ხოლო მათი ოპტიმალური კომბინაცია კი უდაოდ ეფექტიანი იქნება. ჩვენი აზრით, კონცენტრირება უნდა მოხდეს: პირველი, იმ სფეროებში, სადაც ჩრდილოვანი სექტორის მასშტაბები მაღალია, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენისა და შემცირების უპირატესად ეკონომიკური ღონისძიებების დასახვა-განხორციელებაზე; მეორე, სახელმწიფო აპარატის კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდაზე. ამ სფეროში შემოსავლების, მისი წყაროების, მიღებული ქონების კანონიერების კონტროლის უფრო ქმედითი ღონისძიებების შემუშავება გატარებზე; და მესამე, საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაზე. კერძოდ, გადასახადების შემდგომ ოპტიმიზაციზე, მისი სიმარტივისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გადასახადების სტაბილურობის მხრივ ერთ-ერთი მოწინავე მიდგომა არსებობს. ახალი გადასახადის შემოღება ან არსებულის განაკვეთის ზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი, რასაც ვერ ვიტყვით გადასახადების სიმარტივესა და განაკვეთის ოპტიმალურობაზე. ჩრდილოვანი ეკონომიკის გარკვეული ნაწილის ლეგალურ სექტორში გადანაცვლების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად ეკონომიკური ამნისტია, არაკრიმინალური გზით მირებული არადეკლარირებური შემოსავლების ლეგალიზება ითვლება და ეს გზა გაიარეს ირლანდიამ, თურქეთმა, ბელგიამ, იტალიამ და ა.შ. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი ამნისტია კანონმორჩილი და გადასახადების წესიერი გადამხდელების მიმართ გარკვეული უსამართლობის განცდას ტოვებს. ამიტომაც, სამართლებრივი გარემოს ფორმირება უნდა მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურების, პოლიტიკურ პარტიების, არასამთავრობო სექტორისა და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობისა და შეთანხმების საფუძველზე.

საბოლოოდ, აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს რეფორმების ახალი ტალღა, მათ შორის რეფორმები ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების მიმართულებით. ამასთან, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების მეთოდები და ინსტრუმენტები ცნობილია. პრობლემა იმაშია თუ რამდენად სისტემურად და ეფექტიანად მოხდება მათი გამოყენება.

ლიტერატურა:

1. პაპავა ვ. დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, XV. გვ. 28-55.

2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. https://nsc.gov.ge/ka/

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2020. თბილისი, 2020.

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2011. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2013.

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2019. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2021.

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2020. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2023.

7. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტი. თბილისი, 2003.

8. ციმინტია კ. მიკროეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში. თბილისი, 2018.

9. ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. "ივერიონი", თბილისი, 2018.

10. Medina Leandro. Schneider Friedrich. Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years? IMF Working Paper. 2018.

11. Schneider Friedrich. Buehn Andreas. Estimating the Size of the Shadow Economy: Methods, Problems and Open Questions. Discussion Paper No. 9820. March 2016.

მიგრაციის გავლენა ეროვნულ ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე
The impact of migration on the national economy and social sphere

ნონა ფანჯიკიძე
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, შპს ორიენტირი
nfanjikidze@gmail.com
Nona Panjikidze
Head of the educational process regulatory service, Ltd Orientiri

აბსტრაქტი. როგორც თანამედროვე პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე შრომითი მიგრაციული პროცესების განვითარება აჩვენებს, აუცილებელია კომპლექსური მიდგომის გამოყენება, რათა შეფასებული იქნას არსებულ ტენდენციათა, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა სამუშაო ძალის დონორ ქვეყნებზე. ჩვენს წინამდებარე კვლევაში არის მცდელობა იმისა, რომ შრომითი ემიგრაციის შედეგების განსაზღვრის საფუძველზე შემუშავდეს სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ემიგრაციის ზეგავლენის მონიტორინგი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სახელმწიფო მართვის ხარისხზე. წინამდებარე მოხსენებაში შესწავლილია საკვლევ თემასთან დაკავშირებით წამყვან უცხოურენოვან ლიტერატურაში არსებული თეორიული მიდგომები. გავეცანით პოსტსოციალისტური ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას, რომელიც დაუგროვდათ შრომითი რესურსების ემიგრაციის კუთხით დონორ სახელმწიფოებს. შევისწავლეთ საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის იფიციალური მონაცემები ქვეყნიდან შრომითი რესურსების მიგრაციის, საზღვარგარეთიდან ფულადი ნაკადების ჩარიცხვის შესახებ, ჩავატარეთ მეორად ინფორმაციაზე დამყარებული სტატისტიკური კვლევა, რათა დაგვედგინა ემიგრაციიდან საქართველოში სავარაუდო ფინანსური ნაკადების მოცულობა და მისი (ფულადი ნაკადის) სავარაუდო გავლენა ქვეყნის ფინანსურ და ზოგადად ეკონომიკურ სტაბილურობაზე. მოძიებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გავაკეთეთ არგუმენტირებული დასკვნები და წინადადებები, იმასთან დაკავშირებით, თუ რა დადებითი ან/და უარყოფითი გავლენა შეიძება ჰქონდეს სამუშაო ძალის ემიგრაციას საქართველოდან, ძირითადად მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებში

საკვანძო სიტყვები: სავალუტო გზავნილი, მიგრაცია, სამუშაო ძალა, სოციალური ეფექტი. დონორი ქვეყანა, ეროვნული შემოსავალი.

Abstract. As the development of labor migration processes in the world in the modern period shows, it is necessary to use a complex approach in order to evaluate the existing trends, both positive and negative impact on the labor force donor countries. In our present study, there is an attempt to develop a system of statistical indicators based on the determination of the results of labor emigration, through which it will be possible to monitor the impact of emigration on the economic development of the country and the quality of state management. In the present report, the theoretical approaches in the leading foreign language literature are studied in relation to the research topic. We got acquainted with the best experience of the post-socialist countries, which they have accumulated in terms of emigration of labor resources to the donor states. We studied the official data of the National Bank of Georgia and the National Statistical Service of Georgia about the migration of labor resources from the country, the enrollment of cash flows from abroad, we conducted a statistical study based on secondary information in order to determine the volume of estimated financial flows from emigration to Georgia and its (cash flow) estimated impact on the country's financial and general economic on stability. Based on the analysis of the obtained statistical information, we made reasoned conclusions and proposals, in relation to what positive and/or negative impact the emigration of military personnel from Georgia could have, mainly in highly developed states.

Key words: exchange rate, migration, labor force, social effect. Donor country, national income.

თანამედროვე სოციალური რეალობა წარმოუდგენელია მოსახლეობის მიგრაციის გარეშე. როგორც ერთ-ერთი პირველი გლობალური პროცესი, საერთაშორისო მიგრაცია, განურჩევლად მისი ტიპისა, მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს როგორც მიმღები, ისე გამგზავნი ქვეყნების ცხოვრებაში. მსოფლიო განვითარების წამყვანი ქვეყნები, შერჩევითი მიდგომის გამოყენებით და მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტებით, ცდილობენ გამოიყენონ მიგრაცია, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ეროვნული ადამიანური კაპიტალის, ეკონომიკისა და მთელი

სოციალური სფეროს განვითარებაში. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად მისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს მიგრაცია. ემიგრანტების მაღალი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ვითარდება ტექნოლოგიებისა და მედიცინის სფერო. რაც შეეხება სწავლის მიზნით მიგრაციას, ეს საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს კიდევ უფრო მეტი შემოსავალი მიიღონ. მსგავსი ტიპის ტექნიკას მიმართავს: კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინგლისი, გერმანია და სხვა.

გამორიცხულია მიგრაციის ისე განხილვა, თითქოს მას მხოლოდ დადებითი შედეგები აქვს სოციალურ რეალობაში. ეთნიკური დაძაბულობის ზრდა, ეთნიკური დანაშაული, დაუკვირვებელი და ჩრდილოვანი ეკონომიკა, არალეგალური დასაქმება, ნარკომანიის პრობლემები და ა.შ. - ეს ყველაფერი არის ამ სფეროში საჯარო მმართველობის არასრულყოფილების შედეგი. ფაქტობრივად, მიგრაცია ერთგვარი სოციალური „კატალიზატორია“. კარგად ჩამოყალიბებული მმართველობის მექანიზმის, კორუფციის დაბალი დონისა და სახელმწიფო დონეზე განსაზღვრული პრიორიტეტების მქონე ქვეყნებში, მიგრაცია ხდება დამატებითი განვითარების ფაქტორი, ზრდის წერტილების გაჯერებას ადამიანური კაპიტალით და ინვესტიციებით. საპირისპირო მდგომარეობა შეინიშნება, როდესაც სახელმწიფოს აქვს სისტემური პრობლემები მენეჯმენტში, ანტიკორუფციულ საქმიანობაში. ისედაც მანკიერ სისტემაში ინტეგრირებული მიგრანტები ახალ სტიმულს აძლევენ არალეგალური შრომის ბაზრისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას, კორუფციული ურთიერთობებისა და არალეგალური სქემების გავრცელებას. ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება საზოგადოების განვითარებაზე, იწვევს უფრო მასშტაბურ დესტრუქციული პროცესებს: ეთნიკურ კონფლიქტები, შიდაპოლიტიკურ დაძაბულობის ზრდას და ა.შ.

შრომითი მიგრაციის შედეგების შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დონორი ქვეყნებისთვის და სახელმწიფოებრივი მმართველობისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ სულ უფრო იზრდება დამოკიდებულება მიგრანტთა ფულად გზავნილებზე. დღეისათვის ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ გამომგზავნი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის, არაერთი გამოწვევის ფორმირებაზე, რაც დაფუძნებულია მნიშვნელოვან დანაკარგებზე, პირველ რიგში, ადამიანური კაპიტალზე.

მოკლევადიან პერსპექტივაში ეს მდგომარეობა ძალიან ხელსაყრელია დონორი ქვეყნებისთვის, რადგან მას მოაქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დივიდენდები. პირველ რიგში, ეს არის სახსრების მნიშვნელოვანი შემოდინება. საქართველოს ეკონომიკა კრიტიკულად არის დამოკიდებული მიგრანტთა ფულად გზავნილებზე. ამრიგად, 2022 წლის დასასრულს ფულადი გზავნილების თანაფარდობა ქვეყნის მშპ-თან იყო დაახლოებით 19.1 % (ცხრილი 1). მიგრანტთა დახმარებით ქვეყანაში გარკვეული სოციალური სტაბილურობაა უზრუნველყოფილი. სწორედ ამ თანხით ფუნქციონირებს მცირე ბიზნესი, უძრავი ქონების ბაზარი და ა.შ.

ცხრილი 1.

ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკაში[35]

წელი	2019	2020	2021	2023
ფულადი გზავნილები მლნ აშშ დოლარი	1 717.6	1 872.4	2 334.6	3 295.6
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.5	15.8	18.6	17.3*

[35] ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ სქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ფულადი გზავნილების თანაფარდობა მშპ-სთან, %	9.7	12.0	12.4	19.1*
* - 2023 წლის პირველი სამი კვარტალი				

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ავტორის გამოთვლები.

ცხრილი 2.

ფულადი გზავნილები
(2012-2023 წწ. ჩარიცხვა. ათასი აშშ დოლარი)[36]

	2015	2018	2019	2022	2023
სულ	1 072 545.8	1 565 636.4	1 717 580.8	2 334 611.3	3 295 624.7
მათ შორის					
ევროკავშირის ქვეყნები	320629.6	533985.9	647100.3	955526.0	871746.5
რუსეთის ფედერაცია	432687.9	457183.7	428886.6	411368.4	1434395.1
აშშ	100037.1	159558.3	178411.7	284304.5	263915.8
ისრაელი	32878.7	151426.2	162548.0	186741.5	162770.7
ყირგიზეთი	942.1	11098.2	28761.7	31670.5	81445.5
თურქეთი	68945.5	105880.6	94846.1	104483.2	83170.8
ყაზახეთი	14656.3	16097.7	26630.5	61760.0	126688.3
სომხეთი	6487.8	9114.6	13268.7	12909.9	48270.4
გაერთიანებული სამეფო	15964.8	16059.1	16890.4	21109.5	31354.5
აზერბაიჯანი	15507.0	20449.5	22169.2	85188.6	46234.2
ტაჯიკეთი	1268.6	1136.9	1614.5	9905.7	24019.8

მეორე რიგში, მცირდება ზეწოლა შიდა ბაზარზე. ემიგრანტები საგრძნობლად ამცირებენ უმუშევრობას ქვეყნის შიგნით, რაც ხსნის დაძაბულობას, ამასთანავე ამცირებს სამუშაოს მაძიებელთა სოციალურ ხარჯებს.

აქვე ავღნიშნავ, რომ პოლიტიკური სტაბილურობა ნარჩუნდება. უმუშევრობის შემცირება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ამცირებს პროტესტის რისკს საზოგადოებაში.

შესაძლებელია აღინიშნოს შრომითი მიგრაციის რიგი პოზიტიური ეფექტი (მიგრანტების გამგზავნი ქვეყნებისთვის). ამრიგად, თუ ამ ეფექტს განვიხილავთ გრძელვადიან პერსპექტივაში სიტუაცია გამოიყურება არც თუ ისე ერთგვაროვნად. მეტიც, ის დივიდენდები, რომლებიც არის ამ ეტაპზე, მომავალში შესაძლებელია დიდი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისის სახით მობრუნდეს.

მილიარდობით ფულადი გზავნილები მიგრანტებისგან, რომლებიც მიკრო დონეზე დადებით ფენომენად განიხილება, მაკრო დონეზე და გრძელვადიან პერსპექტივაში, არ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა მდგრად განვითარებაზე. შინამეურნეობებში განაწილებული ფული, ფაქტობრივად, „ქრება“ ისინი არ მონაწილეობენ დიდ პროექტებში, ინვესტიციებში, არ

36 https://analytics.nbg.gov.ge/views/Money_Transfers_GE/sheet0?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no [გადამოწმებულია30.04.2024].

ზრუნავენ ქვეყნების ინფრასტრუქტურაზე, არ ავითარებენ ჯანდაცვის, განათლებისა და მთელი სოციალური სფეროს. ეს თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ბიუჯეტური მანევრის ნაწილი მაკროეკონომიკური პრიორიტეტების დასახვისა და მხარდაჭერისთვის. ასევე, ფულადი გზავნილებზე დამოკიდებულება უარყოფითად მოქმედებს შიდა შრომის ბაზარზე, ამცირებს სამეწარმეო აქტივობას, ინიციატივას და აყალიბებს საზოგადოებაში დამოკიდებულ განწყობას.

ემიგრაციის სტიმულირებითა და შრომის ბაზარზე ზეწოლის შემცირებით, სახელმწიფოები განიცდიან მნიშვნელოვან დანაკარგს ადამიანურ კაპიტალში. ცენტრალური აზიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ 1990-იან წლებში ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, სამხედრო, სამეცნიერო, სამედიცინო სფერომ დაკარგა მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი. მაგალითად, საქართველოში მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი იგრძნობა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში, რადგან ქვეყანაში არ არიან ექსპერტები. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურმა განვითარებამ ახალი შრომითი ტალღების გენერირება მოახდინა, რამაც დიდი დარტყმა მოუტანა ადამიანურ კაპიტალს დონორი ქვეყნებისათვის. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის, რომ დროებითი მიგრაცია, ხშირად გადაიზრდება მუდმივში. აქვე უნდა აღინიშნოს, სასწავლებლად წასული ნიჭიერი, მიზანდასახული ახალგაზრდობა, რომლებიც ხშირად რჩებიან მიგრაციაში.

თუნდაც ვივარაუდოთ ის, რომ ემიგრანტი გარკვეულ დროში დაბრუნებას აპირებს, არ ღირს იმის დავიწყება, რომ მისთვის გაცემული კომპეტენცია მუშაობის პროცესში არ წარმოადგენს არანაირ ღირებულებას. როგორც წესი, მიგრაციაში წასულები მუშაობენ ნაკლებ ანაზღაურებად ვაკანსიებზე, ყოველგვარი დაწინაურების პერსპექტივის გარეშე, ხშირად ეს არის, რთული, ბინძური სამუშაო, რომელიც არ საჭიროებს არანაირ კვალიფიკაციას. კომპეტენციები მიღებული მსგავს სფეროში, რადიკალურად არ ცვლის ინდივიდის კაპიტალს[37]. იმ შემთხვევაში, თუ მიგრანტი დაბრუნდება, ის არ წარმოადგენს შიდა ბაზრის ინტერესს. ყოველივე ეს არის მიზეზი პირდაპირი ინვესტიციების შემცირების, იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელ სამყაროში, პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა სფერო ხდება მაღალტექნოლოგიური და მომთხოვნი პერსონალის მიმართ.

გასათვალისწინებელია, სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური დეფორმაცია საზოგადოებაში, რაც ასევე, აისახება ადამიანურ კაპიტალზე. საქართველოში (ისევე როგორც დონორი-ქვეყნების უმეტესობაში) მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ოჯახებსა და შვილების აღზრდაში. ბავშვები იზრდებიან მშობლის/მშობლების გარეშე, რომლებიც წლების განმავლობაში სახლს მოწყვეტილები არიან, ყოველივე ეს ხდება მიზეზი ოჯახის დანგრევის.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები მიგვითითებს აუცილებლობაზე გამოვიყენოთ კომპლექსური მიდგომა, როდესაც ვაფასებთ მიგრაციის დადებით და უარყოფით გავლენას. მოცემულ სტატიაში გვაქვს მცდელობა შრომითი ემიგრაციის შედეგების განსაზღვრაზე შემუშავებულიყო სტატისტიკური მაჩვენებლებზე დაფუძნებული სისტემა. რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ამ პროცესის გავლენის მონიტორინგი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

პრველ რიგში, უნდა შევჩერდეთ სამუშაო ძალის გადინების შედეგების (ეფექტების) შეფასებაზე. მიგრაციის პროცესის სისტემური ხასიათი განაპირობებს მათ დიდ რაოდენობას და მრავალფეროვნებას. სტატისტიკური ინდიკატორების სისტემის შემდგომი ანალიზისა და განვითარების ამოცანებისთვის ჩვენ ვაჯგუფებთ ეფექტებს შემდეგ ბლოკებად: შედეგები შრომის ბაზარზე, შედეგები ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, შედეგები საქონლისა და

[37] https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32481/211506RU.pdf [გადამოწმებულია11.05.2024].

მომსახურების წარმოებაზე, შედეგები ფინანსური სექტორი და სახელმწიფო ბიუჯეტი, შედეგები საგარეო ეკონომიკურ აქტივობაზე (ცხრილი 1).

მიგრაციული პროცესების გააქტიურების თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ გამოყენებული მათი რეგულირების ინსტრუმენტების ეფექტურობის სწორად შეფასებას, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელია ეკონომიკური და სტატისტიკური მაჩვენებლების ყოვლისმომცველი სისტემის შემუშავების გარეშე.

იმიგრაციის ზემოქმედების მრავალგანზომილებიანი, მრავალფაქტორული ბუნება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე მოითხოვს სტატისტიკური ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას უარყოფითი და დადებითი ეფექტების შესაფასებლად.

სოციალური პროცესის ანალიზის (მონიტორინგის) ინდიკატორთა სისტემის შექმნის ერთ-ერთი მთავარი საკითხი შეფასების მეთოდოლოგიის არჩევაა. ერთი შეხედვით, ყველაზე მიზანშეწონილია შეზღუდვის (კრიტიკული) ინდიკატორების მეთოდი, რომლის დროსაც გარკვეული ზღვრული მნიშვნელობების მიღწევა ან გადაჭარბება მიანიშნებს უარყოფითი ტენდენციების ზრდაზე და სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების ხელახალი კონფიგურაციის აუცილებლობაზე.

თუმცა, რაც შეეხება მიგრაციას, განსაკუთრებით შრომით მიგრაციას, საკმაოდ რთულია ზღვრული ღირებულებების დადგენა. მაგალითად, უცხოური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შრომის ბაზარზე უცხოური შრომის ზღვრული წილის დადგენისას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მიგრანტების მნიშვნელოვანი სიჭარბე, როგორც გარკვეულ სექტორებში, ისე მთლიანად ეკონომიკაში, არა მხოლოდ არ აფერხებს განვითარებას, არამედ ხელს უწყობს მას. თვალსაჩინო მაგალითია არაბეთის გაერთიანებული საემიროები, სადაც დასაქმებული უცხოელების წილი კერძო სექტორში 99,5%-ია[38].

მეორეს მხრივ, შრომის ბაზარზე უცხოელი მუშაკების უმნიშვნელო წილმაც კი, გარკვეულ პირობებში, შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები. უმეტეს შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის სოციალური ფაქტორები, რომელთა რაოდენობრივი დადგენა და საიმედო პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი ინდიკატორის შემუშავება უკიდურესად რთულია.

ასევე, საექსპერტო შეფასების მეთოდის გამოყენება ბარიერის მნიშვნელობების დასადგენად ყოველთვის არ არის გამართლებული, სხვადასხვა სამეცნიერო მიდგომების გამო (კონსერვატიული, ლიბერალური, ცენტრისტული) „უცხოური სამუშაო ძალის (უსძ)“ გავლენის შესაფასებლად ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაზე[39]. ამ მხრივ, შრომითი მიგრაციის პროცესების ანალიზისთვის ყველაზე შესაფერის მეთოდს წარმოადგენს აბსოლუტური (მათ შორის საშუალო) და ფარდობითი სიდიდეების დროის სერიების აგების მეთოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, შევისწავლოთ როგორც თავად მიგრაციული პროცესები, ასევე პროცესები, რომლებზეც ისინი გავლენას ახდენენ მათი ცვლილებების მონაცემების გამოყენებით დროთა განმავლობაში, ანუ ვისაუბრებთ დინამიკის ინდიკატორების ანალიზზე, რომლებიც ახასიათებს შემდეგ პროცესებსა და ფენომენებს:

---

[38] https://www.worldbank.org/en/region/eca/brief/migration-and-remittances 1. [გადამოწმებულია 12.04.2024].

[39] http://web.worldbank.org/archive/website01419/WEB/IMAGES/MIKHAILK.PDF [გადამოწმებულია 21.04.2024].

- შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის შიდა ბაზარზე;

- შრომითი ემიგრაციის გავლენა ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეზე;

- შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები სამშობლოში და მათი გავლენა შრომის დონორი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე;

- შრომითი ემიგრაციის გავლენა დონორი სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯვითა და შემოსავლების ნაწილებზე;

- შრომით ემიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგების ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ეკისრება შრომის სახელმწიფო დონორი (ცხრილი 2).სამი ან ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში ინდიკატორების დინამიკაზე დაყრდნობით, შეიძლება გაკეთდეს როგორც შრომითი მიგრაციის განვითარების მასშტაბები, ასევე ის პროცესები, რომლებზეც ის გავლენას ახდენს.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორების ზემოაღნიშნული ბლოკების გამოყენება შეუძლებელია სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე. შემოთავაზებული ინდიკატორების შესახებ პირველადი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების/დეპარტამენტების მიერ, რაც მოითხოვს ყოვლისმომცველი საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელიც ივსება ონლაინ სხვადასხვა სამთავრობო წყაროებიდან. ასევე საჭირო ხდება პირველადი ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. თუმცა, ასეთი სისტემის დანერგვა მნიშვნელოვნად გააფართოვებს მიგრაციული პროცესების მართვის შესაძლებლობებს, რაც დაუყოვნებლივ ირეაგირებს უარყოფით ტენდენციებზე.

ცხრილი 3. შრომითი მიგრაციის შედეგები დონორი სახელმწიფოების ეკონომიკაში

	ნეგატიური შედეგები
გავლენა შრომის ბაზარზე	
ამსუბუქებს/ამცირებს დაძაბულობას შრომის შიდა ბაზარზე უმუშევრობის შემცირების გამო	ზოგიერთ პროფესიებში ხდება მომუშავეთა დეკვალიფიკაცია (საქმიანობის სახეებს შორის შეუსაბამობის შემტხვევაში)
იზრდება შრომადამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობა შრომის ბაზრისთვის უარყოფითი შედეგების გარეშე	სამშობლოში დაბრუნებული დეკლასიფიცირებული მიგრანტების რეინტეგრაციის პრობლემები (საზღვარგარეთ სამსახურის დაკარგვის შედეგად იძულებითი დაბრუნების შემთხვევაში)
	ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის შემცირება
გავლენა ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე	
მომუშავეტათვის კვალიფიკაციის ამაღლება ან ახალი პროფესიის ათვისება	იკარგება კვალიფიციური სამუშაო ძალა, ეცემა ეკონომიკის საკადრო პოტენციალით უზრუნველყოფა, ხდება „ტვინების გადინება“.
მცირდება მოსახლეობის სიღარიბე	საზოგადოებაში “სხვაზე” დამოკიდებულების განვითარება, კერძო ინიციატივის დაქვეითება.
გავლენა საქონლისა და მომსახურების წარმოების სფეროზე	
ზოგიერთი ადგილობრივი წარმოების ზოგიერთი სფეროს (ძირითადად ყოველდღიური მოხმარების საქმონლის) და მშენებლობის (საცხოვრებელი სახლების, როგორც დაგროვების ძირითად საშუალების ხარჯზე) ზრდის სტიმულირება	კვალიფიციური კადრების გადინების შედეგად მცირდება საქონლისა და მომსახურების ახალი სახეების განვითარების შესაძლებლობა
როგორც სახელმწიფო/საჯარო, ასევე კერძო სექტორის სატრანსპორტო სფეროს განვითარება	
გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტსა და ფინანსურ სფეროზე	
ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების საკომისიო გადასახდების ხარჯზე	ადგილი აქვს ინფლაციას, იმის გამო, ფულის მასა იზრდება, საქონლისა და მომსახურების ზრდის გარეშე
იზრდება შემოსავლები ბიუჯეტში საზღვარგარეთ დასაქმების დროს შუამავლების მომსახურებისთვის.	უცხოური ვალუტის შემოდინების გამო ხდება ეროვნული ვალუტის გამყარება, რომლითაც ხდება ნაღდი ანგარიშსწორება.
მცირდება სოციალური სტატიების ბიუჯეტის ხარჯები(ჯანმრთელობისა და განათლების) ეს ყოველივე პირდაპირ კავშირშია კადრების მიგრაციასთან.	ხდება კაპიტალის ინვესტიციების გადაადგილება საწარმოო რესურსების განვითარებიდან მოხმარებამდე.
	ფულადი ხარჯები სპეციალისტების მომზადებისათვის(განათლება, სოციალური ხარჯები)
გავლენა შიდაეკონომიკურ საქმიანობაზე	
შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ სუბიექტებთან ერთობლივი საწარმოების შექმნა.	იზრდება საგარეო მოთხოვნა არა მხოლოდ საქონელზე, არამედ შრომაზეც.
ექსპორტიორ და შრომითი რესურსების იმპორტიორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდა.	

ცხრილი 4.

შრომითი მიგრაციის გავლენის შეფასების მაჩვენებელთა ბლოკები/ჯგუფები (მაჩვენებლები) სამუშაო ძალის დონორი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე

№	ბლოკები	მაჩვენებლები
1.	შრომითი მიგრაცის გავლენა შრომის შიდა ბაზარზე	➢ შრომითი ემიგრანტების წილი მთლიან ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. ➢ შრომითი ემიგრანტების წილის თანაფარდობა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან და უმუშევართა წილი შრომის ბაზარზე. ➢ შრომითი ემიგრანტების წილის თანაფარდობა, რომლებსაც სამსახური ჰქონდათ გამგზავრებამდე, იმ შრომით ემიგრანტთა წილთან, რომლებსაც არ ჰქონდათ მუდმივი სამუშაო გამგზავრებამდე.
2.	შრომითი ემიგრაციის გავლენა ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეზე	➢ საშუალო სპეციალიზებული განათლების მქონე შრომითი მიგრანტების წილის და საშუალო სპეციალიზებული განათლების მქონე სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილთან თანაფარდობა ➢ უმაღლესი განათლების მქონე შრომითი მიგრანტების პროპორციის თანაფარდობა უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ასაკის მოსახლეობის პროპორციასთან. ➢ დიპლომისშემდგომი განათლების მქონე შრომითი მიგრანტების წილისა და დიპლომისშემდგომი განათლების მქონე სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილის თანაფარდობა. ➢ შრომითი ემიგრანტების საშუალო ასაკის და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საშუალო ასაკის თანაფარდობა. ➢ ფულადი გზავნილების წილი, რომელსაც შინამეურნეობები ხარჯავენ განათლებასა და ჯანდაცვაზე. ➢ კვალიფიკაციისა და განათლების შესაბამისად მომუშავე შრომითი მიგრანტების წილი შრომით ემიგრანტთა საერთო რაოდენობაში. ➢ დაბალი კვალიფიკაციის მქონე დასაქმებით და უმაღლესი და საშუალო სპეციალიზებული განათლების მქონე მიგრანტების წილი შრომით ემიგრანტთა საერთო რაოდენობაში.
3.	შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები სამშობლოში და მისი გავლენა სამუსაო ძალის დონორი სახელმწიფოების ეკონომიკურ განვიტარებაზე	➢ შრომითი ემიგრანტების სამშობლოში გადარიცხული ფულადი სახსრების მთლიანი რაოდენობა. ➢ გადარიცხვის საშუალო ოდენობა ერთ შრომით ემიგრანტზე. ➢ ემიგრანტების ფულადი გზავნილების თანაფარდობა პოტენციურ გადასახადებთან, რომლებიც ემიგრანტებს შეეძლოთ გადაეხადათ, თუ ისინი დასაქმებულნი იყვნენ თავიანთ ქვეყანაში.

		➢ ფულადი გზავნილების წილი, რომელსაც შინამეურნეობები ხარჯავენ მიმდინარე მოხმარებაზე ➢ ფულადი გზავნილების წილი, რომელსაც შინამეურნეობები დანაზოგად ინახავენ. ➢ ფულადი გზავნილების წილის თანაფარდობა, რომელსაც შინამეურნეობები ხარჯავენ მიმდინარე მოხმარებაზე და ფულადი გზავნილების წილი, რომელსაც შინამეურნეობები დანაზოგად ინახავენ. ➢ შრომითი ემიგრანტების ფულადი გზავნილების წილი სახელმწიფოს მთლიან შიდა პროდუქტში.
4.	შრომითი ემიგრაციის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გასავლებზე	➢ შრომითი ემიგრაციით გამოწვეული სოციალურ დანახარჯებზე ბიუჯეტის დანაზოგის ოდენობა ➢ შრომითი ემიგრაციიდან ბიუჯეტში შემოსული ფულადი შემოსავლების ოდენობა (გადასახადები და სავალდებულო გადასახადები, რომლებსაც იხდიან დასაქმების კერძო სააგენტოები, დასაქმების ცენტრები და ა.შ.)
5.	შრმით ემიგრაციასთან დაკავშირებული დანაკარგების ღირებულებითი/რაოდენობრივი გამოხატულება, რომელსაც განიცდიან სამუშაო ძალის დონორი სახელმწიფოები	განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე დახარჯული თანხა, რომელიც დაიხარჯა შრომით ემიგრანტებზე.

ბიბლიოგრაფია

1. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95 [გადამოწმებულია22.05.2024].
2. https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/2089 [გადამოწმებულია 14.05.2024].
3. https://www.worldbank.org/en/region/eca/brief/migration-and-remittances [გადამოწმებულია11.05.2024].
4. https://bit.ly/3Xc7Qal [გადამოწმებულია11.05.2024].
5. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/36089 [გადამოწმებულია11.05.2024].
6. https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32481/211506RU.pdf [გადამოწმებულია11.05.2024].
7. http://web.worldbank.org/archive/website01419/WEB/IMAGES/MIKHAILK.PDF [გადამოწმებულია 21.04.2024].
8. https://doi.org/10.46609/IJSSER.2024.v09i04.007 [გადამოწმებულია 04.05.2024].

IFRS S1 და S2: ახალი სტანდარტები მდგრადი განვითარების სფეროში
IFRS S1 and S2: new standards in the field of sustainable development

ნელი სესაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
პროფესორი
Neli Sesadze - Georgian National University SEU
Professor
n.sesadze@seu.edu.ge
ლია პიტიურიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
პროფესორი
l.pitiurishvili@seu.edu.ge

Lia Pitiurishvili - Georgian National University SEU
Professor
ნინელი თევდორაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
პროფესორი
Nineli Tevdorashvili Georgian National University SEU
Professor
n.tevdorashvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი. 2023 წლის 26 ივნისს მდგრადობის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ISSB) გამოაქვეყნა პირველი IFRS პირველი სტანდარტები გამჟღავნების შესახებ მდგრადი განვითარების სფეროში- IFRS S1 და S2.

აღნიშნული სტანდარტები კომპანიებს ავალდებულებენ გაამჟღავნონ მნიშვნელოვანი და შესადარებელი ინფორმაცია მდგრადობის შესახებ, რომელიც ასახავს კომპანიის უნარს გამოიმუშაოს ფულადი ნაკადები, წვდომას ფინანსებზე და კაპიტალის ღირებულება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა დაეხმაროს ინვესტორებს გადაწყვეტილების მიღებაში.

სტატიაში მოცემულია ახალი სტანდარტების მოკლე მიმოხილვა. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქვესტრუქტურის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უკანასკნელი პერიოდში გატარებული ღონისძიებები ამ სფეროში.

ახალი განვითარება ეფუძნება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების G20 სამუშაო ჯგუფის (TCFD) ნებაყოფლობით სტანდარტებს. სტანდარტები ოფიციალურად გამოუშვა ISSB-ის თავმჯდომარემ ემანუელ ფაბერმა IFRS Foundation-ის ყოველწლიურ კონფერენციაზე ლონდონში, დიდი ბრიტანეთი.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მდგრადი განვითარების საერთაშორისო საბჭო, IFRS S1 და S2

Abstract. On 26 June 2023, the International Sustainability Standards Board (ISSB) published the first IFRS standards on sustainability disclosures, IFRS S1 and S2.

These standards require companies to disclose meaningful and comparable sustainability information that reflects a company's ability to generate cash flows, access to finance and cost of capital over the short, medium and long term to assist investors in decision-making.

This article provides a brief overview of the new standards.

It also analyzes the activities carried out over the last period by the Accounting, Reporting and Audit Supervision Service of the substructure of the Ministry of Finance of Georgia in this area.

The International Sustainability Standards Board (ISSB) today, June 26, released its first ESG reporting standards (IFRS S1 and IFRS S2). The new developments are based on the voluntary standards of the G20 Task Force on Climate-related Financial Disclosures (TCFD). The standards were officially launched by ISSB Chairman Emmanuel Faber at the IFRS Foundation's annual conference in London, UK.

The new developments are based on the voluntary standards of the G20 Task Force on Climate-related Financial Disclosures (TCFD). The standards were officially launched by ISSB Chairman Emmanuel Faber at the IFRS Foundation's annual conference in London, UK.

Keywords: Sustainable Development, International Council for Sustainable Development, IFRS S1 and S2

შესავალი. გასული ათწლეულის განმავლობაში აქტიურად მუსირებდა აზრი იმის შესახებ, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის საზოგადოების მდგრადი განვითარებისა და გარემოს მართვაში საზოგადოების ეფექტური მონაწილეობის გასაღები. აშშ-ს კონგრესმა 1986 წელს მიიღო კანონი Emergency Planningand Community Right-to-Know Act, რის საფუძველზეც სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს დაეკისრათ ვალდებულება გაემჟღავნებინათ ინფორმაცია საშიში ნივთიერების გაჟონვის შესახებ. პირველად, ამ საკითხს საკანონმდებლო დონეზე ყურადღება დაეთმო 1992 წელს და აისახა რიო-დე-ჟანეიროში მიღებული გარემოს დაცვისა და განვითარების დეკლარაციაში, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობას და მონაწილეობას ინფორმაციისადმი ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. [40]

1998 წელს მირებულ იქნა „ორჰუსის კონვენცია“, სადაც აღინიშნა, რომ გარემოსდაცვით საკითხებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების აქტიური ჩართვა აუმჯობესებს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხს , ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას აღნიშნული საკითხების ირგვლივ; საზოგადოებას ექმნება შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი, ჩაერთოს აქტიურად სახელისუფლო გადაწყვეტილებების მიღებაში.

2021 წლის გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციაზე (COP26), აშშ-ს წარმომადგენელმა ჯონ კერიმ კლიმატის კრიზისს უწოდა „მათემატიკისა და ფიზიკის“ პრობლემა და არა პოლიტიკის, თუმცა ხაზგასმულ იქნა ფნანსების აქტიური როლი კლიმატური ღონისძიებების განხორციელებაში.

მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელი გახდა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის G7-სა და ევროკავშირში. ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ კომპანიებზეც, რომლებსაც სურთ ამ ბაზრებზე ოპერირება ან ამ ქვეყნების კომპანიებთან ურთიერთობა.

ძირითადი ნაწილი. 2023 წლის 26 ივნისს მდგრადობის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ISSB) გამოაქვეყნა პირველი IFRS პირველი სტანდარტები გამჟღავნების შესახებ მდგრადი განვითარების სფეროში- IFRS S1 და S2.

აღნიშნული სტანდარტები კომპანიებს ავალდებულებენ გაამჟღავნონ მნიშვნელოვანი და შესადარებელი ინფორმაცია მდგრადობის შესახებ, რომელიც ეხება კომპანიის ფულადი ნაკადების გამომუშავების უნარს, ფინანსებზე წვდომას და კაპიტალის ღირებულებას მოკლე,

[40] **კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ** 25/06/1998
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. მსგავსი ინფორმაცია მნიშვნელოვანია ინვესტორთათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ახალი განვითარება ეფუძნება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების G20 სამუშაო ჯგუფის (TCFD) ნებაყოფლობით სტანდარტებს. სტანდარტები ოფიციალურად წარადგინა ISSB-ის თავმჯდომარემ ემანუელ ფაბერმა IFRS Foundation-ის ყოველწლიურ კონფერენციაზე ლონდონში.

სტანდარტები შედის ძალაში 2024 წლიდან. თითოეული ქვეყანა თვითონ გადაწყვეტს ამ სტანდარტების ამოქმედების საკითხს. [41]

მათი გამოყენების შესაძლებლობას განიხილავენ კანადა, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, სინგაპური, ნიგერია, ჩილე, მალაიზია, ბრაზილია, ეგვიპტე, კენია და სამხრეთ აფრიკა.

ევროკავშირში დასრულდა გამჟღავნების წესების შემუშავების პროცესი, რომელიც თავსებადია ახალ IFRS სტანდარტებთან.

ამავდროულად, ვინაიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) ოფიციალურად იქნა მიღებული და ძალაშია საქართველოში, ამიტომ IFRS Foundation-ის მიერ მიღებული ახალი სტანდარტები ასევე გამოყენებული იქნება საქართველოში 2025 წლიდან. .

„სტანდარტები ხელს შეუწყობს კომპანიების მიერ მდგრადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაში ნდობისა და რწმუნების ხარისხის გაზრდას საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. პირველად, შეიქმნა პირობები, რომ ერთიანი წესებით ყოფილიყო გამჟღავნებული რისკები და საწარმოს განვითარებაზე გავლენები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით“, - ISSB-ის მიხედვით .

სტანდარტის სრული სახელწოდებაა IFRS S1 „მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები“ » (IFRS S1. General Requirements for Disclosure of Sustainability-related Financial Information).

აღნიშნული წარმოადგენს უნივერსალურ სტანდარტს, რომელიც განსაზღვრავს IFRS სტანდარტების გამოყენების და აუცილებელი ინფორმაციის გამჟღავნების ზოგად მოთხოვნებს მდგრადი განვითარების სფეროში, რომელიც დაკავშირებულია რისკებთან და შესაძლებლობებთან მართვის ყველა სფეროში, მიწოდების ჯაჭვების ჩათვლით.

სტანდარტის სრული სახელწოდებაა IFRS S2 „კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება" (IFRS S2. Climate-related Disclosures).

[41]Comparison IFRS S2 Climate-related Disclosures with the TCFD Recommendations July 2023 IFRS Sustainability https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/supporting-implementation/ifrs-s2/ifrs-s2-comparison-tcfd-july2023.pdf

აღნიშნული სტანდარტი ავსებს და აზუსტებს IFRS S1 მოთხოვნებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან და მის გამჟღავნებასთან მიმართებაში, ამასთან ერთად აძლიერებს TCFD მოთხოვნებს ცალკეული საკითხის გამჟღავნების შესახებ.[42]

ამ მოთხოვნებში მთავარია „ორმაგი არსებითობის“ პრინციპი. ის ითხოვს კომპანიებისაგან, აღიარონ როგორც მდგრადი განვითარების საკითხები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ საქმიანობას, არამედ საკითხებიც, რომლებიც ეხება მათი ბიზნესის გლობალურ ეკოლოგიურ და სოციალურ ზეგავლენას. მხედველობაში გვაქვს კლიმატის ცვლილების, ასევე დამატებით ეკოლოგიური , კერძოდ გარემოს დაბინძურების და ბიომრავალფეროვნების საკითხები. ასევე, მნიშვნელოვანია გამჟღავნდეს სოციალური თემები (საკითხები საკუთარი სამუშაო ძალასა და ღირებულების ჯაჭვში ჩართულ დასაქმებულებთან მიმართებაში), ბიზნესის მართვის ხარისხთან დაკავშირებულ თემები(მაგალითად, საქმიანი ეთიკა და მომწოდებლებთან ანაგრისშწორების პრაქტიკა.

სატრანსპორტო სახეებიდან ეკოლოგიურად ყველაზე დამაბინძურებელია ავიაცია. მედალს ორი მხარე აქვს: ავიაციის შეზღუდვა შეამცირებს CO2-ის გამოყოფას, მაგრამ იგი ზეგავლენას მოახდენს ეკონომიკაზე, ბიზნესზე, ვაჭრობაზე და ასე შემდეგ.

გარემოსდაცვითი და ავიაციის მიერ გამოყოფილი CO2-ის შემცირების მიზნებიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უახლოეს გეგმავს ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის (CORSIA) ეტაპობრივ დანერგვას ქვეყანაში. ავიაკომპანიები, რომლებიც ახორციელებენ 5700 კგ-ზე მეტი მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას საერთაშორისო ფრენებზე, ვალდებულნი არიან შეინახონ ამავე ფრენებთან, მათ შორის, ამავე ფრენებზე გამოყენებულ საწვავთან დაკავშირებული ჩანაწერები 24 თვის განმავლობაში. ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემა (CORSIA) ვრცელდება საერთაშორისო ფრენებზე და მიზნად ისახავს საერთაშორისო ავიაციის მიერ გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას, გამოყოფილი CO2-ის ფინანსური კომპენსირებისა და ბიოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენების ხარჯზე ნაკლები CO2-ის გაფრქვევის გზით.

მდგრადი განვითარება ფეხბურთის ყურადღების ცენტრში.

ევროპის ჩემპიონატი არ არის მხოლოდ გოლები და გამარჯვებები.

გერმანიის ტურნირი-EURO 2024 შეიძლება განვიხილოთ როგორც მდგრადი განვითარების უმაღლესი სტანდარტების დაცვის მოდელი

[42] http://surl.li/umapkl



UEFA EURO 2024 გერმანია ტურნირის ფარგლებში ცდილობდა ეჩვენებინა სპორტული ღონისძიებებში მდგრადი განვითარების უმაღლესი სტანდარტების დაცვის მაგალითი მომავალში გერმანიისა და ევროპის საფეხბურთო ეკოსისტემის და შესაბამისად საზოგადოების მდგრადი განვითარების ფორმირებისათვის .კერძოდ, მიზნების მისაღწევად, EURO 2024-ის თითოეულ არენას დაენიშნა მდგრადობის მენეჯერი, ასევე დაახლოებით მონაწილეობას მიიღებს 50 ვოლონტიორი.

ეკოლოგიურობა ევრო 2024-ის განრიგის მთავარი კრიტერიუმია.

იმისათვის, რომ განრიგი მაქსიმალურად მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი ყოფილიყო, EURO-ს მასპინძელი ქალაქები დაიყო სამ რეგიონულ კლასტერად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გუნდებისა და გულშემატკივრების გადაადგილების რიცხვს და ნახშირორჟანგით გარემოს დაბინძურების ალბათობას.

UEFA EURO 2016-ზე საფრანგეთში, მსგავს ტურნირზე გუნდის მგზავრობის 75%-ზე მეტი თვითმფრინავით იყო. გერმანიაში ეს მაჩვენებელი 25%-მდე დაიგეგმა, უპირატესობა მატარებლით ან ავტობუსით მგზავრობას მიენიჭა.

გარემომცველი სამყარო 🌳

✓ ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა: EBPO-2024 -ის სტადიონების და ინფრასტრუქტურის მდგომარეობას მაქსიმალურად უნდა აემაღლებინა ენერგოეფექტურობა, შეემცირებინა მოხმარებული წყლის მოცულობა.

✓ წრიული ეკონომიკა-ნარჩენების პრობლემის გადაწყვეტა შემდეგი პრინციპების საფუძველზე:მეორადი გამოყენება, შემცირება, გადამუშავება და აღდგენა.

საფეხბურთო ინიციატივები იმის მაჩვენებელია, რომ დღეს ნებისმიერი ქმედება ბიზნესის, თუ ჩვეულებრივი მოქალაქის უნდა დანახულ იქნას მდგრადი განვითარების პრიზმაში.

დასკვნა. რაც შეეხება საქართველოს საქართველოს ევროპული პერსპექტივის გათვალისწინებით, აღნიშნული სტანდარტების შემოღება მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ადგილობრივი საწარმოების საქმიანობის მდგრადი განვითარებისთვის. ამ სახელმძღვანელო პრინციპების ადრეულ ეტაპზე შემოღება ქვეყნისთვის წარმოადგენს შესაძლებლობას,

გააუმჯობესოს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშგების წარმოების პრაქტიკა, წვლილი შეიტანოს უფრო მდგრადი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური გარემოს შექმნაში, რაც საბოლოოდ მეტად მტკიცე და გამჭვირვალე, ევროპული ბიზნესგარემოს შექმნას უზრუნველყოფს. ამ სტანდარტების ადრეულ ეტაპზე დანერგვა ევროკავშირთან ინტეგრაციის საფუძველს შექმნის და საწარმოთა მდგრადი განვითარების უზრუნველყოფს, ასევე გააძლიერებს ინვესტორთა ნდობას და გააჩენს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს.

References

1. კორპორაციული მართვის ღიაობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა საქართველოში: გამოწვევები და სრულყოფის გზები. დისერტაცია. თბილისი 2016 http://dl.sangu.edu.ge/pdf/kaxaberjgenti.pdf (შემოწმებულია უკანასკნელად 24.05.2024წ)
2. https://www.cbr.ru/StaticHtml/File/117620/20210712_in-06-28_49.pdf

არაფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების რეკომენდაციები სააქციო საზოგადოებისათვის.(შემოწმებულია 27.05.2024)

3. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი საკითხები https://csrgeorgia.com/ka/overview/csr-themes/reporting-and-transparency (შემოწმებულია უკანასკნელად 24.05.2024წ)
4. "ESG Factors and Growth Technologies" Collection of reports June 22 – 23, 2023 https://esg.etu.ru/assets/files/sbornik-esg-faktory-23_compressed.pdf
5. Simenova N N Greening the financial system: a new paradigm for economic development https://cyberleninka.ru/article/n/ekologizatsiya-finansovoy-sistemy-novaya-paradigma-ekonomicheskogo-razvitiya
6. "Green Finance in Russia: Creating opportunities for Green investments Analytical Note" https://documents1.worldbank.org/curated/en/699051540925687477/pdf/131516-RUSSIAN-PN-P168296-P164837-PUBLIC-Green-finance-Note.pdf
7. ISSB issues inaugural global sustainability disclosure standards 2023 https://www.ifrs.org/news-and-events/news/2023/06/issb-issues-ifrs-s1-ifrs-s2/

ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე გამოწვევები საქართველოში
Contemporary Challenges of Innovative Economy Development in Georgia

ლელა ადუაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
lela.aduashvili@tsu.ge
Lela Aduashvili
Ph.D. Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

აბსტრაქტი. *ნაშრომში განხილულია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოსათვის, მათ შორის განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. კვლევის ფარგლებში შეფასებულია საქართველოს ინოვაციურობის დონე, განსაზღვრულია მისი კავშირი ეკონომიკურ განვითარებასთან. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გაანალიზებულია თურქეთის, უკრაინისა და მსოფლიოს ანალოგიური მაჩვენებლები. ასევე, საქართველოს გლობალური ინოვაციების ინდექსის მრავალმხრივი შეფასების გზით გამოვლენილია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების თანმხლები ძირითადი გამოწვევები. კვლევის დასასრულს, შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები.*

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, ინოვაციების გლობალური ინდექსი, გამოწვევები, განვითარების შესაძლებლობები.*

Abstract. *The paper discusses the importance of the development of innovative economies for the modern world, including developing countries. Within the framework of the research, the level of innovativeness of Georgia was evaluated, its connection with economic development was determined, and based on comparative analysis, similar indicators of Turkey, Ukraine, and the world were analyzed. Also, based on the multifaceted analysis of the Global Innovation Index of Georgia, the main challenges accompanying the development of the innovative economy have been identified. At the end of the research, conclusions and recommendations are developed.*

Keywords: *Innovative Economy, Economic Growth, Global Innovation Index, Challenges, Development Opportunities.*

შესავალი.

პრობლემის აქტუალურობა. ინოვაციური ეკონომიკა კომპლექსური და მრავალმხრივი კონცეფციაა, რომელიც ცენტრალურ როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლიოს განვითარებისათვის. იგი სცილდება თვისებრივად ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს და იძლევა უკიდეგანო ინფორმაციის ველში მუდმივად ყოფნის შესაძლებლობას.

ინოვაციური ეკონომიკის შესახებ მასშტაბური სამეცნიერო კვლევები დასაბამს იღებს ჯერ კიდევ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან და ყოველწლიურად განაგრძობს ზრდასა და განვითარებას. ამასთან, მიმდინარე ციფრული რევოლუციის პირობებში, იდეებისა თუ ინფორმაციის გაზიარება გამარტივებული პროცესია, რაც ხელს უწყობს სწრაფი ინოვაციური ციკლების ჩამოყალიბებას. ამდენად, სამეცნიერო საზოგადოებაში ინოვაციური ეკონომიკის პრობლემები აქტუალური კვლევის საგანია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორების ინდენტიფიცირებას და განვითარების შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავებას.

კლვევის ფარგლებში დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვნების ილუსტრირება;
- საქართველოს ინოვაციური განვითარების მაჩვენებლების შეფასება;
- ინოვაციების გლობალური ინდექსის მიხედვით საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომის ფარგლებში, სამეცნიერო პუბლიკაციების, მსოფლიო ეკონომიკის ორგანიზაციისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ანგარიშების დამუშავების პროცესში, გამოყენებულია კვლევის თეორიული და ემპირიული მეთოდები, როგორიცაა: ანალიზის, შედარების, სინთეზისა და სხვა მეთოდები.

მიმდინარე ეტაპზე, მსოფლიოში მიმდინარეობს შეუქცევადი პროცესი - ტრადიციული ეკონომიკის ჩანაცვლება ინოვაციური ეკონომიკით. მათ შორის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი არის ის, რომ ინოვაციური ეკონომიკა ფიზიკურ აქტივებზე მეტ უპირატესობას ანიჭებს ცოდნას, კრეატიულობასა და ინტელექტუალურ კაპიტალს. ამგვარად, იგი წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებით, იდეების უწყვეტი ევოლუციითა და ცვლილებებისადმი დროული ადაპტირებით.

ინოვაციური ეკონომიკის ძირითადი კონტურები იკვეთება განვითარებულ სახელმწიფოებში. სწორედ ისინი ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პროცესში და აღწევენ მდგრადობას ეგზოგენური შოკების მიმართ (Filippetti et al., 2020; Iandolo et al., 2023). მათთან თანამშრომლობით კი დაბალი მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP-ის) მქონე ქვეყნები (როგორიცაა საქართველო) ქმნიან ინოვაციური ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს (Raghupathi, and Raghupathi, 2017). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, ოცდამეერთე საუკუნისათვის თანმდევმა გლობალურმა გამოწვევებმა, მათ შორის გართულებულმა კონფრონტაციულმა გარემომ, განვითარებულ ქვეყნებს უბიძგა საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილებისაკენ, კეროდ, შიგა და ლოკალიზებული ინოვაციების გაძლიერებისაკენ (World Economic Forum, 2024).

ამ ფონზე, მუდმივად ცვალებად სამყაროში, საქართველოს მსგავსი განვითარებისაკენ მსწრაფი თოთოეული სახელმწიფოსათვის სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინოვაციური ეკონომიკის განვითარება. მართალია, განვითარებადი ქვეყნების წვლილი გლობალური ცოდნის კონტექსტში მცირეა, თუმცა, ღირებულია ადგილობრივ დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მაღალტექნოლოგიურ სამყაროში ცნობილ „გარღვევებთან“ შედარებით, განვითარებად ქვეყნებში ინოვაციების დანერგვით მიღწეული შედეგი ნაკლებად მომხიბვლელია, მათ შორის, ცალსახად, არ არსებობს სხვაობა კუმულაციურ სოციალურ და ეკონომიკურ გავლენებს შორის. ამგვარად, განვითარებადი ქვეყნებისათვის ინოვაცია ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება, როგორც მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებისათვის (Fagerberg et al., 2010).

არაერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ინოვაცია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გამძაფრებული კონკურენციის ფონზე, ინოვაციური ეკონომიკის მქონე სახელმწიფო ინდუსტრიებს ახასიათებთ კონკურენტუნარიანობის მაღალი მაჩვენებელი (Kharaishvili, 2020) და აფიქსირებენ ექსპონენციალურ ეკონომიკურ ზრდას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე „The Future of Growth Report 2024” დაყრდნობით, ზემოთ ხსენებულ კონტექსტში, განვიხილოთ საქართველოსა და მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების (თურქეთი და უკრაინა) მდგომარეობა. ანგარიშში შეფასებულია ქვეყნების ინოვაციურობის მაჩვენებელი. შემოსავლის მიხედვით საქართველო და თურქეთი კლასიფიცირებულია, როგორც საშუალოზე მეტად განვითარებადი ქვეყნები, ხოლო უკრაინა - საშუალოზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანა[43] (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ინოვაციურობის მაჩვენებელი ქვეყნებისა (საქართველო, თურქეთი, უკრაინა) და მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მიხედვით

წყარო: https://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Growth_Report_2024.pdf

[43] მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შედეგი

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებულ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, საქართველოს ინოვაციურობის მაჩვენებელი (44,1) თითქმის უტოლდება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (45,2). ამასთან, იგი აღემატება თურქეთის (შედარებით მაღალი GDP-ის მქონე სახელმწიფოს) ინოვაციურობის მაჩენებელს. ასევე, GDP-ისა და ინოვაციურობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება უკრაინის მაგალითზეც. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, Zayas-Márquez-ისა და Ávila-López-ის კვლევის შედეგები (Zayas-Márquez, and Ávila-López, 2022). მათ, Mendoza-სა და Torres-ის მსგავსად (Mendoza, and Torres, 2002), გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრიობის ტესტით დაადგინეს ორმხრივი კავშირი ინოვაციებისა და მოსახლეობის ერთ სულზე GDP-ის ზრდას შორის. მაგრამ, მათვე განსაზღვრეს, რომ მსგავსი კავშირის არსებობა სულაც არ ასახავს სრულ მდგომარეობას და აუცილებელია დამატებითი ცვლადების შესწავლა.

ამ მხრივ, ინოვაციების გლობალური ინდექსი მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას იძლევა. იგი აერთიანებს შვიდ ძირითად ჯგუფს: ინსტიტუტები (i), ადამიანისეული კაპიტალი და კვლევები (ii), ინფრასტრუქტურა (iii), ბიზნეს გარემო (iv), ბიზნესის განვითარების დონე (v), ცოდნა და ტექნოლოგიები (vi), შემოქმედებითობა (vii). მოცემული ჯგუფების ჩამონათვალი, თავის მხრივ, მოიცავს 80 ინდიკატორს. ინოვაციების გლობალური ინდექსის მიხედვით 2020-2021 წლებისათვის საქართველო სტაბილურად ინარჩუნებდა 63-ე პოზიციას, 2022 წლისათვის ქვეყანამ აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი და დაიკავა 74-ე ადგილი, რომლის არა თუ გაუმჯობესება, არამედ შენარჩუნებაც კი ვერ მოახერხა და 2023 წლისათვის ჩამოინაცვლა 65-ე პოზიციაზე (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. საქართველოს ინოვაციების გლობალური ინდექსი 2020-2023 წლებში

წყარო: Report of Global Inovation Index 2020-2023 [1, 9, 10, 12]

2023 წლის საქართველოს გლობალური ინოვაციების ინდექსის შვიდივე ჯგუფის შემადგენელი ინდიკატორების ანალიზით გამოიკვეთა ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ძირითადი გამოწვევები, რომლებიც პროვოცირებულია განვითარებადი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი ზოგადი სირთულეებით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპი. საქართველოსათვის უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინება და მათი ბიზნეს ოპერაციებში ეფექტიანი ინტეგრირება სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, GII-ის მიხედვით, ქვეყნისათვის გამოწვევათა რიგს მიეკუთვნება: მაღალტექნოლოგიური პროდუქციისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წარმოება და იმპორტი; სახელმწიფოს მიერ ციფრული სერვისების აქტიური შეთავაზება; მობილური აპლიკაციების წარმოება და სხვ.

ამასთან, საქართველოში ჯერ კიდევ პრობლემურია საგანმანათლებლო სისტემა. 2023 წლის GII-ის მიხედვით, ქვეყნის პოზიციები არასახარბიელოა შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: სასკოლო განათლების დონე - PISA-ს შეფასებით, დაბალია 15 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცოდნის უნარები; საუნივერსიტეტო რეიტინგი; მეცნიერებისა და ინჟინერიის კურსდამთავრებულთა რაოდენობა; მკვლევართა საერთო რაოდენობა; სამეცნიერო სტატიებისა და მათი ციტირების რაოდენობრივი მაჩვენებელი; სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ გაწეული დანახარჯების მოცულობა კვლევასა და განვითარებაზე და სხვ.

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოსათვის გამოწვევას წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის სირთულეებთან გამკლავებისთვის საჭირო უნარის მქონე კვალიფიციური სამუშაო ძალა (Kharaishvili, et al., 2023). აღნიშნული დასტურდება WIPO-ს 2023 წლის ანგარიშიდანაც, კერძოდ, ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩება შემდგომი მიმართულებებით: სამუშაო ძალის ცოდნის დონე; ბიზნესის მიერ ფორმალური ტრენინგების დაგეგმვა-დაორგანიზება; პატენტების შექმნა თუ საერთაშორისო საპატენტო სისტემაში თანამონაწილეობა; სავაჭრო ნიშნების ან გლობალური ბრენდების წამოება; კრეატიული საქონლისა და მომსახურების წარმოება; კულტურული და შემოქმედებითი სერვისების ექსპორტი.

გარდა ამისა, საქართველოსათვის დამახასიათებელია არასტაბილური ბიზნეს გარემო. ასეთ პირობებში, ქვეყანა ინვესტორებისათვის ნაკლებად მიმზიდველია. შესაბამისად, დაბალია ინვესტიციების განხორციელების დონეც. აღნიშნული კი გავლენას ახდენს მთლიანი კაპიტალის ფორმირებასა და ეკოლოგიური მდგრადობის მიღევის უზრუნველყოფაზე.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული რისკების სამართავად აუცილებელია კერძო და სახელმწიფო სექტორის აქტიური ჩართულობა. ორგანიზაციებმა უნდა

შეიმუშაონ დაბალანსებული ინოვაციების პორტფელი და შექმნან ისეთი გარემო, რომელიც წაახალისებს ექსპერიმენტებს და არ „დასჯის" წარუმატებლობას. ხოლო, სახელმწიფომ ინოვაციური ეკონომიკის მხარდასაჭერად უნდა გაატაროს რაციონალური სამთავრობო პოლიტიკა. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, საქართველო არ გამოირჩევა მთავრობის ინსტიტუციური მოდელისა და მარეგულირებელი კანონის ეფექტიანობით.

დასკვნა

საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. მისი რეალიზების შესაძლებლობას წარმოადგენს ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციების დანერგვისათვის საჭირო ცოდნის აკუმულირებას. აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირებასა და სამეცნიერო კვლევასა და განვითარებაში ზრდადი ინვესტიციების განხორციელებას. ამასთან, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა-განვითარება.

ცალსახაა, რომ ამჟამად, საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარება საწყის ეტაპზეა და არაერთი მიმართულებით საჭიროებს ფუნდამენტურ ცვლილებებს. მოცემული მიმართულებით კი მნიშვნელოვანია ღირებული სამეცნიერო კვლევების როლი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Cornell University, INSEAD, and WIPO (2020). The Global Innovation Index 2020: Who Will Finance Innovation? Ithaca, Fontainebleau, and Geneva, ISSN 2263-3693, ISBN 978-2-38192-000-9. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf

2. Fagerberg, J., Srholec, M., and Verspagen, B. (2010). Chapter 20 – Innovation and Economic Development. *Handbook of the Economic Innovation*, Vol. 2, pp. 833-872. https://doi.org/10.1016/S0169-7218(10)02004-6

3. Filippetti, A., Gkotsis, P., Vezzani, A., and Zinilli, A. (2020). Are innovative regions more resilient? Evidence from Europe in 2008–2016. *Economia Politica*, Vol. 37, Issue 3, pp. 807-832. https://doi.org/10.1007/s40888-020-00195-4

4. Iandolo, S., and Ferragina, A.M. (2023). Innovate to Resist: Are Innovators Shielded from External Shocks? *Ital Econ,* Vol. 9, pp. 997–1025. https://doi.org/10.1007/s40797-023-00245-3

5. Kharaishvili, E. (2020). Innovations for increasing productivity in agriculture and ensuring food security (the case of Georgia). *Proceedings of conference Strategic Imperatives of Modern Management*, Kyiv, pp. 212-215. https://shorturl.at/qdB9e

6. Kharaishvili, E., Natsvlishvili, I., Lobzhanidze, M. and Lazariashvili, T. (2023). Challenges of Higher Economic Education and Factors Affecting the Employment of Graduates in Georgia. *ICERI2023 Proceedings*, pp. 3678-3687. doi: 10.21125/iceri.2023.0943

7. Mendoza, J.E., and Torres, V.H. (2002). Mendoza, J. E. (2017). Innovación tecnológica y crecimiento regional en México, 1995-2000. *The Mexican Journal of Economics and Finance*, Vol. 1, Issue 3, pp. 187-201.

https://www.researchgate.net/publication/321761554_INNOVACION_TECNOLOGICA_Y_CRECIMIENTO_REGIONAL_EN_MEXICO_1995-2000

8. Raghupathi, V., and Raghupathi, W. (2017). Innovation at country-level: association between economic development and patents. *Journal of Innovation and Entrepreneurship*, Vol. 6, Issue 4. https://doi.org/10.1186/s13731-017-0065-0

9. WIPO (2021). Global Innovation Index 2021: Tracking Innovation through the COVID-19 Crisis. Geneva: World Intellectual Property Organization. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2021.pdf

10. World Intellectual Property Organization (WIPO) (2022). Global Innovation Index 2022: What is the future of innovation-driven growth? Geneva: WIPO. DOI 10.34667/tind.46596. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo-pub-2000-2022-en-main-report-global-innovation-index-2022-15th-edition.pdf

11. World Economic Forum (2024). The Future of Growth Report 2024. Insight Report, January. https://www3.weforum.org/docs/WEF_Future_of_Growth_Report_2024.pdf

12. World Intellectual Property Organization (WIPO) (2023). Global Innovation Index 2023: Innovation in the face of uncertainty. Geneva: WIPO. DOI:10.34667/tind.48220. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo-pub-2000-2023-en-main-report-global-innovation-index-2023-16th-edition.pdf

13. Zayas-Márquez, C., and Ávila-López, LA. (2022). The Relationship between Innovation and Economic Growth: Evidence from Chile and Mexico. Revista Academia & Negocios, vol. 8, No 1, pp. 15-22.

https://www.redalyc.org/journal/5608/560869828002/html/

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობები საქართველოს სოფლის მეურნეობაში

Development possibilities of digital technologies in Georgian agriculture

თამარ ლაზარიაშვილი
ასისტენტ-პროფესორი
თსუ,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
tamar.lazariashvili@tsu.ge
Tamar Lazariashvili
Assistant Professor
TSU, Faculty of Economics and Business

ანოტაცია. ციფრული სოფლის მეურნეობა წარმოუდგენელია ჭკვიანი ტექნოლოგიების გარეშე. სტატიაში შესწავლილია საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა, დასაბუთებულია ამ დარგში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს გაციფრულების, ავტომატიზაციისა და სხვა ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება და გაიზარდოს მწარმოებლურობა.

ნაშრომი ეყრდნობა კვლევის სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს, კერძოდ, გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, შედარების, ფაქტორული და სხვა მეთოდი.

სტატიაში მოცემულია დასკვნები აგრობიზნესში ციფრული ტექნოლოგიების განვითარების თავისებურებებზე, რომლებიც აფერხებს სოფლის მეურნეობის მოცემული მიმართულებით განვითარებას და შემოთავაზებულია რეკომენდაციები აგრობიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებზე.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა, ინოვაცია, განვითარების შესაძლებლობა, საქართველო.

Annotation. Digital agriculture is unthinkable without smart technologies. The article examines the current situation in Georgian agriculture and substantiates the need to introduce innovative technologies in this field, which allows intensive use of digitization, automation, and other technologies and increases productivity.

The work is based on various theoretical and methodological research tools, in particular, analysis, synthesis, comparison, factorial, and other methods are used.

The article provides conclusions on the peculiarities of the development of digital technologies in agribusiness, which hinder the development of agriculture in this direction, and offers recommendations on the possibilities of introducing digital technologies in agribusiness.

Keywords: digital technologies, agriculture, innovation, development opportunity, Georgia.

თანამედროვე ეტაპზე ტრადიციული ,,აგრო ჩვევები" წარმატებით ჩაანაცვლა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, რაც იძლევა საშუალებას კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ფერმერებმა მოიყვანონ ხარისხიანი მოსავალი და აწარმოონ უხვმოსავლიანი კულტურები და ეს ყველაფერი მოახერხონ ნაკლები დანახარჯით, როგორც პრეპარატებზე, ასევე, სხვადასხვა აგრო ოპერაციებზე. ტექნოლოგიური განვითარება აგრობიზნესში, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, მათ შორის ინტერნეტმა, ერთი მხრივ აამაღლა აგრობიზნესში მწარმოებლურობა და მეორე მხრივ, ბაზარზე გააჩინა ახალი ტიპის მომხმარებელი, კერძოდ, ციფრული მომხმარებელი, რომლის მოთხოვნები განსხვავებულია სტანდარტული მომხმარებლისგან. სოფლის მეურნეობის თავისებურებანის გათვალისწინება მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ სფეროს თანამედროვე პრინციპებით განვითარების

აუცილებლობას. სოფლის მეურნეობის დარგი დღეს არსებულ გამოწვევებს ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების წარმოებაში დანერგვით უზრუნველყოფს და მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულება ხდება. ციფრული სოფლის მეურნეობა, რომელიც ზოგჯერ ცნობილია როგორც ჭკვიანი მეურნეობა ან ელექტრონული სოფლის მეურნეობა, არის ინსტრუმენტთა ერთობლიობა, რომლებიც ციფრულად აგროვებს, ინახავს, აანალიზებს და აზიარებს ელექტრონულ მონაცემებსა და/ან ინფორმაციას სოფლის მეურნეობაში (FAO, 2023). ციფრიზაცია და ტექნოლოგიური განვითარება ხსნის ზრდის ახალ პერსპექტივებს მრავალი ინდუსტრიისთვის, მათ შორის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის. (Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N., 2023). ჭკვიანი სოფლის მეურნეობის ბაზრის მოცულობამ 2015 წელს გლობალურად 13,7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ამ ბაზრის მოცულობა 2023 წელს 16,2 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2028 წლისთვის 25,4 მილიარდი აშშ დოლარი იქნება (Smart Agriculture Market, 2023).

თანამედროვე სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში აგრარული რევოლუციები სიახლეა. მას დარგი ახალ დონეზე აჰყავს და ითვალისწინებს IT-ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც შეამცირებენ ხელით შრომას, გაზრდიან მოსავლიანობას. „ჭკვიანური ფერმერობის“ პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობაში გაციფროვნების, ავტომატიზაციისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად (20%-ის ფარგლებში) ამცირებს დანახარჯებს სასუქზე, საწვავზე, ამავდროულად ზრდის მწარმოებლობას. Grand View Research გამოთვლებით, ჭკვიანი ფერმერობის ბაზარზე წამყვან როლს თამაშობს აშშ, გერმანია, ჩინეთი და ინდოეთი, სადაც ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები, ხელით შრომა ჩანაცვლდება რობოტიზაციით და უშუალოდ ადამიანის როლი შრომის პროცესში იცვლება.თანამედროვე ფერმებში რობოტები აჭმევენ და წველიან ძროხებს, ასუფთავებენ და ზრუნავენ მათ ჯანმრთელობაზე (Datunashvili, L., 2017).

საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური პირობები და ჯანსაღი ბიზნეს გარემო ხელშემწყობ პირობებს ქმნის მრავალნაირი ხილის, ბოსტნეულის, თხილის მოსაყვანად და გადასამუშავებლად. ევროპასთან სიახლოვე და განვითარებული სატრანსპორტო კავშირები ევროპასა და სხვა რეგიონებთან, ასევე, ახალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ადგილობრივი და რეგიონული მოთხოვნილების ზრდა, საქართველოს მიმზიდველს ხდის როგორც აგრობიზნესის განვითარების, ასევე, ექსპორტის თვალსაზრისით. საქართველოში აგრობიზნესის წარმოება ნიშნავს გამარტივებული, ხელსაყრელი და გააზრებული საგადასახადო კანონმდებლობით და სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობას, მოგების მიღების შედარებით მოკლე ვადებს, მიწის საკუთრების ლიბერალურ მოდელს და მცირე წინასწარი კაპიტალდაბანდების საჭიროებას. განუზომლად დიდია დარგის პოტენციალი წარმოების

მასშტაბის ეკონომიის და მოცულობის ხარჯზე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ფერმერული საქმიანობის თანამედროვე მეთოდების დანერგვით მეცხოველეობაში და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაში (საქართველოს განვითარების ფონდი, 2017).

აგრობიზნესის წარმატებული მართვა საჭიროებს ზუსტ და მუდმივად განახლებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვება გარკვეულ გამოწვევებს უქმნის სოფლის მეურნეობის მენეჯერებს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები საშუალებას აძლევს მენეჯერებს გადალახონ ამ დაბრკოლებების უდიდესი ნაწილი (შაბურიშვილი, შ. & ტერტერაშვილი, ნ., 2017).

მათი დახმარებით შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვება ნაკლები ძალისხმევით და მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთობლივი ცოდნით. ციფრული ტრანსფორმაციის გზით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ უფრო გამარტივებული დამატებული ღირებულების ჯაჭვით, უფრო მჭიდრო თანამშრომლობით და გაუმჯობესებული კომუნიკაციით მწარმოებლებს, გადამამუშავებლებს, დისტრიბუტორებსა და საცალო მოვაჭრეებს შორის. იმავდროულად, ვითარდება ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც დარგს აძლიერებენ ახალი იდეებითა და პერსპექტივებით (European Commissions, 2023)

დღეს ციფრული ტრანსფორმაცია განიხილება როგორც ფერმერული მეურნეობების მოდერნიზაციისა და პროგრესის ძირითადი ელემენტი. ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება აგროსასურსათო სექტორში უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის ზრდას, ასევე, რესურსების ეფექტიან და მდგრად გამოყენებას, აუმჯობესებს რისკების მართვას, იძლევა ბაზრის ტენდენციების პროგნოზირებისა და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას (Kharaishvili E., Koguashvili P., Shengelia N., 2024).

გაციფრულება ხელს უწყობს ფერმერებისა და მომხმარებლების დაახლოებას, რაც ზრდის აგროპროდუქტების მომხმარებელზე ორიენტაციის ხარისხს და ამცირებს არასაჭირო პროდუქტების წარმოებას. ახალ ბაზრებთან დაკავშირებით, კონტროლისა და სასაზღვრო პროცედურების გამარტივებით, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს აგრობიზნესის პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას, ასევე, შეუძლია დაეხმაროს მთავრობებს არსებული პოლიტიკისა და პროგრამების ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და უკეთესის შემუშავებაში. მაგალითად, თავისუფლად ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის სატელიტური გამოსახულება მკვეთრად ამცირებს მრავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგის ხარჯებს. ეს მთავრობებს საშუალებას მისცემს, გადავიდნენ უფრო მიზანმიმართული პოლიტიკისკენ, რომელიც ფერმერებს უხდის (ან აჯარიმებს)

გარემოსდაცვითი შედეგების მიხედვით. გარემოსდაცვით პოლიტიკასთან შესაბამისობის მონიტორინგის გაუმჯობესება, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება იძლევა სოფლის მეურნეობის ადმინისტრირების პროცესების ავტომატიზაციისა და გაფართოებული სამთავრობო სერვისების მიწოდების საშუალებას (OECD, 2018).

საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ზოგადად ციფრიზაციის პროცესი, მათ შორის ერთ-ერთი პრიორიტეტია საჯარო შეყიდვების ციფრული ტრანსფორმაცია (Kharaishvili, E. & Atanelishvili T., 2022).

ციფრულ ტექნოლოგიებს აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია სურსათისა და სოფლის მეურნეობის სისტემებზე გლობალურად. ზუსტი სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს მეურნეობის რესურსების ეფექტიანობა და პროდუქტიულობა, IoT-თან ინტეგრირებული ბლოკჩეინ სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ მიწოდების ჯაჭვის მიკვლევადობა, ალტერნატიული ცილები, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ ჩვეულებრივი ხორცის წარმოების გარემოზე ზემოქმედება. მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ძვრები: აგროსასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის კვალობაზე მწვავდება კონკურენცია; განვითარებულ ქვეყნებში ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები; იზრდება მოთხოვნები აგრობიზნესში დასაქმებულ მუშაკთა კვალიფიკაციის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვნად მცირდება უშუალოდ აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, ვითარდება ბიზნესი გადამამუშავებელ (სამრეწველო), მომსახურების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ციფრულ ეკონომიკას შეუძლია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიების წინსვლას ინფორმაციის გადაცემისა და სესხის შეზღუდვების შემსუბუქების გზით. პირველი, ციფრული ეკონომიკა ფერმერებს უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლის პლატფორმით და ამცირებს მათი ურთიერთქმედების ზღვრულ ღირებულებას. ინტერნეტის, მობილური ტელეფონების და მედიის სხვა საშუალებით ფერმერებს შეუძლიათ მიიღონ ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საწარმოო საქმიანობისთვის და შემდეგ გაუზიარონ ინფორმაცია სხვა ფერმერებს. მეორეც, ახალი ტექნოლოგიების სწავლა და გამოყენება, ტექნოლოგიური მიღწევების ტრანსფორმაცია განუყოფელია ფინანსური მხარდაჭერისგან (Lazariashvili, T., 2023). ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა შეამცირებს ტრანზაქციის ხარჯებს და გაზრდის პროდუქტისა და მომსახურების დამატებით ღირებულებას. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგროსექტორი განვითარდება ინტენსიურად, ინოვაციურ საწყისებზე, მძლავრი ფერმერები შეადგენენ მწარმოებელთა არანაკლებ 25-30%-ს. ინოვაციური განვითარება შესაძლებელია არა მხოლოდ უცხოური აღჭურვილობის, ტექნოლოგიებისა და თუნდაც სათესლე

მასალის გამოყენებით, არამედ, საშინაო მიღწევებისა და საუკეთესო პრაქტიკის ბაზაზე და, რაც მთავარია, ინოვაციური ტექნოლოგიების განსახორციელებელი შესაბამისი დონის პერსონალით. აგროსასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ სფეროს განვითარებისადმი ინტერესს და მნიშვნელობას (Lazariashvili, T., 2022).

ინოვაციების დანერგვა სოფლის მეურნეობაში უდიდეს გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე: გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, მოხდება არსებულთა გადამზადება, კვალიფიციური ამაღლება, გაუმჯობესდება მართვის სისტემები და სხვა (Lazariashvili, T., 2021).

შეიძლება აღინიშნოს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია სოფლის მეურნეობაში მოითხოვს კონკრეტული ზომების მიღებას. უნდა შემუშავდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერის სადაზღვევო სისტემა. გარდა ამისა, აგროbisnesSi ციფრიზაციამ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტისა და იმპორტის გამჭვირვალობა. აქედან გამომდინარე, აგრობიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, შესაძლებელს გახდის გაზარდოს აგროსექტორის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში, გაზარდოს საექსპორტო შემოსავლები, ასევე დაგეგმოს და შეაგროვოს მონაცემთა ნაკადები საწყისი დასრულებამდე ჯაჭვებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად, სოფლის მეურნეობის წარმოების ეტაპიდან მოხმარებამდე, ღრმა ინტეგრაციით ციფრული ეკონომიკის მოკავშირე ინდუსტრიებში (Lazariashvili T., 2024).

ამრიგად, აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის უპირატესობების რეალიზაცია დაკავშირებულია როგორც უშუალოდ დარგის ლიდერებისა და მომსახურების მიმწოდებლების მიერ ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, ასევე, მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკასთან. მთავრობა ფერმერებს უნდა დაეხმაროს რესურსებით, ტრენინგებით და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირებით. მათ უნდა განავითარონ ციფრული საკომუნიკაციო პლატფორმები და გააუმჯობესონ ინტერნეტზე წვდომა, რაც დარგს საშუალებას მისცემს გააფართოოს ბაზრები. ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელება შეუძლებელი იქნება სახელმწიფო მხ-არდამჭერი პროგრამების გარეშე. აუცილებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა, ადგილობრივ პირობებთან ჰარმონიზება და ციფრულ ტექნო-ლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სახელმწიფოს როლის გაზრდა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვაში განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვა აქტუალურ პრობლემად რჩება . აუცილებელია, დაიხვეწოს და განახლდეს საგანმანათლებლო რესურსები ინტერნეტ ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენებისთვის, სასურველია მარკეტინგული კამპანიების

ჩატარება ციფრული ინოვაციების შესახებ და სოფლის მეურნეობის სექტორისათვის შესაბამისი ციფრული პლატფორმების შეთავაზება. საჭიროა ციფრული უნარების, ნიჭისა და სამეწარმეო კულტურის მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს განვითარების ფონდი (2017). აგრობიზნესი. https://www.fund.ge/site/view/17

2. შაბურიშვილი, შ. & ტერტერაშვილი, ნ. (2017). აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში, საკონფერენციო მასალების კრებული ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები.

3. Datunashvili, L. (2017). 'Aspects of Innovative Development of New Technologies in Horticulture (World Experience)'. Retrieved from - https://shorturl.at/hovUX

4. European Commissions (2023). The Digitalization of the European Agricultural Sector. https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/digitalisation-agriculture

5. Kharaishvili, E. & Atanelishvili T. (2022). 'Sustainable State Procurements and Business in Georgia'. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 3. http://science.org.ge/bnas/vol-16-3.html

6. Kharaishvili E., Koguashvili P., Shengelia N. (2024). 'From Traditional to "Smart" Agriculture: Advantages, Challenges and Prospects of Digitalization'. International Scientific Journal Innovative Economics and Management, E-ISSN:2449-2604. https://scholar.google.com/scholar_url?url=https://iem.ge/ojs/index.php/journal/article

7. Kharaishvili, E., Lobzhanidze, N. (2023). 'Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia)'. ID: "MCAES-23-RA-021" Medicon Agriculture & Environmental Sciences. Volume 4. Issue 5 May 2023

8. Lazariashvili, T. (2021). 'Innovations and Agricultural Development Potential in Georgia'; ICEBI 2021: 23rd International Conference on Economics and Business Innovation on October, 21-22, 2021 at Athens, Greece

9. Lazariashvili, T. (2022). "Assessment of the potential of the agro-tourism market of Georgia (on the example of Kakheti)". VII International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economy and Business". TSU, November 4

10. Lazariashvili, T. (2023). 'Development of Agricultural Sector in Terms of the Digital Economy', Proceedings of the International Scientific and Practical Internet Conference "Business Strategy: Ukrainian Realities and Convergence Opportunities with the EU", November 8, Kyiv

11. Lazariashvili, T. (2024). The Role of Digital Agriculture in the Development of Sustainable Agriculture. Proceedings of the conference <<Strategic Imperatives of Modern Management>> (SIMM-2024), Kiyev, Ukraine

12. OECD (2018). Technology and digital in agriculture. https://www.oecd.org/agriculture/topics/technology-and-digital-agriculture

13. Smart Agriculture Market (2023). 'Smart Agriculture Market by Offering (Hardware, Software, Services), Agriculture Type, Farm Size (Large, Medium, Small), Application (Precision Farming, Livestock Monitoring) and Region (America, Europe, Asia Pacific, Row) – Global Forecast to 2028'. Retrieved from - https://www.marketsandmarkets.com/Market-Reports/smart-agriculture-market-2

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები სოფელ „სხალტბაში“

Prospects of tourism development in "Skhaltba" village

ლალი ოქროცვარიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
lali.okrotsvaridze@ciu.edu.ge

Lali Okrotsvaridze - Caucasus International University
Doctor of Social Sciences, Associate Professor

აბსტრაქტი. დღეს მსოფლიოში თითოეული სახელმწიფო უმნიშვნელოვანესი გამოწვევების წინაშე დგას და მათ გადასაჭრელად მრავალ გზას მიმართავს. არსებული საკითხების მოსაგვარებლად, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ტურიზმს, არა აქვს მნიშვნელობა სახელმწიფო განვითარებულია თუ განვითარებადი. ტურიზმაა გარკვეული მათგანი, მართლაც გაუგონარ შედეგებამდე მიიყვანა. ამის პარალელურად ტურიზმმა თითოეული სახელმწიფო იძულებული გახადა საკუთარი ისტორიისა და შორეული წარსულისთვის კვლავ და კვლავ გადაეხედა და აღმოეჩინა ის მივიწყებული კულტურული ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში მათ სამსახურში იდგნენ და ერს სიამაყეს მატებდნენ. მსოფლიოში და თუნდაც საქართველოში მრავალი ასეთი მაგალითი მოიძებნება. იუნესკომ არა ერთი კულტურული ძეგლი მიიღო თავისი მფარველობის ქვეშ. მაგრამ მათ პარალელურად არის ისეთი ძეგლები, რომელნიც ყურადღების მიღმა დარჩა, გარკვეული მიზეზების გამო. ერთ-ერთ მათგანს წაროადგენს მცხეთის რაიონის სოფელ „სხალტბის“ სარწყავი არხის სისტემა. ისტორიულად „სხალტბა“ ეკუთვნოდა საქართველოში მსხვილი სამეურნეო ფეოდალური ორგანიზაციის წევრის - შიომღვიმის მონასტერს. ამჟამად კი - მე-12 საუკუნის ეს ძეგლი - „სხალტბის“ ისტორიული წყარო და არხი მთლიანად გაუქმებულია და მიტოვებულია ღვთისა და ერისგან სრულიად გასანადგურებლად. ჩვენს მიზანს წარმოადგენს წყაროს აღდეგენა და მისი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად დასაბუთება. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმ ბილიკების აღდგენარესტავრაცია, რომელიც სოფელ „სხალტბას“ შიო-მღვიმის მონსტერთან აკავშირებდა. ამ და სხვა საკითხებიდან გამომდინარე ეს თემა საკმაოდ აქტუალურად მიმაჩნია დღევანდელ დღეს ქართული სახელმწიფოსთვის. ამით კიდევ ერთი უნიკალური ადგილი მიემატება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტული დესტინაციის ფართო ჩამონათვალს.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ძეგლი, კულტურული მემკვიდრეობა, ტურისტული დესტინაცია.

Abstract. Today, every state in the world is facing the most important challenges and is applying many ways to solve them. To solve the existing issues, tourism is given the greatest importance, no matter whether the country is developed or developing. Tourism is one of them, it has led to truly unheard of results. At the same time, tourism has forced each state to look again and again at its own history and distant past and discover those forgotten pearls that served them for centuries and stirred the nation's sense of pride. There are many such examples in the world and even in Georgia. UNESCO has taken many cultural monuments under its protection. But parallel to them there are such monuments which have remained out of attention due to certain reasons. One of them is the irrigation canal system of "Skhaltba" village in Mtskheta district. Historically, "Skhaltba" belonged to the Shio-Mgvime Monastery, a member of a large economic feudal organization in Georgia. Currently, this monument of the 12th century - the historical source and channel of "Skhaltba" is abandoned by God and man to be utterly destroyed. Our goal is to restore the spring and present it as part of the cultural heritage. I also consider it important to restore the paths that connected the village of "Skhaltba" with the Monstery of the Shio-Mgvime. Based on these and other issues, I consider this topic quite relevant for the Georgian state today. Thus, another unique place is added to the wide list of cultural heritage and tourist destination of Georgia.

Key words: cultural monument, cultural heritage, tourist destination.

„საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც. . . რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი . . . . არ იყო ხალხი, თითოოროლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო! . . რუსთველის გამზირზე სეირნობასა და პოპულარული სტატია-წიგნების კითხვას ან ლიტერატურულ კამათს იქით აღარ მიდიოდა მათი მონდომება . . . თითქოს გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივ შესწავლის აუცილებლობას!“

ექვთიმე თაყაიშვილი

ყოველთვის, როდესაც ტურიზმის თემას ვეხები, ფიქრები შორეული წარსულისკენ იხრება. გონებაში ტივტივდება უკიდეგანო თემები საქართველოს შორეული ისტორიული წარსულიდან. და როდესაც გონების თვალს ვავლებ ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიას, სულ ახალი და ახალი ისტორიული ძეგლები ცოცხლდება ჩემს წარმოსახვაში. სურვილი მებადება დავინახო ამ ძეგლთა სიდიადე, თუ როგორი იყვნენ იქ იმ საუკუნეში და იმ ადამიანების გარემოცვაში, როცა შეიქმნა ეს დიადი ხელოვნების თუ კულტურის, არქიტექტურის უიშვიათესი ნამუშევრები.

გვაქვს უფლება ვიამაყოთ ასეთი დიადი ქმნილებებით და მაგალითის მოყვანაც მრავლად შეიძლება. დღეს მხოლოდ არქიტექტურის ძველი დროის საკმაოდ რთულ და მნიშვნელოვან პროექტს შევეხები.

ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდან საკმაოდ უხვად ყოფილა დაღარული საქართველოს ტერიტორია წყალსადენისა და არხებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას წყლის რესურსების დიდი პოტენციალი ჰქონდა სოფლების უმრავლესობა კვლავ სარწყავი სისტემის პრობლემის წინაშე მდგარა. ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც კონცენტრირებულია სარწყავი სისტემების უდიდესი ნაწილი, დამახასიათებელია ატმოსფერული ნალექების ნაკლებობა და წლის განმავლობაში არათანაბარი განაწილება. საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და არხების გაყვანა ადრეული ბრინჯაოს ხანაშიც მაღალ დონეზე იდგა, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული აღმოჩენები.

მარტო თამარ მეფის ეპოქაში სამი დიდი ნაგებობაა აგებული, რომელთა შესახებ ცნობები ჩვენამდეა შემორჩენილი. 1. თამარ მეფის ნებაყოფლობით ანტონ მწიგნობართუხუცესის (ჭყონდიდელის) მიერ 1202 წელს გაყვანილი სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი; 2. ალაზნის სარწყავი არხი და 3. სამგორის ველის სარწყავი არხი.

ივანე ჯავახიშვილის დავალებით, ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომლის მთავარი აზრი და მიზანი იმ დროინდელი ტექნიკის დონის დადგენა იყო. საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია წარმოგვიდგინა. კვლევებით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ თანამედროვე ტექნიკისთვისაც კი საკმაოდ რთულ ბუნებრივ პირობებში საკმაოდ ხარისხიანად და მაღალ დონეზე, დიდი ოსტატობით შეუსრულებიათ ეს ნაგებობები. „ გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ნაგებობატა ფრიად დიდ მასშტაბებს, რომელსაც დაწვრილებით ქვევით გავეცნობით, და იმ გარემოებას, რომ ჰიდროტექნიკა სამშენებლო ხელოვნების ურთულეს დარგად ითვლება, შეგვიძლია დავასკვნათ: შოთა რუსთაველის ეპოქის საერთოდ ფრიად მაღალ კულტურულ დონესთან შეფარდებით, ტექნიკაც სავსებით ჰარმონიულად ყოფილა განვითარებული.“[44]

44 1. შ. რუსთაველის მატერიალური კულტურა, „ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები“.გვ.219

მართლაც სხალტბა-შიომღვიმის მონასტრის წყალსადენი საკმაოდ რთულ გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ პირობებშია შესრულებული, რაც დღევანდელ სპეციალისტებსაც კი დააფიქრებდათ. იმ დროისთვის ეს არის საკმაოდ რთული ნაგებობა, რადგან მაშინ მასალად თიხა გამოიყენებოდა. რთულია წყალშესაკრებლის ნაწილი, გვირაბთა სისტემა, რომელიც მშენებლებისგან საკმაო სიფრთხილეს და გამოცდილებას მოითხოვდა.

წყალსადენი სამი წელი შენდებოდა, მაგრამ ამ წყლის დებეტის გარდა სხვა წყლის მოძიებაც გამხდარა საჭირო, სწორედ ამით აიხსნება იმ რთული მიწის-ქვეშა შესაკრებლის არსებობა. ამჟამად სხალტბის ისტორიული წყარო და არხი მთლიანად გაუქმებულია და მიტოვებულია ღვთისა და ერისგან სრულიად გასანადგურებლად. სოფლად სხვა წყარო არ არსებობს და ეს წყარო ადგილობრივებისა და ვიზიტორებისთვის ერთერთი მასულდგმულებელი იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხალტბა ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ადგილია, და დღე არ გავა, რომ მას ადგილობრივი თუ უცხო ქვეყნის წარმომადგენელი არ ესტუმროს. აქვს შესანიშნავი ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევა და რაც მთავარია მდებარეობს დედაქალაქთან ახლოს. სოფელი სხალტბა მდებარეობს მცხეთის რაიონში, მცხეთის ჩრდილო-დასავლეთით 5 კილომეტრში. ამჟამად ამ ტერიტორიაზე 20-მდე მოსახლეა, რომელთაგან 3-4 -ია მხოლოდ მუდმივი. წყალი და ჰაერი უზადოდ კარგია, ბორჯომის საკურორტო ზონასთან ათანაბრებენ. ის დამსვენებლებისთვის არა მარტო წელიწადის თბილ თვეებშია საინტერესო, ზამთარიც უსაზღვროდ ლამაზია, ლამაზია ქედები და მთები, სოფლები, რომლებიც სხალტბის ტერიტორიას დაუვიწყარ პეიზაჟებს სთავაზობს. შერეული ტყეები, ძერა, შველი, მგელი, ტურა, კურდღელი ჯერ კიდევ შემორჩენია ამ არე-მარეს. მზის ჩასვლაც კი ისეთი ლამაზია მხატვარს ფუნჯს ააღებინებს ჯადოსნური ფერების აღსაბეჭდათ. სოფლისკენ მიმავალ გზაზე მრავლადაა გასართობი, საქეიფო და მოსასვენებელი შენობა-ნაგებობები. ფუნქციონირებს „პანორამა სხალტბა“ და რამდენიმე სასტუმრო, არსებობს „ღვინის გზა“.

„პანორამა სხალტბა“





სხალტბა წლის განმავლობაში მრავალ ტურისტს მასპინძლობს ეროვნული თუ საეკლესიო დღეობების დროს. წმინდა გიორგის ეკლესიის ირგვლივ სიმშვიდის შეგრძნებას ტოვებს ბებერი ხეების ვარჯი, რომელსაც ადგილობრივები ხელს არ ახლებენ, მხოლოდ წაქცეულ და გამხმარ

ხეთა ტოტებს იყენებენ ისიც ადგილზე, მისი სახლში წაღება ყოვლად დაუშვებელია, რადგან ქურდობად ითვლება. თხილი, შვინდი, კაკალი, პანტა, ასკილი, მაყვალი და სხვა მცენარეთა გარემოცვაში მყოფი ადამიანი თავს კენკრის და ხილის ძიებაში ირთობს.

ამ ყველაფერს კი უერთდება არქიტექტურის ძველი ნიმუშები: თამარის ციხე, რომელიც ნაწილობრივ დანგრეული, კვირაცხოვლის ეკლესია, რომელიც მედიდურად გაყურებს მწვანედ მოლივლივე მინდვრებს და თავის ამბებს უყვება.



სხალტბის კვირაცხოვლის ეკლესია მცხეთა-მთიანეთის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სხალტბაში მდებარეობს. ძეგლი მოიცავს ორ ძირითად სამშენებლო ფენას. პირველი ფენა XII საუკუნით თარიღდება, ამ პერიოდს მიეკუთვნება კედლების სიმაღლე ნახევრამდე, XVII საუკუნეში ტაძარი ორჯერ აღუდგენიათ და ერთ–ერთი აღდგენისას აიგო კარიბჭეც. შესასვლელის ტიმპანის მხედრული წარწერის მიხედვით, ეკლესია აუგიათ ივანე ზედგენიძის ძის - სახლთუხუცესი შიოსა და მისი თანამეცხედრის - თამარის ბრძანებით, 1669 წელს. კარიბჭის ერთ-ერთ სვეტზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი - ოსტატი მელქან ფურცხვანიძე. 2007 წელს კი ძეგლს ჩაუტარდა რესტავრაცია.

მაგრამ უნდა ითქვას ყველაზე საინტერესო დამთვალიერებელს წინ ელოდება, როდესაც მიუყვება სხალტბა-შიომღვიმის გადასახედ გზას.




ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ გადასახედიდან მხოლოდ შიომღვიმის კომპლექსი არ ჩანს, აქედან ჩანს მდინარე მტკვარი და ის სოფლები, რომელთა ტერიტორიაზეც გადის, არ იქნება გადამეტება თუ ვიტყვით, რომ კარგ ამინდში აქედან ჩანს თბილისის ზღვაც.

შიომღვიმის კომპლექსი




ისტორიულ წარსულში სოფლიდან გზა ჩადიოდა შიომღვიმის ეკლესიისკენ და მისით სარგებლობას რეგულარული ხასიათი ქონდა. თუმცა დღეს ეს გზა ჩანგრეულია. ტურისტული თვალსაზრისით, ამ გზის აღდგენა სერიოზული ნაბიჯი იქნებოდა ამ დიდ ინდუსტრიაში ჩართულობისკენ.

თუ ამ ყველაფერს თანამედროვეობის შტრიხებით გავამდიდრებთ, მაგალითად ზიპლაინი, საბაგირო, ხის კოტეჯები სხალტბა-შიომღვომის გადასახედზე თავისი გასართობი კომპლექსით, ვფიქრობ ტურისტებისთვის დაუვიწყარი ადრენალინის წყაროდ იქცევა ეს ადგილი.

თუმცა გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ სოფელი სხალტბა და მისი ისტორიული მნიშვნელობა დროთა განმავლობაში დაიკარგება თუ სათანადო ყურადღება არ იქნება გამახვილებული, მასზე ინფორმაცია ძალზე მწირია და არც იძებნება ინტერნეტ სივრცეში.

თუ ტურისტული დაინტერესება წამოვა ამ ადგილზე, მაშინ არა მარტო ტურისტული თვალსაზრისით იქნება ეს ადგილი საინტერესო. არამედ დედამიწის ერთ პატარა კუთხეს კიდევ

ერთი ლამაზი და მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილი შეუნაჩუნდება. დღეს ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, რომ ასეთი მარგალიტების მოძიება, აღმოჩენა და მომავალი თაობებისთვის გადაცემა დღის წესრიგში დაგას ყველა ქვეყნისთვის და დღეს ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია მდგრად განვითარებაზე საუბრობს. ეს პროცესი ჯერ კიდევ ოფიციალურად 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაერო-ს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე დაიწყო. და რა გვიშლის ხელს, ვიყოთ ამ პროცესებში ჩართულნი.....

გამოყენებული ლიტარეტურტა

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.თბილისი 1990წ. ტ. V
2. ი. იორდანიშვილი, კ. იორდანიშვილი, საქართველოს მთის წყალსაცავები და მათი ზემოქმედება გარემოზე, თბ., 2010
3. საქართველოს სიძველენი,საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ტ.III, 1926
4. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.IX,თავი 5, 1996თბილისი
5. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა,ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი 1938

ოვერტურიზმის გამოწვევები საერთაშორისო და შიდა ტურიზმში
Challenges of overtourism in international and domestic tourism

ლარისა დოლიკაშვილი - ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
l.dolikashvili@seu.edu.ge
Larisa Dolikashvili - associate professor,
Georgian national university

აბსტრაქტი. ოვერტურიზმი არის ფენომენი, რომელიც აწყდება მსოფლიოს მთავარ ტურისტულ მიმართულებებს. ერთი მხრივ, ახალი ტექნოლოგიებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებამ, მოსახლეობის ზრდამ, მოდის ტენდენციებმა და დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების გაჩენამ გაზარდა მოგზაურობის ხელმისაწვდომობა. ასევე ხელი შეუწყო ტურისტული ინდუსტრიის ზრდას, მათ შორის განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. მეორე მხრივ, უკონტროლო მოთხოვნა, გარკვეულ მიმართულებებზე ტურისტების კონცენტრაციასთან ერთად, უარყოფითად აისახა როგორც ტერიტორიებზე, ასევე ადგილობრივ თემებზე. ზოგიერთ ტურისტულ მიმართულებაზე, ტურისტების მუდმივმა უკონტროლო ზრდამ და ტურისტულ ნაკადებზე მოთხოვნის არათანაბარმა განაწილებამ გამოიწვია უარყოფით შედეგები, რამაც გამოიწვია გლობალური მასშტაბით ოვერტურიზმის პრობლემა. შედეგად, შესამჩნევად გაუარესდა მოგზაურობის და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი ქალაქსა თუ რეგიონში. უცხოური ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტურისტული ნაკადის წლიური ზრდა გარდა ეკონომიკური განვითარებისა, ქმნის მომსახურების და ტურიზმის თანამედროვე პრობლემებს.

ოვერტურიზმის ნეგატიური ასპექტების მიუხედავად ყველა პოპულარული ტურისტული ქალაქი და ქვეყანა რჩება დაინტერესებული, მოგზაურების მოზიდვით. ჩნდება დისონანსი - ერთის მხრივ, ტურიზმის განვითარების სურვილი, მეორე მხრივ, მისგან სხვადასხვა უარყოფითი შედეგები.

სტატიაში განხილულია მსოფლიოში ოვერტურიზმის გაჩენისა და განვითარების ძირითადი მიზეზები და შედეგები. სტატიის სტრუქტურა წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე პოპულარულ ტურისტულ მიმართულებებში მოგზაურისთვის ოვერტურიზმის პრობლემების გადაჭრის კონცეფციის შესაბამისად.

ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა ქალაქების მიერ ოვერტურიზმის პრობლემის გადაჭრის შემთხვევები. წარმოდგენილია როგორც არსებული, ასევე დამუშავების პროცესში მყოფი პროექტები. აგრეთვე ტურისტული მიმზიდველობის შენარჩუნების მნიშვნელობა და აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: ოვერტურიზმი, მოგზაური, დანიშნულება, ტურისტული პროდუქტი, მდგრადი ტურიზმი, ეკოსისტემა.

Abstract. Overtourism is a phenomenon facing major tourist destinations around the world. On the one hand, the development of new technologies and transport infrastructure, population growth, fashion trends and the emergence of low-cost airlines have increased the availability of travel and contributed to the growth of the tourism industry, including in countries with developing economies. On the other hand, the uncontrolled demand, together with the concentration of tourists in certain destinations, had a negative impact on both territories and local communities. The continuous uncontrolled increase in the number of tourists in some tourist destinations and the uneven distribution of demand for tourist flows have led to negative consequences, which have created the problem of overtourism on a global scale. As a result, the quality of travel and the quality of life of the population in that city or region deteriorate significantly. The experience of foreign countries has shown that the annual increase in tourist flow, in addition to economic development, creates modern problems of services and tourism. Despite the negative aspects of overtourism, all popular tourist cities and countries remain interested in attracting travelers. A dissonance appears - on the one hand, the desire to develop tourism, on the other, various negative consequences from it.

The main reasons and consequences of the emergence and development of overt tourism in the world are discussed in the article. The structure of the article is presented in accordance with the concept of solving the problems of overtourism for both local residents and travelers to popular tourist destinations.

The article presents cases of solving the problem of overtourism by different cities. Presented are both existing and under development projects. Importance and necessity of maintaining tourist attractiveness.

keywords: Overtourism, traveler, destination, tourism product, sustainable tourism, ecosystem.

ძირითადი ნაწილი

ტურიზმი ხშირად არის ქვეყნის ან რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი და ზოგჯერ ერთადერთი ეკონომიკური სექტორი. ტურისტების შემოდინება კონკრეტულ ადგილას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, საქონლისა და მომსახურების ბაზრის ფორმირებას, შემოსავლის ზრდას და ა.შ. ტურისტები ხშირად სტუმრობენ ადგილებს, რომლებიც დავიწყებულია ადგილობრივი საზოგადოების მიერ, რის შედეგადაც თანხები გამოიყოფა უნიკალური კულტურულ-ისტორიული ატრაქციონების აღდგენისა და განვითარებისთვის. ამავდროულად, ტურისტების დიდი ნაკადი უარყოფითად აისახება იმ უბნებზე, რომლებსაც არ აქვთ უამრავი ხალხის მონახულების შესაძლებლობა. ჩნდება ოვერტურიზმი - სიტუაცია, როდესაც "ძალიან ბევრი ტურისტი" მოდის. ეს "ძალიან ბევრი" განსხვავებული იქნება ცალკეული ქალაქისთვის ან მთელი ქვეყნისთვის. მაგრამ არსი ყველასთვის ერთია - ტურისტების შესაძლო მიღება მნიშვნელოვნად ნაკლებია რეალურ ვიზიტზე. შედეგად, შესამჩნევად უარესდება მოგზაურობის და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი ამ ქალაქსა თუ რეგიონში.

ყოველწლიური ITB[45] (Internationale Tourismus-Börse Berlin - მსოფლიოში უდიდესი ტურისტული სავაჭრო გამოფენა), რომელიც იმართება ბერლინში, მიზნად ისახავს განიხილოს ტურიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები მთელს მსოფლიოში. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა, რომელიც პანდემიამდე განიხილებოდა არის ოვერტურიზმი. წელს ყველაზე აქტუალური თემები იყო ხელოვნური ინტელექტის მზარდი მნიშვნელობა, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი და კლიმატის პრობლემები. "არც ინფლაცია და არც ენერგიის მაღალი ხარჯები არ ამცირებენ მოთხოვნას მოგზაურობაზე", - აღნიშნა Messe Berlin-ის მმართველი დირექტორატის თავმჯდომარემ.[46]

ტერმინი „ოვერტურიზმი" გამოიყენება ტურიზმის ინდუსტრიაში, როგორც ამ სფეროს აწმყოსა და მომავლის შეუცვლელი ელემენტია. ტურისტული ნაკადის წლიური ზრდა, გარდა ეკონომიკური განვითარებისა, ქმნის მომსახურების და ტურიზმის თანამედროვე პრობლემებს.

უამრავი პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობისათვის - ბუნების დაბინძურებიდან, ქუჩების ხმაურიდან, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების განადგურებამდე, რაც ხანდახან ნამდვილ ვანდალიზმამდეც აღწევს. ბევრ ქალაქში ჩამოსული ტურისტების რიცხვი ათობით და ასობით აღემატება ადგილობრივ მოსახლეობას. „ოვერტურიზმი" საკმაოდ ახალგაზრდა კონცეფციაა, რომელიც დაკავშირებულია ტურისტების ჭარბ რაოდენობასთან, რომლებიც სტუმრობენ სხვადასხვა ატრაქციებსა და ქალაქებს.

მოგზაურთა შემოდინების ნეგატიურ ასპექტებს შორისაა მუზეუმებსა ან გალერიებთან გაუთავებელი რიგები, სავსე სასტუმროები და რესტორნები, დამღლელი საცობები, ასევე

[45] https://www.itb.com/en/The International Tourism Exchange (ITB Berlin) [უ.გ.12.06.2024]

[46] https://www.itb.com/de/besuchen/ ENTDECKEN SIE DAS OFFIZIELLE GASTLAND DER ITB BERLIN 2024[უ.გ.12.06.2024]

ტურისტების დიდი ნაკადი ქუჩებში დღისითა და ღამით. ეს ყველაფერი თან ახლავს ოვერტურიზმს. მაგრამ ამავე ამასთანავე, ყველა პოპულარული ტურისტული ქალაქი და ქვეყანა რჩება დაინტერესებული მოგზაურების მოზიდვით. ჩნდება დისონანსი - ერთის მხრივ, ტურიზმის განვითარების სურვილი, მეორე მხრივ, მისგან სხვადასხვა უარყოფითი შედეგები. ადგილობრივ მოსახლეობას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება და მუშაობა. შეიმჩნევა ქალაქების „დეგრადაცია“, ტურისტების მიერ კანონების, ტრადიციებისა და კულტურის მიმართ უპატივცემულობა. ტურისტებმა შეიძლება განიცადონ "მაღალი მოლოდინის სინდრომი", რადგან ფერადი რეკლამა სოციალურ ქსელებში ხშირად არ ემთხვევა რეალობას. ამის შედეგად, პოპულარულ მიმართულებებში ტუროპერატორების მიერ შეთავაზებული პროდუქტების გაყიდვების მოცულობა მცირდება.

საბოლოო ჯამში, ყველა მონაწილისთვის პოტენციური სარგებლის ნაცვლად, არსებობს უარყოფითი სოციოკულტურული, ეკოლოგიური და ფინანსური შედეგები. კერძოდ, კულტურული სიმდიდრის გაუფასურება; გაზრდილი მოძრაობა გზებზე; ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია, ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ატრაქციონების გადატვირთვა, ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.

ოვერტურიზმის წარმოშობის მიზეზები.[47] ოვერტურიზმი, როგორც ტურისტების გადაჭარბებული ზრდა, უარყოფითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესზე, სერვისების ხელმისაწვდომობაზე და მათ საერთო კეთილდღეობაზე. ოვერტურიზმი აზიანებს ქვეყნის ლანდშაფტსა და პლაჟებს, ამასთანავე ამძიმებს ინფრასტრუქტურას. ეს არის რთული პრობლემა, რომელიც ბევრ ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის შეფასებული. რა იწვევს ოვერტურიზმს? რა არის მისი წარმოშობის მიზეზები?

1. ფრენის ღირებულების შემცირებამ, დაბალბიუჯეტიანი ავიახაზების გაჩენამ და განვითარებამ განაპირობა ის, რომ უამრავმა ტურისტმა დაიწყო მოგზაურობა მთელს მსოფლიოში.

2. პოპულარული მიმართულებები და მოდის ტენდენციები ზოგიერთ ადგილას ტურისტების გადაჭარბებულ გაჯერებას იწვევს. მაგალითად, "სამეფო კარის თამაშების" სერიალის გადაღება მიმდინარეობდა მსოფლიოს მრავალ ქალაქში, მათ შორის ხორვატიაში - დუბროვნიკში. ახლა ეს ქალაქი არის ნამდვილი მექა სერიალის თაყვანისმცემლებისათვის.

3. Airbnb სერვისის გაჩენა, რომელიც საშუალებას იძლევა იქირაონ ტურისტებმა ბინა ან ოთახი სასტუმროში ბევრად დაბალ ფასებში, იწვევს ვიზიტორთა ნაკადის ზრდას. ამავდროულად, Airbnb-ის პოპულარიზაცია იწვევს საცხოვრებლის ღირებულების ზრდას

[47] https://www.nationalgeographic.com/travel/article/what-is-overtourism [უ.გ. 10.06.2024]

მოცემულ ქალაქსა თუ რეგიონში. შედეგად, მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება მიწოდებას და უძრავი ქონების ფასები მუდმივად იზრდება.

4. დღეს მსოფლიოში ალბათ არც ერთი ქალაქია დარჩენილი, სადაც ჩინელი ტურისტები არ წვევიათ. ეგრეთ წოდებული "ჩინური სინდრომი" წლიდან წლამდე იზრდება, გაზეთ Daily Mail-ის თანახმად, მთლიანობაში ჩინეთიდან გამავალი ტურისტების რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს 200 მილიონ ადამიანს, შედარებისთვის - ეს ოდნავ ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ ევროპის მთელი მოსახლეობა.

5. მთელ მსოფლიოში გაიზარდა საერთაშორისო მოგზაურების რიცხვი.

6. ხდება ტურისტული ნაკადების კონცენტრაცია ტურისტულ ცენტრებში.

7. რეკლამა და პოპულარიზაცია სოციალური ქსელების საშუალებით. ცალკეულ ქალაქებზე გაზრდილი ყურადღება, რომელიც მხარდაჭერილია სოციალური ქსელების მიმოხილვებითა და რეკომენდაციებით, იწვევს ამ ადგილების გადატვირთულობას;

რამდენიმე ცნობილი ქალაქის მაგალითზე განვიხილოთ ოვერტურიზმის ტენდენციების განვითარების კონკრეტული და რეალური მიზეზები.

Bloemenmarkt არის თვალწარმტაცი მცურავი ყვავილების ბაზარი სინგელის არხზე, რომელიც 1862 წლით თარიღდება. ტურისტები მუდმივად იღებენ სურათებს ყვავილების მაღაზიებთან, რაც ადგილობრივ მოსახლეობას შოპინგის საშუალებას არ აძლევს. შედეგად, სავაჭრო ბრუნვა სულ უფრო და უფრო მცირდება და არსებობს ვაჭრობის სრული განადგურების საფრთხე მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ბაზარზე.

კომოდო **ინდონეზიაში** ბოლო წლებში ძალიან პოპულარული გახდა. სადაც გაიზარდა ეგზოტიკური ადგილების მოყვარულთა ტურისტების და ამავდროულად, კონტრაბანდისტების რიცხვი, რომლებიც ცდილობენ ადგილობრივი დრაკონების (კომოდოს ხვლიკების) გაყიდვას. დაფიქსირდა ამ იშვიათი ცხოველების პოპულაციის მკვეთრი შემცირება. ამიტომ გადაწყდა კუნძული დამთვალიერებლებისთვის ერთი წლით დაკეტილიყო.[48]

ვენეცია განიცდის დაბინძურებას მილიონობით ტურისტითა და საკრუიზო გემებით. **კარიბის ზღვაში მდებარე კუნძული კოზუმელი** გარშემორტყმულია იშვიათი მარჯნის რიფებით. მაგრამ, ახლა მათი უმეტესობა გაანადგურეს ნავებმა და მყვინთავებმა, ხოლო დარჩენილი მარჯნები ძლიერ დაბინძურებულია პირადი ნავით მოგზაურობისა და კრუიზების გამო.

კუნძული **სანტორინზე** მხოლოდ 15 ათასი ადგილობრივი მცხოვრებია. ამავდროულად, მას წელიწადში დაახლოებით ერთი მილიონი ტურისტი სტუმრობს, რომლებიც ჩამოდიან ლაინერებით და ბორნით დღეში თითქმის ყოველ 30 წუთში. რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა

[48] https://nature.new7wonders.com/wonders/komodo-indonesia/Exploring Komodo Island . [უ.გ.12.06.2024]

ადგილობრივების მოწესრიგებულ და მშვიდ ცხოვრებას, რადგან ტურისტები ხალხმრავლობით დადიან, ფაქტიურად მათ პატარა სახლებში.

იტალიის ოფიციალურმა პირებმა მიიღეს მთელი რიგი ზომები ცნობილ ადგილებში ვიზიტების შესაზღუდად - პოპულარულ ატრაქციონებზე ვიზიტები გარკვეულ დროს იკეტება ისტორიული ძეგლების შესანარჩუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უარყოფითი შედეგი გამოწვეულია ოვერტურიზმით, ხშირად ტურისტების ზოგადი ცნობიერების ნაკლებობითაც ზიანდება. მაგალითად იმ ძეგლების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც მათ დააზიანეს. „ერთმა ტურისტმა, რომელიც რომის კოლიზეუმში მისი სახელის კვეთაზე დაიჭირეს, თქვა, რომ მან არ იცოდა, რომ ცნობილი ნაგებობა - რომელიც თითქმის 2 000 წლისაა - ასეთი უძველესი იყო. შესაძლებელია მოვიყვანოთ ზოგიერთი ქვეყნის მაგალითები, რომელიც „ებრძვიან ოვერტურიზმს“, მაგალითად , ბოლო წლებში ევროპის სასტუმროების და რესტორანთა ასოციაციის „ჰორეკა“ სექტორმა განახორციელა:

ოვერტურიზმის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი უდავოდ **ამსტერდამია.** ქალაქში სასტუმროში ყოფნისთვის დაწესებული ყველაზე მაღალი ტურისტული გადასახადებისა და ბინების გაქირავებისთვის საკმაოდ მაღალი ფასების გარდა, ამსტერდამში მკვეთრად შეამცირეს სუვენირების მაღაზიების რაოდენობა და შემოიღეს სპეციალური ნიშანი ტურისტებისთვის პლაკატის სახით - „მე აქ ვცხოვრობ, გთხოვთ, არ იხმაურო".

მათ წამოიწყეს კომპანია - «Enjoy and Respect» - „ისიამოვნე და პატივისცემა“ რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ მუდმივად შეახსენოს ტურისტებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან წესრიგს დარღვევას რომ არასწორი საქციელის გამო მათ ჯარიმა ემუქრება. ეს კამპანია განხორციელდა ციფრული ბილბორდების („ციფრული ღობე“) გამოყენებით, რომელიც შეახსენებს თითოეულ პოტენციურ დამრღვევს, დაიცვას წესები და პატივი სცეს ქალაქის მოსახლეობას სოციალური ქსელების Instagram-ისა და Facebook-ის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ წელს ამსტერდამი აპირებს შემოიღოს მსოფლიოში ყველაზე დიდი ტურისტული გადასახადი - ტურისტულ დანიშნულების ადგილზე დარჩენის საფასური იზრდება. ჰოლანდიის ქალაქში ღამისთევაზე ტურისტული გადასახადი 12.5%-ს მიაღწევს.[49]

წელს შემდეგი მიმართულებები იწყებენ ტურისტული გადასახადების დაწესებას:[50] ვენეცია, ხორვატია, ბელგია, ბულგარეთი, ავსტრია, ჩეხეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, შვეიცარია, 2024 წლიდან დაიწყებს ტურისტებისთვის გაზრდილი გადასახადის დაწესებას; ესპანეთის

[49] https://zakordon.24tv.ua/ru/amsterdam-vvodit-samyj-bolshoj-evrope-turisticheskij-nalog_n2403842 [უ.გ.12.06.2024]

[50] Tourist taxes will make these destinations more expensive in 2024https: //www.lonelyplanet.com/news/new-tourist-taxes-fees. [უ.გ.03.03.2024]

რამდენიმე ქალაქმა გადაწყვიტა ტურისტული გადასახადის ფასის აწევა, არსებობს იმედი, რომ ამით ქვეყანა გამოიმუშავებს 100 მილიონ ევროს რომლის დახარჯვას ოფიციალური პირები გეგმავენ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, გარემოს დაცვასა და ადგილობრივი კანონების აღსრულებისათვის[51].

გაერთიანებული სამეფო აწესებს ახალ სისტემას, სახელწოდებით Electronic Travel Authorization (ETA), რომლის მიხედვითაც, აშშ-დან, ევროპიდან, ავსტრალიიდან და კანადიდან ვიზიტორებს მოეთხოვებათ გადაიხადონ ქვეყანაში შესასვლელი გადასახადი. მომავალ წელს ევროკავშირი დაიწყებს ახალი ტურისტული ვიზის დანერგვას, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის არაწევრმა მოქალაქეებმა, რომლებიც მიემგზავრებიან შენგენის ზონის გარეთ, ქვეყანაში შესასვლელად 7 ევროს ღირებულების განაცხადის შევსება დასჭირდებათ[52]. თითოეულ აქ ჩამოთვლილ ქვეყანას ახასიათებს ინდივიდუალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მოგზაურთა ნაკადების დინამიკაზე. ეროვნული და საერთაშორისო ტურიზმი ამჟამად ვითარდება შემდეგი ფაქტორების გავლენით: სერვისი, ინფრასტრუქტურა, ინკლუზიურობა, კონკურენცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოება.

ამავდროულად, ბევრი ტურისტი უპირატესობას ანიჭებს რეგიონულ მოგზაურობას საკუთარ ქვეყანაში, ვიდრე საერთაშორისო მოგზაურობას. ამის მიზეზები, მათ შორის, პოპულარულ საერთაშორისო მიმართულებებში, განსაკუთრებით სეზონური ტურიზმია, ასევეა უსაფრთხოების მაღალი რისკი - საერთაშორისო ტერორისტული თავდასხმების სიხშირე.

ტურისტული ინდუსტრია შედგება ტურისტული ორგანიზაციებისგან, რომლებიც მოქმედებენ მიწოდებისა და მოთხოვნის ბაზარზე, ისევე როგორც ყველა სხვა კომერციული ორგანიზაცია. ამავდროულად, ასეთი ორგანიზაციების შეთავაზებას ყოველთვის არ შეუძლია დააკმაყოფილოს დახვეწილი საზოგადოების მოგზაურობის საჭიროებები და მზარდი კონკურენცია ფაქტიურად აიძულებს მათ ჩამოაყალიბონ და შეასრულონ ახალი მკაცრი მოთხოვნები, რათა შეინარჩუნონ ტურისტები და განვითარდნენ.

მოთხოვნის ფაქტორები:

- იზრდება ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც გვთავაზობენ ახალ ტურისტული მიმართულებებსა და მარშრუტებს;

[51] ourist tax: These are the destinations you'll have to pay to enter[უ.გ.12.06.2024]
Beware of these hidden costs – these are all of the destinations due to impose tourist tax
BY OLIVIA MORELLI 14 February 2024https://www.cntraveller.com/article/tourist-tax-the-destinations-youll-have-to-pay-to-enter.[უ.გ.03.03.2024]

[52] ourist tax: These are the destinations you'll have to pay to enter
Beware of these hidden costs – these are all of the destinations due to impose tourist tax
BY OLIVIA MORELLI 14 February 2024https://www.cntraveller.com/article/tourist-tax-the-destinations-youll-have-to-pay-to-enter.[უ.გ.03.03.2024]

- გარკვეული ტურისტული სახეობის მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილების პირობების შექმნა;
- შიდა ტურიზმზე მოთხოვნის შენარჩუნება.

მიწოდების მოქმედებები:

- მზარდი მოთხოვნის და მიწოდების დაბალანსება;
- ტურიზმის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის დაგეგმვა;
- ეროვნული ტურიზმის გაუმჯობესების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

ტურიზმის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას - სხვადასხვა კონტინენტზე გარემოს დაცვისა და ეკოსისტემების შენარჩუნების პრობლემების გადაჭრას. ამ მხრივ განსაკუთრებით წარმატებულია ევროპის კონტინენტი, სადაც გარემოსდაცვითი პრობლემები განიხილება როგორც მედიის, ისე მთავრობის დონეზე.

ევროპული ქვეყნები დღეს ავითარებენ ახალ ტურისტულ პროდუქტებს, რომელთა მიზანია მოგზაურობის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ამავდროულად გარემოს დაცვა. მაგალითად, ბავარი ხმაურიან ქალაქში მოგზაურობის ნაცვლად, ტურისტებს სთავაზობენ მშვიდი სოფლის მონახულებას, სადაც განთავსება არის ადგილობრივ, ავთენტურ აპარტამენტებში და მოიცავს კვებას, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობას.

სამომავლოდ, სავარაუდოდ განვითარდება ტურისტული ცენტრების შორეულ და მიუწვდომელ ადგილებზე გამგზავრების ტენდენცია. თუმცა, ეს არ გააუქმებს დასვენების მოთხოვნას მომსახურების მაღალ დონეზე. ბევრი ტურისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე დღის განმავლობაში მაქსიმალური კომფორტის მიღება შესანიშნავი ამინდის პირობებში. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტურისტულ მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს კურორტის თემატიკა: ახალგაზრდული, ოჯახური, აქტიური, რეკრეაციული და ა.შ., ასევე ფასი-ხარისხის თანაფარდობა.

საერთაშორისო ტურისტული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს UNWTO-ს მიერ განხორციელებულ პროგნოზებსა და კვლევებს სამთავრობათაშორისო ტურისტული ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს 150-ზე მეტ ქვეყანას და არის გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია. უახლესი კვლევის მიხედვით, მოგზაური ტურისტების რაოდენობა მილიარდნახევარ ადამიანს გადააჭარბებს, მათი უმეტესობა კი საკუთარ ქვეყანაში იმოგზაურებს. ტურისტები გააგრძელებენ ევროპის მონახულებას, გარდა ამისა, იქნება მოგზაურობები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში.

საერთაშორისო ტურისტების ნაკადის შესანარჩუნებლად, თითოეულმა ქვეყანამ უნდა გადაჭრას UNWTO-ს მიერ დასახული შემდეგი ამოცანები:

- ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის პირობების შექმნა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ტურისტები იღებენ განახლებულ, ხელმისაწვდომ და საჭირო ინფორმაციას;
- შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მიზნით ეროვნული სახელმწიფო ბიუჯეტიდან საინვესტიციო სახსრების გამოყოფა;
- საერთაშორისო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გეოპოლიტიკური ღონისძიებების შემუშავება.

საერთაშორისო ტურიზმის როლი გლობალურ ეკონომიკაში ყოველწლიურად იზრდება. ამავდროულად, იზრდება ოვერტურიზმი, რომლის შედეგები მნიშვნელოვნად ამცირებს დადებით გავლენას მთელი ტურიზმისა და რეკრეაციული ინდუსტრიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე, ტურიზმის სექტორის მომავალი დიდწილად დამოკიდებულია ტურიზმის სფეროში მთავრობის პოლიტიკასა და სტრატეგიაზე, ისევე როგორც ტურისტული მიმზიდველობისა და აქტივობის შენარჩუნებისა და განვითარების რიგი მოთხოვნების შესრულებაზე.

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის 2023 წლის შედეგებიდან აღსანიშნავია საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები, რომლის ოდენობამ შვიდ მილიონს გადააჭარბა. გასულ წელს, საქართველოში 4,669,467 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი განხორციელდა, რაც პანდემიამდელი 2019 წლის მონაცემის 91.9% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით კი ზრდა +27.8%-ია. 2023 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2019 წლის დონეს 26.2%-ით (856.7 მლნ აშშ დოლარით), ხოლო 2022 წლის მონაცემებს 17.3%-ით (608.7 მლნ. აშშ. დოლარით) გადააჭარბა. ტურიზმიდან გლობალური შემოსავლების მიხედვით, აღდგენა 93%-ს შეადგენს.

გასულ წელს ქვეყანამ ტურიზმიდან 4.1 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, საქართველოს აეროპორტებმა 6 მილიონი მგზავრი მიიღო - მათ შორის, რეკორდული იყო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი,რომელიც - 1,6 მლნ. მგზავრს მოემსახურა.[53]

მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა საქართველოს კურორტებზე - ბაკურიანში აშენდა 3 საბაგირო კომპლექსი, 2 ხელოვნური რეზერვუარი, 29 კმ. ხელოვნური გათოვლიანების სისტემა (ჯამში, 35 კმ), რისთვისაც 300 მლნ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა. რაც შეეხება გუდაურს, გასულ წელს კურორტზე აშენდა 2 საბაგირო კომპლექსი, 6 კმ-იანი ახალი სასრიალო ტრასა (ჯამში 76 კმ.), განახლდა უკონტაქტო გამშვები პუნქტები, მოეწყო და დამონტაჟდა საინფორმაციო მონიტორები, საგზაო და სათხილამურო ტრასის

[53] საქართველოს ტურიზმისა და ავიაციის 2023 წლის შემაჯამებელი ანგარიში[უ.გ.12.06.2024]

მანიშნებლები, სველი წერტილები და ა.შ. 2023 წელს გუდაურში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა 70 მლნ. ლარია.

განთავსების ობიექტებთან დაკავშირებით სტატისტიკა ასეთია: 2023/24 წლებში ინვესტიციების ჯამური საშუალო ოდენობა 220 მილიონი ლარია, ხოლო 2024/27 წლებში ეს ციფრი ერთ მილიარდამდე გაიზრდება. ამავე პერიოდში 9 300-ს მიაღწევს ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა, 320-მდე განთავსების ახალი ობიექტი შეიქმნება, ხოლო საწოლი ადგილების ოდენობა 2024/27 წლებში 37 000-ს გადააჭარბებს.[54]ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი სწრაფი ტემპით ვითარდება, მაგრამ აუცილებელია განხორციელდეს ტურისტული აქტივობების მართვა. რომელიც მოიცავს ინფორმაციის მოძიებას, შეგროვებას და დამუშავებას ტურისტული საქმიანობის შესახებ ქალაქში ან რეგიონში. შემდეგ კი შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვას და განხორციელებას ტურისტულ სექტორში რომ არ ვიწვნიოთ ოვერტურიზმის უარყოფითი შედეგები.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ფასები ყოველწლიურად იზრდება, მოგზაურობა ჩვენს დროში, ფუფუნებას აღარ წარმოადგენს. ბიუჯეტურად საზღვარგარეთ გამგზავრების შესაძლებლობა იზარდება. ოვეტურიზმის წინააღმდეგ, სეზონზე ფასების ზრდა ხელს შეუწყობს ტურისტების გადანაწილებას სხვა უფრო იაფ და უცნობ მიმართულებებზე. ცნობილი ტურისტული დესტინაციები არ მოიზიდავს მასობრივ ტურისტებს, მხოლოდ გარკვეულ მცირე სეგმენტს ექნება ჩასვლის საშუალება. დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი სეზონურობის „წაშლაზე“ ყველაზე მონახულებულ ადგილებში;

ტურისტული ინდუსტრიის მონაწილეები, როგორიცაა ბიზნესის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება, ისევე როგორც მედია, უნდა მონაწილეობდნენ ტურისტების ერთიანი განაწილების პოლიტიკის ახლის შემუშავებასა და განხორციელებაში. ამისთვის აუცილებელია ახალი საინტერესო ტურისტული ადგილების და მარშრუტების აღმოჩენა და გავრცელება.

არ იქნება მიზანშეწონილი შეზღუდვების სწრაფად შემოღება. ამ მიზეზით წარმოიქმნება უარყოფითი შედეგები. თანაც შეზღუდვები არ უნდა ეხებოდეს ტურისტების რაოდენობას, რომლებიც სტუმრობენ პოპულარულ ადგილებს, მაგრამ უნდა არსებობდეს ლიმიტი საცხოვრებლის გაქირავებასა და ტურისტების გადაადგილებაზე პოპულარულ დესტინაციებზე, რომელასც უკვე განვითარებული ქვეყნები მიმართავენ.

[54] ttps://www.bpn.ge/article/121182-premieri-qvelaperi-gaketdeba-sakartveloshi-sxvadasxva-kveqnidan-kidev-upro-meti-pirdapiri-prenebis-dasanishnad (საქართველოს ტურიზმისა და ავიაციის 2023 წლის შემაჯამებელი ანგარიში)[უ.გ.12.06.2024]

ცალსახად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და მხარდაჭერა აუცილებელი საკითხია, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)[58] მიხედვით. სწორედ 1.6 სტანდარტი ხაზს უსვამს სასწავლო რესურსებს და სტუდენტების მხარდაჭერას, მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის არსებობას. ბოლო დროს, ინტერნეტთან წვდომის სიმარტივემ გამოიწვია ცვლილებები უნივერსიტეტებში, მათ შორის, კომუნიკაციის ნაწილში, სწორედ ამიტომ ციფრული ტექნოლოგიების ათვისება სულ უფრო აქტუალური ხდება. ციფრული კომუნიკაცია არის ონლაინ არხების საშუალებით ადამიანებთან დაკავშირების პროცესი. მანამ სანამ. COVID-19 შეცვლიდა მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას, განათლების სექტორში ციფრული საკომუნიკაციო არხები უკვე პოპულარული ხდებოდა. საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტები მუდმივად ცდილობდნენ და უზრუნველყოფდნენ ტექნოლოგიების გამოყენებას და დანერგვას. დღეს ეს პროცესი კი უფრო აქტუალური და გადამწყვეტი გახდა, ინსტიტუტები ამ მიმართულებით გაწერილი აქვთ კონკრეტული აქტივობები და ამ ინფორმაციას ასახავენ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში.

[56] ავტორიზაციის სტანდარტი https://eqe.ge/ka/page/static/449/avtorizatsiis-standartebi

[57] აკრედიტაციის სტანდარტები https://eqe.ge/ka/page/static/1053/akreditaciis-standartebi-da-procedurebi

[58] ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG) chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://erasmusplus.org.ge/files/files/ESG_2015.pdf

მაგალითად კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში (2020/21 - 2026/27 აკადემიური წლები) წარმოდგენილია პრიორიტეტული მიმართულებები, პროცესის ნიშნულში არის ერთ-ერთი ამოცანა[59] "P8: მართვის ელექტრონული სისტემების გაძლიერება", ამ ამოცანის აქტივობად წარმოდგენილია „ადმინისტრაციული პროცესების და კომუნიკაციის გაციფრულების უზრუნველყოფა". ბევრი უნივერსიტეტი ცდილობს გააუმჯობესოს და გააციფრულოს კომუნიკაცია, რადგან თანამედროვე სამყაროში, ეს აუცილებელია, ამ მიზნით ხდება თანამშრომელთა გადამზადება, ახალი კადრების აყვანა, საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა და ექსპერტების ჩართულობა.

ბოლო წლებში ჩვენ ვიხილეთ უნივერსიტეტებში სტუდენტთა თანამედროვე საკომუნიკაციო არხების აქტიური გამოყენება. ცხადია, სტუდენტები ფლობენ უნარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა, რაც ამარტივებს პროცესს და ხელს უწყობს თანამედროვე მექანიზმების დანერგვას. ყოველდღიურად, სტუდენტები იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიას, მათ შორის, სმარტფონებს, ლეპტოპებს, პლანშეტებს და სხვა. იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ დროული, განახლებული და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, აუცილებელია უნივერსიტეტში დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები. ინფორმაცია დაწესებულებებს კი აქვთ მრავალფეროვანი, ეს შესაძლებელია იყოს საჯარო ლექციების, ტრენინგების, შეხვედრების, საგნების არჩევის, ფორუმის და მიმდინარე პროექტების შესახებ. ინფორმაციის გაზიარების მიზანი სწორედ არის ის, რომ სტუდენტმა განივითაროს როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად, მიიღოს პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, რის საფუძველზეც ის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება. დაწესებულებებში შემუშავდა და ახლაც ინერგება თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები, სწორედ ამ საკითხების გაზიარების და პროცესების სრულყოფის მიზნით. ეს არხები ძირითადად მოიცავს შემდეგს: ელექტრონული ფოსტა, სტუდენტთა პორტალი, უნივერსიტეტის მონიტორები, ელექტრონული განცხადების დაფები, SMS შეტყობინება, საინფორმაციო შეხვედრები ონლაინ, ცხელი ZOOM, ვებ გვერდი, მობილური აპლიკაცია და სოციალური ქსელები.

ელექტრონული ფოსტა: მოცემული არხი არის ძველი, მაგრამ ეფექტური, უნივერსიტეტს სტუდენტებისთვის შექმნილი აქვთ ელ.ფოსტა, ვინაიდან ეს არის კომუნიკაციის ფორმა, რომლის გამოყენებაც სტუდენტს ნებისმიერი მოწყობილობიდან შეუძლიათ.

თუმცა, სამწუხაროდ, სტუდენტების ნაწილი ელ.ფოსტას არ იყენებს და მიღებულ შეტყობინებებს არ კითხულობს, რადგან მათთვის ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული შეტყობინება მათთვის, როგორც წესი, არის:

- მოცულობითი;

[59] კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმა https://www.cu.edu.ge/ka/about-us/development-plan-cu

- დამაბნეველი;
- შეუსაბამოა - არ ხდება სტუდენტთა გაფილტვრა;
- მომაბეზრებელი შინაარსის - არ არის დაწერილი საინტერესო გზით;
- და სხვა.

რა თქმა უნდა, ელექტრონული ფოსტა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომუნიკაციის პროცესში, მაგრამ აუცილებელია ამ არხის გამოყენების მეთოდების შემუშავება.

სტუდენტთა პორტალი: პორტალი (სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის). უზრუნველყოფს ონლაინ სერვისებს, მათ შორის, პერსონალიზებულ ინფორმაციაზე წვდომას. პორტალის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, როგორებიცაა: პირადი მონაცემები, საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, გზამკვლევები, შეფასებები, ცხრილები, ფინანსები, ბიბლიოთეკა, გამოკითხვები, კონტაქტები, სასწავლო კურსები და სხვა. ყველა უნივერსიტეტს აქვს შექმნილი პორტალი, რომელსაც სტუდენტები, ასევე საგნების არჩევის პროცესში იყენებენ. ამ მიმართულებით დაწესებულებები მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს, ქმნიან გზამკვლევებს და აწვდიან დეტალურ ინფორმაციას რათა სტუდენტებმა ეფექტურად გამოიყენონ ის, მაგალითად ილიაუნის ელექტრონული სწავლების პორტალის გამოყენების შესახებ შემუშავებულია სასწავლო ლექციები[60], რომლის საშუალებითაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას პორტალის ფუნქციების და გამოყენების შესახებ.

უნივერსიტეტის მონიტორები: კომუნიკაციის პროცესის უწყვეტობისთვის დაწესებულებები, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უსდ-ები აქტიურად იყენებენ მონიტორებს, სადაც განთავსებულია ინფორმაცია მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. ეს არის ერთ-ერთი კარგი მექანიზმი, გაუზიარო ინფორმაცია სტუდენტებს და ჩართო პროცესში, მაგალითად თუ სტუდენტს აქვს შესვენება, შეუძლია ეს პერიოდი გამოიყენოს ხარისხიანად და დაესწროს მიმდინარე ღონისძიებას. ინფორმაციის გაზიარება შესაძლებელია ხდებოდეს ვიდეო რგოლებით და ვიზუალური განცხადებებით.

ელექტრონული განცხადების დაფები:[61] ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს უნივერსიტეტმა ციფრულად აჩვენოს სხვადასხვა შეტყობინება. ეს არის ტრადიციული დაფების ალტერნატივა. ამის გამოყენებით ნებისმიერ დროს ინფორმაცია მარტივად შეიძლება განახლდეს. მას აქვს ბევრი უპირატესობა, პირველ რიგში, ხარჯთეფექტურია, სასარგებლოა სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარებისთვის, ამის საშუალებით

[60]ილიაუნის ელექტრონული სწავლების პორტალის გამოყენება;
https://online.iliauni.edu.ge/view/lections/69/155/eleqtronuli-stsavlebis-portali-studentebistvis
[61] Alistair Cousins, Guide to Creating Digital Bulletin Boards: https://shorturl.at/jkG47 Apr 17, 2023

დაწესებულება ყველა დაინტერესებულ პირს სთავაზობს დეტალურ, ზუსტ და ადვილად აღსაქმელ შინაარსს, ასევე განცხადების დაფაზე ცვლილებების განხორციელება მარტივია.

SMS შეტყობინება: არის ცალმხრივი კომუნიკაცია, რომელიც ძირითადად არის მოკლე და ეფექტური საკომუნიკაციო საშუალება. სტუდენტებისთვის ეს ერთ-ერთი საუკეთესო საკომუნიკაციო არხია, რადგან ძირითად შემთხვევაში, ინფორმაციას ირებს გაფილტრულს, მოკლეს და ზუსტს.

საინფორმაციო შეხვედრები ონლაინ: სტუდენტთა ინფორმაციის გაზიარებისთვის უსდ-ში დანერგა საინფორმაციო შეხვედრები დისტანციურად, პანდემიამ დიდი გავლენა იქონია სტუდენტთა კომუნიკაციის ამ მექანიზმის გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტებს მოუწიათ სტუდენტების მხარდაჭერა ციფრული არხების საშუალებით და ერთ-ერთი სწორედ ონლაინ შეხვედრები იყო, ეს არის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალება, რადგან განსაკუთრებით დასაქმებულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერი სივრციდან ჩაერთონ და ჰქონდეთ სიახლეებზე წვდომა.

ცხელი ZOOM: ეს არის ერთ- ერთი საუკეთესო პრაქტიკა სტუდენტთა ჩართულობის და ინფორმირებულობის გასაუმჯობესებლად. ეს მექანიზმი გულისხმობს შემდეგს: სტუდენტებს საშუალება აქვთ დარეკონ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და გაიარონ კონსულტაცია დისტანციურად. ეს ტექნიკა საქართველოში პირველად საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა სეუ-მ[62] დანერგა და ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია ციფრული საკომუნიკაციო მიმართულებით. მოცემული მოდული დამატებულია სტუდენტთა პორტალზე და სტუდენტს კითხვის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლია დარეკოს და გაიაროს კონსულტაცია.

ვებ გვერდი: ვებ გვერდი უნივერსიტეტში ემსახურება მნიშვნელოვან მიზანს, სწორედ აქ ხდება დეტალური ინფორმაციის განთავსება, მათ შორის, უნივერსიტეტის საქმიანობის, მიზნების, სტრატეგიული გეგმის, პარტნიორების, დეპარტამენტების, ანონსების, სიახლეების, სამომავლო გეგმისა და სხვა საკითხების შესახებ. წარმატებული ვებ საიტის არსებობის გასაღები, რომელიც მხარს უჭერს კომუნიკაციას, არის ის, რომ მისი გამოყენება მარტივი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მობილური აპლიკაცია; მობილური აპლიკაციები კომუნიკაციის ძალიან პოპულარული მეთოდი ხდება. არის ძირითადი ფუნქციები, რომლებიც უნდა ჰქონდეს მობილურ აპლიკაციას, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ფილტრის ფუნქცია, რათა სტუდენტს შეეძლოთ გაფილტრონ მათთვის საინტერესო საკითხი და ფოკუსი მოახდინოს მასზე.

[62] საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:https://www.seu.edu.ge/news/11/SEU-s-cxeli-xazi

სოციალური ქსელი: უნივერსიტეტები სტუდენტებს სთავაზობენ სერვისების ფართო სპექტრს. საქართველოში როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტები იყენებენ სხვადასხვა პლატფორმას სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა კომუნიკაციის ნაწილში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული აპლიკაციებია[63]: WhatsApp, TikTok, Messenger, Facebook და Instagram. რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილიც სწორედ ამ აპლიკაციებს იყენებს, ცალსახად, ამ მონაცემების საფუძველზე საქართველოში დაწესებულებები კონკურენტუნარიანობის მოსაპოვებლად და ინფორმირებულობის გასაზრდელად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა აპლიკაციებს, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი ინფორმაციას სწორედ ამ წყაროებიდან იღებს. თავის მხრივ, შეიძლება სტუდენტებს შესაძლოა სურდეთ გამოხატონ მოსაზრებები უნივერსიტეტში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, ამისთვის კი აქტიურად მიმართავენ სოციალურ ქსელს და უკუკავშირს სწორედ ამ პლატფორმებზე ანთავსებენ.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მიუთითებს ციფრული საკომუნიკაციო არხების ხელსაწყოების მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე. ასევე ნათელს ჰფენს იმას, თუ როგორ შეუძლიათ გააგრძელონ დაწესებულებებმა ამ ციფრული ხელსაწყოების გამოყენება. ჩვენი მონაცემები ავლენს ცვლილებებს და ციფრული ტექნოლოგიების გაუმჯობესების საჭიროებას, რადგან რესპონდენტები ამჯობინებდნენ სოციალურ ქსელს, პორტალს, SMS და ელ ფოსტას, როგორც კომუნიკაციის მეთოდებს.

კვლევა, ხაზს უსვამს სტუდენტთა პორტალის ძლიერ უპირატესობას. გამოკითხულთა 95% იყენებს სტუდენტთა პორტალს. ამის მეშვეობით სტუდენტები იღებენ სრულყოფილ ინფორმაციას, რაც თავის მხრივ, აუმჯობესებს მათ ჩართულობას და სრულყოფილებას სასწავლო პროცესში.

აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტები სტუდენტებს ხშირად აწვდიან არარელევანტურ ინფორმაციას, რაც იწვევს იმას, რომ შემდეგ რელევანტური/მნიშვნელოვანი შეტყობინებების გაცნობა არ ხდება, როდესაც ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, არ შეესაბამება მათ საჭიროებებს, მომავალში ამ არხით მიღებულ სიახლის მიმართ ყურადღების დონე მცირდება. სტუდენტთა 66% თვლის, რომ ინფორმაცია სრულად არ არის გაფილტრული, 19% ფიქრობს, რომ ნაწილობრივ არის გაფილტრული, ხოლო 15% თვლის, რომ გაფილტრულია. შედარებითი ანალიზის დროს ძირითადად გამოწვევა ამ მიმართულებით დაფიქსირდა სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

კიდევ ერთი საყურადღებო დასკვნა არის ის, რომ უნივერსიტეტები აგრძელებენ სხვადასხვა ძველი, ნაკლებად ეფექტური არხების გამოყენებას, სტუდენტთა 45% ფიქრობს რომ უნივერსიტეტში ციფრული საკომუნიკაციო არხების გამოყენება სრულად ხდება, 24% ფიქრობ

[63] ყველაზე პოპულარული აპლიკაციები: https://bm.ge/news/yvelaze-popularuli-aplikatsiebi

რომ უნივერსიტეტი ციფრულ საკომუნიკაციო არხებს ნაწილობრივ იყენებს, ხოლო 31% ფიქრობ რომ არ იყენებს, მოცემული შედეგის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური ქსელი და ციფრული ტექნოლოგია ყოველდღიურად არის სტუდენტთა ცხოვრებაში, უნივერსიტეტები აქტიურად უნდა ნერგავდნენ და იყენებდნენ კომუნიკაციის მხარდასაჭერად ციფრულ საკომუნიკაციო არხებს.

კვლევაში გამოიკვეთა ის საკომუნიკაციო არხები, რომელშიც სტუდენტთა აზრით არის დეტალური და სრულყოფილი ინფორმაცია, რესპონდენტთა 42%-მა პორტალი მოიხსენია ყველაზე დეტალურ ინფორმაციის წყაროდ, 32% დაასახელა ელ ფოსტა, ხოლო 26% მიუთითა ვებ გვერდი.

ამრიგად, ციფრული საკომუნიკაციო არხებთან დაკავშირებით სტუდენტთა მოსაზრებები ერთობლივად არის წარმოდგენილი, ისინი უპირატესობებში ასახელებენ: გამოყენების სიმარტივეს, ხელმისაწვდომობას, აღქმის მაღალ დონეს, მოქნილობას და ინტერესს.

კომუნიკაცია აუცილებელი ინსტრუმენტია ნებისმიერი დაწესებულებისთვის. მოსალოდნელია, რომ უნივერსიტეტები უფრო მეტად დაინტერესდებიან თანამედროვე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შემუშავებითა და დანერგვით, რადგან მუდმივად ცვალებად გარემოში ამ პროცესის გაუმჯობესება და სიახლეების შეთავაზება დაწესებულების წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორიზაციის სტანდარტი: https://eqe.ge/ka/page/static/449/avtorizatsiis-standartebi
2. აკრედიტაციის სტანდარტები: https://eqe.ge/ka/page/static/1053/akreditaciis-standartebi-da-procedurebi
3. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპები: (ESG) chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://erasmusplus.org.ge/files/files/ESG_2015.pdf
4. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ: https://www.seu.edu.ge/news/11/SEU-s-cxeli-xazi
5. A. Cousins, Guide to Creating Digital Bulletin Boards: https://shorturl.at/jkG47 Apr 17, 2023
6. ყველაზე პოპულარული აპლიკაციები: https://bm.ge/news/yvelaze-popularuli-aplikatsiebi
7. კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმა (2020/21 - 2026/27 აკადემიური წლები) https://www.cu.edu.ge/ka/about-us/development-plan-cu
8. ილიაუნის ელექტრონული სწავლების პორტალის გამოყენება; https://online.iliauni.edu.ge/view/lections/69/155/eleqtronuli-stsavlebis-portali-studentebistvis

მომხმარებელთა უკუკავშირის ტექსტის დამუშავების ამოცანები მონაცემთა ანალიზისთვის

Text processing tasks of customer feedback for data analysis

გულნარა ჯანელიძე - ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
janelidzegulnara08@gtu.ge
Gulnara Janelidze - Associate Professor
Georgian Technical University
ია აფციაური - ასისტენტ პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
iaafciauri@gmail.com
Ia Aptsiauri - Assistant professor
Georgian Technical University
ქეთევან მამათელაშვილი - ასისტენტ პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
q.mamatelashvili@gtu.ge
Ketevan Mamatelashvili
Assistant professor, Georgian Technical University

აბსტრაქტი. გაყიდვების გაუმჯობესებისთვის საყურადღებოა მომხმარებლების აზრი გარკვეულ პროდუქტზე. როგორც სტატისტიკიდან ჩანს, პოტენციური მყიდველი კითხულობს გამოხმაურებებს და აკეთებს არჩევანს მათ საფუძველზე. მყიდველის უკუკავშირიდან შეიძლება დადგინდეს რა სურს კლიენტს, რომელ პროდუქტზე აკეთებს იგი არჩევანს. კვლევამ აჩვენა რომ უმრავლესობა გამოხმაურებებს ეცნობა პროდუქტის ყიდვის წინ. ამიტომ, გამოხმაურებების საშუალებით ბრენდის რეპუტაციის მართვა გავლენას ახდენს კომპანიის იმიჯზე, რისი წყალობითაც იზრდება მომხმარებელთა ერთგულება, რაც ნიშნავს მეტ გაყიდვას. ამდენად ნაშრომის მიზანია გაყიდვების შესახებ უკუკავშირის ტექსტის დამუშავების ამოცანების გადაწყვეტა.
ნაშრომში წარმოდგენილია კლიენტის უკუკავშირის ტექსტის მოძიების, სორტირების, მათი მომზადების საკითხები მანქანური სწავლებისთვის. ეს პროცესი წარმოდგენილია ძირითადად სამ ეტაპად, თუმცა იგი იტერაციულია. დიდი ყურადღება ეთმობა მონაცემთა გაწმენდის, გამოტოვებული მნიშვნელობების დამუშავების, მონაცემთა მოცულობის შემცირების, მონაცემთა ნორმალიზების პრობლემების გადაწყვეტას.
ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომები დიდ სარგებლობას მოუტანს მარკეტინგულ სამსახურებს, რადგან დამუშავებული მონაცემები გამოიყენება ანალიზისთვის, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს რა მოსწონთ კლიენტებს, რისი გათვალისწინებაც კომპანიებს დაეხმარება გაყიდვების გაუმჯობესებაში.
საკვანძო სიტყვები: უკუკავშირის ტექსტის მოძიება, მონაცემთა გაწმენდა, გამოტოვებული მნიშვნელობების დამუშავება, მოცულობის შემცირება.

Abstract. The opinion of customers on a certain product is important for improving sales. As it is shown from the statistics, a potencial buyers make the choice based on the reviews reading of them.. From the feedback of the buyer, it can be determined what the client wants, which product he chooses. Research has shown that most people read reviews before buying a product. Therefore, managing brand reputation through feedback has an impact on the company's image, which increases customer loyalty and it means more sales. Thus, the aim of the paper is to solve the tasks of processing the text of sales feedback.
The paper presents the issues of finding, sorting, and preparing customer feedback text for machine learning. This process is presented mainly in three stages, although this is iterative. Much attention is taken solving of data cleaning, handling of missing values, reduction of data volume, data normalization.
The approaches presented in the paper will be the great benefit for marketing services, as the processed data is used for analysis, which allows to determine what customers like, that can help companies to improve sales.
Keywords: feedback text retrieval, data cleaning, missing values handling, volume reduction.

მსხვილი კომპანიები ცდილობენ თავიანთი პროდუქტების მიზანმიმართვასა და პერსონალიზებას. გაყიდვების გასაუმჯობესებლად საჭიროა სწორი ორიენტაცია კლიენტებზე, იმის დადგენა თუ რამდენად მოთხოვნადია პროდუქტი, რაც შემდგომში გათვალისწინებული იქნება გაყიდვების გასაუმჯობესებლად.

არსებობს რამდენიმე გზა იმის გასარკვევად, თუ რა არის ღირებული კლიენტისთვის, ესენია: პირდაპირი გამოკითხვები საიტზე, გამოკითხვები ელექტრონული ფოსტით, A/B ტესტირება, იმ მომხმარებელთა გამოკითხვა, რომლებიც დაუკავშირდნენ ცხელი ხაზის ჩატს. მითითებული გზით ინფორმაციის შეგროვებას სჭირდება დიდი დრო და ძალისხმევა. ყველა მომხმარებელი როდი თანხმდება კითხვებზე პასუხის გაცემას. თუმცა არსებობს სხვა გზაც. ინფორმაციის შეგროვებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კლიენტის უკუკავშირი იმავე საიტზე ან გამოხმაურებები კონკურენტების ვებ გვერდებზე. ყველა გამოხმაურება ითვლება, და თითოეულ მათგანს ენიჭება კატეგორია - შესაბამისად სარგებელი, პრიორიტეტები, ღირებულებები, რომლებსაც მომხმარებლები გამოყოფენ. მაგალითად: სწრაფი მიწოდება, შეკვეთის დამუშავების ეფექტურობა, უპირობო დაბრუნება 14 დღის განმავლობაში, ხარისხიანი მხარდაჭერა და ა.შ. ერთი გამოხმაურება შეიძლება მოხვდეს ან რამდენიმე კატეგორიაში ან ყველაში. ასევე მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს კომპანიის მუშაობის უარყოფითი მხარეები ან საქონლის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი: არაკომპეტენტური ონლაინ ჩატის პერსონალი, საიტზე არსებული ინფორმაციის რეალობასთან შეუსაბამობა, ძვირადღირებული მიწოდების სერვისი [1].

იმის შემდგომ, როცა ყველა უკუკავშირის ტექსტი სორტირებული და კატეგორიებად დაყოფილია საჭიროა დათვლა იმისა თუ რამდენი გამოხმაურება მოხვდა თითოეულ მათგანში (კატეგორიაში), რის შემდეგაც უნდა შედგეს დიაგრამა.

პირველ რიგში აღნიშვნას იმსახურებს ყველაზე პოპულარული კატეგორიები. ეს არის ის, რაზეც საუბრობენ მომხმარებლები, რამაც გამოიწვია მათი მოტივაცია პროდუქტის შეკვეთაზე, ხოლო უარყოფითად ნახსენები კატეგორიები გასათვალისწინებელია, მასზე კომპანიამ უნდა იმუშაოს, გამოასწოროს და გააუმჯობესოს.

თანამედროვე პერიოდში უკუკავშირის ანალიზისთვის აქტიურად გამოიყენება მანქანური სწავლების მეთოდები. მანქანური სწავლების ალგორითმები სწავლობენ მონაცემებზე. ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის სწორი მონაცემების მიწოდება პრობლემის გადასაჭრელად. მაშინაც კი, თუ კარგი მონაცემები გვაქვს, უნდა დავრწმუნდეთ, რომ იგი გამოსადეგი სახით არის წარმოდგენილი, როგორც ფორმატის ასევე, შინაარსობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით [2,3,4].

მონაცემთა მომზადების პროცესი მანქანური სწავლების ალგორითმისთვის შეიძლება განვაზოგადოთ სამ ეტაპად:

- მონაცემების არჩევა;
- მონაცემების წინასწარი დამუშავება;
- მონაცემთა გარდაქმნა.

ეს პროცესი, სავარაუდოდ, იტერაციულია და მოიცავს მრავალ ციკლს.

მონაცემების არჩევა. ეს ნაბიჯი ეხება ყველა არსებულ მონაცემთა ქვეჯგუფის არჩევას, რომელთანაც უნდა ჩატარდეს მუშაობა. ყოველთვის არსებობს დიდი სურვილი, რომ ჩართული

იქნას ყველა არსებულ მონაცემი, რათა დაცული იყოს პრინციპი "რაც მეტი, მით უკეთესი". საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს თუ რა მონაცემებია საჭირო სინამდვილეში საკითხის ან პრობლემის გადასაჭრელად. უნდა გაკეთდეს რამდენიმე ვარაუდი საჭირო მონაცემების შესახებ და ფრთხილად დაიწეროს ეს დაშვებები (წინადადებები), რათა შემდეგ შესაძლებელი იყოს მათი შემოწმება.

განვიხილოთ რამდენიმე კითხვა, რაც დაგვეხმარება ამ პროცესის გააზრებაში:

- სულ რამდენი მონაცემი გვაქვს? მაგალითად, მონაცემთა ბაზის ცხრილები, დაკავშირებული სისტემები. მთავარია დავრწმუნდეთ იმაში, რომ კარგად გვესმის ყველაფერი რისი გამოყენებაც შეგვიძლია.
- რა მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, რისი განთავსებაც გვსურს? მაგალითად, მონაცემები, რომლებიც არ დაწერილა ან არ შეიძლება დაიწეროს. ამ მონაცემების მიღება ან მოდელირება შეგვიძლია.
- რა მონაცემები არ გვჭირდება პრობლემის მოსაგვარებლად? მონაცემების გამორიცხვა თითქმის ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე მონაცემთა ჩართვა.

მონაცემთა წინასწარი დამუშავება. მონაცემების არჩევის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ვაპირებთ მონაცემების გამოყენებას. წინასწარი დამუშავების ეს ეტაპი არის შერჩეული მონაცემების ისეთ ფორმაში მოყვანა, რომელთანაც შეგვიძლია მუშაობა. მონაცემთა წინასწარი დამუშავების სამი ძირითადი ეტაპია ფორმატირება, დასუფთავება და არჩევა. განვიხილოთ ცალკეული მათგანი.

ფორმატირება: შერჩეული მონაცემები შეიძლება არ იყოს იმ ფორმატში, რომელიც შესაფერია სამუშაოსთვის. მონაცემები შეიძლება იყოს რელაციურ ბაზაში და გვსურდეს ის იყოს კერძო კომპანიების მიერ კონტროლირებად ფაილში, ან მონაცემები იყოს ბრტყელი ფაილის ფორმატში და გვსურდეს რომ ის იყოს რელაციურ მონაცემთა ბაზაში ან ტექსტურ ფაილში.

გაწმენდა: მონაცემთა გაწმენდა არის გამოტოვებული მონაცემების წაშლა ან გასწორება. შეიძლება არსებობდეს მონაცემთა ეგზემპლარები, რომლებიც არასრულია და არ შეიცავს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია პრობლემის გადასაჭრელად. ამ შემთხვევებში შესაძლებელია წაშლა. გარდა ამისა, ზოგიერთი ატრიბუტი შეიძლება შეიცავდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას და ეს ატრიბუტები შესაძლებელია მოითხოვდეს ანონიმურობას ან მონაცემებიდან სრულად ამოღებას.

შერჩევა: შეიძლება იყოს უფრო მეტი შერჩეული მონაცემები, ვიდრე საჭიროა სამუშაოსთვის. მეტმა მონაცემებმა შეიძლება გამოიწვიოს ალგორითმის ხანგრძლივობის ზრდა, ასევე მეტი გამოთვლითი რესურსების და მეხსიერებისადმი მოთხოვნები. ამიტომ შეგვიძლია ავიღოთ შერჩეული მონაცემების უფრო მცირე დიაპაზონი, რომელიც შესასწავლად და გადაწყვეტილებების პროტოტიპების შესაქმნელად ბევრად უფრო მოქნილი იქნება ვიდრე მთელი მონაცემთა ნაკრების განხილვა [5,6,7,8].

სავარაუდოა, რომ მანქანური სწავლების ინსტრუმენტები, რომლებსაც ვიყენებთ მონაცემებზე, გავლენას მოახდენს წინასწარ დამუშავებაზე, რომელიც უნდა შესრულდეს.

მონაცემთა გარდაქმნა. პროცესის ბოლო ნაბიჯი არის მონაცემების გარდაქმნა. კონკრეტული ალგორითმი, რომელთანაც მუშაობა და საგნობრივი სფეროს ცოდნა გავლენას ახდენს ამ ნაბიჯზე

და სავარაუდოდ, პრობლემაზე მუშაობის დროს, საჭირო იქნება, გადავხედოთ წინასწარ გადამუშავებული მონაცემების სხვადასხვა გარდაქმნებს.

მიზანშეწონილია მონაცემთა სამი სახის გარდაქმნა: მასშტაბირება, ატრიბუტის დეკომპოზიცია და ატრიბუტის აგრეგაცია. ამ ნაბიჯს შეიძლება ვუწოდოთ ფუნქციის დამუშავება.

გადაანგარიშება: წინასწარ დამუშავებული მონაცემები შეიძლება შეიცავდეს ატრიბუტებს წონის ნარევით, სხვადასხვა რაოდენობით, მაგალითად, დოლარი, კილოგრამი და გაყიდვების მოცულობა. მანქანური სწავლების ბევრ მეთოდს, როგორიცაა მონაცემთა ატრიბუტები, აქვს ერთიდაიგივე მასშტაბი, მაგალითად, 0-დან 1-მდე მოცემული ფუნქციის ყველაზე მცირე და უდიდესი მნიშვნელობებისთვის. საჭიროა გავითვალისწინოთ ნებისმიერი ფუნქციის მასშტაბირების შესაძლებლობები, რომლებიც დაგვჭირდება.

დეკომპოზიცია: ფუნქციები, რომლებიც წარმოადგენენ რთულ კონცეფციას გაცილებით სასარგებლო გახდება მანქანური სწავლებისთვის, თუ მათ დავშლით შემადგენელ ნაწილებად. თარიღს შეიძლება ჰქონდეს დღისა და დროის კომპონენტები, რაც თავის მხრივ, დასაშვებია კიდევ ჩაიშალოს, მაგალითად ზოგჯერ მხოლოდ საათია მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად. ამავდროულად, უნდა განისაზღვროს ჩაშლის რომელი ფუნქციები შეიძლება შესრულდეს.

აგრეგაცია: ზოგიერთი ფუნქციის გაერთიანება დასაშვებია ერთ ფუნქციად. მაგალითად, გვხვდება მონაცემების ეგზემპლარი სისტემაში მომხმარებლის ცალკეული შესვლისთვის, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს თითოეული მომხმარებლის სისტემაში შესვლათა რაოდენობის მთვლელში, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკუვაგდოთ დამატებითი ეგზემპლარები. მონაცემთა მომზადება დიდი თემაა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უამრავ იტერაციას, კვლევას და ანალიზს.

წინასწარი დამუშავება და მონაცემთა გაწმენდა

რეალური მონაცემები გროვდება შემდგომი დამუშავებისთვის სხვადასხვა წყაროდან და პროცესისგან. ისინი შეიძლება შეიცავდეს შეცდომებს და დაზიანებებს, რაც უარყოფითად მოქმედებს მონაცემთა ნაკრების ხარისხზე. მონაცემთა ხარისხის ტიპიური პრობლემები შეიძლება იყოს:

არასრული: მონაცემები არ შეიცავს რაიმე ატრიბუტს ან აქვს დაკარგული მნიშვნელობები.

ხმაური: მონაცემები შეიცავს მცდარ ჩანაწერებს ან ზედმეტობებს.

შეუსაბამობა: მონაცემები შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერებს ან შეუსაბამობებს.

კარგი მონაცემები პროგნოზირების კარგი მოდელების შექმნის წინაპირობაა. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სიტუაცია სადაც "ნაგავი შესასვლელსა და გამოსასვლელზე" გვხვდება, უნდა გაუმჯობესდეს მონაცემთა ხარისხი და, ამავდროულად, მოდელის ეფექტურობა, აუცილებელია მონაცემთა სიჯანსაღის მონიტორინგი, პრობლემების რაც შეიძლება ადრე გამოვლენა და გადაწყვეტილების მიღება, თუ რა ზომებია საჭირო მონაცემთა დამუშავების და დასუფთავების მიზნით.

გამოტოვებული მნიშვნელობების დამუშავება

გამოტოვებული მნიშვნელობების პრობლემის მოგვარებისას უმჯობესია პირველ რიგში განისაზღვროს, რატომ ჩნდება ისინი მონაცემებში. ამოცანაში შეიძლება გამოყენებულ იქნას დაკარგული მნიშვნელობების მართვის რამდენიმე მეთოდი:

წაშლა: წაშლის ჩანაწერებს დაკარგული მნიშვნელობებით.

ფიქტიური ჩანაცვლება - დაკარგული მნიშვნელობების ფიქტიური მნიშვნელობებით ჩანაცვლება, მაგალითად, 0 რიცხვების ჩანაცვლება unknown ტიპით.

საშუალო მნიშვნელობებით ჩანაცვლება: დაკარგული ციფრული მონაცემების საშუალო მნიშვნელობებით ჩანაცვლება.

ხშირად გამოყენებული ელემენტის ჩანაცვლება: გამოტოვებული კატეგორიული მნიშვნელობები შეიძლება ჩანაცვლდეს ყველაზე ხშირად გამოყენებული ელემენტით.

რეგრესიით ჩანაცვლება: რეგრესიული მეთოდის გამოყენება რეგრესიული გამოტოვებული მნიშვნელობის ჩასანაცვლებლად.

ტექსტური ველები ცხრილის მონაცემებში შეიძლება შეიცავდეს სიმბოლოებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სვეტის გასწორებაზე და/ან ჩანაწერის საზღვრებზე. მაგალითად, ფაილში ჩართული ტაბულაციები იწვევს სვეტის არასწორად გათანაბრებებს, ხოლო ახალი სტრიქონის ჩაშენებული სიმბოლო ჩანაწერების ხაზების გაწყვეტას. ტექსტის კოდირების არასწორი დამუშავება ტექსტის ჩაწერის ან კითხვის დროს იწვევს ინფორმაციის დაკარგვას, არაწაკითხვადი სიმბოლოების უნებლიე შეყვანას (როგორიცაა NULL მნიშვნელობები), ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს ტექსტის სინტაქსურ ანალიზზე. ტექსტური ველების გასუფთავება, გათანაბრებების გასწორება და სტრუქტურირებული ტექსტური მონაცემების არასტრუქტურირებული ან ნახევრადსტრუქტურირებული მონაცემებიდან მოპოვება შეიძლება მოითხოვდეს ტექსტის ფრთხილ ანალიზს და რედაქტირებას [9,10,11,12].

მონაცემთა მოცულობის შემცირება სასარგებლო ინფორმაციის შენარჩუნებით

მიზანშეწონილია მეთოდების გამოყენება, რომელთა საშუალებით შესაძლოა მონაცემთა ზომის შემცირება მათი დამუშავების გამარტივების მიზნით. მონაცემთა ზომიდან და დომენიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:



ნახ.1. მონაცემთა შემცირება

– **ჩანაწერების შერჩევა:** მონაცემთა ჩანაწერების შერჩევის შექმნა და მთლიანი მონაცემთა ნაკრებიდან წარმომადგენლობითი ქვეჯგუფის არჩევა.

– **ატრიბუტის შერჩევა:** მონაცემებში მნიშვნელოვანი ატრიბუტების ნაკრებების არჩევა.

– **აგრეგაცია:** მონაცემთა დაყოფა ჯგუფებად და რიცხვითი მნიშვნელობების შენახვა თითოეული ჯგუფისთვის. მაგალითად, მონაცემების ზომის შესამცირებლად შეიძლება შეჯამდეს რიცხვები, რომლებიც წარმოადგენენ ვებ-გვერდების მონახულების სტატისტიკას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მონაცემთა დისკრეტიზება

ნახ. 13. მონაცემთა



მონაცემები შეიძლება დისკრეტიზდეს უწყვეტი მნიშვნელობის გარდაქმნით ნომინალურ ატრიბუტებად ან ინტერვალებად. რისი განხორციელებაც დასაშვებია რამდენიმე ხერხით. ამ პროცესისთვის მიზანშეწონილია კლასტერებად დაყოფის მეთოდის გამოყენება, როგორც ნაჩვენებია ნახ.2-ზე.

ნახაზ 3-ზე წარმოდგენილია სრული მონაცემები და შემცირებული მონაცემები:



ნახ.3. სრული მონაცემები და შემცირებული მონაცემები

მონაცემთა ნორმალიზება

მონაცემთა ნორმალიზება საშუალებას იძლევა რიცხვითი მნიშვნელობები მასშტაბირდეს მითითებულ დიაპაზონში [13,14]. ქვემოთ მოყვანილია მოცემული ამოცანისთვის მონაცემთა ნორმალიზაციის შემოთავაზებული მეთოდები:

ნორმალიზაცია მინიმაქსის მეთოდით: მონაცემთა წრფივი გარდაქმნა დიაპაზონში, მაგალითად 0-დან 1-მდე, სადაც მინიმალური და მაქსიმალური მასშტაბირებადი მნიშვნელობა შეესაბამება 0-ს და 1-ს შესაბამისად.

ნორმალიზაცია z-მაჩვენებლით: მონაცემთა მასშტაბირება საშუალო მნიშვნელობის და სტანდარტული გადახრის საფუძველზე: მონაცემებსა და საშუალო მნიშვნელობას შორის სხვაობის გაყოფით სტანდარტულ გადახრაზე.

ათობითი მასშტაბირება: მონაცემთა მასშტაბირება ატრიბუტის მნიშვნელობის ათობითი გამომყოფის (მაჩვენებლის) წაშლის გზით.

ამდენად, ნაშრომში წარმოდგენილია გამოხმაურებების ტექსტის ანალიზისთვის ინფორმაციის მოძიების, სორტირების, მათი მომზადების პრობლემები მანქანური სწავლებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Benjamin Bengfort, Rebecca Bilbro, and Tony Ojeda. Applied text analysis with python. Beijing -Boston – Farnham – Sebastopol – Tokyo 2019. 368 c., ISBN978-5-4461-1153-4
2. H. Zou and T. Hastie. Regularization and variable selection via the elastic net. Journal of the Royal Statistical Society: Series B (Stat. Methodology), 67(2), pp. 301–320, 2005.
3. Charu C. Aggarwal. Machine Learning for Text. pp.17-18, 2018,ISBN 978-3-319-73531-3
4. http://snowballstem.org/
5. http://opennlp.apache.org/index.html
6. https://archive.ics.uci.edu/ml/datasets.html
7. http://scikit-learn.org/stable/tutorial/text analytics/working with text data.html
8. https://cran.r-project.org/web/packages/tm/
9. https://www.ibm.com/developerworks/community/blogs/nlp/entry/tokenization?
10. http://www.cs.waikato.ac.nz/ml/weka/
11. http://nlp.stanford.edu/software/
12. http://nlp.stanford.edu/links/statnlp.html
13. http://www.nltk.org/
14. https://cran.r-project.org/web/packages/lsa/index.html
15. http://scikit-learn.org/stable/modules/generated/sklearn.decomposition.

TruncatedSVD.html

სოციალური ქსელები, როგორც სტიგმატიზირებისა და დისკრიმინაციის ხელშემწყობი საშუალება

Social networks as a contributory instrument of stigmatization and discrimination

ელისო კერესელიძე - პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Eliso Kereselidze - Professor,
Georgian National University SEU
თორნიკე რაზმაძე - ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Tornike Razmadze - Assistant-Professor,
Georgian National University SEU

აბსტრაქტი. ტექნოლოგიების განვითარება სამყაროს განვითარების და წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის საშუალებითაც ვამყარებთ კომუნიკაციას, ინტერაქციაში შევდივართ დანარჩენ სოციალურ სამყაროსთან.

ტექნოლოგიების მიღწევებმა ხელი შეუწყო სოციალური მედიის განვითარებას. ის გახდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ სიკეთესთან ერთად, სოციალური მედიის წინსვლამ ხელი შეუწყო ადამიანთა გაკიცხვას, ბულინგს, დისკრიმინაციას, ადამიანთა დაყოფას ჩემიანებად და მტრებად.

კიბერბულინგი ბულინგის თანამედროვე ხერხია. ადრეც, სოციალური ქსელების გამოჩენამდე, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები ხშირად იყვნენ დაცინვის, აბუჩად აგდების მსხვერპლნი. სტიგმატიზირებისა და დისკრიმინაციის მიზეზად მიჩნეულ იყო განსხვავებული შეხედულება, აზრი, ქცევა, გარეგნობა, ცხოვრების სტილი და სხვა, ყველაფერი ის, რაც ადამიანს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ანიჭებს.

კიბერბუნგი გულისხმობს: სურათებზე უარყოფითი კომენტარების, შეურაცხმყოფელი პოსტების განთავსებას მომხმარებლის კედელზე, სურათების ან ვიდეოების გამოყენებას სხვა მომხმარებლის დაცინვის მიზნით, სოციალური მედიის გამოყენებას თვალთვალისთვის, ანგარიშის გატეხვას ან თაღლითურად შეტყობინებების გაკეთებას და ა.შ.

კიბერბულინგის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და მათი პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია პრობლემის გააზრება, კვლევა და უარყოფითი შედეგების გაცნობიერებაზე მიმართული აქტივობების მხარდაჭერა.

ჩატარდა კვლევა სტუდენტებთან ონლაინ ბულინგის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის გამოვლენის მიზნით.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა ადაპტირებული კითხვარი. კვლევის შედეგების მიხედვით, დადასტურდა სტუდენტებში ონლაინბულინგის გამოცდილების არსებობა და მისი გავლენა მათ ემოციურ მდგომარეობაზე, შევიწროებაზე, დისკრიმინაციაზე.

საკვანძო სიტყვები: ონლაინ ბულინგი, კიბერბულინგი, სტიგმატიზაცია, დისკრიმინაცია.

Abstract. The development of technology is an important factor for the development and progress of the world, through which we establish communication, interact with the rest of the social world.

Achievements in technology have contributed to the development of social media. It has become an important part of each our lives. Along with this positive side, the expansion of social media has encouraged people be scolded, bullied, discriminated, and divided into friends and enemies.

Cyberbullying is a modern form of bullying. Even before the appearance of social networks, children, people with disabilities and mental problems were often victims of ridicule and bullying. The different view, thought, behavior, appearance, life style, etc., all that give a person freedom and independence, were considered to be the reason of stigmatization and discrimination.

Cyberbullying means: posting negative comments on images, posting offensive posts on a user's wall, using images or videos to mock another user, using social media for stalking, hacking an account or making fraudulent messages, etc.

In order to eliminate and prevent cyberbullying, stigmatization and discrimination, it is important to understand the problem, research and support activities aimed at awareness of the negative consequences.

Research was conducted with students to identify online bullying, stigmatization and discrimination.

An adapted questionnaire was used for the research. According to the results of the study, the presence of online bullying experience among students and its impact on their emotional state, harassment and discrimination were confirmed.

Keywords: online bullying, cyberbullying, stigmatization, discrimination.

შესავალი.

სოციალური მედია ადამიანთა ურთიერთობისათვის, აფილაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ერთ-ერთი თანამედროვე საშუალებაა. თინეიჯერების, თითქმის, 90% მისი მომხმარებელია. მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ ბულინგს შეესწრნენ ან თავად არიან მისი მსხვერპლნი სოციალური მედიის საშუალებით. [64]

ბულინგი სიახლეს არ წარმოადგენს, უბრალოდ, მან სახე იცვალა. ინტერნეტის გაზრდილი მოხმარების გამო ადამიანები და განსაკუთრებით ბავშვები, ხშირად, ნებისმიერ დროს განიცდიან ბულინგს.

რას ნიშნავს ბულინგი სოციალურ მედიაში? ამ საკითხის გარკვევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბულინგის პრევენციის მიზნით.

2013 წელს 14 წლის მკვლელობა ask.fm-ზე დაშინებას უკავშირდებოდა. ახალმა მფლობელებმა პირობა დადეს, რომ დაასრულებენ ბულინგს ან საერთოდ დახურავენ საიტს. Snapchat მსგავს დაპირისპირებას წააწყდა, რომელიც მონაწილეობდა ბულინგის გავლენით მოზარდის თვითმკვლელობაში.

რატომ არის უფრო ადვილი ბულინგი სოციალურ მედიაში? კონფედენციალურობის პარამეტრების სრული დაფარვა შეუძლებელია, რის გამოც კიბერბულინგის რისკის სრული აღმოფხვრა შეუძლებელია. გარდა ამისა, ადამიანები უფრო მეტად გაბედულები არიან თავიანთ ქმედებებში მაშინ, როდესაც შენიღბულნი არიან, რაც თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად, ხელს უწყობს დეინდივიდუალიზაციას. პირისპირ საუბრისას უფრო მეტად თავშეკავებულნი ვართ, რადგან პიროვნება შეუნიღბავია. [65]

ახალგაზრდებთან კიბერბულინგის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა.

კვლევის მიზანი იყო:

სტუდენტებთან ონლაინ ბულინგის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის გამოვლენის თავისებურებათა კვლევა.

ჰიპოთეზა:

- სტუდენტებში ონლაინბულინგის გამოცდილება არსებობს.

[64] Social Media Bullying Has Become a Serious Problem
https://www.internetsafetystatistics.com/social-media-bullying-has-become-a-serious-problem/

[65] იხ.1

- კიბერბულინგი იწვევს ახალგაზრდების შევიწროებას, დისკრიმინაციას.
- გავლენას ახდენს სტუდენტთა ემოციურ მდგომარეობაზე.

ძირითადი ტექსტი

- *რა არის ბულინგი?*

ბულინგის დროს ერთი ადამიანი სხვა ადამიანს განზრახ აყენებს ზიანს ან ტკივილს (მათ შორის ემოციურსაც). ამ შემთხვევაში ბავშვი უსუსურია და უჭირს თავის დაცვა.

ბულინგი შეიძლება იყოს ვერბალური, ფიზიკური, ემოციური ან ვირტუალური და შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა კონტექსტში. როგორც ონლაინ, ისე პირად დაშინებას შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი ნეგატიური ზეგავლენა მსხვერპლზე.

- *რა არის სოციალური მედიაბულინგი?*

სოციალური მედიაბულინგი, კიბერბულინგის ფორმაა, რომელის ხორციელდება ციფრულად სოციალური მედიის პლატფორმების საშუალებით, როგორიცაა Facebook, Twitter, Instagram, Snapchat, Tik Tok და სხვა. სოციალური მედიაბულინგი შეიძლება მოიცავდეს ვიღაცისთვის მუქარისშემცველი შეტყობინებების გაგზავნას, მათ შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, მათი პირადი მონაცემების თანხმობის გარეშე მიწოდებას და სხვადასხვა სახის ქმედებებს.

სოციალური მედიაბულინგი ხშირად იღებს მუქარის, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი კომენტარების ფორმას. პლატფორმები, როგორიცაა Facebook, Twitter და Tik Tok მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ ერთმანეთს სხვადასხვა გზით, პირდაპირი შეტყობინებების, კომენტარების თუ პოსტების საშუალებით.[66]

- *ბულინგის სახეები*

მნიშვნელოვანია ბულინგის სხვადასხვა ფორმების ამოცნობა და მათ მოსაგვარებლად ნაბიჯების გადადგმა. ბულინგის სახეებია:

სტუდენტური ბულინგი, სამუშაო ადგილის ბულინგი, კიბერბულინგი ან სოციალური მედიის ბულინგი, ურთიერთობითი ბულინგი.

ონლაინ ბულინგი (ასევე ცნობილია, როგორც კიბერბულინგი ან კიბერშევიწროება) მზარდი პრობლემაა. ის შეიძლება მოიცავდეს: ჭორების გავრცელებას, მავნე კომენტარების გამოქვეყნებას, უხერხული ფოტოების ან ვიდეოების გაზიარებას. ონლაინ ბულინგი შეიძლება იყოს განსაკუთრებით საზიანო, რადგან მან შეიძლება მოიცვას დიდი აუდიტორია და ჰქონდეს ხანგრძლივი გავლენა. [67]

- *კავშირი სოციალურ მედიასა და კიბერბულინგს შორის*

[66] იხ.1

[67] Bullying: Types, Example Survey Questions and More
https://www.questionpro.com/blog/bullying-types-example-survey-questions-and-more/

კიბერბულინგი არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური ჯანმრთელობის და განვითარების პრობლემები, თვითმკვლელობაც კი.

კიბერბულინგის საკითხთან დაკავშირებით ნაკვლევი იყო:

- მოძალადის ქცევის გამომწვევი ფაქტორები;
- როგორ მოქმედებს შეურაცხმყოფელი ქცევა მსხვერპლთა კეთილდღეობაზე;
- ადამიანები როგორ ამცირებენ ერთმანეთს ან ხელს უწყობენ კიბერბულინგის აქტს.

სოციალურმა მედიამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდების ურთიერთობაზე თანატოლებთან.

სოციალური ქსელების გამოყენება საგრძნობლად გაიზარდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. აშშ-ის მოზარდების დაახლოებით 80% იყენებს სოციალური მედიის რაიმე ფორმას .[68] სოციალური მედიის ვებსაიტები გვთავაზობენ ფუნქციონირების უფრო ფართო კომპლექსს და ხასიათდებიან მომხმარებლის მიერ გენერირებული შინაარსით და კოლექტიური კომუნიკაციის სტილით,[69] რამაც ახალგაზრდებს პირად ინფორმაციაზე ადვილად წვდომისა და ამ ინფორმაციის სხვების წინააღმდეგ გამოყენების საშუალება მისცა.

კიბერბულინგი, როგორც სოციალური მედიის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. კიბერბულინგი ასოცირდება დაპირისპირებასთან, სკოლაში სიარულის შეფერხებასთან და ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან. შეერთებულ შტატებში, 12-დან 18 წლამდე ასაკის სტუდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ განიცადეს კიბერბულინგი გასული წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ. ბავშვებს, რომლებიც განიცდიან ბულინგს, ხშირად ახასიათებთ დეპრესია და შფოთვა, ძილისა და კვების ჩვევების დარღვევები, მომატებული მარტოობის განცდა და ინტერესის დაკარგვა იმ აქტივობების მიმართ, რომლებსაც ადრე სიამოვნებდათ. უფრო მეტიც, ტრადიციული ბულინგისა და კიბერბულინგის მსხვერპლები აფიქსირებენ თვითდაზიანების ქცევას, სუიციდური იდეების გამოვლენას და სუიციდური ქცევების გამოვლენას.[70]

- *რა არის სოციალური მედიის ბულინგის შედეგები?*

სოციალურმა მედიაბულინგმა შეიძლება გავლენა იქონიოს ადამიანებზე ისევე, როგორც ბულინგის სხვა ფორმებმა. ბავშვები, რომლებიც ბულინგის ქვეშ არიან, უფრო მეტად განიცდიან

[68] Duggan M, Ellison NB, Lampe C, et al. Social media update 2014. Pew Research Center: Internet, Science & Tech. 2015. Available online: http://www.pewinternet.org/2015/01/09/social-media-update-2014/
[Ref list]

[69] Kaplan AM, Haenlein M. Users of the world, unite! The challenges and opportunities of social media. Bus Horiz 2010;53:59-68. 10.1016/j.bushor.2009.09.003

[70] Elgar FJ, Napoletano A, Saul G, et al. Cyberbullying victimization and mental health in adolescents and the moderating role of family dinners. JAMA Pediatr 2014;168:1015-22. 10.1001/jamapediatrics.2014.1223

ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მათ შორის დეპრესიას, შფოთვას, ძილის დარღვევას, კვების რეჟიმის ცვლილებას, სევდას, მარტოობას, იზოლაციას და ინტერესის დაკარგვას იმ საგნების მიმართ, რაც ადრე სიამოვნებდათ. კიბერბულინგი ასევე ასოცირდება ახალგაზრდებში თვითმკვლელობის გაზრდილ რისკთან. ბავშვები და მოზარდები, რომლებმაც განიცადეს ბულინგი, აქვთ უფრო დაბალი აკადემიური მოსწრება.

ზრდასრულთა მიმართ კიბერბულინგმა შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდის კარიერულ წინსვლის, სოციალური ცხოვრების და ფსიქიკურ ჯანმრთელობის პრობლემები. სოციალური მედიაბულინგი, ასევე, შეიძლება მოიცავდეს შანტაჟს ან თაღლითობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური პრობლემები. კიბერბულინგი დაკავშირებულია შფოთვის მაღალ დონესთან, თვითშეფასების და სამუშაო შესრულების უნარის დაქვეითებასთან. [71]

- *რა უნდა გააკეთოთ, თუ განიცდით კიბერბულინგს?*

აუცილებელია ონლაინ შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების ცოდნა. უნდა მოერიდოთ პასუხს, დაბლოკოთ მომხმარებელი, დაშინების ან მუქარის შემთხვევაში, შეატყობინოთ სკოლას, სამსახურს, ოჯახს, თანატოლებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის ლიცენზირებულ პროფესიონალებს.

- *ბულინგის შედეგების მოგვარება ონლაინ თერაპიით*

ონლაინ თერაპიას შეუძლია დაეხმაროს ინდივიდებს გაუმკლავდნენ სოციალური მედიის ბულინგის პოტენციურ ნეგატიურ გავლენას. კვლევაში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში Cognitive Behavior Therapy, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ონლაინ თერაპია აუმჯობესებს ტრავმასთან დაკავშირებულ სიმპტომებს მონაწილეებში, რომლებმაც განიცადეს ბულინგი. კვლევაში ასევე აღინიშნა ონლაინ თერაპიის უნარი, დაეხმაროს ადამიანებს ბულინგის შესახებ უარყოფითი აზრების გადახედვაში.

კვლევა

ჩატარდა კვლევა სტუდენტებთან ონლაინ ბულინგის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის გამოვლენის მიზნით.

კითხვარი მიზნად ისახავს დაადგინოს ონლაინ ბულინგის მიმართ სტუდენტთა გამოცდილება, დამოკიდებულება და მისი გავლენა ემოციებსა და კეთილდღეობაზე.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა ადაპტირებული კითხვარი. [72]

კითხვარის აღწერა

[71] Social Media Bullying – Definition, Effects, And Prevention
https://www.betterhelp.com/advice/bullying/the-new-harm-of-social-media-bullying/

[72] იხ.4

კითხვარი შედგება 15 კითხვისაგან. აქედან 12 დახურული და 4 (N 5,6,11,13) ღია შეკითხვაა. კითხვები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ონლაინბულინგის გამოცდილება, უსაფრთხოება და პატივისცემა სოციალური მედიის მხრიდან, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის არსებობა სოციალურ მედიაში, ადამიანის მდგომარეობასა და ემოციებზე ბულინგის გავლენა, ინციდენტზე რეაგირება და შედეგები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 192-მა სტუდენტმა, მათგან 158 (82,3%) იყო მდედრობითი სქესის, ხოლო-34 (17,7%) კი-მამრობითი სქესის წარმომადგენელი. შედეგები გაანალიზდა გენდერულ ჭრილში.

შედეგების ანალიზი

ცხრილი N1

კვლევის შედეგები (პროცენტებში) დახურული კითხვების მიხედვით

სქესი	1	2	3	4	7	8	9	10	12	14	15
მდედრობითი	73,4	1	25,3	49,4	77,2	38	7,6	32,9	96,2	87,3	98,7
მამრობითი	58,8	0	23,5	35,3	82,4	35,3	0	17,7	94,1	58,8	100
ჯამური	70,8	1	25	46,9	78,1	37,5	6,25	30,2	95,8	82,3	99

- რესპონდენტების 70,8% (მათგან მდედრობითი-73,4 და მამრობითი-58,8%) აღნიშნავს, რომ თავად ყოფილან ონლაინბულინგის მსხვერპლი ან შესწრებიან სხვის ბულინგს.
- გასულ წელს ონლაინბულინგის მსხვერპლი იყო გამოკითხულთა მცირე რაოდენობა-1% (მდედრობითი-1%, მამრობითი-0%) ან არ სურთ ამის გამჟღავნება საკუთარ თავზე.
- სოციალური მედიის გამოყენებისას უსაფრთხოებას და პატივისცემას გრძნობს 25% (მდედრობითი-25,3%, მამრობითი-23,5%).
- გამოკითხულთა 46,9%-ს (მდედრობითი-49,4%, მამრობითი-35,3%) უგრძვნია შიში ან მუქარა სხვისგან.
- სხვისი მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება ან/და გარკვეული სახის სიძულვილი უგრძვნია 78,1% (მდედრობითი-77,2%, მამრობითი-82,4%).
- რესპონდენტთა 37,5%-ს (მდედრობითი-38%, მამრობითი-35,3%) შეუტყობინებია ონლაინბულინგის ინციდენტზე.
- გამოკითხულთა მცირე რაოდენობა -6,25% (მდედრობითი-7,6%, მამრობითი-0%) მიიჩნევს, რომ მედია კომპანიები კარგად მუშაობენ ბულინგისა და შევიწროების აღმოსაფხვრელად, ანუ რესპონდენტები მათი მუშაობით უკმაყოფილონი არიან.
- ბულინგის ფაქტის შესახებ შეტყობინება ეფექტური იყო 30,2%-სთვის (მდედრობითი-32,9%, მამრობითი-17,7%).

- კიბერბულინგი სერიოზული პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს, აღნიშნავს რესპონდენტთა 95,8% (მდედრობითი-96,2%, მამრობითი-94,1%).
- ბულინგის შესახებ ანონიმურად შეტყობინების სურვილი აქვს 82,3% (მდედრობითი-87,3%, მამრობითი-58,8%).
- იმ აზრს, რომ ბულერები პასუხს უნდა აგებდნენ თავიანთ ქმედებებზე, ეთანხმება 99% (მდედრობითი-98,7%, მამრობითი-100%).

რესპონდენტები ასახელებენ იმ მედია პლატფორმებს, სადაც ხშირად ადგილი აქვს ბულინგსა და შევიწროებას. ესენია: ტიკ-ტოკი, ინსტაგრამი, ფეისბუქი (უფრო მეტად დახული ჯგუფები), ტვიტერი, ფორუმები (როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო).

ბულინგი და შევიწროება ხშირად ეხება ისეთ კონტენტს, როგორიცაა: წონა (მდედრობით სქესთან), პოლიტიკა, სქესობრივი ორიენტაცია, გენდერი (მამრობით სქესთან).

ბულინგი სერიოზულ გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე და იწვევს ისეთ ემოციებს, როგორიცაა: ბრაზი (როგორც ბულერის, ასევე საკუთარი თავის მიმართ), უიმედობა, დაბნეულობა, გაღიზიანება, ჩაკეტილობა, შეურაცხყოფა, არასრულფასოვნების განცდა, საზოგადოების შიში, პოსტრამვულ დეპრესიას, აგრესიას, უნდობლობას და ა.შ.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ონლაინბულინგის შემთხვევაში ბულერზე ახდენენ ზემოქმედებას, კომპანიასთან არეპორტებენ და მსხვერპლს თანადგომას უცხადებენ.

კიბერბულინგის შედეგების შესამცირებლად და მისი პრევენციის მიზნით, გამოკითხულები მრავალფეროვან საშუალებებს მიიჩნევენ, მათ შორის:

- კომპანიის შინაგანაწესის დახვეწა,
- ასაკზე მკაცრი კონტროლი,
- კომენტართან დაკავშირებით მეტი ავტომატური შეზღუდვის დაწესება,
- ონლაინპლატფორმების უკეთესად გამართვა და მკაცრი კონტროლი,
- დაბლოკვა,
- დარეპორტება,
- ვერიფიკაციის აუცილებლობა,
- „ფეიკ ექაუნტები“-ს აკრძალვა,
- ბულერის ანონიმურობის შეზღუდვა,
- ბულერის გამოაშკარავება,
- ჯარიმების გამკაცრება,
- ბულინგზე დროული რეაგირება,
- ბულინგზე, მის შედეგებსა და სასჯელზე ცნობიერების დონის ამაღლება სასწავლო დაწესებულებებში ტრენინგების გზით.

დასკვნა.

კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

- გამოვლინდა ონლაინ ბულინგის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის თავისებურებები;
- სტუდენტებში ონლაინბულინგის გამოცდილება არსებობს, თუმცა საკუთარ თავზე ფაქტის არსებობის აღიარებას გაურბიან უსაფრთხოების განდიდან გამომდინარე;
- კიბერბულინგი იწვევს ახალგაზრდების შევიწროებას, დისკრიმინაციას.
- ონლაინბულინგი უარყოფითად აისახება სტუდენტთა ემოციურ მდგომარეობაზე.
- კვლევის ჰიპოთეზები დადასტურდა.

რეკომენდაციები

კიბერბულინგით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისა და მათი პრევენციის მიზნით, რესპონდენტების მიერ შემოთავაზებული გზები და საშუალებები საყურადღებოა. მათ შორის, ეფექტურობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საზოგადოების და განსაკუთრებით არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა.

ლიტერატურა:

1. Bullying: Types, Example Survey Questions and More https://www.questionpro.com/blog/bullying-types-example-survey-questions-and-more/ [L.s. 12.06.2024];
2. Duggan M, Ellison NB, Lampe C, et al. Social media update 2014. Pew Research Center: Internet, Science & Tech. 2015 http://www.pewinternet.org/2015/01/09/social-media-update-2014/ [L.s. 12.06.2024];
3. Elgar FJ, Napoletano A, Saul G, et al. Cyberbullying victimization and mental health in adolescents and the moderating role of family dinners. JAMA Pediatr 2014;168:1015-22. 10.1001/jamapediatrics.2014.1223;
4. Kaplan AM, Haenlein M. Users of the world, unite! The challenges and opportunities of social media. Bus Horiz 2010;53:59-68. 10.1016/j.bushor.2009.09.003;
5. Social Media Bullying – Definition, Effects, And Prevention https://www.betterhelp.com/advice/bullying/the-new-harm-of-social-media-bullying/ [L.s. 12.06.2024];
6. Social Media Bullying Has Become a Serious Problem https://www.internetsafetystatistics.com/social-media-bullying-has-become-a-serious-problem/ [L.s. 12.06.2024].

COVID-19 პანდემიით გამოწვეული სტრესი და დაძლევის სტრატეგიები ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან

Stress and Coping Strategies for Health Care Workers Due to the COVID-19 Pandemic

თეკლა ციცქიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი. მოწვეული ლექტორი
t.tsitskishvili@seu.edu.ge
Tekla Tsitskishvili - Georgian National University SEU
Master of Clinical Psychology. Invited Lecturer

აბსტრაქტი. COVID 19 ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ საფრთხე შეუქმნა ჩვენი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მთლიანობას. კვლევის ჩატარების აქტუალობა განისაზღვრა იმ ზეწოლით, წნეხითა და დისტრესით, რასაც ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი განიცდის გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარების ფონზე. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს COVID 19 პანდემიით გამოწვეული სტრესის დონის განსაზღვრა და გამოვლენილი დაძლევის სტრატეგიების იდენტიფიცირება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან. ხოლო, კვლევის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, დაგვედგინა რა სიმწვავით იყო გამოხატული პამდემიით გამოწვეული სტრესი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან და ძირითადად დაძლევის რა სტრატეგიებს იყენებდნენ ისინი კრიზისის გადასალახად. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სხვადსხვა სპეციალობის მქონე (ექიმი, ექთანი, სანიტარი, რეზიდენტი, ლაბორანტი) 68 პირმა (20 მამრობითი/48 მდედრობთი). კვლევა ჩატარდა სხვადასხვა სამედიცინო ცენტრებსა და დაწესებულებებში (იხ.გვ 29).

კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ პანდემიით გამოწვეული სტრესი მაღალია ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან. კვლევამ არ გამოავლინა მკვეთრი სხვაობა სტრესულ მაჩვენებლებს შორის სპეციალობების მიხედვთ. გამოიკვეთა სტრესის დაძლევის წამყვანი სტრატეგიები: **თვითკონტროლი** და **პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა.** ასევე, გამოვლინდა თითქმის თანაბარი მაჩვენებელი პოზიტიურ და ნეგატიურ დაძლევის სტრატეგიებს შორის.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი, სტრესი, დაძლევის სტრატეგიები. COVID 19 პანდემია

Abstract. Covid 19 pandemic posed a threat to physical and psychological health. The urgency of conducting research among healthcare staff was determined by that distress and pressure, which they suffer from a background of complicated epidemiology. The purpose of the pervious research is to define the level of stress and identify coping strategies caused by a COVID 19 pandemic in healthcare staff. The task of the research is to clarify quality of stress in healthcare staff and to detect which coping strategies to they used basically. In the research 68 healthcare persons of different specialties (doctor, nurse, laboratory assistant, resident) were participating. 20 of them were males and 48 of them were females. The research was performed in several medicine centers and establishments.

The results of the study showed that there is high level of stress in healthcare staff. There is no sharp difference between rates of stress quality among different specialties. There were identified leading strategies which are self-control and solving the problem. Also, it was clarified that there is almost equal rate between positive and negative coping strategies.

Key-words: Healthcare staff, Stress, Coping strategies, COVID 19 pandemic.

შესავალი

2019 წლის დეკემბრიდან კორონა ვირუსის დაავადებამ, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 (WHO, 2019a) უწოდა მთელი მსოფლიო მოიცვა. ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, რომელმაც ძალიან სწრაფად და საფუძვლიანად შეცვალა ჩვენი ყოველდღიურობა. ეს დაავადება სწრაფად გავრცელდება მოსახლეობაში და მთელი რიგი პრობლემები შექმნა როგორც ჯანდაცვის, ისე სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მთელი სამედიცინო, ასევე სოციალური მარაგის მობილიზება გახდა საჭირო კორონა ვირუსით წარმოქმნილი პრობლემების შემსუბუქებისა და

მოგვარებისთვის. 2022 წლის 25 იანვრის მონაცემებით კორონა ვირუსის გამოვლენის 300 მილიონზე მეტი შემთხვევაა აღრიცხული, ხოლო 6 მილიონამდე შემთხვევა ფატალური შედეგით დასრულდა (www.worldometers.info). კოვიდ პანდემიამ, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების კვლადაკლავ გაჩნდა საშიშროება მენტალური ჯანმრთელობის დარღვევისა.

2020 წელს საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა პანდემიით გამოწვეული გაზრდილი მაჩვენებელი პოსტრავმული სტრესული აშლილობის, შფოთვის და ადაპტაციური დარღვევების სპექტრში („The influence of concern about COVID-19

on mental health in the Republic of Georgia: a cross-sectional study“, Globalization and Health). პანდემიური სტრესით წარმოქმნილი ეს მენტალური პრობლემები თითქმის ყველა სპეციალობის სფეროში იქნა გამოვლენილი, თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი იმსახურებს, რამდენადაც მათ მოუწიათ პანდემიასთან ბრძოლის პირველ ფრონტზე მუშაობა. სამედიცინო პერსონალი ჯანდაცვის სფეროს საფუძველს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მათ მთელი თავისი სიცხადით გამოსცადეს კოვიდ პანდემიის ნეგატიური ზეგავლენა. მიუხედავად ვირუსის გავრცელების, შიშის, ცვლილებებისა და რისკებისა, რომელიც ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების გარდა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხსაც ეხებოდა, მათი პროფესიონალიზმი და ღვაწლი შეუფასებელი გახდა საყოველთაო კეთილდღეობის საქმეში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2020 წლის იანვრიდან მოყოლებული 2021 წლის მაისამდე 80 000-დან 180 000-მდე ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ადამიანი შეეწირა კოვიდ პანდემიასთან ბრძოლას, რაც ნამდვილად დიდი დანაკარგია მსოფლიო ჯანდაცვისთის („Health and Care Worker Deaths during COVID-19“, WHO). საგულისხმოა, რომ დღეის მონაცემებით ეს მაჩვენებელი საგრძნობლად იქნება მომატებული.

უდავოა, ჯანდაცვის სექტორი ყველაზე ახლო და პირისპირ აღმოჩნდა კოვიდ 19 ვირუსთან ბრძოლაში, რამაც გაზარდა პერსონლის როგორც ფიზიკური დაზიანების, ისე ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის დარღვევის რისკი. უახლოეს დროში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო პანდემიური სტრესით გამოწვეული ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების აქტუალობა და იდენტიფიცირდა საკმაოდ დიდი სპექტრი ფსიქიკური პრობლემებისა. ერთ-ერთი სტატიაში, რომელიც ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირთა მენტალური ჯანმრთელობის შესახებ გამოქვეყნებულ გლობალურ ინფორმაციას განიხილავდა, გამოქვეყნდა სტრესის, შფოთვის, დეპრესიული სიმპტომების და ინსომნიის გაზრდილი მაჩვენებელი. პანდემიური სტრესი გახდა წამყვანი ცვლადი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესწავლისა და შენარჩუნების პროცესში („Mental health problems faced by healthcare workers due to the COVID-19 pandemic–A review“, Asian Journal of Psychiatry, Volume 51, June 2020, 102119).

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან COVID -19 პანდემიით გამოწვეული სტრესის და დაძლევის სტრატეგიების თავისებურებების შესწავლა.

ამოცანები

1. COVID -19 პანდემიით გამოწვეული სტრესის დონის განსაზღვრა ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან;
2. ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის მიერ პანდემიით გამოწვეული სტრესის დროს გამოყენებული დაძლევის სტრატეგიების იდენტიფიცირება;
3. ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის დაძლევის სტრატეგიების ეფექტურობის განსაზღვრა;
4. პანდემიით გამოწვეული სტრესის დონის შედარება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის სპეციალობების მიხედვით;
5. პანდემიით გამოწვეული სტრესის დაძლევისას გამოყენებული სტრატეგიების შედარება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის სპეციალობების მიხედვით;

კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა შემდეგი საკვლევი ჰიპოთეზები:

1. პანდემიით გამოწვეული სტრესი მაღალია ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან, ვისაც უშუალო შეხება აქვს/ჰქონდა კოვიდ პაციენტებთან;
2. პანდემიური სტრესის მაჩვენებელი მაღალია ექიმებთან, ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან შედარებით;
3. ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი სტრესის დასაძლევად მიმართავდა პოზიტიური დაძლევის სტრატეგიებს;
4. ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი კრიზისის დასაძლევად დაძლევის სტრატეგიების კლასიფიცირებიდან ძირითადად, პრობლემის გადაწყვეტის დაგეგმვასა და პოზიტიურ გადაფასებას იყენებს.

კვლევის აღწერა

კვლევის პროცედურა

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოიყო საკვლევი ცვლადები: დამოუკიდებელი ცვლადი - **პანდემიით გამოწვეული სტრესი**, შუალედური/მედიაციური ცვლადი - **დაძლევის სტრატეგიები,** დამოკიდებული ცვლადი - **ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი.**

კვლევაში მონაწილეთა შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შემდეგ სამედიცინო ცენტრებსა და დაწესებულებებში :

- „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ (ინგოროყვას კლინიკა);
- „მედისონ ჰოლდინგი“;
- „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“;
- „ივ.ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“;
- „წმ.მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“;
- „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო)“;
- „მედ დიაგნოსტიკის“ ცენტრი;
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს სამედიცინო აცრის ცენტრი;
- „ავერსის კლინიკა“.

საერთო ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 68 ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირმა. მათ შორის მდედრობითი სქესი იყო 48, მამრობითი 20; კვლევაში მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 21 - დან 55+ -მდე. სპეციალობების მიხედვით ცდის პირთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: ექიმები - 36, ექთნები - 17, სხვა- 15 (სანიტრები, რეზიდენტები, ლაბორანტები).

კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი, რომელიც მოიცავდა ორი თვითანგარიშის ტიპის კითხვარს და დემოგრაფიულ მონაცემთა ანკეტას. კითხვარებს ცდის პირები ავსებდნენ ინდივიდუალურად, როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ.

დემოგრაფიულ მონაცემთა ანკეტაში კვლევის მონაწილეებს უნდა მიეთითებინათ შემდეგი მონაცემები: **სქესი, ასაკი, სამუშაო ადგილი**, **სპეციალობა** (ექიმი, ექთანი, სანიტარი, ლაბორანტი, რეზიდენტი, სტუდენტი, სხვა)**, კოვიდ ინფიცირებულ პაციენტებთან შემხებლობა, რა სახის სამუშაოს ასრულებდნენ კოვიდ პაციენტებთან, გადაიტანეს თუ არა კოვიდ ვირუსი.**

თვითანგარიშის კითხვარები:

1. **პოსტტრავმული სტრესის სიმპტომების კითხვარი DSM-5-ის მიხედვით (PCL-5)**

ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან სტრესული მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა პოსტტრავმული სტრესის სიმპტომების კითხვარი DSM-5-ის მიხედვით (PCL-5). კითხვარი მოიცავს სტრესულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ მოვლენათა ჩამონათვალს, სულ 20 დებულებას, თითოეულ დებულებას აქვს 5 სავარაუდო პასუხი, რომლებიც იცვლება შემაწუხებლობის ხარისხის მიხედვით 0-დან (საერთოდ არა) 4-მდე (უკიდურესად).

კითხვარი აფასებს სტრესული მდგომარეობისთვის დამახასიათებელ შემდეგ კრიტერიუმებს:

ინტრუზიები - მოიცავს ინტრუზიულ (შემოჭრილ) განმეორებად მოგომებებს, ტრავმულ მოვლენასთან დაკავშირებულ ღამის კოშმარებს, ინტენსიური /გახანგრძლივებული დისტრესი საფრთხეზე, მძაფრი ფიზიოლოგიური რეაქციები ტრიგერზე/გამღიზიანებელზე.

ამრიდებლობა - რომელიც მიმართულია ტრავმასთან დაკავშირებული დისტრესული სიმპრომების არიდებაზე : ტრავმასთან დაკავშირებული აზრები და გრძნობები, ტრავმასთან დაკავშირებული გარემოებები/გარემო სტიმულები

ნეგატიური კოგნიციები/გუნება-განწყობა - ტრავმული გამოცდილების მნიშვნელოვანი მომენტების გახსენების შეუძლებლობა, ნეგატიური შეხედულება საკუთარ თავზე, სამყაროზე. დამახინჯებული დანაშაულის განცდა საკუთარი თავის მიმართ, სხვების მიმართ. გაუცხოვების, გარიყულობის განცდა, ემოციების შეკავება.

გაღიზიანებადობა - გაღიზიანებული ან აგრესიული ქცევა, თვითდესტრუქციული/დაუფიქრებელი ქცევა, ჰიპერსიფხიზლე, გადაჭარბებული შეშინებული რეაქცია, კონცენტრაციის პრობლემები, ძილის დარღვევები.

2. დაძლევის სტრატეგიების სკალა (WOC)

კვლევაში დაძლევის სტრატეგიების საკვლევად გამოყენებულ იქნა რ. ლაზარუსისა და ს. ფოლკმანის მიერ შემუშავებული დაძლევის სტრატეგიების სკალა (WOC), ქართული ვერსია. კითხვარი მოიცავს 66 დებულებას, თითოეულ დებულება ფასდება ოთხი სავარაუდო პასუხით: 0-არასოდეს, 1-ზოგჯერ, 2-ხშირად, 3-ყოველთვის.

დაძლევის სტრატეგიების სკალა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს, თუ რას განიცდის, ფიქრობს და როგორ იქცევა ინდივიდი სტრესულ მოვლენებთან გამკლავებისას, ასევე რამდენად ეფექტურია აღნიშნული სტრატეგიები გარკვეული სტრესული მოვლენების დასაძლევად. კითხვარი მოიცავს შემდეგ სკალებს, რომლებიც იყოფა ორ ჯგუფად:

პოზიტიური დაძლევა:

- **პრობლემის გადაწყვეტის დაგეგმვა** - წინასწარგანზრახული, პრობლემაზე ორიენტირებული სიტუაციის შეცვლის მცდელობა, რომელიც პრობლემის გადაჭრის ანალიზურ მიდგომასთანაა დაწყვილებული;
- **სოციალური მხარდაჭრა** - ემოციური, ინფორმაციული და რეალური მხარდაჭერის ძიების პროცესი;
- **პოზიტიური გადაფასება** - პიროვნულ ზრდაზე კონცენტრირებით პოზიტიური მნიშვნელობის შექმნის მცდელობა.

- **პასუხისმგებლობის აღება** - საკუთარი როლის აღიარება პრობლემაში და საკითხების გამოსწორების მცდელობა;

ნეგატიური დაძლევა:

- **კონფრონტაციული დაძლევა** - ეს არის აგრესიული მცდელობა შეცვალო სიტუაცია და გვთავაზობს მტრულობის და რისკიანობის გარკვეულ ხარისხს;
- **დისტანცირება** - მეორისგან გამოყოფის და გამოცალკევების მცდელობა, რაც სიტუაციის მნიშვნელობის მინიმუმამდე დაყვანაში გამოიხატება;
- **თვით-კონტროლი** - ეს არის მოქმედებების და გრძნობების რეგულირების მცდელობა;
- **გაქცევა/განრიდება** - ის გულისხმობს ოცნებას, ნატვრას, გააზრების და მცდელობის გარეშე გაექცეს პრობლემას;

მონაცემთა ანალიზი

კვლევის მონაცემები დამუშავებულ იქნა სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკური ანალიზის პროგრამაში SPSS. ძირითადად: სტატისტიკური ანალიზი (Descriptive statistics), კორელაციური ანალიზი (Bivariate correlate), One-way Anova analyze და Crosstabs Statistics.

ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან გამოვლენილი სტრესის სიმწვავე და მისი განმაზღვრელი მახასიათებლები

მონაცემთა დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ სტრესის მაჩვენებელთა სიხშირე ასეთია: ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (13.5%) 29 ქულაზე მოდის, შემდეგ მეორე მაჩვენებელი - 36 ქულაზე (8.5%), მესამე- 33 ქულაზე (7.5%), მეოთხე -52 ქულაზე (6.5%), მეხუთე- 32 ქულაზე(5.5%).

რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან COVID19 ვირუსით გამოწვეული პანდემიური სტრესის მაჩვენებელს, მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა სტრესის საშუალო მაჩვენებელი M 27,34.

მონაცემეთა სტატისტიკური დამუშავების შედეგად აღმოჩნდა რომ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალს მაღალი მაჩვენებელი აქვს სტრესულ მდგომარეობის შემდეგ მახასიათებლებთან მიმართებაში: ინტრუზიები (M 9.01), ნეგატიური კოგნიციები (M 8,36), გაღიზიანებადობა (M 7.52.), ამრიდებლობასთან შედარებით (M 3.04).

რაც შეეხება სტრესულ მდგომარეობის მახასიათებლების პროცენტულ გადანაწილებას გამოვლინდა შემდეგი სურათი: 31% -ს აღენიშნებოდა ინტრუზიები , 31%-ს - ნეგატიური კოგნიციები , 27%-ს - გაღიზიანებადობა , ხოლო 11%-ს - ამრიდებლობა.

სტრესის სიმწვავე და მისი განმაზღვრელი მახასიათებლები ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების სპეციალობების მიხედვით

კორელაციურმა ანალიზმა სტრესის მაჩვენებლებსა და სპეციალობებს შორის გამოავლინა შემდეგი ტიპის კავშირი: ინტრუზიები (r = -.033, p> .01), ამრიდებლობა (r = .036, p<.01), ნეგატიური კოგნიციები (r = .187, p< .01), გაღიზიანებადობა (r = .041, p< .01).

მონაცემთა შედარებისას სტრესის მაჩვენებელთა გადანაწილება სპეციალობების მიხედვით, მოხდა შემდეგნაირად: აღმოჩნდა, რომ სტრესის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღენიშნებათ ექთნებს (M 28,9), და ასევე, სხვა სპეციალობის (სანიტარი, რეზიდენტი, ლაბორანტი) წარმომადგენლებს (M 28). რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ორ კატეგორიაში გამოვლინდა სტრესის ყველაზე მაღალი ინტენსივობა. ხოლო, რაც შეეხება ექიმებს, მათი შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ (M 26).

რაც შეეხება პროცენტულ განაწილებას საერთო სტრესულ მაჩვენებლებში სპეციალობების მიხედვით, გამოიკვეთა შემდეგი სახის სურათი: როგორც წინა გრაფიკიდან (გრაფიკი N5.) შევიტყვეთ სტრესის ყველაზე მაღალი ინტენსივობა ექთნებში და სხვა სპეციალისტებში გამოვლინდა. ხოლო სტრესის საერთო მაჩვენებელთა განაწილებამ კი გვიჩვენა, რომ სტრესის ყველაზე მაღალი პროცენტულობა - 50% **ექიმებზე** მოდის. რაც ნიშნავს იმას, რომ ექიმებში უფრო ხშირია სტრესის მაჩვენებელი. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ მაჩვენებლის ნიშნული სპეციალობის კატეგორიებში ცდისპირთა არათანაბარი განაწილებით იყოს განპირობებული (ექიმი -36; ექთანი-17). ხოლო რაც შეეხება **ექთნებს** საერთო სტრესულ მაჩვენებლთა 27% მოდის მათზე და 23% - **სხვა** სპეციალობის ჯანდაცვის მუშაკებზე.

სტრესული მდგომარეობის ცალკეული მახასიათებლებისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების სპეციალობების ურთიერთმიმართება

სტატისტიკურმა ანალიზმა (Oneway anova, descriptive statistics) სტრესული მდგომერეობის ცალკეულ მახასიათებლებისა და სპეციალობებს შორის შემდეგი სახის კავშირი გამოავლინა: ექიმების 31.80% -ს აღენიშნება ინტრუზიები, 28.70%-ს ნეგატიური კოგნიციები, 28.20%-ს გაღიზიანებადობა, 11.20%-ს ამრიდებლობა; ექთნების 29.60%-ში გამოვლინდა ინტრუზიები, 11.60%-ში ამრიდებლობა, 31.80%-ში ნეგატიური კოგნიციები, 26.90%-ში გაღიზიანებადობა; რაც შეეხება სხვა სპეციალობებს (სანიტარი, რეზიდენტი, ლაბორანტი) ინტრუზიები - 29.60%, ამრიდებლობა - 10.40%, ნეგატიური კოგნიციები - 33.30%, გაღიზიანებადობა - 26.80%.

ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის მიერ გამოყენებული დაძლევის სტრატეგიები

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა რომ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ დაძლევის ისეთ სტრატეგიების სკალებზე , როგორიც არის თვითკონტროლი (M-12), პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა (M-11.4), პოზიტიური გადაფასება (M- 10.6), გაქცევა/ანულირება (M- 9.4), რაც შეეხება ზოგადად დაძლევის პოზიტიურ და ნეგატიურ სტრატეგიებს, მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა, თუმცა

გამოკითხული ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტების დიდი ნაწილ იყენებს პოზიტიურ დაძლევის სტრატეგიებს (M – 37,67).

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების პროფესიებისა და დაძლევის სტრატეგიების ურთიერთმიმართება

იმის მიხედვით თუ რა გავლენას ახდენს ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების სპეციალობა დაძლევის სტრატეგიების ცალკეული სკალების, ასევე ზოგადად დაძლევის პოზიტიური და ნეგატიური სტრატეგიების მაჩვენებელზე მიღებული შედეგებს საშუალო მაჩვენებლების შედარებისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი.ექიმებს მაღალი მაჩვენებელი აქვთ დაძლევის შემდეგ სკალებზე: თვითკონტროლი (M-11.4), პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა (M-11.4), პოზიტიური გადაფასება (M-10.1), თითქმის მსგავსი სურათი გამოიკვეთა ექთნებთანაც, მათ მაღალი მაჩვენებლები აქვთ თვითკონტროლის (M-12.8), პრობლემის გადაჭრის დაგეგმვასა (M-13,1) და პოზიტიური გადაფასების (M-11.1) სკალებზე, რაც შეეხება სხვა პროფესიების წარმომადგენლებს (სანიტარი, რეზიდენტი, ლაბორანტი) მაღალი მაჩვენებლები გამოიკვეთა დაძლევის შემდეგ სკალებზე: თვითკონტროლი (M-12.8), პოზიტიური გადაფასება (M-11) და გაქცევა/განრიდება (M-11,3). რაც შეეხება სპეციალობების მიხედვით დაძლევის პოზიტიური და ნეგატიური სტრატეგიების გამოყენებას, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საერთო ჯამში ექიმიების 52.9%-ი იყენებს დაძლევის პოზიტიურ სტრატეგიებს, ხოლო 47.1%-ი ნეგატიური დაძლევის სტრატეგიებს, ექთნების 51.7%-ი იყენებს დაძლევის პოზიტიურ სტრატეგიებს, 48.3%-ი ნეგატიური დაძლევის სტრატეგიების. რაც შეეხება სხვა ჯანდაცვის სფეროს წსარმომადგენლების სხვ პროფესიებს (სანიტარი, რეზიდენტი, ლაბორანტი), მათი 53.9%-ი იყენებს დაძლევის ნეგატიურ სტრატეგიებს, ხოლო 46.1%-ი პოზიტიური დაძლევის სტრატეგიებს.

შედეგების განხილვა

მონაცეთმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტრესის საერთო მაჩვენებლთა სტატისტიკაში ყველაზე დაბალი იყო -1, ხოლო ყველაზე მაღალი - 60. საშუალო სტრესული მაჩვენებელი კი - M-27.4. ხოლო იმ ცდისპირთა რაოდენობა, რომელთა სტრესული მაჩვენებელი 33 ქულას ასცდა (რაც უკვე პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სადიაგნოსტიკო ნიშნულს წარმოადგენს) 29,4% აღწევს. საერთო შერჩევაში სტრესის ასეთი კრიტიკული ნიშნული საკამოდ საყურადღებოა და მიუთითებს პანდემიით გამოწვეული სტრესის გახანგრძლივებაზე.

სტრესული მდგომარეობის კრიტერიუმებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებლი გვხვდება ინტრუზიების კრიტერიუმზე (M-9.01). იმის გამო, რომ პანდემია ისევ აქტიურ ფაზაშია და ის გახანგრძლივებულ დისტრესად გვევლინება, გასაკვირი არ არის, რომ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი მოჭარბებულად განიცდის პანდემიურ სტრესთან დაკავშირებულ

შემოჭრილ მოგონებებს, მძიმე განცდებს, მძაფრ ფიზიოლოგიურ რეაქციებს და კოშმარულ სიზმრებს.

რაც შეეხება სტრესული მდგომარეობების ყველაზე დაბალ მაჩვენებლს - ამ ნიშნულით ხასიათდება ამრიდებლობა (M-3.04). როგორც ვიცით, ამრიდებლობა დისტრესთან დაკავშირებული აზრებისგან, გრძნობებისგან, სიმპტომებისა და სტიმულებისგან თავის არიდების მცდელობაა, რაც შესაძლოა გარკვეულ წილად ამცირებდა პანდემიასთან დაკავშირებულ დისტრესს.

სტრესის დასაძლევად ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტები დაძლევის სტრატეგიებიდან ყველაზე ხშირად იყენებდნენ - თვითკონტროლს (17%), პრობლემის გადაჭრის დაგეგმვს (16%) და პოზიტიური გადაფასებს (15%). თვითკონტროლი განეკუთვნება ნეგატიური დაძლევის სტრატეგიებს, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ რომ, ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტები პანდემიით გამოწვეული სტრესის შემცირებას ცდილობდნენ საკუთარი ქცევისა და განცდების რეგულირებასა და მართვის საშუალებით, რაც თავის მხრივ დამატებით ფსიქიო-ფიზიკურ რესურს მოითხოვდა მათგან და კიდევ უფრო მოწყვლადს ხდიდა მათ, პანდემიით გამოწვეული სტრესული მდგომარეობისადმი. რაც შეეხება პრობლემის გადაჭრის დაგეგმვასა და პოზიტიურ გადაფასებას, განეკუთვნება პოზიტიური დაძლევის სტრატეგიებს. აღნიშნული დაძლევის სტრატეგიები მიმართულია პიროვნულ ზრდასა და არსებული მდგომარეობის პოზიტიურ გადაფასებაზე, ასვე იმ რთული, პრობლემური სიტუაციის შეცვლაზეა ორიენტირებული რომელიც დისტრესულია. მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ რომ კვლევაში მონაწილე ცდი პირებისათვის მნიშვნელოვანი იყო პრობლემური/დისტრესული სიტუაციის გადაფასება, რაც თავის მხრივ ამცირებდა სტრესს და დადებით გავლენას ახდენდა მათ ფუნქციონირებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.

რაც შეეხება დანარჩენ დაძლევის სტრატეგიებს აღმოჩნდა რომ სოციალურ მხარდაჭერას ნაკლებად იყენებენ (11%), რაც შესაძლოა გამოწვეული იყო პანდემიის პირობებიდან, რაშიც იგულისხმება იზოლაცია, სოციალური დისტანციის დაცვა; პასუხისმგებლობის აღება (11%), მოიაზრებს პრობლემის გადაჭრაში ინდივიდის მიერ საკუთარი როლის გაცნობიერებას, რაც საკმაოდ რთულია პანდემიურ სიტუაციიით გამოწვეული არაპროგნოზირებადი გარემოებების ფონზე; რაც შეეხება დაძლევის ნეგატიურ სტრატეგიებს : კონფრონტაციას (11%), გაქცევა/ ამრიდებლობას (10%) და დისტანცირებას (9%) ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტები ნაკლებად გამოიყენებდნენ იმ სტრესის შესამცირებლად, რომელიც პანდემიამ გამოიწვია.

საერთო ჯამში, დაძლევის პოზიტიური და ნეგატიური სტრატეგიები შემდეგნაირად გადანაწილდა : პოზიტიური დაძლევის სტრატეგიები (51%), ვიდრე ნეგატიური დაძლევის

სტრატეგიები (49%), შედეგების სტატისტიკურმა ანალიზმა მნიშვნელოვნი სხვაობა არ გამოავლინა.

შედეგებმა აჩვენა რომ სტრესის დონე უფრო მაღალია ექიმებთან (52%), ვიდრე ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომარგენლებთან, რაც სავარაუდოს გამოწვეულია მათი სამუშოს სპეციფიკიდან გამომდინარე. ისინი აქტიურად არიან ჩართულები კოვიდ-ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის პროცესში და უშუალო შეხება აქვთ მათთან, შსაბამისად გამოხატულია სტრესის განმსაზღვრელი კრიტერიუმები: მაღალი მაჩვენებელი ვლინდება ინტრუზიებში (31.8%), შემდეგ ნეგატიურ კოგნიციებში (28.7%), გაღიზიანებადობასა (28.2%) და ამრიდებლობაში (11.2%). დაძლევის სტრატეგიებთან მიმართებააში შეიძლება ითქვას რომ მონაცემები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ზოგადი მონაცემებისგან: ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება თვითკონტროლში (M-11.4) და პრობლემის გადაჭრის დაგეგმვაში (M-11.4), მერე პოზიტიურ გადაფასებაში (M-10.1), გაქცევა/განრიდება (M-8.4), სოციალურ მხარდაჭერაში (M-8), კონფრონტაციასა (M-7.7) და დისტანცირებაში (M-5.3). რაც შეეხება, საერთო ჯამში პოზიტიური და ნეგატიური დაძლევის სტრატეგიების გამოყენებას, აღმოჩნდა რომ ექიმების 52.9% იყენებს პოზიტიური დაძლევის სტრატეგიებს.

განსხვავებიული მონაცემებია ექთნებთან მიმართებაში, ექთნების 25%-ს აღენიშნება სტრესული მდგომარეობა, ხოლო მასთან დაკავშირებული კრიტერიუმებიდან მკვეთრად გამოხატულია ნეგატიურ კოგნიციები (31.8%), ინტრუზიები (29.6%), გაღიზიანებადობა (26.9%), ხოლო ნაკლებად გამოიხატება ამრიდებლობა. რაც შეეხება დაძლევის სტრატეგიებს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება პრობლემის გადაჭრის დაგეგმვაში (M-13.1), შემდეგ თვითკონტროლში (M-12.8), პოზიტიურ გადაფასებაში (M-11.1), გაქცევა/ანულირება (M-9.6), სოციალურ მხარდაჭერაში (M-9), დისტანცირებაში (M-8.1), პასუხისმგებლობის აღებასა (M- 7.8) და კონფრონტაციაში (M-7.7). რაც შეეხება, პოზიტიური და ნეგატიური დაძლევის სტრატეგიების დაყოფას, ყველაზე ხშირად გამოყენებადი ექთნებში აღმოჩნდა პოზიტიური დაძლევის სტრატეგიები (51.7%).

ჯანადაცვის სფეროში მომუშავე სხვა სპეციალობის (სანიტრები, რეზიდენტები, ლაბორანტები) 23 %-ს აღენიშნება სტრესული მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული მახასიათებლები - ნეგატიურ კოგნიციები (33.3%), ინტრუზიები (29.6%), გაღიზიანებადობა (26.8%) და ამრიდებლობა (10.4%). გამოყენებული დაძლევის სტრატეგიები თითქმის არ განსხვავდება სხვა ჯგუფების მონაცემებისგან: თვითკონტროლი (M-12.8), პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა (M-11.4), გაქცევა/ანულირებაში (M-11.3), პოზიტიურ გადაფასებაში (M-11), კონფრონტაციაში (M-9.7), სოციალურ მხარდაჭერასა (M-8.9) და დისტანცირება (M-8). რაც შეეხება, პოზიტიური და ნეგატიური დაძლევის სტრატეგიების გადანაწილებას აქ სურათი

განსხვავებულია - ჯანადაცვის სფეროში მომუშავე სხვა სპეციალობის წარმომადგენლები იყენებენ ნეგატიური დაძლევის სტრატეგიების (53.9%), რაც შესაძლოა დამოკიდებული იყოს მათ გამოცდილებას და იმ სამუშაო სპეციფიკაზე, რომლის შესრულებაც მათ უწევთ.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე დასმული ჰიპოთეზები ნაწილობრივ გამართლდა. მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ პირველი ჰიპოთეზა, რომელიც ვარაუდობდა პანდემიით გამოწვეულ მაღალი სტრესის მაჩვენებელს ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან, გამართლდა. კვლევის დროს გამოვლენილი სტრესის საშუალო მაჩვენებელი მცირე ნიშნულით სცილდება იმ ზღვარს, რომლის ზემოთაც უკვე პოსტტრავმული სტრესული აშლილობის დიაგნოზის დასმა ხდება.

მეორე ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სტრესის მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა ექიმებთან სხვა სპეციალობის პირებთან შედარებით, არ გამართლდა. კვლევამ გვიჩვენა, რომ სტრესის დონე თითქმის თანაბარი სიხშირით ვლინდება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან, როგორც ექიმებთან, ისე ექთნებთან, სანიტრებთან, რეზიდენტებთან და ლაბორანტებთან.

ასევე, არ გამართლდა მესამე ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც დაძლევის სტრატეგიებს შორის ყველაზე მკვეთრად გამოვლენილი უნდა ყოფილიყო პოზიტიური დაძლევის ხერხები. მონაცემთა სტატისტიკურმა ანლიზმა გვიჩვენა, რომ გამოყენებულ სტრატეგიებს შორის თითქმის თანაბრად ვარირებდა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური დაძლევის ხერხები. თუმცა წამყვანი მაინც ნეგატიური დაძლევის ხერხები იყო.

მეოთხე ჰიპოთეზით ვივარაუდეთ, რომ დაძლევის სტრატეგიათა კლასიფიცირებიდან, ყველაზე ხშირად გამოყენებადი უნდა ყოფილიყო პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა და პოზიტიური გადაფასება. თუმცა, კვლევამ გვიჩვენა, რომ წამყავნი სტრატეგია იყო პრობლემის გადაჭრის დაგეგმვა და თვითკონტროლი. ამ შემთხვევაში კვლევის ჰიპოთეზა ნაწილობრივ იქნა გამართლებული.

თეორიული ღირებულება - იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიური სტრესი ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი გახდა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესწავლის სფეროში, ნიშანდობლივია, რომ ყოველი კვლევა, რომელიც ამ ცვლადის გავლენას იკვლევს მნიშნელოვანი თეორიული ღირებულებით ხასიათდება. კოვიდ 19 ვირუსი ჩვენი უახლესი ისტორიის ნაწილია, შესაბამისად, მისი სრული იდენტიფიცირება, განსაკუთრებით, იმ პირებში, რომლებიც ცოცხალი ხელებით ებრძვიან პანდემიას, არ მომხდარა. ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი იმსახურებს, გაწეული რისკის და ჯანმრთელობის საფასურად, მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და

გაჯანსაღებაზე ვიზრუნოთ. ეს არის ჩვენს მიერ შეტანილი პატარა წვლილი კოვიდ პანდემიასთან ბრძოლაში.

პრაქტიკული ღირებულება - პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევამ გარკვეული შედეგი მოგვცა ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალთან არსებული სტრესის და მასთან გამკლავების ხერხების შესახებ, რაც თავის მხრივ, დაგვეხმარება დავსახოთ გარკვეული გეგმები მედპერსონლის დახმარების და საჭიროების შემთხვევაში, რეაბილიტირების კუთხით. თუმცა, უნდა აღინიშნოს კვლევის სისუსტეც - მონაწილეთა არასაკმარისი რაოდენობა, რის გამოც კვლევის შედეგები არ იძლევა ფართო გენერალიზირების საშუალებას. არსებული გართულებული ეპიდვითარების ფონზე საკმაოდ რთული აღმოჩნდა რესპოდენტების მოძიება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პირების დროის, ენერგიის და რესურსების სიმცირის გამო.

პერსპექტიული გამოყენების სფერო - უმჯობესი იქნება, მომავალი კვლევისთვის მკვლევარები თუ გაითვალისწინებენ იმ წინააღმდეგობას, რასაც კვლევის პროცესში რესპოდენტების მოძიებისას წავაწყდი. საჭიროა, კვლევამ უფრო ფართო სპექტრი მოიცვას იმისთვის, რომ ღირებული და სრული სურათი მოგვცეს ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალში არსებული სტრესის და დაძლევის სტრატეგიების იდენტიფიცირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „პოსტკოვიდური სინდრომის მენტალური კორელატები“, მწვრთნელთა ფაკულტეტი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ნეირომეცნიერების ასოციაცია, 2021, file:///C:/Users/User/Desktop/New%20folder/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90.pdf ;

2. ხ. მარწყვიშვილი, „ემოციური ინტელექტის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010;

3. M. Khosravi, Z. Ghiasi, A. Ganjali, „BURNOUT IN HOSPITAL MEDICAL STAFF DURING THE COVID-19 PANDEMIC: DIAGNOSIS, TREATMENT, AND PREVENTION“, Journal of Natural Remedies, Vol. 21, No. 12(1), (2021);

4. A. Gonzalez, C. Cervoni, M. Lochner, J. Marangio, C.Stanley, and S. Marriott, “Supporting Health Care Workers During the COVID-19 Pandemic: Mental Health Support Initiatives and Lessons Learned

From an Academic Medical Center", Stony Brook University, American Psychological Association, 2020, ISSN: 1942-9681, http://dx.doi.org/10.1037/tra0000893 ;

5. F.CHIRICO, G. FERRARI, G. NUCERA, L. SZARPAK, P. CRESCENZO, O. ILESANMI, "Prevalence of anxiety, depression, burnout syndrome, and mental health disorders among healthcare workers during the COVID-19 pandemic: A rapid umbrella review of systematic reviews", The Italian Journal for Interdisciplinary Health and Social Development, Journal of Health and Social Sciences 2021, 6,2:209-220;

6. A. Shechter, F. Diaz, N. Moise, D. E. Anstey, Siqin Ye, Sachin Agarwal…., "Psychological distress, coping behaviors, and preferences for support among New York healthcare workers during the COVID-19 pandemic", General Hospital Psychiatry, Volume 66, September–October 2020, Pages 1-8, https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0163834320300839?fbclid=IwAR2iSYXUWxLXyCm9zO6cVL7cmBZsVkC6cRN7-0PImKDo1udGOh6fHcEoge0;

7. WHO, "Health and Care Worker Deaths during COVID-19", 20 October 2021 Departmental news, https://www.who.int/news/item/20-10-2021-health-and-care-worker-deaths-during-covid-19 ;

პლანეტის სევდა ტერენტი გრანელის პოეზიაში
The Sadness of the Planet Terent Granelli in Poetry

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის აკადემიმოსი
Luara Sordia
Professor of Sukhumi State University,
Academician of Jumber Lezhava International Scientific Academy

მეოცე საუკუნე ღირებულებათა ტოტალური გადაფასებით გამოირჩა. მრავალი შემოქმედის სახელი ჩაიძირა დავიწყების უფსკრულში. გაღმა ნაპირამდე ვერ გააღწიეს მთავრობის მიერ ხელდასხმულმა, ხუთწლედების პრემიებით და ორდენებით წახალისებულმა კალმოსნებმა. სულიწმიდის მადლით ცხებული სიტყვის ოსტატები კი, რომლებიც თავის დროზე დევნილნი, ტერორიზმებულნი, რეპრესირებულნი იყვნენ, ნათლის სვეტივით გაბრწყინდნენ და სულის სასწაულებით გაგვაოცეს. ცოტანი არიან ასეთები, მსხვერპლის ფასად რომ გადაარჩინეს უმაღლესი იდეალები, ერთ–ერთი ასეთი უპირველესი ლირიკოსის შარავანდედით მოსილი პოეტია ტერენტი გრანელი. იგი ბოლომდე დარჩა მოუსყიდავი, მოუთვინიერებელი.

გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წელი გაუცხოების ნისლი ებურა „მემენტო მორის“ ავტორს. მის შემოქმედებას საგანგებოდ უგულებელყოფდნენ და მკითხველს უმალავდნენ მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ მისი სიდიადის დაფარვის მოსურნეები.

დღეს ტერენტი გრანელის გამორჩეული პოეტური აზრი მეუფებს ყველგან. აზრთან კი, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერიაც უძლურია.

ჩვენმა დრომ ხელახლა აღმოაჩინა მისი პოეტური პლანეტა, მთელი არსებით იწამა ეს „პოეტი ბავშვი“ და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი კრებულები.

სიტყვის ჯადოქართა ქვეყანაში, პოეტების მეფე გალაკტიონის გვერდით ცხოვრობდა ცრუ პოეტების ლეგიონებისგან გამორჩეული, ზეგარდმო მადლით ცხებული ლირიკოსი და ისეთსავე ფურორს ახდენდა მეოცე საუკუნის 20-30–იანი წლების ქართულ სინამდვილეში, როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში.

ტერენტი გრანელის შემოქმედებამ უკვე ჩააბარა დროის გამოცდა და ერის მუდმივ მეგზურად იქცა.

ცხოვრებაში იგი იობივით მრავალტანჯული და იობივით ღმერთის რჩეული იყო, თითქოს საგანგებოდ უფლენდა უზენაესი ყოველგვარ განსაცდელს, რათა წამების ცეცხლში ნაწრთობს, ბოლომდე გამოევლინებინა თავისი განსაკუთრებული შესაძლებლობები, უფსკრულიდან მიეკვლია მარადიული შუქისთვის.

მიწიერი, წარმავალი ბედნიერებისგან განზე დარჩენილი, მაინც დიადად განიცდებოდა. ერის ნერვებს ათრთოლებდა პოეზიითაც და ცხოვრებითაც. მეშჩანობის ჭაობს, ბრბოს ცდუნებებს ბოლომდე განრიდებულ ტერენტი გრანელს დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: „შევიძულე კრებული უკეთურთა და ბოროტთა გვერდით არ დავჯდები“ (ფს. 25/26,5) (1,545).

„უცნობი სფინქსის“ „მინანქრის სტრიქონებით“ მოიხიბლა საუკუნის უპირველესი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, ხოლო თვითშეცნობილმა პოეტერმა გენიამ გალაკტიონმა აღტაცება ვერ დაფარა წალენჯიხიდან მოვლენილი ჭეშმარიტი ტალანტის „საამო ქართულით და „მემენტო მორის“ ავტორს „ხალასი გენია და ნიჭი, ბუნებით პოეტი, ჭეშ;მარიტი პოეტი უწოდა.

ზეცაწართმეული, ღმერთწართმეული ეპოქის შვილი იყო ტერენტი გრანელი, ღმერთის გმობა კი ადამიანის გაარაფრების, ყოველგვარი უკეთურების დაკანონების გზა იყო.

მაგრამ „უცნობი სფინქსის“ ნიღბით მოვლენილ პოეტს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, არასოდეს შეუქცია მიწიერთა პრაგმატიზმი, სოციალისტური ქვეყნის არარსებული წარმატებები, ცრუ ბელადები, რომელთაც „დიქტატორ იმპერატორებს“ უწოდებდა.

ტერენტი გრანელისთვის მთავარი იყო „მამული, ენა, სარწმუნოება“, კოსმიური პრობლემები.

სისხლიანი ბოლშევიზმის ტერორითაც დაუმარცხებელი პოეტია ტერენტი გრანელი, რომელმაც სავსებით განსხვავებული, „უვალი გზა“, ნამდვილი პოეტის გზა აირჩია.

აკაკი წერეთელი გვაფრთხილებდა: „თქვენ რომ გგონივართ, ის არ ვარო“.

ტერენტი გრანელი ირწმუნებოდა: „მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობსო“.

თუმცა მის სიდიადეს გრძნობდნენ, ბოლომდე ვერ აცნობიერებდნენ და შეუცნობლობის ტკივილმა ათქმევინა: „სადაც მე ვდგავარ, იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედება“. ეს ღვთაებრივი სიბნელე იყო, ანუ სინათლე, ჩვეულებრივი მზერისთვის მოუხელთებელი.

ჭეშმარიტი პოეტები დიდი განსაცდელის ჟამს ევლინებიან ხოლმე ერს. ბუნებრივია, ჩვენს დროს ასე რომ აედევნა ტერენტი გრანელის აჩრდილი და ხალხს ძილს უფრთხობს მისი პოეზიის „ცისფერი შუქი“, საღმრთო ემბაზში განბანილი აზრები.

„მემენტო მორის“ ავტორის შემოქმედება გვიზიდავს იგავურ – სიმბოლური ფორმით გამოხატული ჭეშმარიტებებით, იგი იმ მარადიული სიბრძნის წყაროს დაწაფების შედეგია, რაც უფლის მიერ შთაგონებული ბიბლიიდან მომდინარეობს.

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწის სიბრძნეს და ზეციურს /ბარუქი), წუთისოფლის სიბრძნეს და მაღლიდან გარდმოვლენილს /პავლე მოციქული, და ღვთის სიბრძნეს, კორინთელთა, 2,6,7)(1,3,5,8).

ტერენტი გრანელის პოეზიაში სწორედ ზეციური, მარადიული სიბრძნე მოიძიება. კერპების, ცრუ მოციქულების, ანტიქრისტეების ეპოქაშიც გაიგნო პოეტმა გზა ჭეშმარიტი ღმერთისკენ.

მისი პოეზიის ნაყოფელვარე ხე უფლისგან არის კურთხეული.

მისი ცეცხლი უზენაესი ცეცხლია, ჩვენ მასზე ვითბობთ ჩრდილოეთის ყინვისაგან გათოშილ ხელებს, ვწმენდთ დროის მტვრისაგან გაუხეშებულ სულს. ფაქტია, რომ „უცნობი სფინქსის“ მწუხარე მუზამ მოაზროვნე, მსოფლიოს მრავალი კუთხე შესძრა.

მის ენიგმურ, სიმბოლურ–მეტაფორულ სამყაროში შესასვლელი „საოცრების კარი“ ანუ ქრისტიანული ღმერთია. პოეტი ამრავალფეროვნებს, ახალი ნიუანებით ავსებს საღმრთო სახელებს. ამ გამორჩეულ სამყაროში უბერავს სულიწმიდის ნიავი, გვეცნაურება გამოცხადების სიბრძნე, საღვთო ნისლი.

სისხლის, ტერორის, ძალმომრეობის ეპოქაშიც შეძლო პოეტმა ანგელოზური სულის შენარჩუნება.

განსაკუთრებული განსჯის საგნად აქცია ფილოსოფიური პრობლემები, სიკვდილ–სიცოცხლის მიმართება, ადამიანის ზნეობრივი განწმენდა, ბედისწერის იდუმალება.

იგი დაემყარა მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ადაამიანში ორი არსია: ღვთაებრივი და მდაბალი. ღმერთის სამყაროში, ჩვენს ნამდვილ სახლში დასაბრუნებლად აუცილებელია წმინდა სული.

ტერენტი ჰგავდა ზიარებულთა ორდენის წევრს, რომელსაც უნდა გაევლო ინიციაციის, კათარსისის რთული და ძნელი გზა, სიწმინდის გადარჩენის აუცილებლობის შეგნებით.

პოეტის სული წმინდა გიორგის მსგავსად განიწმინდა“ წამების ცეცხლით, მადლის მდინარით, სულიწმიდით, გულის სისხლით.

ზიარებულთა ინიციაციის ერთ–ერთი საფეხურია ლოცვა, მსხვერპლის გაღება, მონანიება.

„პოეზიის უმანკო მსხვერპლი“ – ტერენტი გრანელი გამუდმებით ლოცულობდა, მარხულობდა უკეთესი დროის სახელით: „ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი“... (ვდგავარ ქვეყნის წინ) (2,137).

მისტიკოსები საღმრთო ტრფიალის იდეას იზიარებენ.

პლატონის დარად, ტ. გრანელი განარჩევდა ორგვარ ეროსს და „ციური ეროსის“ ჰანგებს ქმნიდა, პითაგორეულ სფეროთა ჰარმონიას ეზიარებოდა.

სულიერი განსაწმენდელი ორფეოსელთათვის იყო არგონავტების ლაშქრობა, გაჭირვების დათმენა.

ტერენტი გრანელისთვის განსაწმენდელია პოეზია, მუსიკა, „ლექსი მისტერიაა“.

პოეტის ცხოვრება სიკვდილისათვის მზადება და სიკვდილის შიშის დაძლევა იყოო.

დიდი ადამიანები ამაღლებული სულით, ესთეტიკური ფენომენით ამარცხებენ სიკვდილს და ფერებში წარმოიდგენენ მას. მალარმესთვის სიკვდილი ოქროსფერია, ვერლენთან – მზისფერი, რემბოსთან – წითელი. გალაკტიონთან ვარდისფერი, ტერენტი გრანელთან ცისფერი: „ეს იყო წამი, წამი, როდესაც ელოდნენ ცისფერ სიკვდილის წამებს“.

სიკვდილთან ბრძოლის სურვილით შეიქმნა ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია.

სიკვდილის გაცნობიერება წყაროა ჩვენი გაღვიძების, ამაღლების, იგი ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების გამოვლენას.

ტერენტი გრანელის რწმენით, ადამიანი კვდება არა მაშინ, როცა სული სხეულს შორდება, არამედ სიკვდილის ტოლფასია სულის დაშორება ღვთისგან.

ლაო ძი ამბობს: „ყოვლადბრძენი დაფარულს მიელტვის და არა ხილვად მშვენიერებას. იგი ეძიებს დაფარულს, უარყოფს ყოფიერს“ (3,184).

„ადამიანი გაუკვდავდება იმიტომ და იმ დროს, ოდეს შეითვისებს თავის წიაღში ღვთაებრივ ძალას, ოდეს უკვდავების წყალს დალევს სიკეთისა და სიბრძნის სახით, ოდეს გარემოიცავს თავის თავში ღვთაებრივ საწყისებს.

„ვინც არყოფნას უჭვრეტს, სრულქმნილია, ვინც წარუვალში გარდაიცვალა, მარადიულია“ (3,201).

„უნდა იცხოვრო არა სხეულისთვის, არამედ სულისთვის“ (3,247).

ტერენტი გრანელს არ უძებნია მიწიერი, პრაგმატული ბედნიერება, მისთვის ბედნირება იყო ერის, რწმენის, სიმართლის მსახურება, ცის და მიწის საიდუმლოებათა შეცნობა, მისი მრწამსი მსოფლიოს დიდი მოაზროვნეთა შეხედულებებს ემთხვეოდა: „ო, უბედურებავ! შენ ძირი ხარ ბედნიერების ო, ბედნიერებავ! შენ ძირი ხარ უბედურების“ (ლაო-ძი, დაო დე ძინი) (3,219).

ტერენტი გრანელი დარწმუნებული იყო, რომ სული სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას, იგი იღვიძებს ახალ გარემოში, ვითარდება და ამბობდა: „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

პოეტმა გაიზიარა გარდასხეულების თეორია, გადაიხედა მიღმურში, ჩაწვდა ყოფნა – არყოფნის საიდუმლოებებს.

იოგების მიხედვით, სამყარო დაყოფილია მაღალ, შუა და დაბალ პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ეძებდა „მესამე გზას“, „სხვა პლანეტას“. მას სწამდა უკვდავება, „სიცოცხლე სხეულის გარეშე“. მისი „უვალი გზა“, „მესამე გზა“ ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო

სულიერი ნათელღების პირობების ერთგული დაცვის შემდეგ. აკი გვიჩვენა კიდეც ზეცამდე ასამაღლებელი საფეხურები.

„უცნობმა სფინქსმა“ შექმნა თავისებური გარდაცვალების სახელმძღვანელო, „„მიცვალებულის დღიური“, მაგრამ ფუჭად მოზეიმე საზოგადოებამ, რომელიც ნივთს, ყოველდღიურობას, ვულგარულ გრძნობებს აიდეალებდა, ვერაფერი გაუგო პოეტის უზენაეს სიბრძნეს და მის გენიალურ წიგნს „შავი წიგნი“ უწოდა.

ტერენტი გრანელის სულის გზები იწყება კაცობაში „ადამის ძის“ სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. მის მიერ განვლილი გზა მთელი კაცობრიობის სულიერი გზაა და ამიტომაც არის იგი „მსოფლიო პოეტი“.

„მემენტო მორის“ ავტორს ბიბლიური წინასწარმეტყველებივით, აღაშფოთებდა ადამიანის განშორება ღვთისგან და ურჩევდა მოძმეთ, შერიგებოდნენ უზენაესს.

„აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე.

„ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას ქვეყანა შეჩვენებით არ შევმუსრო“ – აცხადებდა მალაქია წინასწარმეტყველის პირით უზენაესი (3,23,24)(4,704).

პავლე მოციქული მოძღვრავდა ხალხს: „ყოველივე ღვთისგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობის და მოგვცა შერიგების მსახურება.

„იმიტომ, რომ ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა.

„ამგვარად, ჩვენ ქრისტეს სახელით ვართ მოვლენილი და თავად ღმერთი შეგაგონებთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს (პავლე მოციქული, III კორინთელთა 5,18,19,20)(1,390-391).

შერიგების დღეს ნატრობდა გალაკტიონი და მზის–ქრისტეს სახელით ურიგდებოდა ფიზიკურ სიკვდილს, რაც სულიერი უკვდავების სავანეში გამგზავრებად ესახებოდა (შერიგება)(5,53).

განშორების გულისტკივილი, განშორების წამებით ჩამქრალი სანთლები, ღმერთისგან განშორება აწამებდა ტერენტი გრანელს, მაგრამ მაინც სჯეროდა განწმენდის, შერიგების: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“.

პოეტს ელანდებოდა ცოდვილთა განკითხვა, „უფლის დიდი დღე, ძალზე საშინელი“ (იოველი, 2,11).

ტერენტი გრანელი აცხადებდა: „დაწვებოდა კვლავ ბინდი, გულში მეწყო ლოდები, მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“.

ღმერთი არის მარად ღია თვალებით მზირალი მართალი მსაჯული, რომელიც დამსახურებისამებრ მიუზღავს თითოეულს: „დიდგანმზრახველო და მარავლადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელიოს მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“(იერემია წინასწარმეტყველი, 34,19)(4,156).

ტერენტი გრანელის უნიკალური ხედვა და ინტუიცია სამყაროს გლობალურ მოვლენებს აფიქსირებდა: „ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“.

ადამიანებზე გულგატეხილი, ღმერთზე ამყარებდა იმედებს: „მე ისევ ციდან ველი ტაროსებს“.

„მემენტო მორის“ ავტორი ეპოქისგან გამდგარი პოეტი კი არ იყო, როგორც ამტკიცებდნენ დაქირავებული კრიტიკოსები, არამედ თავისი თანამედროვეობის არსს, შავი დროის კონტურებს განუმეორებელი სახე – სიმბოლოებით აფიქსირებდა.

არაჰუმანური, სატანური პერიოდის შინაარსს გვიცნობიერებს ხატოვანი სახეები: უღირსი თვალი, მხეცი (აპოკალიფსური მხეცების ნაშიერი), კაენი, დემონი, ბნელი შუაღამე. ეშაფოტი და საფლავები, დროის თანამდევია გველი და მკვდარი დღეები (უარყოფილი ღმერთი).

სიმბოლური ჩანაფიქრისაა შუქის ჩაქრობა, შავი აღრუბლების მოვლინება, ფინიების გააქტიურება: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია“.

იკრძალებოდა ღმერთის ხსენება, სამშობლოს სიყვარული, ირგვლივ კი მრავლად იყვნენ ჭოტები, ყვავები, ყორნები, კატები, ფინიები.

ეროვნულ ტრაგედიაზე მიგვანიშნებდა ქარისაგან ყაჩაღივით აკლებული, მიტოვებული ბაღების სახეებით (ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით). მიტოვებული ბაღი ღმერთისაგან მიტოვებული ადამიანის სულია.

ჰგოდებდა „ქვეყნის უკუღმართობას“, დაღუპვის გარდუვალობას, აღაშფოთებდა კოსმიური ავდარი, მთელი პლანეტის ბედი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

ტოტალურ კატაკლიზმებს, წინაპარი კლასიკოსების დარად, ღმერთის უარყოფით ხსნიდა, რუსული ბოლშევიზმის ბაცილებით გადაგვარებას, უღმერთობას სიმბოლურად შემდეგნაირად გამოხატავდა: „ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, მზე თითქოს გაქრა, მზემ ცა დატოვა, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესღაც, ქარისაგან იღუპება ტოტი, ახლა ვხედავ ხის გაძარცულ შტოებს, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი, და ძველებური სახლი იქცევა, გამქრალი ზაფხულის (ზაფხული საღმრთო სახელია), ზამთრის სიცივის ქვეტექსტებით გვაგრძნობინებს ეროვნულ –სარწმუნოებრივ ტრაგედიას.

პოეტს ეზმანებოდა სიავის აღსასრული, ქართველი ერის– ლაზარეს აღდგინება, რწმენისკენ მიბრუნება: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს)(2,246).

ბოროტების იმპერიის დანგრევაზე ოცნება ასოცირდებოდა ბიბლიური ბაბილონის დაცემასთან, მის ნანგრევებზე ყორნების ჩხავილთან („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“) (2,85).

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: „ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“. თავის მარადიულ სავანედ ესახებოდა „ზეციური სახლი, ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა“.

მაგრამ, ამასთან, ყოველ ადამიანს აქვს თავისი მიწიერი სამშობლო, წალენჯიხიდან, ზუგდიდიდან დაწყებული მისი გზა თბილისზე გადის და ქვეყნის ამ მთავარი მაგისტრალიდან მიერთვის მსოფლიოს და უსაზღვროს.

ტერენტი გრანელი ილია ჭავჭავაძესავით ხედავდა საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს, „უხილავ საქართველოს“.

მისი დევიზი იყო: „სამშობლოს დაცვა და აყვავება“, რისთვისაც მარტო სიტყვით კი არა, საქმით იბრძოდა 1918წელს, რათა ბათუმიდან იარაღით განედევნა თურქი ასკერები.

იგი გრძნობდა სამშობლოს ტკივილს, უფსკრულს და სათაყვანებელი ქვეყნის სიდიადეს დარდის თანხლებით მოიაზრებოდა: „და საქართველო ჩემთვის დიდია და საქართველო ჩემთვის დარდია, ზოგჯერ კი სამარედ აღიქვამდა მშობლიურს.

21-ის, 24-ის, 30-იანი წლების ტრაგედიების მომსწრე ყალი პოეტები ხალხს არწმუნებდნენ, ჩვენი სიცლცხლის ხე ყვავისო, ტერენტი გრანელი კი გულისტკივილით წერდა: „მოკვდა სამშობლო მხარე“, „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია“.

პოეტს „ლურჯ გალიად“ ეჩვენებოდა დედამიწა, აღაშფოთებდა „სისხლით დაფენილი გზები და შარა“, „სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების“, ამხელდა ხელისუფლების

ტირანიას, „ქვეყნის უკუღმართობას“, უნიჭო მჯღაბნელები კი რენეგატი კომუნისტების ხოტბაში ცვეთდნენ კალმებს.

ტერენტი გრანელს აქვს ჩვენს სულთან, დღევანდელ პრობლემებთან შემხები საოცარი სტრიქონები: „შრება სისხლისგან გული–აუზი და მიპყრობს ქუჩა, ვით თაფლი ფუტკარს, თითქმის ყოველდღე სასაფლაოზე ვხედავ მათხოვარს და პროსტიტუტკას“.

ნებისმიერი დიდი პოეტი, მოაწერდა ხელს გაუცხოების თემაზე შექმნილ ტერენტი გრანელის შედევრებს: „ის იღუპება, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება“, „მოდის ფარული ეს გამწარება, ვეძებ თანამგრძნობ მეგობრის ხელებს“, „სხვა მეგობარი მე არ მყოლია, მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი, უფრო ხშირია მელანქოლია და გაფიქრება შეუძლებელის“, „რა ვქნა, გრიგალში გული ვატკინე და ჩემი ფიქრი ცისკენ წავიდა, ახლა ხომ კმარა, რაც მოვითმინე, მეტ დამცირებას ვეღარ ავიტან“.

გაუცხოების გვირგვინია საოცრად მიგნებული „უცნობი სფინქსი“.

ტერენტი გრანელი ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო.

მან ზუსტად იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვის განსაზღვრაში მხოლოდ ხუთი დღით შეცდა.

პოეტმა განჭვრიტა თავისი მომავალი დიდება („მე წავალ სხვანაირ სახით, ჩემს წასვლას დიდება მოსდევს“), თბილისში დასაფლავება („მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე, რომ დამაყრიან თბილისის მიწას“), იწინასწარმეტყველა მომავლის კატაკლიზმები, ღმერთისკენ მიბრუნება, დაქირავებული პროლეტარული პოეზიის აღსასრული.

ტერენტი გრანელი ერთდროულად ხედავდა ცას და მიწას, სულს და ხორცს, წარმავალს და მარადიულს, „გონიერ ზეცას“: „რა ბრწყინვალეა ცა იქაური“.

პოეტი ჭვრეტდა საკუთარ აჩრდილს, ლანდებს, სულიერ და ეთერულ სხეულებს, სულის გაფითრებას, წვდებოდა უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

მან დალანდა ბედის მწვერვალი, უსაზღვროება, სიცოცხლის ბოლო, იგრძნო, რაც იქნებოდა გარდაცვალების შემდეგ.

ტერენტი გრანელი ფრენდა სულით, მოგზაურობდა ასტრალური სხეულით, ამიტომ ხშირია მის პოეზიაში „ლოცვა გაფრენისთვის“, „ექსკურსია ცისკენ“, „ბარათი ცისკენ“.

ცხოვრება დარდისთვის, გლოვისთვის მეტ საფუძველს იძლეოდა და პოეტის ხილვები ცრემლითა და ნაღველით იყო შეფერილი: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით, და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის, დროა, გრიგალმა მაღლა აგწიოს, როგორც ოცნება დიდი ნაღველის, ჩუმად ძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით, და ჩემი სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად“.

ეკლესიასტე გვმოძღვრავს: „ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლშია, უგუნურთა ფიქრები მხიარულების სახლში“ (6,484).

ღმერთთან ახლო მდგომ მცირერიცხოვან პოეტებში უპირველესია ტერენტი გრანელი, რითაც განაღდებული ჰქონდა სამოთხე: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“.

ქართველი ხალხის დიდ გულისტკივილს დიდი მკურნალობა სჭირდება უპირველესად ღმერთით, რწმენით, მადლით, ცრემლით, სიტყვით და სიკეთის ის ფლუიდები, რაც ასე უხვად იფრქვევა ტერენტი გრანელის პოეზიიდან, ჩვენი გაბზარული გულის განახლების უპირველეს წამლად უნდა ვიგულვოთ.

„ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, მას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია“, აცხდებდა კონსტანტინე გმსახურდია.

„მწერალი ჰგავს ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვეღარ დააწყნარა“, გვარწმუნებდა მიხეილ ჯავახიშვილი.

უეჭველია, რომ სულიწმიდის მადლია ტერენტი გრანელის შემოქმედებაში და მისი ლექსებიდან დაძრულ გრიგალს დაცხრომა არ უწერია.

ვფიქრობთ, ბედნიერია ყოველი კაცი, ვინც შეისუნთქა პოეტის სამყაროდან მონაბერი ზეციური ქარი.

„ტირილში წასვლა სჯობს ლხინში წასვლას, რადგან იქ არის ბოლო კაცისა“ (ეკლესიასტე, 7,2).

„ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.

„ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა“ (ეკლესიასტე, III, 1,3) (ბიბლია, 1990:47).

გალაკტიონი ხედავდა ძე ღმერთის – „მომავლის ჩრდილის“ მჭმუნვარებას, ყოვლისმხილველ უფალს აძრწუნებდა ადამიანთა უზნეობა, უზენაესის დავიწყება (მიმღერე რამე) (გალაკტიონ ტაბიძე, „პოეზია“, თბ. 2014,გვ. 18).

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელშიც“ მუდმივად აქცენტირებულია ის, რომ ადამიანთა უზნეობის გამო ქრისტე მუდმივად ჭმუნავდა.

ტერენტი გრანელის სევდა–გოდება პირადული კი არ არის, არამედ ეროვნული და საკაცობრიო მასშტაბებისაა.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, თბ. 2012
3. ლაო–ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1983
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული „მერანი“, თბ. 1982
6. ბიბლია, თბ. 2013

ზურაბ ავალიშვილი რუსთაველის მანიქეველობის თეორიაზე
On Zurab Avalishvili's Theory of Rustaveli's Manichaeism

ტიტე მოსია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის აკადემიმოსი
Tite Mosia
Associate Professor of Sukhumi State University,
Academician of Jumber Lezhava International Scientific Academy

ნ. ჟორდანიას წიგნის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ ანუ 1931 წელს პარიზში გამოდის ზურაბ ავალიშვილის „ვეფხის ტყაოსნის“ საკითხები“, სადაც იგი რუსთაველის რელიგიურ მსოფლმხედველობასაც ეხება.

წიგნში შესულ ერთ–ერთ ნარკვევში ზ. ავალიშვილი განიკითხავს პ. ინგოროყვას მიერ სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილ რუსთაველის მანიქეველობის თეორიას. ემიგრანტი მკვლევარი მანის შესახებ წერს: „მანი, სარწმუნოებათა ისტორიის ერთი დიდ სახეთაგანი, დაიბადა ბაბილონს 216 წელს, 242 წელს დაიწყო ახალი რელიგიის ქადაგება, რომელიც ძველ სპარსულ სწავლას ორი მეტოქე დასაბამისა ანუ პრინციპისა – კეთილისა და ბოროტისა – და ქრისტიანულ უკიდურეს ასკეიკას აერთებდა. თვით მანი სპარსეთის ცეცხლის – მსახური მეფის ბაჰრამ მეორის მიერ სიკვდილით იქნა დასჯილი 273 წელს. მისი სარწმუნოება და ეკლესია, ყველგან სასტიკად დევნილი და ბოლოს ყველგან მოსპობილი, მესამე–მეოთხე საუკუნეებში დიდი ფაქტორი იყო საერთაშორისო სარწმუნოებრივ ცხოვრებაში... კათოლიკე ქრისტიანობასთან ბრძოლაში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში, მანიქეველობა დამარცხდა... მანის სწავლის მიერ მსოფლიოს აგებულობაში კეთილი და ბოროტი დასაბამის დაპირისპირება ბოროტის ერთგვარი გაღმერთებით და პესიმიზმის გაღრმავებით, მონოთეისტურ ღმერთს, ყოველთა შემქმნელს და ყოვლისა მპყრობელს, უეჭველად ამცირებდა და ამისათვის ქრისტიანობის და შემდეგში ისლამის თვალსაზრისით სახიფათო რამ და მავნებელი იყო“.[1]

ზ. ავალიშვილი თავიდანვე გვარკვევს, რომ პ. ინგოროყვას მიერ წამოყენებული დებულება რუსთაველის მანიქეველობაზე მისთვის კატეგორიულად მიუღებელია. ასევე, იგი უარყოფს ჰერეთის ერისთავის შოთა კუპრის და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შოთა რუსთაველის ერთმანეთთან გაიგივების მტკიცებულებებს. მკვლევარი აანალიზებს იმ მასალებს „ქართლის ცხოვრებიდან“, რასაც ემყარება პ. ინგოროყვა და გამოაქვს დასკვნა, რომ ამ ორი პიროვნების გაიგივება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

გაკვირვებული ზ. ავალიშვილი შენიშნავს: „მანიქეური „შეიხობის“ მისაღებად დევნილი შოთას ბაღდადს მისი ბიოგრაფის მიერ გადასახლება სულ უმიზეზო რამ და არა მიზანშეწონილია“.[2]

რაღას ვაგრძელებ? სჯობს ზ. ავალიშვილის დასკვნის გამეორებით შემოვიფარგლოთ: „ამ შოთა ჰერეთელის მანიქეველობის „მანის ფერობის“ და „კუპრობით“ დასაბუთება უიმედო და ამაო საქმეა. მისი განდგომილება და„გამანიქეველობა“ იქ, სადაც ეს „რუსთაველიანის“ ავტორს ჰსურს, ე. ი. „ბაღდადის ქვეყანაში“, დროისა და ადგილის მიხედვით შეუძლებელია. მართლაც რომ მომხდარიყო, ეს უფრო მონგოლთა ხანაში იქნებოდა (თეორიულად) საფიქრებელი. ხოლო თუნდაც ამ შესწორებით ეს ჰიპოთეზა (შოთა ჰერეთელ–რუსთაველის მანიქეველობისა) ყოველივე საფუძველს არის მოკლებული და ქართული ქრონიკის განხილულ ცნობებით სრულებითაც არ მტკიცდება. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში (ე. ი. მონგოლთა ბატონობის დროს სადმე შუა – აზიაში რომ განდგო-

[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 44
[2] იქვე, გვ. 49

მილიყო ეს ჰერეთელი შოთა), ის ადრე, თამარის ეპოქაში, 1206–7 წლებში „მანიქეური“ მიმართულების „ვეფხისტყაოსანსაც“ ვერ დასწერდა“.[3]

ზ. ავალიშვილს რუსთაველის მანიქეველობაზე ყოველივე ზემოთ თქმული საქმის ფორმალურ მხარედ წარმოუდგენია. ამის შემდეგ უმთავრეს ყურადღებას იგი „ვეფხისტყაოსანს“ მიაქცევს: „უმთავრესი ჩვენი ყურადღება კი უფრო თვით შოთას ქმნილებას უნდა მივმართოთ. მართლაც, რუსთაველის ცხოვრების ძეგლი „ვეფხისტყაოსანია“ და თუ კი ამ პოემაში მანიქეველობის ცხადი კვალი არ აღმოჩნდა, მაშინ ხომ სულ ერთია, რა იყო შოთა, კერძო პირი: მანიქეველი, ბუდისტი თუ ანა-ბაპტისტი“.[4]

ზ. ავალიშვილი მკითხველის ყურადღებას, უპირველს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ მზის ტაეპებზე ამახვილებს: მანის სწავლაში ბნელისა და ნათლის დაპირისპირებას, მათ ბრძოლას უდიდესი ადგილი ეკუთვნის და, ბუნებრივია, რომ ამ სწავლის გავლენა ვეფხისტყაოსანში იქ ვეძიოთ (თუ კი ერთია მიზანი), სადაც მეტი სინათლეა – მზის ტაეპებში. ბატონი პ. ინგოროყვაც აქეთკენ იყურება. დიდი აღტაცებით იმას უსვამს ხაზს, რომ შვიდ მნათობთა შაირებში ავთანდილი პირდაპირ მიმართავს ლოცვათ მზეს, როგორც ღმერთსო“.[5] ნიმუშად პოემიდან დამოწმებულია: „ეუბნების, ეტყვის მზესა: „ჰა, მზეო, გეაჯები“.

ზ. ავალიშვილი ამასთან დაკავშირებთ შენიშნავს, რომ პ. ინგოროყვას ერთი ხელნაწერის მიხედვით, ჩაუსწორებია მზის ნაცვლად, „აჰა, ღმერთო“ უნდა იყოსო და ეს სავსებით უდგება მანიქეიზმის თეოსოფიასო. მკვლევარი იქვე სვამს კითხვას: მარტო მანიქეიზმისა? და სხვა ნამდვილ მზის მსახურთა „თეოსოფიას“ არ უდგება? ნუ თუ ჰგონია, რომ მათი სია მოკლე იქმნებოდა?

ზ. ავალიშვილი იქვე განაგრძობს: „მაგრამ საქმეც ისაა, რომ მანიქეველები მზეს ღმერთად არასოდეს არ სთვლიდნენ; კარგად ცნობილია, რომ მათი რწმენით ღმერთი იყო „სინათლის სამოთხეთა მეფე“; მზეს კი ეთაყვანებოდნენ, ვითარცა „უდიდეს ნათელ სხეულს“ და ღვთის სინათლეს; ხოლო მათი ლოცვა ყოველთვის ღვთის და არა მზის მიმართ იყო. გარდა ამისა, სინათლის და სიბნელის კოსმიურ ბრძოლაში (რომლის ძირითადი აზრი მანიმ ძველ სპარსულ სარწმუნოებითგან ამოიღო) მზეც გარკვეულ სამსახურს ასრულებს, არა ღმერთისა, არამედ გამარჯვებულ „ნათელ ნაწილთა“ სამოთხისაკენ ამაღლებისა გზაზედ ერთი სადგურისა“.[1]

აქედან მკვლევარს გამოაქვს დასკვნა, რომ მზის მიმართ ეს „აჰა, ღმერთო“, სრულებითაც არ უდგება, ისიც „სავსებით“, „მანიქეიზმის თეოსოფიას“.

ზ. ავალიშვილმა მნათობისადმი მოწოდებანი ქარანელთა კულტის მწიგნობრულ ტრადიციას დაუკავშირა. ისიც აღნიშნა, რომ ძველი რწმენით თითო მნათობი საკუთარ ღვთაებას წარმოადგენდა. ამისი ერთი გამოძახილი „ვეფხისტყაოსანში“ უპოვია: „მთვარესა ეტყვის: იფიცე სახელი ღმრთისა შენისა“.

ზ. ავალიშვილს აკვირვებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, თითქოს თამარ მეფის „მზედ“ და „ქართველთა ღმერთად“ აღიარება ნიშნავდეს თამარის შედარებას იმ ღმერთთან, „რომელმაც შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“, „ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“. მკვლევარს ასევე აკვირვებს სუფიური მსოფლხედვის ძებნა საკარო და მგოსანთა ენასა და მეტაფორაში: „სუფიების მისტიციზმი, ჩვენთვის გაუგებარი და მიუღებელი, მაინც სხვა ხარისხის და მნიშვნელობის მოვლენა იყო **<u>ერთთან</u>** მისტიური შეერთება სრულებით არ იგულისხმებდა ნივთიერ, ცხელ და ნათელ მზეს, არამედ ტრანსცენდენტ ღმერთს „ერთს“:[2]

ნესტან–დარეჯანის წერილში (ტარიელისადმი გაგზავნილში ქაჯეთის ციხიდან) ნათქვამია:

„ღმერთსა შემვედრე, ნუ თუ კვლავ დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,

---

[3] იქვე, გვ. 50
[4] იქვე, გვ. 51
[5] იქვე, გვ. 52
[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, გვ. 53
[2] იქვე, გვ. 55

მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.
მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ, მისი ეტლი, არ თუ წბილი.
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი“.

პ. ინგოროყვას თანახმად, ამ სტრიქონებში გატარებული აზრები თითქმის პირდაპირ ამოღებულია მანიქეურ თხზულებითგან. ზ. ავალიშვილისთვის ეს კონცეფცია მიუღებელია: „აქ მართლაც რომ რუსთაველს შემთხვევა ჰქონდა რამე მანიქეური ეთქვა! მაგრამ ერთი წერტილიც არ არის ამ სტროფებში – შოთას ამ ერთ უმაღლეს მიღწევაში – მანის გავლენის მაჩვენებელი“.[1]

ამის შემდეგ ზ. ავალიშვილი საუბრობს რუსთაველის მიერ ნახსენებ ოთხ ელემენტზე (მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი), რომელიც ემპედოკლედან მომდინარეობს და შუა საუკუნეებში ყველგან იყო მიღებულიო, მათ შორის ქართულ სინამდვილეშიც, მას იმეორებს რუსთაველიც. მანის მოძღვრება კი აღიარებსო ორგვარ ელემენტს, ზოგი ღვთისაა, ზოგი კი მისი მოწინააღმდეგე სიბნელის სამეფოისა. ღვთის ძალა ხუთ ელემენტს სთვლის: ჰაერის სუნთქვას, ქარს, სინათლეს, წყალსა და ცაცხლს. სიბნელესაც თავისი ძალა აქვს სხვა რამეებში გამოიხატება.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ დამოწმებულ სტროფებზე მსჯელობისას ზ. ავალიშვილი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ ტაეპების არსის გასაგებად სუფიების მსოფლმხედველობის ხსენებას, ანუ მანის მიერ აღიარებული სინათლის მატერიალიზმს.[3] მკვლევარმა მკითხველის ყურადღება განგებ გადაიტანა მანის მოძღვრების თავისებურ ფანტასტიკასა და ზღაპრულ–მხატვრულ მხარეზე. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ რუსთაველის პოემაში მანიქეიზმის კვალი არსად შეინიშნება, მითუმეტეს, დამოწმებულ მზიან ტაეპებში. იგი წერს: „შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა და უკეთესია სულ გვერდზე დავტოვოთ – ის უკიდურესი წინააღმდეგობა, რომელიც მანიქეიზმის ასკეტიკას, ამ დევნილთ, პირ–მკთალ სეკტანტთა სულიერ განწყობილებასა და რუსთაველის გმირთა სულის–კვეთებას ურთიერთისაგან ჰყოფს, მართლაც რომ „შუა უზის დიდი მზღვარი“.[4]

მანიქეველობის თეორიის გასაბათილებლად ზ. ავალიშვილი მოითხოვს რუსთაველის ღმერთზე, მის რაობაზე ღრმად დაკვირვებას. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ წმინდა სამება არსად იხსენიება, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცესო რუსთაველის მიერ **ღმერთი ერთის** აღიარებას, რომლითაც იმთავითვე უარყოფილია მანის დუალიზმი. ე. ი. ორის, ორი მეტოქე პრინციპის ცნობა და ორთა – ნათლისა და ბნელის, კეთილისა და ბოროტის – თითქმის თანაბარი გაღმერთებაც.[5]

ავტორის დასკვნით, რუსთაველის ძირითადი აზროვნება, მისი **ერთის** რელიგია ნამდვილი უკუგდებაა მანის სწავლისა. შოთას ღმერთი **ერთია** და არა მსოფლიოს, თუ ასე ითქმის, მონახევრე, როგორიც აუცილებლად არის ყოველი დუალისტური ღვთაება.[6] მისი დასკვნები დაფუძნებულია პოემიდან დამოწმებულ შესაბამის ტაეპებზე („ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“).

ტაეპები, რომელთაც ქვემოთ მოვუხმობთ, ზ. ავალიშვილს მოაგონებს პეტრე იბერიელის (ფსევდო–დიონისე არეოპაგელის) წიგნს „საღმრთოთა სახელთათვის“.

„გულითა ღმერთსა ადიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი,
სთქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი,
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,
წყალობა თქვენი იჩქითად არს ჩვენი გარდმომფენელი;

[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, გვ. 55
[2] იქვე, გვ. 56
[3] იქვე, გვ. 58
[4] იქვე, გვ. 60
[5] იქვე, გვ. 61
[6] იქვე

ასმათ სთქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა აგვავსებ მზეებრ ფენითა;
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელი სმენითა!“

გამომდინარე აქედან, ზ. ავალაშვილის თანახმად, ირკვევა **ქართული ქრისტიანული განათლების** ზეგავლენა რუსთაველის პოემაზედ.[1] მკვლევრის თქმით: „მანიქეური ანუ, საერთოდ, რომელიმე გარკვეული სარწმუნოებრივი ტენდენციის ძებნა „ვეფხისტყაოსანში“ შემცდარი საქმეა და რომ შემთხვევით და მოულოდნელად იქ მართლაც მანიქეველობის გარკვეული კვალი აღმოჩენილ იყო, ეს უსათუოდ ან რომელიმე მწიგნობრული წყაროს უშუალო გამოძახილი იქნებოდა ან და რუსთაველის საპოეზიო საუნჯეში ძველი ქართული სიტყვიერებითგან მემკვიდრეობით შენახული, ადრინდელი რწმენის შემთხვევითი ნიშანი, ნასახი, მოგონება, ხოლო „მანიქეველობის“ დამტკიცება ამითი ძნელი იქნებოდა“.[2]

როგორც დავინახეთ, ზ. ავალიშვილი უარყოფს რუსთაველის მანიქეველობის პ. ინგოროყვასეულ თეორიას, გამორიცხავს მას საკმაოდ არგუმენტირებულად, ამასთანავე, მკვლევარი ქართული ქრისტიანული განათლების ზეგავლენას ხედავს „ვეფხისტყაოსანში“. მის ნაშრომში არსად არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ რუსთაველი იყო ჭეშმარიტად ქრისტიანი პოეტი, ბიბლიაზე და ქრისტიანულ კულტურაზე აღზრდილი. უფრო მეტიც, ზ. ავალიშვილი კატეგორიულად გამორიცხავს, საერთოდ, რომელიმე გარკვეული სარწმუნოებრივი ტენდენციის ძიებას „ვეფხისტყაოსანში“. ამით იგი მიუახლოვდა ნ. ჟორდანიას განაცხადს: რუსთაველი იყოო ურელიგიო პოეტი.

[1] **ზ. ავალიშვილი,** „ვეფხისტყაოსანის“ საკითხები, გვ. 62
[2] იქვე, გვ. 66

"ათინათის" 51-ე გამოცემა
51st Edition of "Atinati"

გულნაზ ხარაიშვილი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი
Gulnaz Kharaishvili
President of the Jumber Lezhava International Scientific Academy
Member of the board of the Union of Writers of Georgia

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიამ, ჟურნალ "ათინათის" ახალი ნომერი გამოსცა...თუმცა, ახალ გამოცემას ჟურნალს ვეღარ დავარქმევთ, რადგანაც "ათინათი" ახალი (განსხვავებულ) ფორმატით, სქელყდიანი წიგნის სახით გამოიცა. ამიტომაც, უფლება გვეძლევა, რომ ვქვათ "ათინათის" კრებული გამოიცა... კრებულის გარეთა ყდებს, კვლავაც (ბატონ რეზო ადამიას მიერ დახატული) წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის გამოსახულებები ამშვენებს... "ათინათის" 2024 წლის პირველი (რიგით 51) ნომრის მთავარი რედაქტორია – გულნაზ ხარაიშვილი; რედაქტორი-ნანა სხირტლაძე; პასუხისმგებელი მდივანი– რეზო ადამია; სწავლული მდივანი– მალხაზ ჩხიტუნიძე; რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი-მამა ამირან ამირანაშვილი; საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები: თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) და თემურ გოგსაძე; სპორტის განყოფილების რედაქტორი-თენგიზ ფანცულაია; სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები: ტიტე მოსია და ლუარა სორდია; ლიტერატურისა და პუბლიცისტიკური წერილების განყოფილების რედაქტორი-ეთერ ჭელიძე; მთარგმნელობითი განყოფილების რედაქტორი – მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი; ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: ნიკო ხერკელაძე და გულიადა სანოძე; მედიცინის განყოფილების რედაქტორი – ნაირა უგულავა; ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი-ვალერი მოსიაშვილი; იურიდიული განყოფილების რედაქტორი– ირაკლი ნადარეიშვილი;

სარედაქციო კოლეგიის წევრები: ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი), იური მამედოვი (აზერ-ბაიჯანი), მარინე სხირტლაძე(საქართველო) და ლამაზირა შეყილაძე (საქართველო); კომპიუტე-რული უზრუნველყოფა– დათო ყანდაშვილი;

გარეთა ყდის შიდა გვერდზე, "ათინათის"ახალ გამოცემაში ბინა დაიდო, მხატვარ რეზო ადამიას მიერ დახატულმა, შოთა რუსთაველის პორტრეტმა, რომელიც ერთი შეხედვით, უფლის ხელთუქმნელ ხატსაც კი წააგავს... მხატვრის მიერ, დიდი შოთას, ახლებური (რეზო ადამიასეუ-ლი) შექმნილი პორტრეტი, რეალურად ახალ სათქმელს ამბობს უკვდავი "ვეფხისტყაოსნის" ავტორის, ამოუცნობი, გენიალური აზროვნების მქონე პიროვნებაზე...ასევე, გარეთა ყდის შიდა გვერდზე (წიგნის ფინალურ ნაწილში),თვალში მოსახვედრია დიდი შოთას უკვდავი სიტყვები: "ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია"... იქვეა განთავსებული, დიდი პიროვნების, მსოფლიო მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას ფოტო, რომელიც ეგვიპტის პირამიდების ფონზე, გაშლილი ხელებით, სრულიად სამყაროს ესალმება (ეფერება)... ამავე გვერდზეა განთავსებული, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი-"აკადემიის წევრების ფიცი", რომელიც ინგლისურ ენაზე, ქალბატონმა მზია ლოურენსმა თარგმნა...

"ათინათის" ახალი კრებული, ტრადიციულად სასულიერო პირთა შემოქმედებით იწყება... ყურადღებას იპყრობს, ხატმწერების: ხატია, გელა და გიორგი ლარიაშვილების მიერ დაწერილი– წმინდა ნიკოლოზის, შობის და აღდგომის, ულამაზესი ხატები, რომელთაც დაბა წყნეთის (მერვე საუკუნის) წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში დაიდეს ბინა... ამავე ნაწილში, ყურადსაღებია წმინდა მამა გაბრიელის (სალოსის) ქადაგება, რომელიც მრევლს მოგვიწოდებს:" თქვენ რომ ხედავდეთ, როგორი მადლი გადმოდის წირვის დროს, მზად იქნებოდით ტაძრის იატაკზე მტვერი შეგეგროვებინათ და იმით სახე დაგებანათ"...სასულიერო ნაწილში განთავსებულია, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლოკოს-პქტრიარქის, ილია მეორეს ქადაგება:"მე მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ არ გაუტყდეს გული, ყველაფერი ეს განსაცდელი, რაც გვაქვს, ყველაფერი გაივლის და ღმერთი გადმოგვხედავს, მე ასევე მინდა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეთ, აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, შური არ უნდა ვიძიოთ. ბოროტებით ბოროტება არ იკურნება, ბოროტება იკურნება სიყვარულით, ერთმანეთს გავუკეთოთ სიკეთე, შეიძლება ღირსიც არ არის ის, ამ სიკეთისა, მაგრამ ათმაგად შენ დაგიბრუნდება. არ შეგეშინდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. გიყვარდეთ ერთმანეთი!".. აქვე წავიკითხავთ, მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) მოწოდებას:" ქრისტე ღმერთმა დაგვიფაროს, გვაკურთხოს და გაგვახაროს; – სამარადისოდ – ამინ"...

"ათინათის" დასაწყისშივე დაბეჭდილია, პირადად ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "შევქმენ ჟურნალი", რომლშიც ასე მივმართავ მკითხველს:

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა...

"ათინათის" ახალ კრებულში, მკითხველი გაეცნობა, ჯგუფი ზღვარის ახალ ლექსებს... ჯგუფი ზღვარის შემოქმედება წარმოდგენიალია– სერგი ლომაძის, კახა ბაციკაძის და გიორგი ზუხბაიას, ულამაზესი პოეზიით...

"ათინათის" პოეზიის განყოფილებაში განთავსებულია, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირების, ძალიან ლამაზი ლექსები... პოეზიის ნაწილში დაბეჭდილია, ისეთი პოეტების შემოქმედება, როგორებიც არიან: მამა ამირან ამირანაშვილი, ბერდიაკონი ნეოფიტე, ნანა ცინცაძე, ეთერ ჭელიძე, ნაირა უგულავა, ნელი საგინაძე, გულიკო კაპანაძე, ხათუნა თედიაშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, მალვინა ჭელიძე, გერონტი მესხი, ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი, დარეჯან ღონღაძე, ნელი ტორონჯაძე, თემურ გოგსაძე, ია მაჭარაშვილი, მაგული კორძაია, ლამზირა შეყილაძე, ირმა ტყემალაძე, ვალია კვაშილავა, ნორა (ნორიკო) მგელაძე, მზია გირგვლიანი, ნინო ქინქლაძე-ჭიღიტაშვილი, ლეილა ვადაჭკორია, გიგი თეთრაძე, მანანა სამყურაშვილი, მირზა ვარძუკაშვილი, ანზორ შერვაშიძე, ბესო ჩუბინიძე, გვანცა პაატაშვილი, ნესტან გეგეშიძე, დარეჯან მაჭარაშვილი, ნატალია ფიფია-სამუშია, თეა ბარბაქაძე, ბელა მოდებაძე, ლეილა-ლიკა მაჩაიძე, ნინო მოსაშვილი, ნინო უძილაური, მზია ელიაძე, ეთერ ისაკაძე, თამრო ნიჟარაძე, ვერიკო პარწიკანაშვილი, ეთერ გაჩეჩილაძე, მარინა კოლხელი, მარინა დიერაშვილი, მთვარისა ზეინკლიშვილი, ეკა სურამელი, ლალი სოხაძე, გოჩა ჭაბუკაიძე, თამარ ფიცხელაური, ნესტან ხარებავა, თინა ბასაბიშვილი, ირინა ბერიანიძე, მზია გომართელი, ლია ალადაშვილი, ელენე ზურაბიშვილი, ლია შენგელიძე, გიორგი დემეტრაშვილი, თინა

სტეფლიანი, ნინა გაჩეჩილაძე, ნანა გიგუაშვილი, ლიკა აკობია, ია მოსულიშვილი, რუსუდან ჯანელიძე, ბეჟან ხარაიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი.

მიძღვნით ნაწილში, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის პოეზიით, ვეფერები ისეთ პიროვნებებს, როგორებიც არიან: უწმიდესი და უნეტარესი –ილია მეორე; მამა ამირან ამირანაშვილი და მამა დავით ადამაშვილი; დიდი მოგზაური– ჯუმბერ ლეჟავა; ჩემი საყვარელი პატარები– იოანე, ნენე და დანიელი; სოსო და ბექა მექვაბიშვილები; ჩემი საყვარელი გვანცა; მზია კვირიკაშვილი-ლოურენსი; ჩემი საყვარელი –ია ექიმი; ეთერ ჭელიძე; ჩემი დათო და ცირა; ერეკლე საღლიანი და მზია გირგვლიანი; ნანა გაჩეჩილაძე; დავით ახლოური და სხვები...

თარგმანების განყოფილება, მთლიანად ეთმობა, უნიჭიერესი ქალბატონის, მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის, შეუდარებლად მაღალ დონეზე თარგმნილ პოეზიას.მათ შორისაა, შემდეგი პოეტების ლექსები: გულნაზ ხარაიშვილი (3 ლექსი), ბეჟან ხარაიშვილი (3 ლექსი), მაგული კორძაია (3 ლექსი), ნანა გიგუაშვილი (2 ლექსი), ია მოსულიშვილი (ლექსი), ნინა გაჩეჩილაძე (2 ლექსი), ირინა ბერიანიძე (2 ლექსი), თამარ ფიცხელაური (2 ლექსი)...

საბავშვო ნაწილი წარმოდგენილია, მარინა დიერაშვილის "ლოგიკური რითმებით" და ლექსით "დედა ენა", რომელშიც ლამაზ სტროფებს წავიკითხავთ:

"გულის გულში ჩაბნეული მარცვლებად,
ქართველობის ნიშია და გენია,
ჩაკირულა, გონებაში ჩართულა,
დედა ენა სიბრძნედ შემოგვრჩენია."

ხსოვნის, "არდავიწყება მოღვაწეთა" ნაწილში, გავეცნობით, გარდაცვლილ ადამიანებისადმი მიძღვნილ წერილებს და მათ შემოქმედებას...ყურადღებას იპყრობს, მეუფე თადეოზის ლექსი "ფიროსმანის ფიქრები", სადაც ასეთ სტროფებს ამოიკითხავთ:

"ქვეყნად უმიზნოდ ვიცხოვრე განა,
განა უმიზნოდ გავცვითე ფუნჯი?
ვხატე ქალაქი, სოფელი, ყანა,
ყანაში გლეხი-სიკეთის ბურჯი."

ამავე ნაწილში წავიკითხავთ დავით გამთენაძის პოეზიას, სადაც ასეთ სტროფებს შევხვდებით:

"გაჩენის დღიდან მხარზე მაქვს სურა
და ყოველ დილით შენთან ვიჩქარი,
ანგელოზები თეთრ ფრთებს მახურავს,
ჩამომაქვს მთიდან ანკარა წყალი"...

აქვე გავეცნობით ედუარდ უგულავას წერილს, რომელიც უნიჭიერესი პოეტის, თემურ ჩალაბაშვილის, ხსოვნას ეძღვნება...თემურ ჩლაბაშვილის ხსოვნას ეძღვნება,ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის ლექსი "იმედის სანთელი", რომლითაც მოკრძალებით ვეფერები დიდი პოეტის მართალ სულს:

პირველ იანვარს შეხვდები ბეჟანს
და გაგახსენებს ახალგაზრდობას,
დრომ და ცხოვრებამ ის ადრე ჟეჟა,
ბედს არ ცოდნია თემურ დანდობა.

იმედის სანთელს მე კვლავ დავანთებ,
დეკემბრის სუსხმა ადრეც მატირა,
შენი ვარსკვლავი თბილისს ანათებს,
შენ ისევ მოხვალ...მოხვალ აპრილად!

პროზის ნაწილში განთავსებულია, კლასიკოსი მწერლის, რევაზ მიშველაძის რომანი "წამება" (დასაწყისი იხილეთ ჟურნალ "ათინათის" 28-32, 45-50 ნომრებში)...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, პროზაული ნაწარმოებები, რომელთა ავტორებიც არიან: ხათუნა ჩიტაძე, ლია ჩიქოვანი-გოგრიჭიანი, ია მაჭარაშვილი, მაგული ჯინჯიხაძე-გამთენაძე, ნინო ჭელიძე, ანამარია ლილუაშვილი, გვანცა ხარაიშვილი, იზა ვეფხვაძე...

პუბლიკის ნაწილში, დაბეჭდილია, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის წერილი,რომელიც აკადემიის კურთხევის ლამაზ, მართლმადიდებლურ, ცერემონიას ეხება...აკადემია შექმნისთანავე აკურთხა, ფშავხევსურეთის მიტროპოლიტმა-მეუფე თადეოზმა... შემდგომში აკადემია აკურთხეს მამებმა– მერაბ დეკანოსიძემ და ამირან ამირანაშვილმა...წელს აკადემია გვიკურთხა მამა დავით ადამაშვილმა, რომელიც მეუღლით და პატარა ანგელოზით გვესტუმრა...ვუყურებდი ჩემი შვილის მოსახელე მამა დავითს და ვგრძნობდი ღვთის ძალით ვივსებოდი...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის წერილები: აფხაზეთი ქართულად ამღერდება; როცა მეუღლე გიყვარს; მე სულით მდიდარი ვარ; ნანა გიგუაშვილის ბენეფისი; მალხაზ ხარაიშვილის იდეა; სიახლე აკადემიაში; გზა მომავალს; ჩემი მეკვლე; სიხარულის ემოციები; შენ რომ გეცოცხლა; როცა სიყვარული გიხმობს; ასეთი დედა ვარ; უნდა გაჩუქო; დარდი გამიფანტე ბელა; მადლობა ნანა სხირტლაძეს;

წერილების განყოფილება, იწყება ლუარა სორდიას წერილით: "სულთა სიახლოვე გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სულიერი ნათესაობის ერთი ასპექტი"...წერილში ლაპარაკია, გალაკტიონის და ტერენტი გრანელის შემოქმედებით ნათესაობაზე, სულიერ სიახლოვეზე, რომელიც მრავალ ასპექტში იქნა გამოვლენილი...ამავე ნაწილში დაბეჭდილია, რევაზ მიშველაძის წერილი "წინათქმა", რომელიც ნიჭიერი პოეტი ქალის, ნინო უძილაურის, ლამაზ შემოქმედებაზე მოგვითხრობს...აქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ, ჩემი, გულნაზ ხარაიშვილის შემაჯამებელი წერილი, რომელიც "ათინათის" 50-ე საიუბილეო გამოცემას მიუძღვენი...წერილში "დევნილობაში ამღერებული მუზები" ჩემს დამოკიდებულებას (სითბოს) გამოვხატავ, ანსამბლ "ლომისის" ხელმძღვანელის, შალვა ილურიძის მიმართ, რომელიც ამჟამად წეროვანში ცხოვრობს და რომლისთვისაც ქსნის ლამაზი ხეობა, კვლავ წარსულის ცრემლია...

"პირველადობის სიმბოლო! დასაბამისეულის სიღრმე!"ასე ჰქვია წერილს, რომლის ავტორიც, მწერალი, ხათუნა ელიაშვილი გახლავთ...წერილის შინაარსი დაგვაფიქრებს და დაგვისვამს არაერთ (ცხოვრებისეულ) შეკითხვას: "ვინ ვართ ჩვენ?! სადაა ჩვენი საწყისი?! რატომ გვიჭირს მისი მოძებნა, მისი აღქმა, მისი გააზრება, რანი ვართ ადამიანები?!".

"სიბრძნის სკივრში" განთავსებულია, ნაირა უგულავას "აისის აპელიოტი", რომლის დასაწყისი დაბეჭდილია "ათინათის" 49-50 ნომრებში და ანთოლოგიის მე-13 ტომში...წერილის დღევანდელ თემატიკას "კულტურა, ერი, ტრადიცია" წარმოადგენს. მწერლის სიტყვებით: " "კულტურას", რომელიც ადამიანს მორალურ-ზნეობრივ სახეს არ უნარჩუნებს, ვერ მივიჩნევთ კულტურად"...

"ათინათის" ახალ ნომერს დაემატა დრამატურგიის განყოფილება, სადაც განთავსებულია, ირმა კეკელიძის პიესა "ზეთის ხილნარი"...პიესა ეძღვნება აფხაზეთის ომში დაღუპულ, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ზურაბ ძამუნაშვილის ხსოვნას...

"შემეცნებითი სამყარო" წარმოდგენილია, ნაირა უგულავას "ბრალის თეორიით," სადაც გავეცნობით– სხვადასხვა მოტივსა და შინაარსზე აგებულ ბრალის ფორმებს (დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის 10-11-12-13 ტომსა და ჟურნალ "ათინათის" 38-50 ნომრებში)...

ისტორიის ნაწილში გავეცნობით, გოჩა ჭელიძის ნაშრომს" საქართველოს ისტორიის დიდებული მომენტები", სადაც ავტრის თქმით:"თამარ მეფის და ერეკლე მეორის შესახებ შემონახულ თქმულებებზე ახლო მომავალში ვისაუბრებთ. ამ ეტაპზე თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ გაზეთ "სანკტ პეტერბურგის უწყებანში" ერეკლე მეორეს შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებზე"...

სამართალმცოდნეობის ნაწილში განთავსებულია, ლალი ჩოდრიშვილის წერილი-" საკუთრების უფლების შეზღუდვა". ავტორის აზრით:" საკუთრების უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე აბსოლუტური და მნიშვნელოვანი უფლებაა"... ქალბატონ ლალი ჩოდრიშვილის მიერ მოწოდებული თემა, საინტერესო და აქტუალურია, არა მხოლოდ ქონების მესაკუთრეებისათვის, არამედ საზოგადოების ფართო წრისათვის...

ეკონომიკის ნაწილში დაბეჭდილია, ვალერი მოსიაშვილის წერილი-" კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა და განაკვეთების გაანგარიშების მეთოდები". ავტორს, ნაშრომში, წარმოდგენილი აქვს, თუ როგორ განისაზღვრება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, საბანკო პროცენტის დონე...ნაშრომი სიღრმისეულად გვასწავლის, თანამედროვე საქართველოში, ბანკების საპროცენტო პოლიტიკის მართვას...

ხელოვნების განყოფილებაში გაეცნობით, ირმა კეკელიძის წერილებს: "დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი" და "ვაჟიშვილი"..."დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილი" არის დოკუმენტური ფილმი, რომელიც 1993 წლის ოქტომბერში, სოხუმში, 9 აპრილის სახელობის სკვერში დახვრეტილი, ქართველი პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას მიეძღვნა. ავტორის სიტყვებით:" ეს არის ფილმი-სპექტაკლი, სრულფასოვანი რეჟისურით, სცენარით, ოპერატორის ლამაზი ხედვით...ფილმი-სპექტაკლი, გაჯერებულია, სამშობლოს სიყვარულს ზვარაკად შეწირული პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძის ლამაზი ლექსებით, კომპოზიტორ ია მაისაიას ულამაზესი მუსიკით...კომპოზიტორი ია მაისაია, თავადვე არის ფილმის პროექტის ავტორი და სულის ჩამდგმელი...ფილმის რეჟისორი-ზვიად მიქელაძე, სცენარის ავტორი-ნინო ხოფერია"...რაც შეეხება მეორე წერილი "ვაჟიშვილი" ეხება, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის, სახელმწიფო დრამატული თეატრში დადგმულ, იგივე სახელწოდების მქონე სპექტაკლს. პიესის ავტორი, თანამედროვე ფრანგი დრამატურგი ფლორიან ზელერი გახლავთ. სპექტაკლის რეჟისორია-მერაბ ყოლბაია...ამავე ნაწილში შეგიძლიათ იხილოთ: გიორგი ჩლაიძის, ნინო კუტალაძის, ელენე ზურაბიშვილის შემოქმედებითი ნამუშევრების ფოტოები...

ნორჩი "ათინათელები" წარმოგვიდგენენ თავიანთ ლამაზ შემოქმედებას. ვიხილავთ, ნინი ზეინკლიშვილის ლამაზ ნახატებს და წავიკითხავთ მის მიერვე დაწერილ ლექსებს...ამავე ნაწილში წავიკითხავთ ნორჩი მწერლის, გიორგი ქემქაძის, მუსიკალური შინაარსის ნოველას "დიდი ოჯახის ფორტეპიანო"...აგრეთვე ვიხილავთ, პატარა მხატვრის, ელენე მაისურაძის ნახატებს...

გახსენების ნაწილში განთავსებულია, ლამზირა შეყილაძის ლექსი "უსაშველოდ ენატრება დედას". პოეტის სიტყვებით:

"შვილო! ავად ვარ...და სული მტკივა,
დარდი და ცრემლი სულს მიზიანებს.
ახლა, რომ ფეხზე წამოგაყენა
ჩამიყუჩებდი სულის იარებს"...

ამავე ნაწილში, განთავსებულია, ჩემი პოეტური მოფერება, მარადიულ სიცოცხლეში მყოფი ჩემი შვილისადმი:

მოგონებები ინისლება სევდის მალულად,
დღე არ გავა, რომ არ მახსოვდე სულის არაკო,
ახლაც ფიქრები შვილო შენსკენ გამოპარულა,
არ დამეღალო, ლექსებით თუ გელაპარაკო!..

გილოცავთ "ათინათელებო" 51-ე ნომრის გამოცემას! დღეიდან უკვდავების გემით უნდა ვიმოგზაუროთ, სადაც მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაა, რადგან უფალს უბრალოება და თავმდაბლობა უყვარს. რეზო ადამიას მიერ შექმნილი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის და დედა-ღვთისმშობლის ხატები დაგიცავთ ამ გზაზე...

პატივისცემით, "ათინათის" მთავარი რედაქტორი–
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

სიმონ მილორავას შთამომავლობა
Descendants of Simon Milorava

ირმა კეკელიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის აკადემიმოსი
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი
Irma Kekelidze
Full professor of Sukhumi State University
Academician of Jumber Lezhava International Scientific Academy
Member of the Union of Writers of Georgia

სრულფასოვანი, მხატვრული ნაწარმოების (წიგნის) კითხვა, სიამოვნებას მანიჭებს, როგორც მკითხველს. ასევე სიამოვნება შეიძლება მომანიჭოს დოკუმენტურმა (რეალური ყოფის ამსახველმა) წიგნმა, რომელიც ბრძენ, ჭეშმარიტ პიროვნებას, მშობლიურ მიწაზე მყარად მოკიდებულ ადამიანს და მის შთამომავლობას ეძღვნება...

ლიტერატურულ ნაწარმოებში, პერსონაჟების ცხოვრებით და მოქმედების მსვლელობით ვართ დაინტერესებული. რაც შეეხება დოკუმენტურ– ბიოგრაფიული წიგნის წაკითხვისას, გამოგონებული პერსონაჟების ადგილს, რეალურ ცხოვრებაში (წარსულსა და აწმყოში) არსებული ადამიანები იკავებენ...კონკრეტულ შემთხვევაში (მეტ-ნაკლებად) ტენდენციური ვიქნები, რადგან წიგნის ავტორები, დები, მედიკო და ფლორა-ნაზი მილორავები (წიგნის რედაქტორი, მათი და, ნუნუ მილორავა), რეალური პერსონაჟები, იმ სოფლის, იმ მამითადის მკვიდრნი არიან, საიდანაც ჩემი ოჯახის და წინაპართა ფესვებიც მოდის... სადაც ჩემს ბავშვობაშიც, აწმყოშიც, დიდი სიხარულით მიმეჩქარებოდა და მიმეჩქარება...სადაც ძალიან მიყვარდა და მიყვარს ყოფნა...

წიგნის ავტორების თქმით, მთავარი გმირი: "სიმონ მილორავა გვარში დაფასებული, პატივსაცემი აზნაური გახლდათ. მისი მამული ჰექტრობით მონაკვეთზე გადაჭიმულიყო. მარტო ტყე, რომელიც ჩვიდმეტ ჰექტარს მოიცავდა, ნადირ-ფრინველით იყო სავსე, ისე რომ ცა არ ჩანდა თურმე... ნადირობა მხოლოდ სეზონურად შეიძლებოდა. ტყე, რომელშიც მუხის, აკაციის, კოპიტის, ჭადრისა და რცხილის ასწლოვანი ხეები ხარობდა, მილორავების სიამაყეს წარმოადგენდა...სიმონი თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად, ვანის რაიონის, სოფელ ტობანიერში ცხოვრობდა"...რადგან ვანის რაიონზეა საუბარი არ შემიძლია გვერდი აუარო და მოკლედ არ გავიხსენო ის ფაქტი, რომ ვანი ანტიკური ნაქალაქარია და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშიც ღირსეული ადგილი უჭირავს...ვანი მდიდარია სახელგანთქმული ადამიანებით, რომელთა ფესვებიც მის მიწას (მამითადს) მჭიდროდ არიან მიჯაჭვულები. მათი მცირედი ჩამონათვალიც საკმარისია, რომ ყველა მიხვდება, საქართველოს როგორ მაგიურ და გამორჩეულ კუთხესთან გვაქვს საქმე...ცნობილი ვანელები არიან: კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ჯემალ ქარჩხაძე, ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილი, კოლაუ ნადირაძე,გიორგი ნაფეტვარიძე, კარლო საკანდელიძე და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს...შემთხვევით გონებაში წამომოტივტივდა, მურმან ლებანიძის სიტყვები: "იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი, თურმე, იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი." მართლაც, რომ გენიოსების სავანეს წარმოადგენს, იმერეთის ეს ულამაზესი ნავსაყუდელი...რაც შეეხება, სოფელ ტობანიერში, სადაც იმ წიგნის გმირი დაიბადა, რომელზედაც ვსაუბრობთ, დაიბადნენ და გაიზარდნენ: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, კალისტრატე ცინცაძე და დიდი

ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი კორნელი კეკელიძე.



სიმონ მილორავა



ნიკოლოზ მილორავა



რიმა კერელეიშვილი-მილორავასი

წიგნის ავტორები, მთავარი გმირის, სიმონ მილორავას შვილიშვილები არიან. სიმონს პირველი მეუღლესთან (მარგველაშვილის ქალთან) ექვსი შვილი შესძენია. სამწუხაროდ მეუღლე ნაბოლარა შვილზე მშობიარობას გადაჰყოლია. მოგვიანებით, სიმონმა მეორე ცოლი, პატივსაცემი ოჯახის ქალიშვილი, ეფროსინე ავალიანი შეირთო. ავტორთა თქმით: "ასე მოხვდა ეფროსინე ავალიანის ქალი მილორავების ოჯახში, სადაც მეუღლის ექვსი შვილი დახვდა...ბებია საოცარი დედა გამოდგა. მას სიმონისგან ხუთი შვილი ეყოლა: საშა, გუცანა, შალიკო, თამარი და კოლია. ასე რომ, თერთმეტი შვილის დედობა ისე აიღო საკუთარ თავზე, რომ არცერთი გაურჩევია ერთმანეთისგან"...



თამარ (თამუსი) მილორავა



ნუნუ და ნაზი მილორავები

ტობანიერში დასახლებულ სიმონ მილორავას დიდი ოჯახი და მისი შთამომავლობა, უკვე ექვს თაობას ითვლის. ისინი ჩვენი ქვეყნის სვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ და წარმატებული

ადამიანები არიან...წიგნის ავტორების მამას, ნიკოლოზ მილორავას, ოთხი ქალიშვილი შეეძინა: მედეა, თამარი, ფლორა (ნაზი) და ნუნუ მილორავები. სამწუხაროდ, თამარმა, სულ ახალგაზრდამ, 21 წლის ასაკში, დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და ცათა სასუფეველში გადაინაცვლა...წიგნის ავტორები (მედიკო და ფლორა-ნაზი მილორავები), დიდ პატივს მიაგებენ, მათი ბაბუის სიმონ მილორავას ხსოვნას. სხვათა გადმოცემით, მკითხველსაც გვაწვდიან ინფორმაციას, თუ მათი წინაპარი, რამდენად კეთილშობილი ადამიანი იყო...წიგნიდან ვგებულობთ, თუ როგორ შეიფარა და გაზარდა ობოლი ბიჭი, სიმონის ოჯახმა, თერთმეტ შვილთან ერთად...ძალიან საინტრერესო და სევდის მომგვრელია ნიკოლოზ მილორავას ცხოვრება, რომელსაც 1937 წლის რეპრესიის უსამართლო ტალღამ, ციმბირში გადასახლება გამოუტანა განაჩენად...მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ფაშიზმის რისხვა მთელს ევროპას და ყოფილ საბჭოთა ქვეყანასაც დაატყდა თავს, ნიკოლოზ მილორავა დაუფიქრებლად დადგა მის დამცველთა რიგებში...თორმეტი საპატიო ჯილდოთი დაბრუნდა ვალმოხდილი მებრძოლი, ნიკოლოზ მილორავა, საქართველოში. მან ბრძოლით მოიარა ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა, ყირიმი, ბელორუსია, კენისბერგი (კალინინგრადი), ბალტიისპირეთი და გამარჯვებამ ბერლინში მოუსწრო...დები მილორავები, თავის ნაშრომში, არა მხოლოდ თავისი ოჯახის, არამედ ყველა იმ ადამიანების, ახლობლების, ნათესავების, ნათელ-მირონების, მეგობრების ცხოვრებაზე, მათ ღირსეულ და ღირებულ ყოფაზე გვესაუბრებიან (მოგვითხრობენ), ვისთანაც კი თავიანთ ცხოვრების მანძილზე ურთიერთობა და კავშირი ჰქონიათ... ძალიან გამიხარდა და სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როდესაც წიგნში, მათ ახლობლებს (ნათესავებს შორის), ჩემი სტუდენტობის უახლოესი მეგობარი, წარმატებული ექიმი და უკეთილშობილესი პიროვნება, გელა მეცხვარიშვილი და მისი უსაყვარლესი დედიკო, ქალბატონი იზო გოგოძე აღმოვაჩინე...ვანში, სოფელ ტობანიერში, სიმონ მილორავას შთამომავლობა– "ნიკოლოზ მილორავას ქალიშვილები, მათი შვილები და შვილიშვილები უვლიან და პატრონობენ სახლს. მათთვის ეს ადგილი წმინდაა, სადაც ისევ დგას საგვარეულო, ასწლოვანი კოპიტის ხე, შუშაბანდიანი ორსართულიანი ძველი სახლი...სახლი უამრავ მოგონებას ინახავს. ის მოწმეა იმ დიდი ბედნიერების, სიხარულის, ტკივილისა და ტრაგედიის, რაც ამ ოჯახმა გადაიტანა...ის არამარტო მშობლიური, არამედ საოჯახო ქრონიკების და ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია"...წიგნის –"სიმონ მილორავას შთამომავლობის" წაკითხვისას, დამეუფლა განცდა იმისა, თუ როგორ იბადებიან ადამიანები, ცხოვრობენ, იბრძვიან, არსებობენ და თუ მათ ცხოვრებას, შთამომავლობას, ღირსეული ყოფა გასდევს მეგზურად, ლიტერატირულ ნაწარმოებშიც ან დოკუმენტურ– ბიოგრაფიულ წიგნებშიც იდებენ მყუდრო და დაუნგრეველ ბინას...მადლობა წიგნის ერთ-ერთ ავტორს, ქალბატონ ფლორა მილორავას, მოკრძალებული, გულწრფელი გრძნობით ნაჩუქარი წიგნისათვის, რითაც არა მხოლოდ მისი ღირსეული წინაპრების ცხოვრებას მაზიარა, არამედ ჩემს ლამაზ სოფელშიც მამოგზაურა...ჩემი მხრიდან კი ქალბატონ ფლორას და მისი ლამაზი დების მიმართ, გალაკტიონის ლექსით მინდა გამოვხატო მადლიერება...



მედიკო და ნაზი მილორავები

მახსოვს ზაფხული

მახსოვს ზაფხული ტობანიერის,
ჩვენი მდინარე და მეფის-ჭალა.
დედა სათუთად შლის "ივერიას",
მდინარის ქარი ჰქრის ჩალა-ჩალა.

არც ის ზაფხული არსებობს ახლა,
არც მეფის-ჭალა, არც ის მდინარე,
სულ სხვა დროებამ ხმა აღიმაღლა
და გზა წაშალა მონანინარე.

ეს გზა გაუქმდა. გზა გაიშალა
სხვა ჰორიზონტის ფრთაგანიერის.
მდინარის ქარი ჰქრის ჩალა-ჩალა.
მახსოვს ზაფხული ტობანიერის!

გაცხადებული სული "ვეფხისტყაოსანი"
The Declared Spirit of the "Leopard"

ხათუნა ელიაშვილი
მწერალთა კავშირის წევრი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი.
კოლხეთის აკადემიის აკადემიკოსი
Khatuna Eliashvili
Member of the Union of Writers
Member of Jumber Lezhava International Scientific Academy
Academician of Kolkheti Academy

"ვეფხისტყაოსანი"

ჩემი სულის ვეფხისტყაოსანი, ჩემში დანახული სიდიადე, გაცოცხლების პროცესი.

კაცობრიობის რენესანსი!

"შოთა რუსთაველი"

გულის მწვერვალზე აყვანილი ოცნებაა, ჩვენივე საწყისის სიმბოლო, როგორც ახალი ცხოვრების დასაწყისი, განსაკუთრებული ხედვის ნაწილი.

მონათვლა ხდება!

"ვეფხისტყაოსანი" – გატყავებული ვეფხვი, დამორჩილებული ეგოა!

დამოუკიდებელი შემოქმედების უფლება ეს ჩვენი არჩევანია!

სიყვარულია საწყისი!

სიბრძნე, სილამაზე და ჯამრთელობა კი ჩვენივე სულის ალქიმიური მოვლენა!

შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" საკუთარი სივრცის შევსებას ახდენს მხოლოდ ადამიანში.

იზრდები ცნობიერად, დამოუკიდებლად შესწავლა ხდება სულის!

სამყაროსთან კავშირის არსებობა გვაძლევს ღვთიურ ნიშანსაც და განსაცდელსაც, რომლითაც ივსება კალამი და წერს.

ზუსტად ამ კალმით დაიწერა "ვეფხისტყაოსანი"

ანუ ეს ვეფხის-ტყაოს-ნის კ-ალამია!

დროშაა ღმერთის,სივრცის და ადამიანის!

ეს კალამი ერთადერთია და ჩვენთვისაა განკუთვნილი, ის ზევით, კოსმიურ კავშირთანაა შეერთებული და პარალელს ავლებს სამყაროსა და ადამიანს შორის.

აქ სულიერი განზომილებაა!

უნდა გავაცნობიეროთ ეს სულიერი საგანძური, გონივრული განზომილება, სიცოცხლის შინაარსი, რადგან ეს აღმავალი წერტილია ჩვენში.

ატომის ამოქმედება ხდება!

შენ ხარ შენივე თავის შემომქმედი, შენშივე აყალიბებ ჭეშმარიტებას, შენვე მოიპოვებ უფლის დაუფლებას!

იპოვე ჭეშმარიტება!

მაღალიც და მდაბალიც ჩვენშია, მაღლის მიზანი ევოლუციაა!

დედამიწა სკოლაა!

ამ ცოდნის შეძენას ბრძენი ადამიანი შესძლებს, აზრში გაჩერების უნარი ხელოვნებაა.

სამყაროს ბუნების უსასრულობა.

სიბრძნე მხსნელია, ზეციური მოვლ-ენა,

მარწუხებისაგან განთავისუფლება მოდის.

ქართველობა ცხოვრებისა და ურთიერთობების მოდელია საკუთარ თავთან, ღმერთთან და ბუნებასთან.

"ვეფხისტყაოსანი" – იდეაა!

მისი ყოველი თავი იდეის მატარებელია კაცობრიობისთვის, სადაც ჩვენი სრულყოფილება დევს, ჩვენი სიდიადე, სიმაღლე, სახელი, სიყვარული, ჯამრთელობა, ურთიერთობა, ძალა, ნება, გრძნობა, სუნთქვა, ხედვა და გემო.

ცხოვრების გემოს სულიწმინდაზე გასვლით ახერხებს ადამიანი, ესაა მთავარი პიროვნების-თვის შეინარჩუნოს სიწმინდე, დაიცვას სიკეთე, დაიოკოს ვნებები რათა არ დაკარგოს ღვთიური განძი,მის სხეულში არსებული მაღალი სული!

შენ, ანუ " მე" საკუთარ თავშივე სპობ ყოველივე უარყოფითს რაც აზრებიდან მოდის და ეს გახსნილი გონება, საკუთარი შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს თავისუფლებას გაპოვნინებს, გვა-მაღლებს,რაც ღმერთთან დაახლოვების შესაძლებლობაა!

1. " რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა".

რომელ – "მან" ანუ ვინ იყო,ან აწი ვინ იქნება კიდევ ვინც შექმნის საკუთარ სამყაროს, ანუ სა-მებაში შესვლას გულისხმობს "ძალითა მით ძლიერითა", და ეს ძლიერი ძალა "მით"-ებშია,სადაც ცოდნაა დამალული და ეს მითებია ამ ნაწარმოებში" ვეფხისტყაოსანში" ზუსტად.

სამ – ყ(ხ) აროს შექმნას ზუსტად ეს უდევს საფუძვლად და მისი ძალაც აქედან განისაზღვრება.

"ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცითა მონაბერითა"

ზე– ციდან გადმოსული არს, ე.ი უკვე იქ არსებული ცოდნა-"ნი", ცნობიერი აზრი, რომელიც სიბრძნითაა გაჯერებული ზუსტად მაღალი სულის რაობაზეა მოსაუბრე, "სულთა ყვნა" მაღლა აყვანილი სული.

"ზე– ცითა მონაბერითა"– როგორც ჰაერი, ჟანგბადი, ისეთი ყოფილა და ეს როგორც ყოველ სულდგმულს სჭირდება ისევე ყოფილა საჭირო ყველასათვის. რადგან იწმინდება ტვინი, აზრი ლაგდება და ადამიანი უკვე ღმერთის არსს წარმოადგენს.

ზე – ზეციური მოვლენაა!

ეს ბუნების შექმნილი მარადიული სიცოცხლის უფლებაა!

სწორი აზრი ჯამრთელობაა სხეულში, ასევე სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს.

"ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა."

"ჩვენ, "ანუ ყველაზეა საუბარი, "კა-ცთა". "კა" – მუდმივად მზარდი სულია, ანუ ზეციური სული.

(ბგერებში ჩატეული უსასრულობაა "კა". " ნი". და ა.შ.)

"მოგვცა ქვეყანა" – ე.ი ეს ქვეყანა მაღალი სულთათვისაა თან უთვალავი ფერთ.

მიკრო და მაკრო სამყარო ადამიანსა და ქვეყნას აერთიანებს, მთლიანობაში სივრცის შემავსებლები ვართ, ზუსტად ამ სივრცეს ვავსებთ ჩვენი აზრებით და ცხოვრებასაც ამ სივრცით ვაგრძელებთ ანუ ვცხოვრობთ და ფერებით განისაზღვრება.

ანუ მოვეფეროთო, "უთვალავი ფერითა" – უსასრულო სიყვარულზეა საუბარი, წმინდა სიყვარულზე, უპირობო სიყვარულზე.

"მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მისმიერითა" ზუსტად აქედან დგება ყოველი "ხელ–მწიფე" – ხელმწიფობა ცოდნას მიუთითებს, რაც ღმერთს უტოლდება და მის არსზეა მოსაუბრე.

ღვთის არსში წვდომაა მთავარი და ეს "როს-ტევანი" დროში შევსებული მტევანია, უკვე მწიფე,სავსე და ტკბილი.

მტევანს ხელსაც ვუძახით და თურმე სიბრძნე ხელიდანაც მოდის.

ზუსტად ეს იგულისხმება "ხელ-მწიფე"-ში.

ადამიანი როცა იბადება ზუსტად ზრდა ახდენს დაბრძენებას და განვითარებას ცხოვრების მაგალითებზე, გამოცდილება ტანჯვაზე.

ის ვერ იქნება სრულყოფილი ადრეულ ასაკში, თანდათან აღწევს ამ დონეს.

2. ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა."

"ჰე" – შეძახილია, რადგან ერთადერთ ძალად მხოლოდ ღმერთი მოიაზრება ადამიანის სახისა და ტანის შექმნაში და "ტ-ანი"-ს, ანბანით შევსება ხდება.

ეს ანბანი არის ღვთიური ძალა, ენერგეტიული ველი, რომელიც ღვთიურ სასწაულს ახდენს სხეულში და აწესრიგებს.

"შენ დაიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა!"

მისი სწორად გამოთქმა და მის წიაღში შესვლით სა– ტანა დაითრგუნება,და დაძლევა მოხდება უარყოფითი და მავნე მოქმედებების.

"შენ დამიფარე" – ანუ ფარად დამიდექიო.

მდაბალი ხარისხის აზრის დათრგუნვაზეა საუბარი.

"მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა."

აქ სიყვარულის ძალის მოთხოვნაზეა საუბარი, ამ უდიადესსა და ერთადერთ ძალაზე,რადგან ერთადერთი გრძნობაა რაც ადამიანს სიკვდილისაგან აშორებს.

სიკვდილი გააქვს სხეულიდან.

"ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა."

ცოდვა – უსიყვარულობაა!

"მუნ" სიკვდილზე გატანება,ანუ მოსპობა სხეულში სა-ტანის.

მაღალი ეგო, უსიყვარულობა და უსულობაა პირდაპირ მწარმოებელი,დამაპროგრამებელი პიროვნებისა, ზუსტად სხეული ხდება ცოდვის ბუდე თავის არეში წარმოშობილი აზრებით საიდანაც ითესება შემდგომ სხეული.

როდესაც აზროვნების ფორმა ღვთიურს უტოლდება და ხდება სიყვარულით შევსება, უპირობო სუყვარულზეა აქ საუბარი, მაშინ უზენაესი სიცოცხლის შემომქმედი ხდები და ავსებ სამყაროს.

აქ სულის ამოცნობის მაღალი არსი დევს!

გაცხადებული სული ეს იგივეა, რაც დროში მოჭედილი მინანქარი, ცის კიდეზე მზის სხივები, საიდანაც დიდი სიბრძნე მოდის.

გრძნობა – გონების ერთიანობაა.

" ვეფხისტყაოსანის" სულის სარკეში ჩახედვაა მთავარი,, მის სიღრმეში გასვლა, ის სულიერ კავშირს ახდენს საკუთარ სხეულთან, ყოველ უჯრედთან, ორგანოსთან, ატომთან.

"ვეფხისტყაოსანი" გზაა! მიზანი!

სიცოცხლე!

სიყვარული და ადამიანობა!

ა-და-მი-ანი-აო!

ე.ი. თვითონ ბგერების ერთიანობა ადამიანობასთან ჰქონია კავშირი,გაგება კი ღვთიური!

"როს-ტევ-ანი" კი დროში ჩატეული "ანია", ანბანია!

ქართული ენის სადიდებელია ეს პოემა!

საქართველოს გული!

უკვდავების არსი!

თვითეული სიტყვა შვიდ გზას გადის და ეს შვიდი გზა დამამშვიდებელია, უთვალავ სხივებს ითვლის.

ღმერთის ცნობიერება გვაძლევს და გვამდიდრებს ამ ცოდნით. აზრში ჩატეული მსხმოიარე ვენახია, რომელიც აღორძინდება ჩვენში, ვაზი უფლისა, ზრდას განაგრძობს და დაიწყებს ცის კაფვას და გასუფთავებას.

სიმართლე კონტაქტია უფალთან!

იწერება უბრალო ენით, რათა უფრო გასაგები გახდეს ყველასათვის და ადვილად მისაღები!

უბრალოება ბრალიანობას ბადებს!

და ეს პროცესები აბსოლიტურად ყველასი და ყველაფრის ცხოვრებაში დგება, რომელიც გვაქვს გასავლელი, გვინდა თუ არ გვინდა მაინც განვიცდით, ამიტომ მაღალი ცნობიერება გვაძლევს იმის გარანტიას რომ იოლად და უბრალოდ მივაგნოთ საღ აზრს თავისუფლების მოპოვებისთვს!

გაგრძელება იქნება

2024წ. აპრილი!